რა შეიძლება იყოს დროზე მარტივი

კლიფორდ დ. საიმაკი

Publishing

„გამომცემლობა ალიანსი"
თბილისი
2009

Copyright TIME IS THE SIMPLEST THING © 1961 by Clifford D. Simak
All rights reserved

„გამომცემლობა ალიანსი"
ბარნოვის 73/9, თბილისი, საქართველო

ინგლისურიდან თარგმნა *მაია აბრამიშვილმა*
რედაქტორი *მანანა სანადირაძე*
დააკაბადონა *ირინა მაისურაძემ*

ISSN 1987-6963
ISBN 978-9941-9054-2-1

წიგნი აწყობილია და დაბეჭდილია საქართველოში



1

დადგა დრო, როდესაც ადამიანმა, ბოლოს და ბოლოს აღიარა, რომ კოსმოსზე ხელი აღარ მიუწვდებოდა. პირველად ამის შესახებ მაშინ იეჭვა, როცა ვან ალენმა დედამიწას გარსშემოკრული რადიაციის სარტყელები აღმოაჩინა და როცა მინესოტაში აეროსტატებით ცდილობდნენ მზის პროტონების დაჭერას. მაგრამ კაცობრიობა უკვე იმდენ ხანს ოცნებობდა კოსმოსზე, რომ გადაწყვიტა, ამ ყველაფრისთვის თვალი გაესწორებინა და ბედი კიდევ ერთხელ ეცადა.

ასტრონავტების დაღუპვის მიუხედავად, ადამიანი მაინც არ ნებდებოდა და წინსვლას აგრძელებდა, მაგრამ კოსმოსისთვის ის სუსტი არსება იყო და ადვილად იღუპებოდა. თუ მზის რადიაციის ნაკადს გადაურჩებოდა, მისივე ხომალდის მეტალის მეორად გამოსხივებას ვერსად გაექცეოდა.

როგორც იქნა, ადამიანი მიხვდა, რომ ოცნებამ ფუჭად ჩაიარა და ვარსკვლავების თვალიერება უკვე სიმწარესა და იმედგაცრუებას გვრიდა. ახლა ისინი ისე შორს იყვნენ, როგორც არასდროს.

მრავალი წლის ბრძოლისა და მილიონობით გულისტკივილის შემდეგ, ადამიანმა, როგორც იქნა, ფარ-ხმალი დაყარა.

სხვა არც არაფერი დარჩენოდა.

არსებობდა უკეთესი გზა.



2

შეპარდ ბლეინი გრძნობდა, რომ ერთგვარ სახლში იმყოფებოდა, უფრო სწორად, რაღაცის საცხოვრებელ ადგილას. აქ წარმოუდგენელი სიზუსტე, პროპორცია და ფორმა შეიგრძნობოდა, რაც ასე უცხოა ბუნებისთვის, თუნდაც დედამიწისგან შორს, უცნობი ვარსკვლავის ირგვლივ მბრუნავი პლანეტისთვის.

ქვიშის დიუნებისგან განსხვავებით, სადაც ბლეინი აქამდე მოძრაობდა, აქ, ამ უცნაურ საცხოვრებელში, თუკი შეიძლებოდა ამ ადგილისთვის ასე გვეწოდებინა, მისი ნაბიჯები კვალს არ ტოვებდა. აქაური ქარი მხოლოდ უმნიშვნელო შრიალი იყო უდაბნოს ქარიშხლის ღრიალთან შედარებით, ქარიშხლისა, რომელიც მას გამოევლო.

მაგარი და გლუვი ნივთიერებისგან გაკეთებულ კაშკაშა ლურჯი ფერის იატაკზე გადაადგილება ძალიან ადვილი იყო. ირგვლივ მიმოფანტული სხვადასხვა ფორმისა თუ ფერის ნივთები ავეჯს ან გარკვეული ესთეტიკური დანიშნულების მოწყობილობებს წარმოადგენდა. მათი ზედაპირი ქარის, მზისა თუ ავდრისგან გამოჭრილ უხეშ და შემთხვევით ფორმებს კი არ ჰგავდა, არამედ ფუნქციონალური აპარატის მიერ საგულდაგულოდ, სათუთად და ზედმიწევნით ზუსტად გამოკვეთილი კონტურების შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ცაზე ვარსკვლავები ანათებდნენ და შორეული მზეც მკრთალ შუქს ჰფენდა არემარეს. იმ ადგილს, რომელსაც ის გადააწყდა, არ ჰქონდა კედლები.

ბლეინი ნელა მიიწევდა წინ, აპარატის ყველა სენსორი მაქსიმალურად მობილიზებული იყო, არც სახლის შეგრძნება ტოვებდა, რაც ცოტა ხანში სიცოცხლის შეგრძნებაში გადაიზარდა.

ბლეინი აღიქვამდა, როგორ მატულობდა მასში სიცოცხლის პოვნით გამოწვეული მღელვარება. ნებისმიერი სახის სიცოცხლის, განსაკუთრებით კი გონიერი სიცოცხლის აღმოჩენა უკიდურესად იშვიათი და დაუვიწყარი მოვლენა გახლდათ. აქ კი, კაშკაშა ლურჯი იატაკის გლუვი ზედაპირიდან, ირგვლივ მიმოფანტული არტეფაქტებიდან, აშკარად იგრძნობოდა ინტელექტის არსებობა.

ნაბიჯი შეანელა, თითქმის უხმაუროდ გადაადგილდებოდა გლუვ იატაკზე, აპარატის ყველა სენსორი იძაბებოდა, ხოლო ფირი, რომელიც საგნებს, ბგერებს, გამოსახულებებს, სუნსა და ფორმას შთანთქავდა, ტემპერატურას, დროს, მაგნიტურ ზემოქმედებასა და ამ პლანეტაზე არსებულ ყველა სხვა ფენომენს აღრიცხავდა.

ცოცხალი არსება, რომელიც ბლეინმა შენიშნა, მისგან შორს, იატაკზე განრთხმულიყო ზანტი კაცივით, რომელიც არაფერს აკეთებს, არაფერს ელოდება და, უბრალოდ, გაუნძრევლად წევს.

ბლეინი ნელ-ნელა მოძრაობდა ამ არსებისკენ, მისი სენსორები გრძნობდნენ იატაკზე გაშლილ ცოცხალ სხეულს, აანალიზებდნენ მას და მიღებულ ინფორმაციას სათუთად ინახავდნენ.

არსება ვარდისფერი იყო, მაგრამ ისეთი საზიზღარი კი არა, როგორიც ჩვეულებრივ არის ხოლმე ვარდისფერი, არა გახუნებული და ფერგადასული ვარდისფერი, არამედ ხალისიანი და ლამაზი, როგორც პატარა გოგოს კაბა, დაბადების დღეზე რომ აცვია ხოლმე.

არსება მას უყურებდა, თუმცა ვერ იტყოდით, რომ თვალებით, მაგრამ მაინც უყურებდა. ის გრძნობდა ბლეინის არსებობას და არ ეშინოდა მისი.

ბლეინი ხუთი ფუტით მიუახლოვდა, გაჩერდა და გაინაბა.

საკმაოდ მასიური არსება, დაახლოებით თორმეტი ფუტი სიმაღლისა, ოც ფუტზე ოდნავ მეტ დიამეტრზე გაშლილიყო. ბლეინი მასთან შედარებით პატარა და უსუსურ მანქანას ჰგავდა, ის კი კოშკივით მოჩანდა. მის საქციელში არც მუქარა იგრძნობოდა, არც კეთილგანწყობა, არ იგრძნობოდა არანაირი ემოცია, ის მხოლოდ და მხოლოდ ვეებერთელა ცოცხალ მასას წარმოადგენდა.

ბლეინი მიხვდა, რომ ყველაზე რთული, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მომენტი დადგა, როცა უნდა გადაეჭრა — უკან დაეხია თუ გზა გაეგრძელებინა. ახლა გადადგმული ნაბიჯი განსაზღვრავდა ბლეინის მომავალ დამოკიდებულებას ამ არსების მიმართ.

გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილას და არაფერს მოიმოქმედებდა, სენსორები მოდუნებოდა და ფირიც თითქმის არ მოძრაობდა...

ძალიან ძნელი იყო ლოდინი, რადგანაც დრო იწურებოდა.

უცბად იმ მექანიზმის მგრძნობიარე შინაგანმა ელემენტებმა, რომელიც ამჟამად მას სხეულის მაგივრობას უწევდა, რაღაც მთრთოლვარე ბგერები დააფიქსირა. ამ ხმას იატაკზე ვარდისფრად გაშლილი მასა გამოსცემდა და რაღაც ნახევრად ჩამოყალიბებულ აზრსა და საუბრის დაწყებას მოასწავებდა. ყინული ლღობას იწყებდა.

ბლეინი დაძაბული ცდილობდა მოზღვავებული ემოციების მოთოკვას, სულელი იქნებოდა, ასე ადრე რომ მისცემოდა აღტაცებას. თუმცა ეს მთრთოლვარე ხმა ტელეპათიური ძალის გარკვეულ ელემენტებს, რაღაც იდუმალ აზრს შეიცავდა, მაგრამ დანამდვილებით მაინც ვერ ადასტურებდა მის არსებობას.

განაგრძე გზა, — შეუძახა ბლეინმა საკუთარ თავს, — განაგრძე!

მოეჭიდე დროს!

ოცდაათი წამიღაა დარჩენილი!

მთრთოლვარე ხმა ისევ გაისმა, ახლა უფრო ძლიერად და გარკვევით, თითქოს მის წინ გაშლილმა უცხომ უხმაუროდ ჩაახველა, სანამ საუბარს გააბამდა.

ტელეპათიურ არსებებთან კავშირის დამყარება იშვიათი მოვლენა იყო. ადამიანის სხვა შესაძლებლობები, თვისებები და მახასიათებლები ტელეპათიას უინტერესო და მდორე მოვლენად აქცევდნენ, მაგრამ ეს შესაძლებლობები ეფექტურობით ძველ და მარტივ ტელეპათიურ ხელოვნებას ვერც კი შეედრებოდნენ.

მოულოდნელად არსებამ ხმა ამოიღო.

გამარჯობა, მეგობარო, — წარმოთქვა მან, — მე შენ ჩემს გონებას გაგიცვლი.

ბლეინის ტვინს მოულოდნელობისგან უხმო, პანიკური კივილი აღმოხდა, რადგანაც უცბად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ის ორმაგ არსებად იქცა, თავს ერთდროულად საკუთარ თავად და ვარდისფერ არსებად გრძნობდა. რაღაც ქაოტურ მომენტში ბლეინი მთლიანად იმ არსების თვალით იხედებოდა, გრძნობდა იგივეს, რასაც ის გრძნობდა, იცოდა ის, რაც მან იცოდა და ამავდროულად ის შეპარდ ბლეინი იყო, ფიშჰუკის მზვერავი, საკუთარი სახლიდან ძალიან შორს მყოფი დედამიწის მკვიდრი.

და სწორედ ამ მომენტში გაისმა წკაპუნის ხმა და მისი დრო ამოიწურა.

შემდეგ იყო მძაფრი შეგრძნება, თითქოს მთელმა სამყარომ ჩაიქროლა წარმოუდგენელი სისწრაფით და შეპარდ ბლეინი, წინააღმდეგობის მიუხედავად, ხუთი ათასი სინათლის წლის გავლით ჩრდილოეთ მექსიკის ერთ-ერთ ნაწილში გადაისროლა.



3

ბლეინი ცოცვით მიიკვლევდა გზას ბნელ უფსკრულში, რომელშიც ასე მოულოდნელად აღმოჩნდა და ბრმა, ინსტინქტური თავგანწირვით ცდილობდა ამ სიბნელისგან თავის დაღწევას. იცოდა, სადაც იმყოფებოდა, დარწმუნებული იყო, რომ იცოდა, მაგრამ ვერ გაერკვია, საიდან. ბლეინი ამ ბნელ ორმოში ადრეც ჩავარდნილა, თანაც ბევრჯერ. თითქოს ცნობდა კიდეც ამ ადგილს, მაგრამ ახლა მას რაღაც უცხო თვისება შეეძინა, რაც აქამდე არ ჰქონია.

ბლეინმა იცოდა, რომ ამ უცხო შეგრძნების მიზეზი საკუთარ თავში უნდა ეძებნა. ხვდებოდა, რომ სულ სხვა არსება იყო — ერთი ნახევარი მას ჰგავდა, მეორე კი გამოუცნობ ქმნილებას დაეკავებინა, რომელიც დაუძლეველი შიშისგან კედლებს აწყდებოდა და აუტანელი მარტოობისგან გმინავდა.

ბლეინი უფსკრულის კედლებს ეჭიდებოდა და ზემოთ ამოსვლას ცდილობდა. მისი გონება გააფთრებული ებრძოდა მასში დაბუდებულ უცხოობის მძაფრ შეგრძნებას, თუმცა იცოდა, რომ ბრძოლას შედეგი.არ მოჰყვებოდა, რადგან ამ არსებას მასში სამუდამოდ დაესადგურებინა და ბლეინის განუყოფელ ნაწილად ქცეულიყო.

ცოტა ხნით შეისვენა და საკუთარ თავში გარკვევას

შეეცადა, მაგრამ მისი არსება იმდენ ნაწილად დაყოფილიყო, იმდენ ადგილას მიმოფანტულიყო, რომ სულ აერია გონება. ადამიანიც გახლდათ (რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს), მქროლავი მექანიზმიც, პრიალა ლურჯ იატაკზე გაშლილი უცხო სივარდისფრეც და შეშლილი არსებაც, რომელმაც მოგუგუნე დროის უსასრულო ნაკადი გამოიარა, რაც, საბოლოო ჯამში, მათემატიკურად მხოლოდ წამის გარკვეულ ნაწილამდე დაიყვანებოდა.

ის უფსკრულიდან ამოცოცდა და უცბად სიბნელე მკრთალმა შუქმა შეცვალა. ბლეინი ზურგზე იწვა და დღის შუქით ტკბებოდა. როგორც იქნა, სახლში დაბრუნდა — ძველსა და ნაცნობ მადლიერების გრძნობას მოეცვა, რომ მან კიდევ ერთხელ შეძლო ამის გაკეთება.

ბოლოს და ბოლოს გაიხსენა, ვინც იყო — შეპარდ ბლეინი, ფიშჰუკის მაძიებელი, რომელიც შორეულ კოსმოსში მოგზაურობდა უცნობი ვარსკვლავების დასაზვერად. დედამიწიდან მრავალი სინათლის წლის მიღმა არსებული პლანეტები მოენახულებინა, ზოგჯერ გარკვეული ღირებულების საგნებს აღმოაჩენდა, ზოგჯერ მისი მგზავრობა უშედეგოდაც მთავრდებოდა, მაგრამ ამჯერად იპოვა რაღაც, რომლის ნაწილიც თან ჩამოჰყვა დედამიწაზე.

ბლეინმა ის რაღაცა საკუთარი გონების კუნჭულში აღმოაჩინა და შიშისგან დაძაბული ქმნილების დამშვიდებას შეეცადა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც ეშინოდა. მშვენივრად იცოდა, რა ძნელი იყო ამ არსებისთვის საკუთარი თავის უცხო გონების მოულოდნელ ტყვეობაში აღმოჩენა, თუმცა, მეორე მხრივ, ბლეინისთვისაც ძნელი იყო საკუთარ ტვინში ჩასახლებული ტყვის ატანა.

რთული მდგომარეობაა, ვერაფერს იტყვი, — უთხრა მან საკუთარ თავსა და იმ მეორე არსებას, რომელიც მის ნაწილად ქცეულიყო.

ბლეინი გაუნძრევლად იწვა და ცდილობდა, მწყობრში მოეყვანა თავი. ოცდაათი საათის წინ დატოვა დედამიწა,

თუმცა მისი სხეული ადგილიდან არ დაძრულა, გამოუცნობი მზის გარშემო მბრუნავ უცხო პლანეტაზე მხოლოდ მისმა გონებამ და მასთან ერთად პატარა მქროლავმა მანქანამ იმოგზაურეს.

ეს პლანეტა სხვებისგან არაფრით განსხვავდებოდა. მოზუზუნე უდაბნო — სწორედ ასეთი სურათი წარმოგიდგებოდა თვალწინ, როცა რომელიმეზე ფეხს შეადგამდი. თუმცა ამჯერად ეს მოზუზუნე ქვიშის უდაბნო, სრულიად შესაძლებელია, უსიერი ტყე, ყინულოვანი საფარი ან პირველყოფილი კლდეებით დაფარული ცარიელი და უნაყოფო ადგილი აღმოჩენილიყო.

დაახლოებით ოცდაათი საათის განმავლობაში უდაბნოს ქვიშებში დაეხეტებოდა, შემდეგ უეცრად უზარმაზარ ლურჯ ოთახს გადააწყდა, სადაც ვარდისფერი არსება ბინადრობდა და როცა შინ დაბრუნდა, ეს ვარდისფერი ქმნილება, უფრო სწორად მისი აჩრდილი, თან ჩამოჰყვა.

არსება გამოძვრა სამალავიდან და ბლეინმა კიდევ ერთხელ შეიგრძნო მისი შეხება, მთელი გონებით გაისიგრძეგანა მისი არსებობის სინამდვილე, ჩაიხედა მის გონებაში. უცხო არსების სისხლი გაყინული ნაკადით მოაწვა ბლეინის სისხლძარღვებს, უცხოს ობმოდებულ სურნელსა და მის ლორწოვან შეხებას გაექვავებინა, უნდოდა, გამოუთქმელი შიშისგან ეყვირა, მაგრამ არ უყვირია, გაუნძრევლად იწვა, ხოლო ვარდისფერი არსება ისევ თავისი სამალავისკენ გაეშურა და მრგვლად მოიკალათა.

ბლეინმა თვალები გაახილა და დაინახა, რომ იმ ადგილის ხუფი, სადაც იმყოფებოდა, უკან გადახრილიყო და საჩრდილობლიანი ნათურის სიკაშკაშემ თვალი მოსჭრა.

საკუთარი სხეული მოსინჯა, ყველაფერი ადგილზე ჰქონდა, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ოცდაათი საათის განმავლობაში მშვიდად იწვა და არც განძრეულა.

ბლეინმა სხეული აამოძრავა და წამოჯდა. ნათურის შუქზე უამრავი სახე ცურავდა.

"ძნელი იყო?" — იკითხა ერთ-ერთმა.

"როგორც ყოველთვის", — უპასუხა ბლეინმა.

ბლეინი კუბოს ფორმის აპარატიდან გადმოვიდა და უცბად სიცივისგან ააკანკალა.

"აი, თქვენი ქურთუკი, სერ", — მიუგო თეთრ ხალათზე აღმართულმა სახემ და ქურთუკის ჩაცმაში მიეხმარა.

შემდეგ ჭიქა გაუწოდა, ბლეინმა მოსვა და მიხვდა, რომ რძე იყო. უნდა სცოდნოდა, რომ რძე იქნებოდა. დაბრუნებულებს ყოველთვის ასმევდნენ ხოლმე. შიგნით ალბათ რაღაცას ურევდნენ. არასდროს დაინტერესებულა, რომ ეკითხა. მისთვის და ალბათ ბევრი სხვა მისნაირი მზვერავისთვის ეს ერთ-ერთი გახლდათ იმ უამრავ წვრილმანთაგან, რომლებიც ფიშჰუკთან ასოცირდებოდა. საუკუნის მანძილზე ფიშჰუკში ბევრი ხავსმოდებული ტრადიცია დამკვიდრდა, ყველა მათგანი — თავისებურად მოძველებული და კონსერვატიული.

სანამ ბლეინი რძეს სვამდა, მისმა გონებამ ნელ-ნელა აღიდგინა ეს ოთახი — საოპერაციო, ვარსკვლავური მანქანების მოელვარე რიგით. ზოგი დახურული იყო, ზოგიც — ღია. დახურულ მანქანებში მისნაირები იწვნენ. მათ გონებას სხეული დაეტოვებინა და შორეულ კოსმოსში მოგზაურობდა.

"რომელი საათია?" — იკითხა ბლეინმა.

"საღამოს ცხრა", — უპასუხა კაცმა, რომელსაც სარეგისტრაციო ჟურნალი ეჭირა ხელში.

უცხოობის გრძნობა კვლავ მიიკვლევდა გზას ბლეინის გონებისკენ და კიდევ ერთხელ ჩაესმა სიტყვები: "გამარჯობა, მეგობარო, მე შენ ჩემს გონებას გაგიცვლი".

ადამიანური გონების თვალთახედვიდან ეს ყოვლად უაზრო და უცნაურ მომენტს წარმოადგენდა. გარკვეულ წილად მისალმებას ჰგავდა, ერთგვარ ხელის ჩამორთმევას, გონების, აზროვნების გაცვლას. თუ დაუკვირდებოდი, მასში უფრო მეტ აზრს აღმოაჩენდი, ვიდრე უბრალო ხელის ჩამორთმევაში.

გოგომ მხარზე დაადო ხელი. "დალიეთ რძე", — მიმართა მან ბლეინს.

თუ ეს გონების გაცვლა იყო, მაშინ ის არ დამთავრებულა, რადგანაც გონება ჯერ კიდევ დაძაბული ჰქონდა. ბლეინი ისევ გრძნობდა უცხო ჭუჭყის არსებობას სადღაც, ცნობიერების მიღმა.

"აპარატმა ხომ კარგად იმუშავა?" — იკითხა ბლეინმა.

კაცმა, რომელსაც სარეგისტრაციო ჟურნალი ეჭირა, თავი დაუკრა: — "ყველაფერმა კარგად ჩაირა, ჩანაწერები უკვე გავუშვით ქვემოთ".

ნახევარი საათი, — ისე მშვიდად გაიფიქრა ბლეინმა, რომ საკუთარმა სიმშვიდემ გააოცა. მხოლოდ ნახევარი საათი ჰქონდა, რადგან ინფორმაციის დამუშავებას სწორედ ეს დრო სჭირდებოდა. ბლეინმა იცოდა, რომ კოსმოსიდან ჩამოტანილ ჩანაწერებს მზვერავის დაბრუნებისთანავე განიხილავდნენ.

ყველაფერი ჩაწერილი იქნებოდა, ყველა ინფორმაცია, რომელიც, საბოლოო ჯამში, სრულ სურათს წარმოადგენდა და არავის შეეპარებოდა ეჭვი იქ მომხდარში, ამიტომ მანამ უნდა მოშორებოდა აქაურობას, სანამ ისინი ჩანაწერებს წაიკითხავდნენ.

ბლეინმა ოთახში მიმოიხედა და კიდევ ერთხელ აივსო კმაყოფილების, მღელვარებისა და სიამაყის გრძნობით, როგორც მაშინ, წლების წინ, როცა პირველად შემოიყვანეს ამ ოთახში. აქ თვით ფიშჰუკის გული ძგერდა, აქ შეგეძლო შორეული ადგილებისკენ ხელი გაგეწვდინა, მის მორევში ჩაძირულიყავი.

ბლეინმა იცოდა, რომ ძნელი იქნებოდა აქედან წასვლა, ამ ყველაფრისთვის ზურგის შექცევა, აქ ხომ საკუთარი არსების ნაწილს ტოვებდა.

მაგრამ მტკიცედ გადაეწყვიტა — უნდა წასულიყო.

რძე დალია, ჭიქა გოგოს მიაწოდა და კარისკენ შებრუნდა.

"მოიცადეთ, სერ, — დაუძახა კაცმა, რომელსაც საქაღალდე ეჭირა, — ხელის მოწერა დაგავიწყდათ, სერ".

ბლეინმა უკმაყოფილოდ გამოიღო ფანქარი საქაღალდიდან და ხელი მოაწერა. სისულელე იყო ეს ყველაფერი, მაგრამ ამ პროცედურების გავლა სავალდებულო გახლდათ. შესვლისას და გასვლისას ხელი უნდა მოგეწერა და ენისთვის კბილი დაგეჭირა. ყველა ისე იქცეოდა, თითქოს მთელი ფიშჰუკი დაიქცეოდა, თუკი რომელიმე პროცედურას გამოტოვებდი.

მან დაფა დაუბრუნა კაცს.

"უკაცრავად, მისტერ ბლეინ, დაგავიწყდათ, დაგეწერათ, როდის დაბრუნდებით შედეგებისთვის".

"ხვალ დილის ცხრა საათისთვის"... — მოკლედ მოუჭრა ბლეინმა.

რაც უნდოდათ, ის ჩაეწერათ, ბლეინი აღარ დაბრუნდებოდა. ოცდაათი წუთიღა დარჩენოდა — ახლა უკვე ოცდაათ წუთზე ნაკლები — არც ერთი წამი არ უნდა დაეკარგა.

სამი წლის წინანდელი ღამის მოგონება ყოველ წამს სულ უფრო მკაფიო ფორმებს იღებდა. ბლეინს არა მარტო სიტყვები, არამედ ლაპარაკის ტონიც ახსოვდა. იმ ღამეს გოდფრი სთოუნმა დაურეკა შიშნარევი და აღელვებული ხმით, მძიმედ სუნთქავდა, თითქოს მორბოდა.

"ღამე მშვიდობისა ყველას", — დაემშვიდობა იქ მყოფთ.

ბლეინი დერეფანში გავიდა და კარი გაიხურა. ოთახი დაცარიელდა. ჩამწკრივებული კარები დახურული იყო, მაგრამ ზოგიერთის ჭუჭრუტანებში შუქი ატანდა. დერეფანში არავინ იყო, სრული სიჩუმე სუფევდა, მაგრამ ამ სიჩუმისა და სიცარიელის მიუხედავად, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მთელი ფიშჰუკი მას ყარაულობდა, თითქოს ფიშჰუკის მთელ კომპლექსს, ლაბორატორიებსა და ექსპერიმენტულ სადგურებს, ქარხნებსა და უნივერსიტეტებს, საპროექტო საბჭოს, უზარმაზარ ბიბლიოთეკებსა და საცავებს არც არასდროს მოეხუჭათ თვალი.

ბლეინი წუთით შეჩერდა და ჩაფიქრდა. საქმე მარტივად

უნდა გადაეწყვიტა. მას შეეძლო აქედან გაეღწია, სადგომიდან გამოეყვანა მანქანა, რომელიც ხუთიოდე კვარტალში იდგა, ჩრდილოეთით წასულიყო, საზღვრისკენ, და ვერც ვერაფერი შეაჩერებდა. მაგრამ ეს ზედმეტად მარტივ, პირდაპირ და აშკარა ქმედებად მოეჩვენა. ფიშჰუკიც ალბათ სწორედ ასეთ საქციელს ელოდა მისგან.

და კიდევ ერთი ფიქრი ღრღნიდა და მოსვენებას არ აძლევდა: საერთოდ რა აზრი ჰქონდა გაქცევას?

გოდფრი სთოუნის შემდეგ სამი წლის განმავლობაში ხუთი ადამიანი გაიქცა — განა ეს საკმარისი სამხილი არ იყო?

ბლეინი დერეფანს ჩაუყვა, მისი გონება ცდილობდა ეჭვებში გარკვევას, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, მართალი იყო და ეჭვიც არ ეპარებოდა საკუთარ სიმართლეში, მაგრამ მისი სიმართლე ინტელექტუალურ ხასიათს ატარებდა, ხოლო ეჭვი — გულიდან მოდიოდა.

ყველაფერი, საბოლოო ჯამში, ერთ ფაქტორამდე დავიდა — ბლეინს მოსწონდა აქაურობა, მოსწონდა თავისი საქმე და არ უნდოდა ფიშჰუკიდან გაქცევა.

მაგრამ მან დიდი ხნის წინ, საკუთარ თავთან ბრძოლის ფასად მიიღო გადაწყვეტილება, წასულიყო, როცა დრო დადგებოდა. დარჩენის მძაფრი სურვილის მიუხედავად, ყველაფერი უნდა მიეტოვებინა და გაქცეულიყო.

გოდფრი სთოუნმა ეს კარგად იცოდა, მაგრამ მაშინ, როცა ის თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, დრო იხელთა და ერთი წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა, ბლეინს დაურეკა, არა დახმარებისთვის, არამედ გასაფრთხილებლად.

"შეპ, — თქვა გოდფრიმ ქოშინით, თითქოს მორბოდა, — შეპ, მომისმინე და არ შემაწყვეტინო. თუ როდისმე სხვა პლანეტაზე უცხო, გონიერ არსებას შეხვდები და ამის შემდეგ რაღაც შეიცვლება შენში, გაიქეცი, ერთი წუთითაც არ დააყოვნო, გაიქეცი."

შემდეგ ყურმილის ჩამოვარდნის ხმა გაისმა.

ბლეინს ახსოვდა, როგორ იდგა გაუნძრევლად ყურმილით ხელში.

"ჰო, გოდფრი, — უპასუხა მან ტელეფონის მეორე მხარეს გამეფებულ სიჩუმეს, — ჰო, გოდფრი, მემახსოვრება. გმადლობ, წარმატებას გისურვებ."

ამის შემდეგ გოდფრი სთოუნისგან არაფერი სმენია.

თუკი როდისმე უცხოდ იქცევი, — გოდფრი სთოუნმა უთხრა, და ახლა უკვე ბლეინი უცხო იყო, გრძნობდა, როგორ დაისადგურა მალულად უცხო არსებამ მის გონებაში და მის მეორე მედ იქცა. აი, თურმე როგორ იქცევა ადამიანი უცხოდ. სხვებზე რა შეიძლება ითქვას? ყველა ხომ ვერ გადაეყრებოდა ამ უცნაურ ვარდისფერს ხუთი ათასი სინათლის წლის მიღმა. კიდევ რამდენი გზა შეიძლება არსებობდეს ადამიანის უცხოდ გადასაქცევად?

როგორც კი ჩანაწერებს წაიკითხავდნენ, ფიშჰუკში ყველაფერს გაიგებდნენ, ამას წინ ვერაფერი აღუდგებოდა. შემდეგ გამოიძახებდნენ და მოყურიადეს მიუჩენდნენ — ადამიანს, რომლის მოვალეობაც სხვისი აზრების ჩიჩქნა იყო, რადგან დისკი კი დააფიქსირებდა უცხო ელემენტს, მაგრამ დანამდვილებით ვერ აჩვენებდა, თუ რაში გამოიხატებოდა მისი უცხოობა. მოყურიადე მეგობრულად და თანაგრძნობით დაელაპარაკებოდა და ეცდებოდა, დაედგინდა და, რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან დაადგენდა კიდეც, თუ ვინ იყო მისი გონების შორეულ კუნჭულში ჩასახლებული არსება.

ბლეინი ლიფტთან მივიდა და თითი ღილაკზე დააჭირა თუ არა, ერთ-ერთი კაბინეტის კარი გაიღო.

"ოჰ, შეპ, შენ ხარ? — თქვა კარში მდგომმა კაცმა, — გავიგონე, როგორ ჩაიარა ვიღაცამ ჰოლში, მაინტერესებდა, ვინ იყო."

ბლეინი შემობრუნდა მისკენ: "ეს წუთია, დავბრუნდი."

"ცოტა ხნით ხომ არ შემოივლი? — შეიპატიჟა კერბი რენდიმ, — თითო ჭიქა ჩავურტყათ."

ფიქრის დრო არ იყო, ან უნდა შესულიყო და დაელია რამდენიმე ჭიქა, ან მკვახე უარი ეთქვა. უარს თუ ეტყოდა, რენდი ეჭვს შეიტანდა. ეჭვის შეტანა რენდის უშუალო საქმეს

წარმოადგენდა, ის ფიშჰუკის ერთ-ერთი სექციის უშიშროების უფროსი გახლდათ.

"გმადლობ, — უთხრა ბლეინმა მშვიდად, როგორც შეეძლო, — ცოტა ხნით შეიძლება, გოგო მელოდება, არ მინდა დიდხანს ვაცდევინო."

ეს საბაბი, ბლეინის აზრით, თავიდან ააცილებდა ნებისმიერ გულითად მიპატიჟებას სადილზე ან რომელიმე შოუზე.

ბლეინმა ლიფტის ხმა გაიგონა, მაგრამ მოსცილდა მას, რაღა დარჩენოდა. არ გაუმართლა, რა გაეწყობოდა.

კარში რომ შედიოდნენ, რენდიმ მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი.

"როგორ იმგზავრე? " — ჰკითხა მან.

"მშვენივრად."

"რა მანძილზე?"

"დაახლოებით ხუთი ათასზე."

რენდიმ თავი გააქნია. "უაზრო კითხვა დავსვი, — გამოტყდა, — ახლა ყველა რეისი შორეულია. ჩვენ ხომ აღარ გვაქვს ახლო რეისები, ახლომახლო უკვე ყველაფერს თვალი შევავლეთ. ერთ ას წელიწადში ალბათ ათი ათასამდე ავალთ."

"რა მნიშვნელობა აქვს, — უთხრა ბლეინმა, — მანძილი აღარ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს, გაემგზავრები თუ არა, ეგრევე ადგილზე ხარ. უფრო შორ მანძილებზე თუ გავფრინდებით, მაგალითად, გალაქტიკის შუამდე, შეიძლება გარკვეულ დაბრკოლებას გადავაწყდეთ, თუმცა მაინც მეეჭვება, რომ ეს ასე მოხდეს."

"მეცნიერები ამბობენ, რომ დაყოვნების არსებობა თეორიულადაც კი შეუძლებელია," — თქვა რენდიმ.

ის ოფისის მეორე ბოლოში მდგარ მასიურ მაგიდასთან მივიდა, ბოთლი გადმოიღო და გახსნა.

"იცი რა, შეპ, ფანტასტიკურ საქმეს ვაკეთებთ. მართალია, რთული და ზოგჯერ მომაბეზრებელიცაა, მაგრამ მაინც ფანტასტიკურია."

"ეს იმიტომ, რომ გვიან მოვკიდეთ ამას ხელი, — მიუგო ბლეინმა, — იმიტომ, რომ ეს უნარი დიდი ხნის წინ მივივიწყეთ. ეს ძალა ყოველთვის ჩვენთან იყო და ჩვენ კი არასდროს გამოგვიყენებია, რადგანაც არაპრაქტიკული, ფანტასტიკური საქმე იყო და ბოლომდე ჩვენც არ გვჯეროდა ამისი. ჩვენს წინაპრებს გარკვეული წარმოდგენა კი ჰქონდათ ამ უნარის შესახებ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ჩასწვდნენ მის არსს, ჯადოქრობა ეგონათ."

"ბევრი დღემდე ასე ფიქრობს," — თქვა რენდიმ.

რენდიმ ორი ჭიქა მოამზადა, მაცივრიდან ყინული გადმოიღო და სასმელი ჩამოასხა.

"აბა ერთი დავურტყათ," — თქვა მან და ბლეინს ჭიქა მიაწოდა.

რენდი მაგიდასთან ახლოს მდგარ სავარძელში ჩაჯდა.

"დაჯექი, — მიიპატიჟა ბლეინი, — სად გეჩქარება, ფეხზე მდგომმა სასმელს რა გემო უნდა ჩაატანო."

ბლეინი ჩამოჯდა.

ფეხები მაგიდაზე შემოაწყო და მოხერხებულად მოკალათდა.

ოც წუთზე ნაკლები დრო რჩებოდა.

ბლეინი ჭიქით ხელში იჯდა და, სანამ რენდი ხმას ამოიღებდა და წამიერ სიჩუმეს დაარღვევდა, ეგონა, იმ უზარმაზარი ობიექტის მაჯისცემა ესმოდა, რომელსაც ფიშჰუკი ერქვა, რომ ის ვეებერთელა ღამის მცველად აღმართულიყო დედამიწის ერთ-ერთ ნაწილზე, რომელსაც სახელად ჩრდილოეთ მექსიკა ერქვა და მას გულიც ჰქონდა, ფილტვებიც და უამრავი მფეთქავი არტერიაც და სწორედ ამ არტერიების ფეთქვა ესმოდა.

რენდიმ უეცრად მეგობრული და კეთილგანწყობილი ნიღაბი აიფარა.

"მაგრად გაგიმართლათ, — გამოუტყდა, — ზოგჯერ მშურს თქვენი."

"ეს მხოლოდ სამუშაოა," — მიუგო ბლეინმა დაუდევრად.

"დღეს ხუთი ათასი სინათლის წელი გადალახე. რა იგრძენი?"

"ალბათ, გარკვეულ წილად, კმაყოფილება, — აღიარა ბლეინმა, — ინტელექტუალური აღტაცება, როცა იცი, სად ხარ. ეს რეისი დანარჩენებისგან განსხვავდებოდა. მე მგონი სიცოცხლე აღმოვაჩინე."

"მომიყევი," — სთხოვა რენდიმ.

"მოსაყოლი არაფერია. იმ რაღაცას სწორედ მაშინ გადავაწყდი, როცა დრო იწურებოდა, არაფრის გაკეთება არ დამცალდა, ისე უცბად გადმომისროლა მანქანამ უკან. რაღაცა უნდა მოვუხერხოთ ამას, კერბი, ეს ძალიან გვზღუდავს."

რენდიმ თავი გადააქნია, — "სამწუხაროდ, ამას ვერაფერს მოვუხერხებთ."

"ხანდახან თავისუფლად მოქმედების უფრო მეტი უფლება უნდა მოგვცეთ, — დაჟინებით განაგრძობდა ბლეინი, — დროის ლიმიტი არ უნდა იყოს ასე თვითნებურად და მკაცრად განსაზღვრული, თორემ სრული ოცდაათი საათი გვიხდება რომელიღაც პლანეტაზე ყოფნა და უაზროდ ხეტიალი, როცა ამის არანაირი მიზეზი არ არსებობს და როცა რაღაცას ვიპოვით ხოლმე, სწორედ მაშინ გვაბრუნებენ დედამიწაზე."

რენდიმ ჩაიცინა.

"არ მითხრა, რომ ამის გაკეთება არ შეგიძლია, — თქვა ბლეინმა, — ფიშჰუკს ხომ მეცნიერების მთელი არმია ჰყავს."

"შესაძლებელია, მაგრამ ჩვენ გვინდა ვაკონტროლოთ."

"გეშინიათ, რომ ვიღაცა დარჩება?"

"ალბათ."

"რისთვის? — განაგრძობდა ბლეინი, — იქ შენ ადამიანი კი არა, მხოლოდ მანქანაში გამომწყვდეული ადამიანის გონება ხარ, მეტი არაფერი."

"არაფრის შეცვლა არ გვინდა, — უპასუხა მან, — გარდა ამისა, თქვენზე ვზრუნავთ, უსაფრთხოების ზომები უნდა მივიღოთ. ავარია რომ მოხდეს დედამიწიდან ხუთი ათასი

წლის მიღმა და მანქანაზე კონტროლი დაკარგოთ, მაშინ ხომ დაიღუპებით. ასე სიტუაცია ავტომატურ კონტროლს ექვემდებარება. როცა იქ გიშვებთ, ვიცით, რომ აუცილებლად დაბრუნდებით."

"ზედმეტად გვიფრთხილდებით," — უთხრა ბლეინმა მკვახედ.

"არაფერიც, წარმოგიდგენია, რა თანხა გვაქვს თქვენში ჩადებული? იცი, რამდენ ადამიანში ვირჩევთ მათ, ვინც ერთდროულად ტელეპათიცაა და ტელეპორტერიც, ვინც ძლიერია ფსიქოლოგიურად, ვისაც დანახულისთვის თვალის გასწორება შეუძლია, და ბოლოს, ვინც ფიშჰუკის ერთგულია."

"თქვენ ერთგულებას ყიდულობთ, ჩვენ შორის ვერავინ დაიწუწუნებს, რომ ცოტას უხდიან."

"სულ სხვა რამეზე გელაპარაკები და შენ მშვენივრად იცი, რაზეც."

შენ როგორი ადამიანი ხარ? — გაიფიქრა ბლეინმა, — უშიშროებაში სამსახურისთვის რა თვისებებით უნდა იყო აღჭურვილი? ტელეპათიური თვალთვალი ალბათ ერთ-ერთი მათგანია — სხვის გონებაში ჩახედვის უნარი — მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ბლეინი რენდის იცნობდა, ამ ტალანტის კვალიც კი არ შეუმჩნევია. თუკი ეს ასე იყო, რატომ იყენებდა ის ამ მიზნისთვის იმ ადამიანებს თავისი განყოფილებიდან, რომელთა ერთადერთი მიზანიც ადამიანთა გონებაში ჩახედვა იყო?

"მე მაინც ვერ ვხვდები, რატომ არ გვაძლევთ დროის კონტროლის საშუალებას, — განაგრძობდა ბლეინი, — ჩვენ შევძლებდით ..."

"ვერ ვხვდები, რატომ ნერვიულობ, — უპასუხა რენდიმ, — ნუ გეშინია, დაბრუნდები შენს ძვირფას პლანეტაზე და წამოიღებ, რაც დაგრჩა."

"რა თქმა უნდა, დავბრუნდები. ის რაღაც მე აღმოვაჩინე, არა? ამიტომ გარკვეულ წილად ჩემია."

ბლეინმა სასმელი დალია და ჭიქა მაგიდაზე დადო.

"კაი, წავედი, — თქვა მან, — გმადლობ სასმელისთვის."

"არაფრის, — უპასუხა რენდიმ, — აღარ შეგაყოვნებ. მოხვალ ხვალ?"

"ცხრა საათზე," — უპასუხა ბლეინმა.



4

ბლეინმა მასიური, მოჩუქურთმებული შესასვლელი გაიარა, რომელიც მოედანზე გადიოდა. სხვა დრო რომ ყოფილიყო, სიამოვნებით შეჩერდებოდა ცოტა ხნით და საამური საღამოთი დატკბებოდა. ქუჩის ლამპიონები მკრთალ შუქს გამოსცემდნენ, საღამოს ნიავი ფოთლებს აშრიალებდა. ქუჩაში მოსეირნეები უფორმო აჩრდილებს დამსგავსებოდნენ, ხოლო მანქანები უხმაუროდ მიცურავდნენ გზებზე. ქალაქი შემოდგომის ღამის მაგიურ ნისლში გახვეულიყო.

ბლეინი დღეს არ გაჩერებულა, ამის დრო არ ჰქონდა.

მის განკარგულებაში რვა წუთი დარჩა, სულ რაღაც საცოდავი რვა წუთი.

ხუთი კვარტალი უნდა გაევლო, რომ მანქანა გამოეყვანა სადგომიდან და ამასობაში დროც ამოიწურებოდა, იქამდე მისვლას მოასწრებდა. ვერ გარისკავდა. მანქანა უნდა დაეტოვებინა.

და კიდევ ერთი რამ რჩებოდა — კერბი რენდი. რაღა მაინცდამაინც ამ ღამეს მოუნდა ოთახიდან გამოსვლა და სასმელზე დაპატიჟება?

ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ რენდისთან საუბრის გახსენებაზე მოუსვენრობა იპყრობდა.

თითქოს ეს კაცი რაღაცას ეჭვობდა, თითქოს იცოდა, რომ თავისი მიპატიჟებით ბლეინს ძვირფას დროს ჰპარავდა.

ყველაფერი ნარსულს ჩაბარდა, — არწმუნებდა საკუთარ თავს ბლეინი. მართალია, საქმე გართულდა, მაგრამ ჯერჯერობით იმედგაცრუების საბაბი არ ჰქონდა, იქნებ უკეთესიც აღმოჩნდეს — მანქანაში რომ ჩამჯდარიყო, ფიშჰუკში ეცოდინებოდათ მისი ადგილსამყოფელი, ხოლო ფეხით სულ რაღაც ათ წუთში მიიმალება ქალაქში.

ბლეინი ქუჩას ავტოსადგომის საპირისპირო მიმართულებით დაუყვა.

კიდევ ათი წუთი რომ მქონდეს, — იმეორებდა ლოცვასავით. ბლეინმა სულ მცირე ათი ადგილი მაინც იცოდა, სადაც ამ ათ წუთში შეძლებდა მიმალვას, ცოტა რომ ამოესუნთქა და შემდეგი სვლა გაეთვალა. ახლა კი, მანქანის გარეშე, არ იცოდა, რა ექნა, რა გზას დადგომოდა.

დარწმუნებული იყო, რომ იმ ათ წუთს სათავისოდ გამოიყენებდა, რა თქმა უნდა, თუკი გაუმართლებდა და ქუჩაში ვინმე ნაცნობი არ შეხვდებოდა.

ქუჩას მიუყვებოდა, მისი გონება ზვირთივით მომსკდარ შიშს დაეკავებინა. ეს ყოვლისმომცველი და დაუძლეველი განცდა ბლეინს არ ეკუთვნოდა — ეს არ იყო ადამიანური შიში, ის უცხო გონებაში შობილ, საშინელ, უძირო, ბნელ და მოუთოკავ შიშს ჰგავდა, რომელიც კლანჭებს თანდათან უჭერდა. უცხო გონება ამოუცნობი პლანეტის კოშმარებს ველარ იტევდა, ველარ იტანდა ტყვეობას, ვერაფრით შეგუებოდა ამ ახალ, შემაძრწუნებელ, მისთვის აბსოლუტურად გაუგებარ მდგომარეობას.

ბლეინი მთელი არსებით ებრძოდა მოზღვავებულ კოშმარს, საკუთარი ცნობიერების დარჩენილი იმ მცირედი ნაწილით გრძნობდა, რომელიც ჯერ კიდევ აზროვნებდა, რომ მას კი არა, მის გონებაში ჩაბუდებულ არსებას ეშინოდა.

და მიხვდა, რომ ისინი ერთმანეთისგან განუყრელები იყვნენ, ერთმანეთს სამუდამოდ დაკავშირებოდნენ და ერთსა და იმავე ბედს იზიარებდნენ.

გაქცევა უნდოდა, მაგრამ დარჩენილი ნებისყოფა მოიკრიფა და საკუთარი თავი აიძულა, ადგილიდან არ დაძრულიყო. გაქცევა არ შეიძლებოდა, ამით ყურადღებას მიიპრობდა.

ბლეინმა ტროტუარიდან გადაუხვია და უცბად უზარმაზარი ხის ტანს მიეხეთქა, ხელები შემოხვია და იმ იმედით ჩაეხუტა, რომ მიწიერი საგნის შეხება ძალას შემატებდა.

ბლეინი ხეს ძლიერად ეკვროდა, რადგან სხვა ვერაფერი მოეფიქრებინა. უცბად შიშის გრძნობამ, თითქოს მის გონებას ალყა მოხსნაო, ნელ-ნელა უკან დახევა დაიწყო — მალე ცნობიერების წინა ხაზიდან დაიძრა და სადღაც სიღრმეში გადაინაცვლა. შეშინებულმა უცხო არსებამაც სამალავებს მიაშურა.

ყველაფერი რიგზეა, — დაამშვიდა უცხო, — იყავი, სადაც ხარ. არ შეგეშინდეს, მე მომანდე ეს საქმე, მე მივხედავ.

უცხო გაქცევასა და ტყვეობისგან გათავისუფლებას ეცადა, მაგრამ — უშედეგოდ. დამარცხებული, იძულებული გახდა, იმ ერთადერთ უსაფრთხო სამყოფელს დაბრუნებოდა, რომელიც ამ ტყვეობაში აღმოაჩინა.

ამის ატანა აღარ შეიძლება, — გაიფიქრა ბლეინმა, — მეორე ასეთ შემოტევას ვეღარ გავუძლებ, ვერ გავუმკლავდები, ამ კოშმარისგან თავის დაღწევის დაუძლეველი სურვილი შემიპყრობს და შიშისგან ელდანაცემი სისულელეს ჩავიდენ, აი მაშინ კი უნდა დავემშვიდობო ყველაფერს.

ხეს ხელი გაუშვა, გაუნძრევლად იდგა, ცდილობდა, თავი შეეკავებინა და მყარად მდგარიყო, სისუსტისა და დაღლილობის მიუხედავად. უეცრად იგრძნო, როგორ დაასხა ცივმა ოფლმა, მძიმედ სუნთქავდა, როგორც მარათონელი, რომელმაც, ეს ესაა, ფინიშს მიაღწია.

როგორ შეძლებდა გაქცევას და მიმალვას ზურგზე აკიდებული ამხელა ტვირთით? საკუთარი თავიც ყოფნიდა

სათრევად, ახლა კიდევ ეს შეშინებული და დამფრთხალი არსებაც დაემატა.

უცხოს ვერაფრით მოიშორებდა, ვერც კი წარმოედგინა, თუ როგორ მოახერხებდა ამას, ისე მაგრად შეზრდოდა ეს არსება ბლეინს. ამიტომ, სხვა გზა არ იყო, გადარჩენაზე მასთან ერთად უნდა ეზრუნა.

ბლეინი მოშორდა ხეს და გზას აუყვა, ამჯერად უფრო ნელა და ნაკლებად თავდაჯერებულად, თრთოლვის შეკავებასა და ძალაგამოცლილი სახსრების ამოძრავებას ცდილობდა. მოულოდნელად საშინელი შიმშილი იგრძნო და მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ ერთი ჭიქა რძის გარდა კუჭში არაფერი ჩასვლოდა ამ ოცდაათი საათის განმავლობაში. თუმცა საჭმელს ახლა დასვენება და ღრმა, უშფოთველი ძილი ერჩივნა.

მანქანები ჩუმი ზუზუნით მიქროდნენ, მათი რეაქტიული ბირთვული ძრავები სუსტ, ოდნავ გასაგონ ხმას გამოსცემდნენ.

უცებ ერთ-ერთმა მანქანამ გზიდან გადაუხვია და მის წინ შეჩერდა, ფანჯრიდან ვიღაცამ თავი გამოყო.

"შეპ, — შესძახა უცნობმა, — რა დამთხვევაა, იმედი მქონდა, რომ გნახავდი."

ბლეინმა კიდევ ერთხელ იგრძნო, როგორ წამოიშალა მასში უცხო არსების ნაცნობი პანიკური შიში, მაგრამ მთელ თავის ნებისყოფას მოუხმო და შიში ისევ ბნელ კუნჭულში მიამწყვია.

ხმაში სიმშვიდისა და სიმტკიცის შენარჩუნებას შეეცადა.

"ფრედი, — მიუგო მან, — რამდენი ხანია, არ მინახიხარ."

ეს ფრედი ბეიტსი იყო. არავინ იცოდა, რას საქმიანობდა, მაგრამ ხმები დადიოდა, რომ ის რაღაცის თუ ვიღაცის წარმომადგენელი იყო ქალაქში, სადაც ყოველი მეორე ან ლობისტი იყო, ან წარმომადგენელი, ან წვრილი დიპლომატი და ან საიდუმლო აგენტი.

ფრედიმ კარი გააღო.

"ჩაჯექი, — თქვა მან, — წვეულებაზე მივდივართ."

წვეულებაზე წასვლა კარგი აზრი იყო, ასი წელი ვერავინ

წარმოიდგენდა, რომ ბლეინი წვეულებაზე იქნებოდა. ეს ყველაზე უკეთესი ვარიანტი იყო, რაც კი თავში მოსვლია. და კიდევ ერთი რამ: წვეულებიდან ადვილად გაქრებოდა. იქ იმდენი ხალხი მოიყრიდა თავს, რომ ვერავინ შეამჩნევდა, როდის მივიდოდა და როდის წამოვიდოდა ვინმე. ბლეინი იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ ვიღაცას უსათუოდ ჩარჩებოდა მანქანის სტარტერში გასაღები, თანაც წვეულებაზე საჭმელი ეგულებოდა, მას ხომ საშინლად შიოდა.

"წამოდი, — დაპატიჟა ფრედიმ, — შარლინის წვეულებაა."

ბლეინი მანქანაში ჩაჯდა და სავარძელს მიეყრდნო. კარი სისინით დაიხურა, ფრედი გზაზე გადავიდა და მანქანების მქროლავ რიგს შეერია.

"შარლინს ვეუბნები, — თქვა ფრედიმ და თან მოხერხებულად მოიკალათა, — წვეულებას რა აზრი აქვს, თუ იქ ვინმე ფიშჰუკიდან არ იქნება, ჰოდა, მომინდა, ქუჩაში გამოვსულიყავი და რომელიმე ცნობილი პერსონა გამომეჭირა."

"შეცდი, — უთხრა ბლეინმა, — მე სულაც არა ვარ ცნობილი პერსონა."

"თქვენ, მოგზაურებს, ბევრი ამაღელვებელი ამბის მოყოლა შეგიძლიათ."

"მშვენივრად იცი, რომ იქ მომხდარ ამბებს არ ვყვებით."

"საიდუმლოებები, საიდუმლოებები..." — გააწკლაპუნა ფრედიმ პირი.

"ასეთია წესები და შიდა ინსტრუქციები."

"რა თქმა უნდა და სწორედ ამიტომაა ჩვენს ქვეყანაში ჭორაობა სენივით გავრცელებული. საკმარისია, შუადღეს ქალაქის ერთ ბოლოში რამე მოხდეს, რომ საღამოს იგივე ამბავს უფრო დაწვრილებით და შელამაზებულად მეორე ბოლოში მდებარე დუქნებში შეიტყობ."

"მაგრამ ხშირად იქ მონაყოლი ამბები გადაჭარბებულია."

"შეიძლება ზოგიერთ დეტალს აზვიადებენ შესალამაზებლად, მაგრამ არსი იგივე რჩება."

ბლეინმა არაფერი უპასუხა. სავარძელში მოკალათებულმა ფანჯრისკენ გაიხედა. ერთი მეორის მიყოლებით ჩაიქროლეს ფიშჰუკის განათებულმა ქუჩებმა და კორპუსების დიდრონმა ტერასებმა. წლებია, რაც ბლეინი ამ ხედებს უყურებდა, მაგრამ ყოველ ახალ შეხედვაზე აღტაცებას მაინც ვერ მალავდა. მან მშვენივრად იცოდა, რომ თავად ხედებში კი არ იყო საქმე, რადგან დედამიწაზე ბევრი ამაზე თვალწარმტაცი ადგილიც არსებობდა, არამედ იმ ჯადოსნურ მნიშვნელობაზე, რომელიც ქალაქს მანტიასავით შემოხვეოდა.

ეს ადგილი, ბლეინის აზრით, თუკი მისი მნიშვნელობით ვიმსჯელებთ და არა სახელწოდებით, მსოფლიოს ჭეშმარიტ დედაქალაქს წარმოადგენდა. სწორედ აქ სუფევდა მომავლის იმედი და დიდება, აქ იყო ის რგოლი, რომელიც კაცობრიობას შორეულ კოსმოსურ სივრცეში ჩაკარგულ სამყაროებთან აკავშირებდა.

მე კი მის დატოვებას ვაპირებ, — გაიფიქრა მან სინანულით.

წარმოუდგენელია, მაგრამ ამ ადგილის სიყვარულის, ერთგულებისა და რწმენის მიუხედავად, მაინც გარბოდა მისგან შეშინებული კურდღელივით.

"რაში უნდა გამოიყენოთ ყველაფერი ეს?" — იკითხა ფრედიმ.

"რა?" — უპასუხა ბლეინმა.

"ცოდნა, საიდუმლოებები, იდეები, რომლებშიც თქვენ იქექებით."

"არ ვიცი," — უპასუხა ბლეიმა.

"ამ საკითხზე უამრავი მეცნიერი დიდი ხალისით მუშაობს. ინჟინრები დღითიდღე ახალ-ახალ თავბრუდამხვევ აღმოჩენებს აკეთებენ. რამდენად შორს წახვედით თქვენ დანარჩენებისგან — მილიონი წლით?"

"მე ვერ გამოგადგები, — უთხრა ბლეინმა, — არაფერი ვიცი, უბრალოდ, ჩემს საქმეს ვაკეთებ. თუ შეგნებულად

ცდილობ, რამე დამაცდენინო, ტყუილად ირჯები."

"უკაცრავად, — მოიბოდიშა ფრედიმ, — უბრალოდ, ეს აკვიატებულ აზრად მექცა."

"არა მარტო შენ, მილიონობით სხვა ადამიანსაც ფიშჰუკზე ჭორაობა საყვარელ საქმიანობად ექცა."

"მოდი, ასე შეხედე ამ ყველაფერს, — უთხრა ფრედიმ გულწფელად, — მე გარეთ ვარ, შიგნით არ ვიხედები, არც ვიცი, რა ხდება და უცბად ვხედავ ადამიანური სრულყოფილების ამ უზარმაზარ ნიმუშს, ზებუნებრივ პროექტს და შურით ვივსები იმათ მიმართ, რომლებიც ამაში მონაწილეობენ, ვგრძნობ, რომ არ ვეკუთვნი მათ და რომ რაღაც მეორეხარისხოვანი და არასრულყოფილი არსება ვარ. გიკვირს, რომ ფიშჰუკს ვერ იტანენ?"

"მართლა?"

"შეპ, — წარმოთქვა ფრედიმ მრავლისმეტყველი სახით, — მორჩი ჰაერში ფრენას, ირგვლივ მიმოიხედე."

"არ არის აუცილებელი, ისედაც ბევრი რამ მესმის ამის შესახებ. უბრალოდ მაინტერესებს, მართლა ასე ვერ იტანენ ფიშჰუკს?"

"ალბათ, — უპასუხა ფრედიმ, — შეიძლება — აქ ნაკლებად, რადგანაც ფიშჰუკი აქ მოდაშია, მაგრამ პროვინციაში მართლა ვერ იტანენ."

ქუჩები უკვე აღარ იყო ერთმანეთზე მჭიდროდ მიბმული, შუქიც ისე აღარ კაშკაშებდა. ბიზნეს დაწესებულებები შემცირდა და მოსახლეობისა და მანქანების ნაკადმა იკლო.

"ვინ იქნება შარლინთან?" — იკითხა ბლეინმა.

"ხომ იცი შარლინის წვეულებები, ვის არ შეხვდები იქ."

"ჰო, ვიცი," — უპასუხა ბლეინმა.

მის ტვინში ჩაბუდებული არსება ნამძინარევივით შეიშმუშნა.

ყველაფერი რიგზეა, დამშვიდდი და წაუძინე, უკვე გზაში ვართ, თითქმის სამშვიდობოს გავედით.

ფრედიმ მთავარი გზიდან გადაუხვია და ღრმა და ვიწრო

ხეობაში მიმავალ გზას დაადგა. სიბნელეში ფოთლების შრიალი ისმოდა, ირგვლივ წიწვის სურნელი იდგა.

მანქანამ მკვეთრად მოუხვია და ტერასაზე განათებული სახლიც გამოჩნდა — ხეობის ფერდობზე მერცხლის ბუდესავით ნაშენები მოდერნისტული სამყოფელი.

"როგორც იქნა, მოვედით," — მხიარულად შესძახა ფრედიმ.



5

წვეულება ხმაურიან ფაზაში გადადიოდა, თუმცა მშფოთვარემდე ბევრი აკლდა. თანდათან სიცარიელის იმ ბანალურ ელფერს იძენდა, რომლის მსხვერპლად გახდომა, საბოლოო ჯამში, ყველა წვეულებას ემუქრება. რაღაც იგრძნობოდა უამრავი მოწეული სიგარეტის მჟავე კვამლში, ღია ფანჯრებში შემოსული ვიწრო ხეობის სუსხსა და მონოტონურ ლაპარაკში, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ უკვე გვიანი იყო და წასვლა ნამდვილად სჯობდა, თუმცა, სინამდვილეში, ჯერ შუაღამის ზარსაც არ ჩამოერეკა.

ჰერმან დალტონი სავარძელში მოკალათებულიყო, გრძელი ფეხები გაეშვირა და სიგარით ტკბებოდა. დროდადრო თავზე გადაისვამდა ხოლმე ხელს, რის გამოც ნათითურები სავარცხლის კვალივით აჩნდა თმაზე.

"ბლეინ, — წამოიყვირა დალტონმა, — ამას ბოლო უნდა მოეღოს. თუ არაფერს ვიღონებთ, ერთ მშვენიერ დღეს ბიზნესი საერთოდ აღარ იარსებებს. ფიშჰუკმა ისედაც უკვე კედელთან მიგვაყენა ყველანი."

"მისტერ დალტონ, — უპასუხა ბლეინმა დაღლილი ხმით, — ამ საკითხის განხილვა თუ გინდათ, სხვას უნდა მიმართოთ. ფიშჰუკში კი ვმუშაობ, მაგრამ ბიზნესის არაფერი გამეგება."

"ფიშჰუკი ნელ-ნელა გვშთანთქავს, — წარმოთქვა

ბრაზმორეულმა დალტონმა, — ისინი საარსებო წყაროს გვართმევენ, ძირს უთხრიან იმ ტრადიციებს, წესებსა და კანონებს, რომელთა დამკვიდრებას საზოგადოებრივი ინტერესების ერთგულმა ადამიანებმა არაერთი მტკივნეული საუკუნე შესწირეს. სათუთად აშენებულ კომერციულ სტრუქტურას ანადგურებენ, ასე სათითაოდ, ნელ-ნელა და უმოწყალოდ გვღუპავენ. მაგალითად, ეგრეთ წოდებული ხორც-მწვანილა აიღეთ. თქვენ თესავთ და, როცა დრო მოვა, ნაყოფს კარტოფილივით ამოიღებთ, მაგრამ კარტოფილისგან განსხვავებით, ეს პროტეინის ნაჭრები იქნება."

"მერე რა, — შეეწინააღმდეგა ბლეინი, — სამაგიეროდ, მილიონობით ადამიანი ცხოვრებაში პირველად შეჭამს ხორცს, თქვენი არაჩვეულებრივი წეს-ჩვეულებების გამო, მას ხომ არასდროს ჰქონია იმდენი შემოსავალი, ამის უფლება რომ მიეცა საკუთარი თავისთვის."

"ფერმერებზე, ხორცის ბაზრის მფლობელებზე რაღას იტყვით, ტარის მწარმოებელ კომპანიებზე რომ არაფერი ვთქვათ?" — ცხარობდა დალტონი.

"ალბათ უმჯობესი იქნებოდა, — აზრი გამოთქვა ბლეინმა, — თუ ხორც-მწვანილას თესლს მხოლოდ და მხოლოდ ფერმერებს ან სუპერმარკეტებს მიჰყიდიან, განსაკუთრებით, თუ ერთი შეკვრის ფასი დოლარი ან დოლარ-ნახევარი იქნება, ათი ცენტის ნაცვლად. ამით ბუნებრივი ხორცი კონკურენტუნარიანობას შეინარჩუნებს და მტკიცე და უსაფრთხო ეკონომიკის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. და, რა თქმა, უნდა, მილიონობით ადამიანი ..."

"თქვენ არ გესმით, — შეეწინააღმდეგა დალტონი, — ბიზნესი ჩვენი საარსებო წყაროა. თუ ბიზნესს გაანადგურებთ, ამით კაცობრიობას მოუღებთ ბოლოს."

"მაგაში ეჭვი მეპარება," — უპასუხა ბლეინმა.

"ისტორიამ ცხადყო, რომ კომერციას დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრობისათვის. სწორედ მისი მეოხებით დგას

დღესდღეობით ქვეყანა, ვაჭრობის წყალობით აღმოაჩინეს ახალი მიწები, ააშენეს ქარხნები და ..."

"ვხედავ, ისტორია კარგად იცით, მისტერ დალტონ."

"დიახ, მისტერ ბლეინ, საკმაოდ კარგად ..."

"მაშინ ალბათ შეამჩნევდით, რომ დროთა განმავლობაში იდეებს, აზრებსა და შეხედულებებს ყავლი გასდით. ამას ისტორიის ნებისმიერ გვერდზე შეხვდებით — ქვეყანა ევოლუციას განიცდის, კაცობრიობა იცვლება, მასთან ერთად იცვლება შეხედულებები. ხომ არ გიფიქრიათ, რომ ბიზნესმა, როგორც ეს თქვენ გესმით, აქტუალობა დაკარგა? რომ მან უკვე შეასრულა თავისი როლი ქვეყნის განვითარებაში, ამოწურა თავისი შესაძლებლობები. ქვეყანა წინსვლას აგრძელებს, ხოლო ეკონომიკა გადაშენებულ ცხოველს დაემსგავსა ..."

დალტონი წამოდგა სავარძლიდან, მღელვარებისგან თმა აშლოდა, ხოლო სიგარა პირის კიდეზე ეკიდა.

"ღმერთო ჩემო, — წამოიყვირა მან, — თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ? ნუთუ მთელი ფიშჰუკი ასე ფიქრობს?"

ბლეინმა მშრალად ჩაახველა: "არა, ასე მე ვფიქრობ. წარმოდგენა არ მაქვს, რას ფიქრობს ფიშჰუკი. პოლიტიკაში არ ვერევი."

ყოველთვის ასე ხდება, — ფიქრობდა ბლეინი, — სადაც არ უნდა წახვიდე, ყველგან შეგხვდება ისეთი ადამიანი, რომელიც ფიშჰუკთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის, ნებისმიერი პატარა საიდუმლოების გამოძალვას შეეცდება. ისინი ლეშთან მოტრიალე სვავებს, ცნობისმოყვარე მსტოვრებს ჰგვანან, ყველგან ცხვირის ჩაყოფას ცდილობენ და ყოველთვის ეჭვობენ, რომ უფრო მეტი ხდება, ვიდრე მათ იციან.

ფსევდოდიპლომატებით, წარმომადგენლებითა და აგენტებით სავსე ქალაქი ინტრიგებისა და ჭორის ბუდედ ქცეულიყო. ეს ვაუბატონი კი, სკამზე რომ მოეკალათებინა,

ბლეინის აზრით, აქ იმისთვის ბრძანდებოდა, რომ ფორმალური პროტესტი გამოეხატა ფიშჰუკის რომელიმე ახალი სანარმოს მიერ განხორციელებულ სასტიკ ქმედებაზე რომელიმე წარმატებული კომერციული სტრუქტურის მიმართ.

დალტონი საზურგეს მიეყრდნო და ახალი ენთუზიაზმით დაეძალა სიგარას. თმაც თავის პირვანდელ, დავარცხნილ მდგომარეობას დაუბრუნდა.

"თქვენ ამბობთ, რომ პოლიტიკაში არ ერევით, — თქვა დალტონმა, — თუ არ ვცდები, მზვერავი ხართ."

ბლეინმა თავი დაუქნია.

"ეს იმას ნიშნავს, რომ კოსმოსში მოგზაურობთ და სხვა პლანეტებს სტუმრობთ."

"ნაწილობრივ," — დაეთანხმა ბლეინი.

"მაშინ თქვენ პარაფსიქი ყოფილხართ."

"შეგიძლიათ, ასეც მიწოდოთ, თუმცა მინდა შეგახსენოთ, რომ ზრდილობიან საზოგადოებაში, ჩვეულებრივ, ასეთი მიმართვა არ არის მიღებული."

დალტონს შენიშვნა არც მიუღია, სირცხვილის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა.

"როგორი შეგრძნებაა?"

"მისტერ დალტონ, ახლა ამას ნამდვილად ვერ მოგიყვებით."

"მარტო მიდიხართ ხოლმე?"

"მარტო არა, ჩამწერი ხელსაწყო მიმაქვს თან."

"ჩამწერი ხელსაწყო?"

"აპარატი, რომელიც ყველაფერს აფიქსირებს. სხვადასხვა სახის მინიატურული ინსტრუმენტებისგან შედგება და ყველაფერს იწერს, რასაც ხედავს."

"და ეს მანქანა თქვენთან ერთად მიფრინავს?"

"არა, ღმერთო ჩემო. ხომ გითხარით, თან მიმაქვს, როცა გავდივარ, ისევე, როგორც თქვენ საკვოიაჟს ატარებთ ხოლმე."

"თქვენი გონება და ის ხელსაწყო?"

"დიახ, ჩემი გონება და ის ხელსაწყო"

"წარმოუდგენელია!" — თქვა დალტონმა.

ბლეინს პასუხზე თავი არ შეუწუხებია.

დალტონმა პირიდან სიგარა გამოიღო და გულდაგულ შეათვალიერა. მისი ერთი ბოლო, რომელიც პირში ედო, სასტიკად იყო დაღეჭილი და დაქუცმაცებული, კიდეებზე დამბალი თამბაქოს ფურცლები ეკიდა. დალტონმა სიგარა დაგრაგნა, ისე, რომ დამბალი ფურცლები შიგნით მოექცია, თან დაძაბული ბუტბუტებდა, შემდეგ მოუკიდა და პირში იტაცა.

"თემას რომ დავუბრუნდეთ, — განაგრძო დალტონმა თავდაჯერებით, — ფიშჰუკში უამრავი ეშმაკისეული ნივთია თავმოყრილი. ჯანდაბას, ეს კიდევ არაფერი, მით უმეტეს ვიცი, რომ მათ საგულდაგულოდ ცდიან, სანამ ბაზარზე გაუშვებენ. დამიჯერეთ, არავის საწინააღმდეგო არ ექნებოდა, არავინ დარჩებოდა გულნაკლული, ფიშჰუკი სხვადასხვა საცალო ბიზნეს არხების მეშვეობით რომ ყიდდეს ამ ნივთებს. მაგრამ ასე არ იქცევიან, არ უნდათ, რომ სხვა ორგანიზაციამ გაყიდოს მათი საქონელი. ფიშჰუკელებმა საკუთარი ბიზნესი წამოიწყეს, სავაჭრო დახლები გახსნეს და, რაც ყველაზე ცინიკურია, ამ დახლებს ფაქტორიები უწოდეს, შეიძლება იფიქრო, რომ ველურების ხროვასთან აქვთ საქმე."

ბლეინმა ჩაიცინა: "ვიღაცას ფიშჰუკში ოდესღაც მაგარი იუმორის გრძნობა ჰქონია. მერწმუნეთ, მისტერ დალტონ, ეს ძნელი დასაჯერებელია."

"ისინი განაგრძობენ ჩვენს გაკოტრებას, ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილ. ყოველწლიურად ხელთ იგდებენ ფართო მოხმარების საგნების წარმოებას ან, ხშირ შემთხვევაში, სულაც აუქმებენ მას. ეროზიის ეს პროცესი ნელა მოქმედებს, აშკარა საფრთხე, მართალია, არ შეინიშნება, სამაგიეროდ, განადგურების ნელი და შეუმჩნეველი პროცესი მიმდინარეობს. გავიგე, რომ საზოგადოებისთვის საკუთარი

ტრანსპორტირების სისტემის შეთავაზებას აპირებენ. წარმოგიდგენიათ, რა დარტყმას მიაყენებს ეს ძველ კომერციულ წყობას?"

"სატვირთო მანქანის მძღოლები უმუშევრები დარჩებიან და რამდენიმე ავიახაზიც გაუქმდება."

"მშვენივრად იცით, რომ ასე იქნება. ტრანსპორტირების ვერც ერთი სახე ტელეპორტაციას ვერ შეედრება."

"ჩემი აზრით, სხვა გზა არ დაგრჩენიათ, თუ არა თქვენი საკუთარი ტელეპორტაციის სისტემა შეიმუშაოთ. — თქვა ბლეინმა, — აქამდე სად იყავით? უამრავი დრო გქონდათ! ფიშჰუკის ფარგლებს გარეთ ბევრი ნაცნობი გყავთ, ვინც გაჩვენებდათ, ეს როგორ კეთდება."

"არანორმალურები!" — ცხარობდა დალტონი.

"არაფერიც, დალტონ. ეს ჩვეულებრივი ხალხია, ფიშჰუკი დღესდღეობით სწორედ იმ ხალხის მეშვეობით არსებობს, ვისაც პარანორმალური ძალები გააჩნია — ძალები, რომელთაც ფიშჰუკელებში აღმერთებთ და თქვენს საკუთარ ხალხში კი თრგუნავთ."

"ჩვენ ამას ვერ გავბედავთ, — თქვა დალტონმა, — ტრადიციების გამო."

"ჰო, ვიცი, — თქვა ბლეინმა, — ტრადიციები, ეს პატარა ბედნიერი ბრბო ისევ აკრავს პარანორმალებს ჯვარზე?"

"საზოგადოება ხშირად სასტიკ ხერხებს მიმართავს."

"წარმომიდგენია," — დაეთნხმა ბლეინი.

დალტონმა სიგარა გამოიღო და ზიზღნარევი მზერით შეათვალიერა. მისი ერთი ბოლო ჩამქრალი იყო, ხოლო მეორე — სასტიკად დამახინჯებული. მცირედი ფიქრის შემდეგ ყვავილის ქოთანში მოისროლა. სიგარა მცენარის ქვედა ფურცელს უშნოდ ჩამოეკონწიალა.

დალტონი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო, ხელები მუცელზე დაიკრიფა და ჭერს მიაჩერდა.

"მისტერ ბლეინ," — მიმართა მან ბლეინს.

"დიახ?"

"გამჭრიახი და პირდაპირი ადამიანი ბრძანდებით,

როგორც ჩანს, მოძველებულ, კონსერვატიულ აზრებს ვერ იტანთ. ერთი ორჯერ ისე ოსტატურად მომიჭერით სიტყვა, რომ დავიბენი, არ ვიცოდი, რა მეპასუხა და ეს ძალიან კარგად გამოგივიდათ."

"მუდამ თქვენს სამსახურში მიგულეთ," — ცივად მიუგო ბლეინმა.

"რამდენს გიხდიან?"

"საკმარისს."

"არ არსებობს საკმარისი. ჯერ არავინ შემხვედრია, ვინც

"თუ ჩემს მოსყიდვას ცდილობთ, ტყუილად ირჯებით."

"მოსყიდვა არა, მაგრამ დაქირავება კი მინდა. თქვენ მშვენივრად იცნობთ ფიშჰუკს, უამრავ ხალხთან გაქვთ ურთიერთობა, თქვენი კონსულტაცია შეუფასებელი იქნება. ჩვენ გვინდა განვიხილოთ ..."

"უკაცრავად, ჩემო ბატონო, — მოკლედ მოუჭრა ბლეინმა, — ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნამდვილად ვერ გამოგადგებით."

საკმაოდ დიდი დრო გასულიყო — ერთი საათი. ბლეინმა ისადილა, სასმელიც მიირთვა და დალტონთანაც ისაუბრა — სულ ფუჭად დაახარჯა დრო — ახლა უნდა წასულიყო. სანამ ფიშჰუკში ხმა გავრცელდებოდა, რომ აქ იყო, აქაურობას უნდა გასცლოდა.

უცბად კაბის შრიალი მოესმა და ვიღაცის ხელი ბლეინის მხარზე ჩამოესვენა.

"შეპ, — მიმართა შარლინ უიტიერმა, — რა კარგია, რომ მოხვედი"

ბლეინი წამოდგა და შარლინის პირისპირ აღმოჩნდა.

"გმადლობ, რომ დამპატიჟე."

შარლინმა ეშმაკურად შეხედა: "მართლა მე დაგპატიჟე?"

"არა, რა თქმა უნდა, — აღიარა მან, — სიმართლე გითხრა, ფრედიმ წამომათრია. იმედია, წინააღმდეგი არ ხარ, რომ მოვედი."

"ხომ იცი, შენთვის კარი ყოველთვის ღიაა, — შარლინმა მკლავზე მოუჭირა ხელი, — წამოდი, ვიღაც უნდა გაგაცნო. უკაცრავად, მისტერ დალტონ."

"არა უშავს," — უპასუხა დალტონმა.

"იცი, — თქვა ბლეინმა, — საკმაოდ უხეშად მოიქეცი."

"იმ კაცისგან რომ გიხსენი? საშინლად მოსაწყენი ტიპია, ვერ წარმომიდგენია, აქ როგორ Ძოხვდა. ნამდვილად არ დამიპატიჟია."

"და საერთოდ, ვინ არის? — იკითხა ბლეინმა, — მისი ვინაობა ვერ დავადგინე."

შარლინმა მხრები აიჩეჩა: "რომელიღაც ბიზნეს დელეგაციის ხელმძღვანელია. აქ გულის მოსაოხებლად ჩამოვიდნენ, ფიშᲰუკმა რომ გაუტეხათ."

"Ჰო, ეგეც ახსენა ლაპარაკში, ძალიან უბედური და გაღიზიანებულია."

"დალიე რამე?" — Ჰკითხა შარლინმა.

"კი, სულ ახლახანს."

"ხომ ისადილე? კარგად ერთობი? ახალი დიმენსინო მაქვს, უკანასკნელი მოდელი..."

"სხვა დროს იყოს," — უთხრა ბლეინმა.

"კიდევ დალიე რამე. წავალ, სტუმრებს მივესალმები. მოდი, დარჩი წვეულების შემდეგ. რამდენი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს?!" — შესთავაზა შარლინმა.

ბლეინმა თავი გაიქნია: "ვერ წარმოიდგენ, როგორ ვნუხვარ, მაგრამ უარი უნდა გითხრა. ძალიან გამიხარდა შენი ნახვა."

"მაშინ სხვა დროს იყოს," — თქვა შარლინმა.

შარლინი წასასვლელად მოემზადა, მაგრამ ბლეინმა შეაჩერა.

"შარლინ, ვინმეს ხომ არ უთქვამს შენთვის, რომ საშინლად კარგი გოგო ხარ?"

"არავის, სრულიად არავის."

შარლინი ფეხის წვერზე დადგა და ნაზად აკოცა ლოყაზე.

"ახლა წადი, ცოტა გაერთე," — შესთავაზა მან ბლეინს.

ბლეინი იდგა და უყურებდა, როგორ მიეფარა თვალს შარლინი ხალხში.

მის შიგნით ისევ აწრიალდა ვარდისფერი არსება, ვერ გაეგო, რა ხდებოდა.

ცოტაც მოითმინე, — მოუწოდა ბლეინმა და თან ხალხს აკვირდებოდა, — ცოტა ხანი მაცალე და ყველაფერი მოგვარდება.

და უცებ ბლეინმა იგრძნო — არსება მადლიერებას გამოხატავდა იმის ნიშნად, რომ მას ცნობდნენ და აღიარებდნენ.

ჩვენ დავძლევთ ამ პრობლემას, გადავლახავთ. ჩვენ ერთი მთლიანი სხეული ვართ.

დამშვიდებულმა არსებამ არხეინად მოიკალათა და ბლეინს მიენდო.

თავიდან დაფრთხა და შეიძლებოდა მომავალშიც შეეპყრო შიშს, მაგრამ ახლა უკვე დამშვიდდა და შეურიგდა მდგომარეობას — ბლეინმა იცოდა, რომ მისთვის ეს მდგომარეობა განსაკუთრებით საშინელი იყო, რადგან ამ ადგილს საერთო არაფერი ჰქონდა შორეული პლანეტის ვარდისფერი ოთახის სიმშვიდესა და განმარტოებასთან. განსხვავება ამ ორ ადგილს შორის შემაშფოთებლად იზრდებოდა.

ბლეინი უმიზნოდ დადიოდა ოთახში, ბართან მივიდა და ერთი წუთით შეჩერდა იმ ოთახთან, სადაც ახალი დამონტაჟებული დიმენსინო იდგა, ოთახში შეიხედა და ფოიესკენ გაემართა.

ბლეინმა ლაპარაკში გართულ რამდენიმე ჯგუფს ჩაუარა და უხმოდ მიესალმა ნაცნობებს, რომლებიც ასევე გამარჯობით პასუხობდნენ ან ოთახის ბოლოდან უკრავდნენ თავს.

ისეთი მანქანის პოვნა გაჭირდებოდა, სადაც ვინმეს შემთხვევით ჩარჩებოდა გასაღები. ან შეიძლებოდა სულაც

ვერ ეპოვნა, ამის გაფიქრებაზე შემზარავმა ურუანტელმა დაუარა. მაშინ რა უნდა ექნა? მთებისკენ გაქცეულიყო და ერთი ორი დღე მოეცადა, სანამ რამეს მოიფიქრებდა. შარლინი სიამოვნებით დაეხმარებოდა, მაგრამ ლაპარაკი უყვარდა და ბლეინისთვის უკეთესი იყო, თუ მას არაფერი ეცოდინებოდა ამ ამბის შესახებ. არავინ მოსდიოდა თავში, ვისაც დახმარების აღმოჩენა შეეძლო მისთვის. ფიშჰუკში იყო რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ხელს გაუმართავდნენ, მაგრამ ამით ისინი საკუთარ თავს ჩაიგდებდნენ საფრთხეში, ბლეინი კი ამას არ დაუშვებდა. ძირითადად კი ყველას პირადი მიზნები და ინტერესები ამოძრავებდა; ინტრიგისა და ბოროტების შეშლილი საბურველით მოცულ ფიშჰუკში ვერავის ენდობოდი. ბლეინი დარწმუნებული იყო, იყვნენ ისეთებიც, სიამოვნებით რომ ულალატებდნენ მდგომარეობის გაუმჯობესების ან გარკვეული პრივილეგიების მიღების მიზნით.

ბლეინმა ფოიესკენ გაიკვლია გზა და გარეთ გასულს წარმოუდგენელი შვება დაეუფლა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს უსიერი ტყიდან მოშიშვლებულ მინდორზე გავიდა. აქ გამაყრუებელი ყბედობა ჩურჩულივით ისმოდა, ჰაერიც თითქოსდა გაცილებით უფრო სუფთა და გამჭვირვალე იყო. თითქოს სადღაც გაქრა ერთმანეთში არეული უამრავი სხეულისა და აზრისგან, ზანტი გონების უცნაური მაჯისცემისა და დინებისგან, ღვარძლიანი ლაპარაკისგან გამოწვეული დამთრგუნველი შეგრძნება.

შემოსასვლელი კარი გაიღო და ფოიეში ვიღაც ქალი შეჩერდა.

“ჰარიეტ, — შესძახა ბლეინმა, — უნდა მცოდნოდა, რომ უეჭველად მოხვიდოდი. ახლა გამახსენდა, რომ შარლინის წვეულებებს, როგორც წესი, არ ტოვებ ხოლმე. ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ქრონოლოგიურ განვითარებას ადევნებ თვალყურს და ...”

ჰარიეტის ტელეპათიური ჩურჩული ნაკვერჩხალივით წვავდა ბლეინის გონებას: *შეპ, რა იდიოტი ხარ! აქ რას აკეთებ*

(მაიმუნის სურათი სულელური ქუდით თავზე, ცხენის ქვედა ნაწილის სურათი)?

"კი მაგრამ, შენ ..."

რა თქმა უნდა, რატომაც არა (მოულოდნელი და დაბნეული კითხვის ნიშნების კორიანტელი)? *შენ მხოლოდ ფიშჰუკში ტრიალებ? მხოლოდ საკუთარ თავში ჩაკეტილხარ? საიდუმლო, რა თქმა უნდა, უფლება მაქვს, ჩემი საიდუმლოებები მქონდეს. კარგი ჟურნალისტი სხვანაირად როგორ შეძლებდა ინფორმაციის მოპოვებას* (ჭუჭყის გროვა, სტატისტიკის უსასრულო ნაკადი, უზარმაზარი ყური მასზე მიბმული ტუჩებით)?

ჰარიეტ კვიმბიმ სასიამოვნო, ჟღერადი ხმით უპასუხა: "შარლინის წვეულებას როგორ გამოვტოვებდი. აქ გასაოცარ ხალხს შეხვდები."

ცუდი მანერები გაქვთ, — საყვედურით წარმოთქვა ბლეინმა, — *ტელეპათიისთვის მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეგეძლო მიგემართა — ხოლო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას გამორიცხულა მისი გამოყენება.*

ეშმაკსაც წაუღია ეგ ყველაფერი, — თქვა ჰარიეტმა, — *მე გული გადაგიშალე და სამაგიეროდ რას ვიღებ* (სახე, რომელიც გასაოცრად ჰგავს მის სახეს, მასზე გაჩერებული თხელი ხელი). *მთელმა ქალაქმა იცის. მათ ისიც იციან, სადაც ხარ. მალე მოვლენ, თუ უკვე აქ არ არიან. როგორც კი გავიგე, მაშინვე აქეთ წამოვედი. ილაპარაკე რამე ხმამაღლა, სულელო. გაგვიგებენ, აქ რომ ვდგავართ და ტელეპათიურად ვსაუბრობთ.*

"დროს ტყუილად კარგავ, — უთხრა ბლეინმა, — დღეს აქ გადასარევ ტიპებს ვერ შეხვდები. შარლინს რაღაც ძალიან მოსაწყენი ხალხი შეუყრია." *ჯაშუშები!!!*

ალბათ. მომენტი უნდა გამოვიყენოთ. შენ გაქცევას აპირებ, სთოუნივით, სხვებივით. აქ იმისთვის მოვედი, რომ დაგეხმარო.

"აქ ერთ ბიზნეს ლობისტს ველაპარკებოდი, — თქვა ბლეინმა, — იმდენად მოსაწყენი იყო, რომ ველარ გავუძელი და გარეთ გამოვედი სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად." *სთოუნის შესახებ რა იცი?*

ახლა ამაზე არ იფიქრო. "მაშინ წავალ, *რა აზრი აქვს* დროის ტყუილად კარგვას." *ჩემი მანქანა ქვემოთ დგას, მაგრამ ერთად ვერ გავალთ. მე წავალ და მანქანას წინ გამოვწევ, შენ კი გაიარე ცოტა ხანი და სამზარეულოში შედი (სახლის რუკა წითელი კონტურებით, რომლებიც სამზარეულოსკენ მიუთითებენ).*

ვიცი, სამზარეულო სადაც არის.

შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა. გახსოვდეს, არავითარი მკვეთრი მოძრაობები. სახეზე არ დაგეტყოს რაიმე ბნელი და მზაკვრული ჩანაფიქრი, უბრალოდ, ჩვეულებრივი სტუმარივით მოიქეცი, რომელსაც მოწყენილობა *კლავს* (თვლემამორეული თვალები და ჩამოყრილი მხრები, კოქტეილის ჭიქის სიმძიმით წელმოხრილი ადამიანების კარიკატურები, მოსმენისგან მოთენთილი ყურები და ტუჩებზე შეყინული ღიმილი). *სამზარეულოსკენ წადი და გვერდითი კარიდან რომ გამოხვალ, ქუჩას დაუყევი.*

"შენ რა, მართლა მიდიხარ — ასე მოულოდნელად? — იკითხა ბლეინმა, — მე ხშირად გადაჭარბებულ შეფასებებს ვაკეთებ ხოლმე, დამიჯერე." *შენ რატომლა აკეთებ ამას? რატომ გარბიხარ?* (გაოგნებული, ბრაზმორეული ადამიანი ცარიელი ტომრით).

მიყვარხარ (ხის ღობე, მასზე ამოტვიფრული გადაბმული გულები).

ტყუილია (საპნის ნატეხი ენერგიულად რეცხავს პირს).

"არ უთხრა მათ, შეპ, — სთხოვა ჰარიეტმა, — შარლინს გული მოუკვდება." *მე რეპორტიორი ვარ და სტატიაზე ვმუშაობ, შენ მისი ნაწილი ხარ.*

ერთი რაღაც გამოგრჩა. ფიშჰუკი შეიძლება ხეობის პირთან გელოდებოდეს.

შეპ, არ ინერვიულო. ყველაფერი გათვლილი მაქვს, უპრობლემოდ გავაცურებთ.

"კარგი მაშინ, — შეპირდა ბლეინი, — კრინტსაც არ დავძრავ. შეხვედრამდე." და გმადლობ.

ჰარიეტმა კარი გააღო და გაუჩინარდა, ბლეინს კიდევ ესმოდა მისი ჩქარი ნაბიჯების ხმა ქვაფენილსა და კიბეზე.

ხალხმრავალი ოთახისკენ გაეშურა და როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა, ლაპარაკის მორევში აღმოჩნდა — უამრავი ადამიანის ერთდროული და ერთმანეთში არეული ხმები გაისმა. არავის ანაღვლებდა, რას ამბობდა, აზრი ჰქონდა თუ არა მის ნათქვამს. აქ, უბრალოდ, ლაპარაკობდნენ და ამით ქაოტურ ხმაურში საკუთარი თავის პოვნას ცდილობდნენ.

მაშ ჰარიეტიც ტელეპათი იყო, ამას ვერაფრით წარმოიდგენდა. თუმცა დღესდღეობით თუ რეპორტიორი ხარ და თანაც ნიჭიერი, ყველაზე კარგი გამოსავალი ამის დამალვაა და ჰარიეტმა ეს მშვენივრად მოახერხა. ერთხელ მაინც როგორ არ წამოსცდა, როგორ შეძლო ქალმა ასეთი საიდუმლოს შენახვა?! თუმცა ჰარიეტი ჟურნალისტ კაცს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალს. შეიძლება ითქვას, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესო ჟურნალისტიც იყო.

წუთით ბართან შეჩერდა, სკოჩი და ყინული გადმოიღო და ნელ-ნელა სვამდა სასმელს. არავის უნდა შეემჩნია, რომ ჩქარობდა, ვერავინ უნდა მიმხვდარიყო, რომ სადღაც მიეშურებოდა, მაგრამ მორიგ საუბარში ჩათრევის საშუალებასაც ვერ მისცემდა საკუთარ თავს — ამისთვის დრო აღარ ჰქონდა.

შეეძლო დიმენსინოს ოთახში შესულიყო ცოტა ხნით, მაგრამ ეს სახიფათო იყო. იქ ძალზე სწრაფად ეჩვევი გარემოს, დროის შეგრძნებას კარგავ და ბოლომდე იმ წარმოსახვით მდგომარეობაში ერთვები, რომელსაც დიმენსინო ქმნის, ხოლო ამ გართობის შუა გზაში შეწყვეტა და მიტოვება ხშირად უცნაურ და მღელვარე განწყობას იწვევდა.

მისი აზრით, ეს კი კარგი არ იქნებოდა.

ბლეინი რამდენიმე ნაცნობს მიესალმა; გამოიარა ტანჯვანარევი და პირფერი შეხვედრის პროცედურა ერთ ოდნავ შემთვრალ ადამიანთან, რომელიც ათიოდე დღის წინ ნახა; იძულებით მოისმინა ერთი-ორი შაბლონური ისტორია, და ბოლოს მსუბუქი ფლირტიც გადაიტანა ერთ კეკლუც ქვრივთან, რომელიც მის დანახვაზე სამალავიდან გამოვიდა და თავდასხმაზე გადავიდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ბლეინი ნელა, მაგრამ მიზანმიმართულად მიიწევდა სამზარეულოში მიმავალი კარისკენ.

და როგორც იქნა, მიაღწია კიდეც.

ბლეინმა კარი გააღო და მშვიდად დაეშვა კიბეზე.

ეს ცარიელი და ცივი ადგილი მეტალისა და ქრომის თვალისმომჭრელი ბზინვარებით გამოირჩეოდა. კედელზე საათი ეკიდა, ისრის მოძრაობის ხმა მძიმედ კვეთდა ჰაერს.

ბლეინმა ნახევრად სავსე ჭიქა იქვე მდგარ მაგიდაზე დადგა. მბზინვარე იატაკის იქით, ექვსიოდე ნაბიჯში კი გარეთ გამავალი კარი მოჩანდა.

ორი ნაბიჯი გადადგა და მესამისთვის რომ ემზადებოდა, მოულოდნელად მის გონებაში უხმო, გამაფრთხილებელი სიგნალი გაისმა და ბლეინი უცბად შემობრუნდა.

უშველებელ მაცივართან ფრედი ბეიტსი იდგა, ცალი ხელი ქურთუკის ჯიბეში ჩაეყო.

"შეპ, — გააფრთხილა ფრედი ბეიტსმა, — შენს ადგილას ამას არ ვიზამდი. ფიშჰუკი ამ ადგილს აკონტროლებს, შანსი არა გაქვს."



6

მოულოდნელობისგან ელდანაცემი ბლეინი წამით გაქვავდა. მისი გაოგნების მიზეზი არც შიში იყო და არც სიბრაზე, ის მხოლოდ და მხოლოდ იმ ფაქტმა გააოცა, რომ ეს ადამიანი ფრედი ბეიტსი აღმოჩნდა. ფრედი უკვე მოულოდნელობითა და იდუმალებით აღსავსე უცნობი კი აღარ იყო, უსაქმოდ რომ დაეხეტებოდა მისნაირი ადამიანებით სავსე ქალაქში, არამედ ფიშჰუკის აგენტი და, როგორც ჩანდა, არც თუ ისე ურიგო.

და კიდევ ერთი რამ — კერბიმ ყველაფერი იცოდა, მაგრამ მაინც მისცა ოფისიდან გასვლისა და ლიფტში ჩაჯდომის საშუალება, მაგრამ, როგორც კი დერეფანს მიუახლოვდა, კერბიმ ყურმილს სტაცა ხელი და ფრედის დაურეკა, რომ საქმეში ჩაება.

ყველაფერი ძალიან ჭკვიანურად იყო ჩაფიქრებული და მოწყობილი — გამოუტყდა ბლეინი საკუთარ თავს — მათ ბლეინზე უკეთესად გათვალეს ყველა სვლა. ერთი წუთითაც არ მოსვლია ფიქრად, რომ რენდი რაღაცას ხვდებოდა, არც ფრედის ქცევაში შეუტანია ეჭვი, როცა ბლეინს მანქანაში ჩაჯდომა შესთავაზა.

გაოცება ნელ-ნელა სიბრაზემ შეცვალა, ვერ მოენელებინა, რომ მახეში გაება და ფრედისნაირმა იდიოტმა გამოიჭირა.

"ახლა გარეთ გავალთ, — უთხრა ფრედიმ, — როგორც მეგობრებს შეეფერება და ლაბორატორიაში დავბრუნდებით, რენდის შენთან ლაპარაკი უნდა. არავითარი ჩხუბი, არავითარი არეულობა, ყველაფერმა მშვიდად და ცივილურად უნდა ჩაიაროს. ჩვენ ხომ არც ერთს არ გვინდა შარლინის უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდება?"

"არა, — წაილუღლუღა ბლეინმა, — არა, რა თქმა უნდა, არ გვინდა."

ბლეინის გონება სასოწარკვეთილი წრიალებდა, გამოსავალს ეძებდა, ნებისმიერ გზას, რომელიც აქედან გაღწევაში დაეხმარებოდა, რადგანაც დაბრუნებას არ აპირებდა. რაც არ უნდა მომხდარიყო, ბლეინი ფრედისთან ერთად არ დაბრუნდებოდა.

ბლეინმა იგრძნო, როგორ შეირხა მასში უცხო სივარდისფრე, თითქოს გარეთ გამოსვლას ცდილობდა.

"არა! — იყვირა ბლეინმა, — არა!"

მაგრამ უკვე გვიანი იყო. ვარდისფერი არსება სამალავიდან გამოძვრა და მისი მთლიანი გონება დაიკავა. ბლეინი კვლავ ერთდროულად ორ არსებას გრძნობდა საკუთარ თავში — ბლეინსაც, მაგრამ ამავე დროს ვიღაც სხვასაც. თავგზა ჰქონდა არეული და სასწაულად უცნაურ გრძნობას მოეცვა. მოულოდნელად, ყოვლად წარმოუდგენელი რამ მოხდა.

ოთახში სამარისებული სიჩუმე ჩამოწვა, მხოლოდ კედელზე მიკრული საათის კვნესის ხმა ისმოდა, რაც მეტად უცნაური იყო, აქამდე საათი მხოლოდ ჩხაკუნობდა, კვნესის ხმა არასოდეს გამოუცია.

ბლეინმა სწრაფი ნაბიჯი გადადგა წინ, მაგრამ ფრედი არ განძრეულა, ერთ ადგილას იდგა უმოძრაოდ და ცალი ხელი ჯიბეში ჩაეყო.

კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა, ფრედი კვლავ არ ინძრეოდა ადგილიდან. გაქვავებული სახით იმზირებოდა და თვალსაც არ ახამხამებდა. შემდეგ ტანჯული გამომეტყველება მიიღო

და ჯიბეში ჩაკარგული ხელი აამოძრავა, მიზანმიმართულად აამოძრავა, მაგრამ ისე ნელა, რომ მის მოძრაობასაც ძლივს შეამჩნევდით, თითქოს მისი მკლავი, ხელი და ის, რასაც ხელით ჩასჭიდებოდა, ღრმა ძილიდან გამოღვიძებას აპირებდა.

კიდევ ერთი ნაბიჯი და ბლეინი ფრედის თავს დაესხმებოდა, მოღერებული მუშტი დგუშივით დაეშვებოდა მის სახეზე. ფრედის ყბა ჩამოუვარდა, ნელა, თითქოს ძვალს ჟანგი მოსდებიაო, ხოლო ქუთუთომ დახამხამების მაგვარი მოძრაობა შეასრულა.

წამში ბლეინის მუშტი ფრედის ყბას ყუმბარასავით მოხვდა. ბლეინმა სწორედ იმ ადგილას დაარტყა, სადაც უმიზნებდა და დაარტყა მთელი ძალით, მთელი სხეულით. დარტყმით მიყენებულმა ტკივილმა ელვასავით დაუარა ხელსა და მტევანში და ბლეინი მიხვდა, რომ ტყუილად ირჯებოდა, რადგანაც ფრედი არც დაძრულა ადგილიდან, არც უცდია თავის დაცვა.

ფრედი ეცემოდა, არა ისე, როგორც უნდა დაცემულიყო, არამედ ნელა, მდორედ, მიზანმიმართულად, ისე, როგორც მოჭრილი ხე ეცემა ნაჯახის უკანასკნელი დარტყმისგან. ფრედი იატაკზე ეშვებოდა ნელი მოძრაობით, დაცემისას ხელი გაითავისუფლა ჯიბიდან, სადაც იარაღი ჰქონია დამალული. იარაღი დასუსტებულ თითებში გაუცურდა და იატაკზე რაკუნით დაეცა.

ბლეინი დაიხარა, რომ იარაღისთვის დაეტაცა ხელი და სანამ ფრედი იატაკზე აღმოჩნდებოდა, უკვე ხელში ეჭირა და თვალყურს ადევნებდა, როგორ დაეცა ფრედი ძირს — კი არ დაეცა, უფრო სწორად, ერთგვარად მოკალათდა, ზანტი მოძრაობით გაიშალა მის ზედაპირზე.

კედელზე გაკრული საათი კვნესას განაგრძობდა, ბლეინი შეტრიალდა მისკენ და დაინახა, რომ დიდი ისარი გაჭირვებით მიხოხავდა ციფერბლატიან ზედაპირზე, მიხოხავდა იქ, სადაც უნდა გაქცეულიყო და კვნესოდა, როცა უნდა ეჩხაკუნა. საათიც შეიშალა — გაიფიქრა ბლეინმა.

დროს რაღაც დაემართა. დიდი ისრის ზანტი მოძრაობა და ფრედის შენელებული რეაქციაც ამას ადასტურებდა.

დრო შენელდა.

ეს კი შეუძლებელი იყო.

დროს ვერ შეანელებდი, ის მუდმივ სიდიდეს წარმოადგენდა, მაგრამ თუ დრო ასე თუ ისე შენელდა, თვითონ რატომ არ დაემორჩილა ამ პროცესს?

თუ ...

თუ, რა თქმა უნდა, დრო კი არ შენელდა, არამედ პირიქით, მან დაიწყო სწრაფად მოძრაობა, იმდენად სწრაფად, რომ ფრედიმ ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო, ვერ შეძლო თავის დაცვა და ვერაფრით ვერ მოახერხა ჯიბიდან იარაღის ამოღება.

ბლეინმა ხელი გაიშვირა და იარაღს დახედა. ეს უშნო და სიკვდილისმომასწავებელი საგანი წარმოუდგენელი სიბლაგვით გამოირჩეოდა.

ფრედი სულაც არ ხუმრობდა, არც ფიშჰუკი ეხუმრებოდა. არავის დააქვს იარაღი გართობის მიზნით, როცა საქმე მხიარულსა და უწყინარ თამაშს არ სცდება, ხოლო თუ ვინმე იარაღს დატენის, ესე იგი მზად არის მის გამოსაყენებლად. ფრედი კი, უდავოა, სავსებით მზად იყო, იარაღი გამოეყენებინა.

ფრედისკენ შემობრუნდა, ის ისევ იატაკზე გაშლილიყო, თანაც თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობდა. ფრედის, როგორც ჩანს, კიდევ დიდი დრო დასჭირდებოდა გონზე მოსასვლელად.

ბლეინმა იარაღი ჯიბეში ჩაიგდო და კარისკენ შებრუნდა. გასვლისას საათს შეხედა, დიდი ისარი თითქმის არ დაძრულა ადგილიდან.

კარს მისწვდა, გააღო და საბოლოო მზერა მიმოავლო ოთახს. ოთახში ყველაფერი ძველებურად ელვარებდა, ყველაფერში განუზომელი წესრიგი იგრძნობოდა, არეულობა მხოლოდ იატაკზე გაშხლართულ ფრედის შეჰქონდა.

ბლეინი გარეთ გავიდა და ქვაფენილის გავლით რიყის ფერდობზე გადებული ქვის გრძელი კიბე ჩაიარა.

კიბის საფეხურზე გაშხლართულმა კაცმა ნელ-ნელა წამოდგომა დაიწყო, როგორც კი შენიშნა, რომ ბლეინი პირდაპირ მისკენ მოემართებოდა.

ერთ-ერთი ფანჯრიდან გამომავალი შუქი მის სახეს ანათებდა, ბლეინმა რისხვანარევი გაოცება შენიშნა ამ კაცის სახეზე, თითქოს ქვაზე ნაკვეთი სკულპტურული კონტურები ყოფილიყო.

"ბოდიში, მეგობარო," — უთხრა მას ბლეინმა.

ბლეინმა ხელი გაიქნია და გაშლილი მტევანი ქვაზე ნაკვეთ სახეს მოხვდა.

კაცი წაბარბაცდა და ნელი და ფრთხილი ნაბიჯებით იხრებოდა უკან და უკან. წამიც და ზურგზე დაეცემოდა.

ბლეინი არ გაჩერებულა, კიბე ჩაირბინა. ერთი მანქანა განცალკევებით იდგა, ჩამწკრივებული მანქანების იქით, უკანა ფარები ანათებდა და ძრავი ჩართული იყო.

ჰარიეტს მანქანა გამოეყვანა, მაგრამ იმ მხარეს კი არ მიებრუნებინა, სადაც გზა ქვემოთ მიდიოდა, ვიწრო ხეობის გასასვლელთან, არამედ პირდაპირ მის სიღრმეში მიმავალი გზისკენ მიეტრიალებინა. ბლეინმა იცოდა, რომ ჰარიეტი სწორად არ იქცეოდა, რადგან იქით გზა ისე ვიწროვდებოდა, რომ ორი-სამი მილის შემდეგ ველარ გაივლიდი.

ბლეინმა კიბე ჩაიარა და ჩამწკრივებულ მანქანებს შორის გზა გაიკვლია.

ჰარიეტი მანქანაში იჯდა და ელოდებოდა. ბლეინმა შემოუარა მანქანას, კარი გააღო და ჩაჯდა.

მოულოდნელად საშინელი დაღლილობა იგრძნო, რომელიც ძვალსა და რბილში ატანდა, თითქოს დიდი მანძილი სირბილით გამოევლოს. ბლეინი მანქანის სავარძელში ჩაესვენა, საკუთარ კალთაში ჩაწყობილ ხელებს დახედა და შენიშნა, რომ ხელები უკანკალებდა.

ჰარიეტი შემობრუნდა და ბლეინს შეხედა. "რა მალე მოხვედი," — აღნიშნა მან.

"მომენტი ჩამივარდა, — მიუგო ბლეინმა, — და გამოვიყენე."

ჰარიეტმა მანქანა დაქოქა და გზას აუყვა. ძრავა გუგუნებდა, ხოლო ვიწრო ხეობის კიდეები ექოსავით შთანთქავდნენ ამ ხმას.

"იმედია, იცი, სადაც მიდიხარ, — უთხრა ბლეინმა, — ეს გზა აქვე ახლოს მთავრდება."

"ნუ ნერვიულობ, შეპ, ვიცი."

დაღლილ ბლეინს კამათის თავიც არ ჰქონდა. ძალ-ღონე გამოცლოდა.

და არც იყო გასაკვირი, — ფიქრობდა ბლეინი, რადგან ჩვეულებრივზე ათჯერ (ან ასჯერ?) უფრო სწრაფად მოუწია მოძრაობა. ადამიანის ორგანიზმი არ არის ასეთ სიჩქარეზე გათვლილი. ბლეინი წარმოუდგენელი სიჩქარით ხარჯავდა ენერგიას — მისი გული გამეტებით ეხეთქებოდა კედლებს, ფილტვები უფრო სწრაფად მუშაობდა და კუნთებიც გამაოგნებელი სიჩქარით იკუმშებოდა.

ბლეინი გარინდებული იჯდა, მისი გონება მომხდარს განეცვიფრებინა, ვერ გაეგო, თუ რას შეეძლო ეს გამოეწვია. თუმცა ეს გაოცება უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან სინამდვილეში მშვენივრად იცოდა, რაც იყო ყოველივე ამის მიზეზი.

ვარდისფერი არსება ისე მიყუჟულიყო, რომ ბლეინი ვერც კი გრძნობდა მას. მცირედი ძებნის შემდეგ კვლავ თავის მყუდრო თავშესაფარში აღმოაჩინა.

გმადლობ, — უთხრა მას ბლეინმა.

ცოტა არ იყოს, უცნაურად მოჩანდა, ბლეინი რომ მადლობას უხდიდა, რადგან ის არსება მის ნაწილს წარმოადგენდა — მის ტვინსა და გონებაში დაედო ბინა. მაგრამ, ამავე დროს, არც იყო მისი ნაწილი, ჯერ არ იყო, თუმცა ახლა უკვე მას ლტოლვილსა და ჩასაფრებულს ვეღარ უწოდებდით.

მანქანა ხეობის შესართავისკენ მიქროდა, ჰაერი სუფთა და

გამჭვირვალე იყო, თითქოს ის ახლახანს მთის ანკარა წყაროს ჩამოერეცხოს, ხოლო წიწვების სურნელი ნაზ და პიკანტურ სუნამოსავით მოსდებოდა არემარეს.

ბლეინის აზრით, უცხო არსება ასე იმიტომ კი არ მოიქცა, რომ მისი დახმარება ჰქონდა გადაწყვეტილი, არამედ თვითგადარჩენის რეფლექსით მოქმედებდა. მაგრამ არა აქვს მნიშვნელობა, რა მიზეზით მოხდა ეს, მან ბლეინი უეჭველად გადაარჩინა. სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან ეს ორნი ერთარსებად ქცეულიყვნენ. არც ერთ მათგანს შეეძლო დამოუკიდებლად, მეორის გარეშე მოქმედება. ისინი უცხო პლანეტის სივარდისფრის მაგიურმა ძალამ, ბლეინის ტვინში ჩასახლებულმა გაორებულმა არსებამ დააკავშირა — რადგანაც უცხო, რომელიც მის გონებაში მოკალათებულიყო, იმ არსების მეორე, განუყოფელი ნაწილი იყო, რომელიც ბლეინმა ხუთი ათასი სინათლის წლის მიღმა უცხო პლანეტაზე იხილა.

"ადვილად გამოაღწიე?" — იკითხა ჰარიეტმა.

"ფრედი შემხვდა."

"ფრედი ბეიტსი?"

"აქ ერთადერთი და განუმეორებელი ბეიტსია."

"სულელი ფრედი."

"შენ სულელი უძახე, იარაღი კი ედო ჯიბეში და თვალებჩასისხლიანებული მიყურებდა."

"შენ გინდა თქვა, რომ ..."

"ჰარიეტ, — უთხრა ბლეინმა, — მდგომარეობა ალბათ უფრო დაიძაბება, მოდი, გადმომსვი და..."

"არც იოცნებო, — შეეწინააღმდეგა ჰარიეტი, — ასე ჯერ არსად მიხალისია."

"აქედან ვერ გააღწევ, იქით გზა აღარ არის."

"შეპ, შეიძლება ასეთ შთაბეჭდილებას არ ვტოვებ, მაგრამ საკმაოდ ჭკვიანი ვარ, ბევრს ვკითხულობ, ყველაზე მეტად ისტორია მომწონს, განსაკუთრებით კი ომების ისტორია, თავისი სტრატეგიული გეგმებითა და რუკებით."

"მერე რა?"

"რა და ერთ დასკვნამდე მივედი — უკან დასახევი გზა ყოველთვის უნდა დაიტოვო."

"მაგრამ არა ამ გზაზე."

"სწორედაც რომ ამ გზაზე," — შეეპასუხა ჰარიეტი.

ბლეინი ჰარიეტისკენ მიტრიალდა და მის პროფილს დააკვირდა. ის სულაც არ ჰგავდა კერკეტ, ცივსისხლიან რეპორტიორს, თუმცა სინამდვილეში ასეთი იყო. არც სენტიმენტალურ სტატიებს წერდა და არც ბომონდის უაზრო ჭორებს უთმობდა დროს. ის, რამდენიმე სხვა კოლეგასთან ერთად, ჟურნალისტურ ელიტას ქმნიდა და ფიშჰუკის რეალურ სურათს ხატავდა ჩრდილოეთ ამერიკის ერთ-ერთი უმსხვილესი გაზეთისთვის.

ამავე დროს, ჰარიეტი მოდელივით დახვეწილი იყო, მას არც ბუნებრივი ნაპერწკალი აკლდა და არც თავდაჯერებულობა, რაც სხვა ქალებში უდავოდ ქედმაღლობისა და ამპარტავნების ელფერს მიიღებდა.

ბლეინი დარწმუნებული იყო, რომ ჰარიეტმა ფიშჰუკის შესახებ ყველაფერი იცოდა, რისი ცოდნაც შეიძლებოდა. მისი ჟურნალისტური სტილი არაჩვეულებრივი ობიექტურობითა და მიუკერძოებულობით გამოირჩეოდა. ის ჟურნალისტური პროზის მშრალ სტილში ადამიანური სითბოს აქსოვდა.

და ყველაფრის მიუხედავად, რას აკეთებდა აქ?

ჰარიეტი, რა თქმა უნდა, მისი მეგობარი იყო. ბლეინი მას წლების განმავლობაში იცნობდა, ფიშჰუკში ჩამოსვლისთანავე შეხვდა. პატარა რესტორანში ისადილეს, სადაც უსინათლო ქალი დღესაც ყიდდა ვარდებს. ბლეინს გაახსენდა, როგორ უყიდა ჰარიეტს ვარდი, მასაც ცრემლები მოადგა თვალებზე. შეიძლება იმიტომ, რომ სახლიდან შორს მყოფი მარტოსულად გრძნობდა თავს. იმის შემდეგ ალბათ აღარც უტირია.

უცნაურია, — გაიფიქრა ბლეინმა, — ძალიან უცნაურია. მაგალითად, ფიშჰუკი ავიღოთ, ის თანამედროვეობის

კოშმარად ქცეულიყო და მთელი საუკუნის მანძილზე გარე სამყაროს ვერა და ვერ მიეღო ის, ვერაფრით შეგუებოდა.

შეეცადა წარმოედგინა, როგორი იქნებოდა ფიშჰუკი საუკუნის წინ, როცა მეცნიერებმა ბოლოს და ბოლოს აღიარეს, რომ კოსმოსი ადამიანის ძალებს აღემატებოდა, რომ ამდენმა წელმა ფუჭად ჩაირა, რომ ოცნება უსაფუძვლო აღმოჩნდა და იმედგაცრუებულებმა ფარ-ხმალი დაყარეს. ადამიანი ჩიხში აღმოჩნდა და გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ ამდენი წლის ცდისა და მისწრაფებების შედეგად რამდენიმე კონკრეტული მოწყობილობის შექმნის გარდა ვერაფერს მიაღწია.

იმედი ნელ-ნელა იწურებოდა, ოცნებებიც ქრებოდა და კოსმოსისკენ გამავალი კარი მჭიდროდ დაიხურა — თუმცა კოსმოსისადმი უძლიერესი სწრაფვა ჯიუტად განაგრძობდა არსებობას. დარჩა შეუპოვარი ადამიანების ჯგუფი, რომელმაც სულ სხვა გზა აირჩია — გზა, რომელიც მრავალი წლის წინ ადამიანს თვალთახედვიდან გამორჩა ან შეგნებულად დახუჭა თვალი და მას შემდეგ დასცინოდა და მაგიად მოიხსენიებდა.

და სხვა რა იყო მაგია, თუ არა საბავშვო წიგნებიდან ამოკრებილი სისულელე, ბებიას ზღაპრები და იმ რთულ და წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრების გზაზე, რომელიც ადამიანმა აირჩია, ცხადია, ის წარმოუდგენელი ფენომენი იყო. თუ მაგიის გჯეროდა, სრულ ჭკუაზე არ იყავი.

მაგრამ ყოველთვის არსებობდნენ ჯიუტი ადამიანები. მათ მართლაც სჯეროდათ მაგიის ან, შეიძლება ითქვას, სწამდათ იმ ფენომენის პრინციპის, რომელსაც მსოფლიო მაგიას უწოდებდა. ეს მნიშვნელობა ამ სიტყვამ საუკუნეების მანძილზე დაიმკვიდრა დედამიწაზე. სინამდვილეში ის მაგიაც არ იყო, უფრო კანონი იყო, ისეთივე ურყევი, როგორიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს უდევს საფუძვლად, მაგრამ მათგან განსხვავებით, ის ისეთი მეცნიერება გახლდათ, რომელიც ადამიანის გონებრივ მხარეებს

იკვლევდა და შორეული ვარსკვლავების დაპყრობას, ფიზიკურის ნაცვლად, გონებრივი შესაძლებლობებით ცდილობდა.

და ამ შეუპოვრობის, სიჯიუტისა და რწმენის შედეგად შეიქმნა ფიშჰუკი — რაც კოსმოსამდე ხელის მიწვდენას ნიშნავდა, გონების მოგზაურობას იქ, სადაც სხეული ვერ აღწევდა.

მანქანიდან მოჩანდა, რომ გზა ჯერ მარჯვნივ უხვევდა, შემდეგ მარცხნივ. ეს მკვეთრი მოსახვევი გზის დასასრული იყო.

"გამაგრდი," — შეუძახა ჰარიეტმა.

მან მკვეთრად მოუხვია, მანქანა გზიდან გადაიყვანა და ნაკადულის ღორღიან კალაპოტს აუყვა, რომელიც ვიწრო ხეობის ფერდს მისდევდა. რეაქტიული საქშენი ღრიალით უშვებდა ცეცხლის ალს, ძრავა ბღუოდა და გუგუნებდა, მანქანის სახურავს ხის ტოტები ფხაჭნიდა. წუთით ის მკვეთრად გადაიხარა, მაგრამ მალევე დაიბრუნა წონასწორობა.

"ჯერ სად ხარ, — გააფრთხილა ჰარიეტმა, — ერთი ორი მონაკვეთი ამაზე გაცილებით უარესია."

"ეს ის უკანდასახევი გზაა, შენ რომ ამბობდი?"

"სწორედ ის არის."

უნდოდა ეკითხა — ნეტავ, რატომ დასჭირდა ჰარიეტ კუიმბის უკანდასახევი გზის გამოყენება? — მაგრამ გადაიფიქრა.

ჰარიეტი ფრთხილად მართავდა მანქანას დამშრალი ნაკადულის კალაპოტში და სიბნელეში კლდის ფერდობს მიუყვებოდა. შეშინებული ჩიტები ბუჩქებს სწყდებოდნენ, გადმოწოლილი ხის ტოტები გამეტებით, ხმაურით კაწრავდნენ მანქანის ზედაპირს.

ფარების შუქში მკვეთრი მოსახვევი გამოჩნდა. ერთი მხრიდან კლდე აღმართულიყო, ხოლო მეორე მხრიდან უზარმაზარი ლოდი იყო ამოშვერილი. მანქანამ სვლა

შეანელა და კლდესა და ლოდს შორის შერგო ცხვირი, შემდეგ უკან დაიხია მცირედით და ნელი სვლით, თითქმის ცოცვით გაიარა ვიწრო გასასვლელი.

ჰარიეტმა რეაქტიული წევა გამორთო და მანქანა ღრჭიალით დაეშვა ხრეშიან კალაპოტზე. ძრავა გაჩერდა და ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა.

"აქედან ფეხით წავალთ?" — იკითხა ბლეინმა.

"არა. უბრალოდ, ცოტა ხნით დავიცდით ასე. ისინი ჩვენს საძებნელად წამოვლენ და ჩართული ძრავა მათ ყურადღებას მიიპყრობს."

"მწვერვალზე უნდა ავიდეთ?"

"ჰო, მწვერვალზე."

"აქ ნამყოფი ხარ მანქანით?" — ჰკითხა ბლეინმა.

"ბევრჯერ, — უპასუხა ჰარიეტმა, — ვიცოდი, თუ ამ გზის გამოყენება დამჭირდებოდა, სწრაფად უნდა მემოქმედა. ფიქრისა და ორჭოფობის დრო არ იქნებოდა და ამიტომ გზა კარგად უნდა მცოდნოდა."

"ღმერთო ჩემო, რატომ ..."

"მისმინე, შეპ. შენ გასაჭირში აღმოჩნდი, მე გეხმარები, გამოსავალი ხომ უნდა მოვძებნოთ?"

"რა თქმა უნდა, თუ შენ ასე გინდა. მაგრამ, მე მგონი, სახიფათო საქმეში ყოფ თავს. ნუ აკეთებ ამას."

"მე უკვე გავები ამ საქმეში. კარგმა ჟურნალისტმა, თუ საჭირო გახდა, ყველგან უნდა გაყოს თავი."

შეიძლება ასეც იყოს, — გაიფიქრა ბლეინმა, — მაგრამ არა ყოველთვის. ფიშჰუკში უამრავი მეგაზეთეა, ბევრთან დამილევია კიდეც, რამდენიმეს, შემიძლია, მეგობარიც კი ვუწოდო, მაგრამ არც ერთი მათგანი — ჰარიეტის გარდა — არ გაწირავდა თავს მისი გულისთვის.

ასე რომ, ჟურნალისტობა ამის პასუხად ვერ გამოდგებოდა, ვერც მეგობრობა გასცემდა ამომწურავ პასუხს. აქ სხვა მიზეზი იყო, გაცილებით უფრო ძლიერი...

მიზეზი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ჰარიეტი არ იყო

მხოლოდ ჟურალისტი ან მეგობარი. იქნებ ჰარიეტი სულ სხვა ვინმეა და სხვა, უფრო საფუძვლიანი მიზეზი აქვს ამ საქციელის გასამართლებლად.

"ბოლოს ვისთვის გაერიე მსგავს უსიამოვნებაში, სთოუნისთვის?" — ჰკითხა ბლეინმა.

"არა, — უპასუხა მან, — სთოუნს არც ვიცნობდი."

ისინი გარინდებულები ისხდნენ მანქანაში. შორს, ხეობის ძირიდან ძრავის სუსტი გუგუნი ისმოდა. ხმა სწრაფად ახლოვდებოდა. ბლეინი შეეცადა დაეთვალა, რამდენი მანქანა იყო. სამი დათვალა, თუმცა დარწმუნებული არ იყო.

მანქანები მოსახვევში შემოვიდნენ და გაჩერდნენ, იქიდან ხალხი გადმოვიდა და გადაძახილებით ბუჩქებისკენ დაიძრა.

ჰარიეტმა ბლეინს მკლავზე მოჰკიდა ხელი და თითები მაგრად მოუჭირა.

შეპ, ფრედის რა უქენი? (მომლიმარი თავის ქალის სურათი)

გავთიშე, მეტი არაფერი.

და მას იარაღი ჰქონდა?

წავართვი.

(კუბოში გამოჭიმული ფრედი, შეღებილ სახეზე გადაკრული ღიმილითა და გულზე დაკრეფილ ხელებში გარჭობილი უსაშინელესი შროშანით.)

არა. ასე არა (ფრედი დალურჯებული თვალით, დასისხლიანებული ცხვირითა და ნაკაწრებით სახეზე).

ისინი ჩუმად ისხდნენ და უსმენდნენ.

ყვირილის ხმა მიწყნარდა, ხალხი მანქანებს დაუბრუნდა, დაქოქეს და გზას დაუყვნენ.

ახლა რა ვქნათ?

დაველოდოთ, — თქვა ჰარიეტმა, — სულ სამი მანქანა იყო, მხოლოდ ორი დაიძრა. ერთი სადღაც იქ არის და გველოდება (დამწკრივებულ სმენად ქცეულ ყურებს დაძაბულობისგან ფორმა დაუკარგავთ და განაბული ელოდებიან ნებისმიერ ბგერას). დარწმუნებული არიან, რომ სადღაც აქ ვართ, მაგრამ ზუსტად არ იციან, სად. ეს არის (ხახადაღებული სახე

უსწორმასწოროდ ჩამწკრივებული კბილებით). მათ ჰგონიათ, ჩვენ ვიფიქრებთ, რომ ისინი წავიდნენ და საკუთარ თავს გავცემთ.

ისინი ისხდნენ და ელოდნენ. სადღაც ტყეში ენოტის კივილის ხმა გაისმა, რომელიღაც დაუპატიჟებელი ღამის სტუმრისგან შეწუხებულმა ჩიტმა მძინარე ხმით გააპროტესტა მყუდროების დარღვევა.

ერთი ადგილი ვიცი, — თქვა ჰარიეტმა, — სადაც საფრთხე არ გემუქრება, თუ წახვალ.

ნებისმიერ ადგილას წავალ. არჩევანის საშუალება არ მაქვს.

წარმოდგენა გაქვს, რა ხდება იქ?

გამიგია.

ზოგიერთ ქალაქში აბრები აქვთ გამოკრული (ბილბორდი შემდეგი სიტყვებით: ეს მზე პარაფსიქებისთვის არ ანათებს). ისინი ცრურწმენითა და შეუწყნარებლობით სავსე ხალხია (ძველი დროის მქადაგებლები მოშვებული წვერით, გრძელ პერანგში ჩაცმული, დაბნეული, შეშინებული ადამიანები თოკითა და მათრახით ხელში, გამეტებით რომ უბრახუნებენ მუშტებს კათედრაზე და წმინდანის ნიღაბი აქვთ მორგებული).

ჰარიეტმა ბლეინს ჩასჩურჩულა: "რა ბინძური და შეურაცხმყოფელი მდგომარეობაა."

ქვემოთ, გზაზე, მანქანა დაიძრა, მათ ყური მიუგდეს, მაგრამ მანქანის ხმა აღარ ისმოდა.

"როგორც იქნა. მობეზრდათ ლოდინი, — თქვა ჰარიეტმა, — ან შეიძლება ვიღაც მაინც დატოვეს, მაგრამ მაგას ადვილად გავუმკლავდებით."

ჰარიეტმა ძრავა ჩართო და, როგორც კი ფარები აინთო, ნაკადულის მიმართულებით გაეშურა. გზა აქედან უფრო ციცაბო იყო. მანქანა კლდის ნაპირს მიუყვებოდა, ნაკადულის გასწვრივ, ბუჩქების გვერდის ავლით, შემდეგ დანის პირივით ვიწრო ნაპრალი გაიარა. ნაპრალი ნელ-ნელა გასწორდა და

ისინი ვიწრო კლდის შვერილზე აღმოჩნდნენ, მათ ზემოთ შავი ლოდების გროვა იყო, ხოლო ქვემოთ ბნელი სიცარიელე მოჩანდა. თითქოს მთელი საუკუნე მოანდომეს ამ ციცაბო გზაზე ასვლას. უცებ ქარმა და სუსხმა იმატა და მალე მათ წინ მთვარის მკრთალი შუქით განათებული ვაკე ადგილი გამოჩნდა.

ჰარიეტმა მანქანა გააჩერა და სავარძელში დაეშვა.

ბლეინი მანქანდან გადმოვიდა, ჯიბე მოისინჯა, იქ სიგარეტის კოლოფი ეგულებოდა. როგორც იქნა, იპოვა, მაგრამ ერთადერთი სიგარეტილა დარჩენოდა, ისიც საშინლად გასრესილი. ბლეინმა სიგარეტი გაასწორა და მოუკიდა, შემდეგ მანქანას შემოუარა და ანთებული სიგარეტი ჰარიეტს ჩაუდო პირში.

ჰარიეტმა სიამოვნებით გააბოლა.

"წინ საზღვარია, — თქვა ჰარიეტმა, — ახლა შენ დაჯექი საჭესთან. კიდევ ორმოცდაათი მილი დარჩა, კარგი გზაა. იქ ერთი პატარა ქალაქია, სადაც შეიძლება გავჩერდეთ და ვისაუზმოთ."



7

ხალხი რესტორნის პირდაპირ ქუჩაში შეკრებილიყო და ჰარიეტის მანქანასთან შეჯგუფებული ავისმომასნავებელი და დაძაბული დუმილით უთვალთვალებდა მათ. საშინელი ხალხი იყო, გაბოროტებული, ღვარძლიანი და თითქმის შიშის ზღვარზე მყოფი, მაგრამ ალბათ უფრო გაბოროტებული, რასაც შიში განაპირობებდა.

ბლეინი ზურგით რესტორნის კედელს მიყრდნობოდა, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ისაუზმეს. არაფერი საეჭვო არ შეუნიშნავთ, ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზე იყო. ხმა არავის ამოუღია, არავის მიუქცევია მათთვის ყურადღება. ყველაფერმა ძალზე ჩვეულებრივად და ნორმალურად ჩაიარა.

"როგორ მიხვდნენ?" — იკითხა ბლეინმა.

"არ ვიცი," — უპასუხა ჰარიეტმა.

"აბრა ჩამოუხსნიათ."

"ან შეიძლება ჩამოვარდა, ან სულაც არ ჰქონიათ აკრული. ზოგიერთ ქალაქს არც აქვს. ასეთ აბრებს ყველაზე აგრესიულები კიდებენ."

"აქ ბავშვებიც აგრესიულები არიან."

"იქნებ, ჩვენ არც გვითვალთვალებენ."

"შეიძლება," — თქვა ბლეინმა. მაგრამ ამ ბრბოს შეკრების სხვა მიზეზს ვერ ხედავდა.

კარგად მომისმინე, შეპ. თუ რამე მოხდა და ერთმანეთს დავშორდით, სამხრეთ დაკოტისკენ წადი, პიერში (პიერი, შეერთებული შტატების რუკაზე წითელი ვარსკვლავით აღნიშნული ქალაქი, სახელი წითელი ასოებით დატანებული, ასევე გზაც, რომელიც პაწაწინა სასაზღვრო ქალაქიდან მისოურის გაშლილ კალთაზე გაშენებულ ქალაქში მიდის).

ვიცი ეგ ადგილი, — უთხრა ბლეინმა.

რესტორანში მიკითხე (შენობის ქვის ფასადი დიდი ქვის ფანჯრებით, ერთ-ერთი ფანჯრის თავზე მოვერცხლილი და მოჩუქურთმებული უნაგირია ჩამოკიდებული, ხოლო კარს ზემოთ ირმის საუცხოო რქებია დამაგრებული), მთის ფერდობზე, მდინარის ზემოთ რომ არის. იქ თითქმის ყველა მიცნობს და გეტყვიან, სადაც ვიქნები.

ჩვენ არ დავშორდებით ერთმანეთს.

და მაინც, თუ დავშორდით, დაიმახსოვრე, რაც გითხარი.

რა თქმა უნდა, — თქვა ბლეინმა, — აქამდე მომიყვანე, მე შენ გენდობი.

ბრბო ამოძრავდა, უფრო სწორად, მოუსვენრობა და არეულობა დაეტყო, თითქოს ნელ-ნელა დუღილს იწყებდა. მოულოდნელად ავისმომასწავლებელი, უსიტყვო ჩურჩულისა და ბუზღუნის ხმა წამოვიდა.

უცბად, ხალხის ტალღა ვიღაცამ გააპო და ქუჩაში დედაბერი გამოფრატუნდა, დაჩამიჩებული და ფორმადაკარგული — მხოლოდ თავი, ხელები, შიშველი და ტალახში ამოგანგლული ფეხები მოუჩანდა. გაბურძგნილი თმა თეთრი ძონძით შეეკრა, რომელიც მთელ თავზე ნაფლეთებად ეკიდა.

დედაბერმა უძლური ხელი ასწია, მოშვებული კანი ჩვარივით დაეკიდა მკლავზე, და გაძვალტყავებული, მოგრეხილი და აკანკალებული თითი პირდაპირ ბლეინისკენ გაიშვირა.

"ის არის, — დაიწრიპინა კუდიანმა, — თავიდანვე შევნიშნე რაღაც უცნაურობა. მაგის ტვინში ვერ შეაღწევ, პრიალა სარკესავითაა. ის ..."

მისი დანარჩენი სიტყვები ხალხში ამტყდარ ჩოჩქოლში ჩაიკარგა. ბრბო დაიძრა და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიკვლევდა გზას კედელთან მდგარი წყვილისკენ. იგრძნობოდა, თითქოს ხალხი უხალისოდ და შიშით მიიწევდა წინ, მაგრამ ბრბოს მამოძრავებელი საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობა შიშზე უფრო ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა.

ბლეინმა ჯიბეში ჩაიყო ხელი და შარლინის სამზარეულოში ნაშოვნი იარაღი მოსინჯა. რადგან იცოდა, რომ ეს გამოსავალი არ იყო და საქმეს უფრო გაართულებდა, ცივად გაუშვა იარაღს და ხელი ჯიბიდან ამოსწია.

მოულოდნელად ბლეინი მიხვდა, რომ რაღაც შეიცვალა — ისევ ადამიანი იყო, ვარდისფერი არსება სადღაც გამქრალიყო და ტვინში მისი მოძრაობა აღარ შეინიშნებოდა. რაღაც მომენტში ბლეინმა მართლა არ იცოდა, რა რეაქცია უნდა ჰქონოდა, უნდა გაჰხარებოდა თუ არა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შენიშნა საკუთარი გონების კუთხიდან მომზირალი არსება, წამით გაიტრუნა და დააკვირდა მას, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა და არსება მალევე დაუბრუნდა თავის სამალავს.

ხალხის მასაში მოტივტივე სახეებს მძვინვარება და სიძულვილი დაეტყოთ, ეს ბრბოს ღამისეულ თავდასხმას კი არ ჰგავდა, არამედ — მგლების ხროვის შეტევას, როცა მსხვერპლს დღისით ეპარებიან, ხოლო ამ მასას, ადამიანური სიძულვილის ტალღას, წინ დამჭკნარი ბებერი კუდიანი მიუძღვებოდა. მან თითის მოძრაობით ანიშნა ბრბოს, დაძრულიყო.

"წყნარად იდექი, — გააფრთხილა ბლეინი ჰარიეტმა, — სიმშვიდე ჩვენი ერთადერთი გამოსავალია."

ბლეინი ყოველ წუთს ელოდა მდგომარეობის გაუარესებას.

ბრბო ბოლოს და ბოლოს ან დაიღლებოდა ან ნერვები უმტყუნებდა და რაღაც მცირედი შემთხვევა, მაგალითად, პატარა მოძრაობა, ერთი სიტყვა საკმარისი იქნებოდა, რომ ეს ალყა მძვინვარე იერიშში გადაზრდილიყო.

და ეს თუ მოხდებოდა, ბლეინი იარაღს გამოიყენებდა და ეს სურვილით კი არა, აუცილებლობით იქნებოდა გამოწვეული, სხვა გამოსავალი არც დარჩებოდა.

წუთით, სანამ ძალადობის მორევში გაეხვეოდა, მძინარე და გარინდებული ქალაქი გაქვავებული იდგა — პატარა ქალაქი, მზით გათანგულ ქუჩაზე გამავალი მოძველებული, გაცრეცილი და საღებავგადასული ორსართულიანი საოფისე ნაგებობებით. მეჩხერი ხეები დიდი მანძილით დაშორებოდნენ ერთმანეთს, შენობების ზედა ფანჯრებიდან ხალხი იცქირებოდა და გაოცებული ადევნებდა თვალყურს ქუჩაში მოსეირნე პოტენციურ ნადავლს.

ბრბო მოახლოვდა და ბლეინის ირგვლივ ფრთხილი და მდუმარე წრე შეკრა. ჩურჩულიც შეწყდა და სიძულვილის გრძნობა ველური ნიღბების საფარველმა დაფარა.

ტროტუარზე მკვეთრი ფეხის ხმა გაისმა — ერთი ნაბიჯი, შემდეგ კიდევ ერთი... ვიღაცა თანაბარი, მიზანმიმართული ნაბიჯით მოემართებოდა მათკენ.

ფეხის ხმა მოახლოვდა, ბლეინმა წამით შეხედა და მაღალი, ფერმკრთალი კაცის სილუეტი შენიშნა, რომელიც ისე გამიზნულად მოაბიჯებდა მათკენ, თითქოს სასეირნოდ ყოფილიყო გამოსული. კაცი ბლეინთან მივიდა, გვერდით ამოუდგა და ბრბოს მიუბრუნდა. ხმა არ ამოუღია, გაუნძრევლად იდგა, მაგრამ ბრბო მის დანახვაზე შეჩერდა და ირგვლივ შემზარავმა სიჩუმემ დაისადგურა.

შემდეგ ვიღაც კაცმა ხმა ამოიღო: "დილა მშვიდობისა, შერიფო."

შერიფი არ განძრეულა; ხმა არ გაუცია.

"ისინი პარაფსიქები არიან," — თქვა კაცმა.

"ვინ თქვა ეგ?" — იკითხა შერიფმა.

"ბებერი სარა ამბობს."

შერიფი სარას მიუბრუნდა: "მართალს ამბობს, სარა?"

"ტომი მართალია, — დაიჭყივლა ბებერმა, — აი იმას, იქ, უცნაური გონება აქვს. როცა შეღწევას ცდილობ, ისხლიტავს."

"ქალი?" — იკითხა შერიფმა.

"ისიც მასთან არ არის?"

"მრცხვენია თქვენ გამო, — შერიფმა პატარა უზნეო ბავშვებივით დატუქსა ისინი, — ყველას დაგაკავებთ, თითო-თითოს."

"მაგრამ ისინი ხომ ტელეპათები არიან?" — გაისმა ხმა.

"იცით, რას გეტყვით, — თქვა შერიფმა, — ყველა თავის საქმეს დაუბრუნდეს. ამათ მე მივხედავ."

"ორივეს?" — იკითხა ვიღაცის ხმამ.

"არ ვიცი, — თქვა შერიფმა, — ეს ქალი სულაც არ არის ტელეპათი. მე ვფიქრობ, ალბათ ქალაქიდან მის გაძევებას დავჯერდებით, ეს სავსებით საკმარისი იქნება."

შერიფი ჰარიეტს მიუბრუნდა: "ამ კაცთან ხარ?"

"და მასთანვე დავრჩები!"

არა! — თქვა ბლეინმა (სიჩუმის ნიშანი, ტუჩებთან მიტანილი თითი), სწრაფად, იმ იმედით, რომ ვერავინ შეამჩნევდა, რადგან ასეთ ქალაქში უბრალო ტელეპათიც კი შეიძლებოდა საფრთხეში აღმოჩენილიყო.

როგორმე ხმამაღლა უნდა გააფრთხილოს.

"ის მანქანა, გზის გადაღმა რომ დგას, თქვენია?" — იკითხა შერიფმა.

"დიახ," — უპასუხა ჰარიეტმა.

"იცით რა, მის, მოდით, ჩაჯექით ახლა მანქანაში და აქაურობას გაეცალეთ. ხალხი გაგატარებთ."

"სულაც არ ვაპირებ ..."

ბლეინმა შეაწყვეტინა: "ჰარიეტ, გააკეთე, რასაც გეუბნებიან."

ჰარიეტი შეყოვნდა.

"მიდი," — არ ეშვებოდა ბლეინი.

ჰარიეტი ნელი ნაბიჯით მოშორდა ტროტუარს, შემდეგ უეცრად შემობრუნდა.

"გნახავ! — მიმართა ბლეინს და შერიფს ზიზღნარევი მზერა ესროლა, — კაზაკი," — ჩაილაპარაკა ქალმა.

შერიფს ყურადღებაც არ მიუქცევია, ეს სიტყვა ადრე არც გაეგონა.

"დაიკარგეთ აქედან," — მიუგო მან თითქმის კეთილგანწყობილად.

ბრბო გაიყო, რომ ქალი გაეტარებინა, მაგრამ მაშინვე უკმაყოფილო ჩოჩქოლი ატყდა. ჰარიეტი მანქანასთან მივიდა, შემობრუნდა და ბლეინს ხელი დაუქნია, შემდეგ ჩაჯდა, დაქოქა მანქანა და უცბად მოსწყდა ადგილს. მოულოდნელობისგან დაბნეულ და ბორბლებისგან დაყენებული მტვრისგან დაბრმავებულ ხალხს ყვირილი აღმოხდა და ერთმანეთს მიაწყდნენ, მანქანისთვის გზა რომ დაეთმო.

შერიფი მონუმენტური სიმშვიდით ადევნებდა თვალყურს ჰარიეტის მანქანას, დაღმართში რომ მიქროდა.

"ხედავ, შერიფ! — იღრიალა ერთ-ერთმა დაზარალებულმა, — რატომ არ დააკავე?"

"შენ თავს დააბრალე, — უთხრა შერიფმა, — ვინ ატეხა ეს ამბავი? მე მშვიდი და აუღელვებელი დღისთვის ვემზადებოდი, შენ კი მყუდროება დამირღვიე."

შერიფი სულაც არ ჰგავდა აღელვებულს.

მშფოთვარე ბრბო ტროტუარს მოაწყდა და გაშმაგებული კამათი განაგრძო.

შერიფმა ხელები აუქნია, თითქოს ქათმები მოიგერია.

"დაიშალეთ, — შეუყვირა მან ხალხს, — ხომ გაერთეთ, ახლა თქვენს საქმეს მიხედეთ. ამ კაცს კი ციხეში წავიყვან."

შერიფი ბლეინს მიუბრუნდა და უთხრა: "აბა, წავედით!"

ერთად დაუყვნენ ქუჩას და საპატიმროს შენობისკენ გაემართნენ.

"შენ ჩემზე უკეთესად უნდა გცოდნოდა, — უთხრა მან ბლეინს, — ამ ქალაქში ვერ იტანენ პარაფსიქებს."

"რა ვიცოდი, — უპასუხა ბლეინმა, — ამაზე არანაირი წარწერა არ მიანიშნებდა."

"ქარმა ჩამოაგდო ორი-სამი წლის წინ, — უთხრა შერიფმა, — ვერავინ მოისაზრა, ხელახლა აღემართა. ახალი აბრა უნდა დავამზადებინო, ძველი სულ აღარ ვარგა, ზედ ასოებიც აღარ ჩანს, ქვიშის ქარიშხლებმა საღებავი ამოჭამეს."

"რას მიპირებ?" — ჰკითხა შერიფს ბლეინმა.

შერიფმა უპასუხა: "არაფერს განსაკუთრებულს. დაგაკავებ ცოტა ხნით, სანამ ხალხი დაწყნარდება, შენივე უსაფრთხოებისთვის, და როცა ყველაფერი თავის კალაპოტს დაუბრუნდება, აქედან გაღწევაში დაგეხმარები."

შერიფი წუთით გაჩუმდა, გონებაში არსებულ მდგომარეობას აანალიზებდა.

"ახლავე ვერ გაგიშვებ, — თქვა მან, — ბიჭები გაფაციცებით მადევნებენ თვალს."

მათ საპატიმროს შენობას მიაღწიეს და კიბეს აუყვნენ. შერიფმა კარი გააღო და ბლეინი მიიპატიჟა: "მობრძანდი."

ისინი ოფისში შევიდნენ და შერიფმა კარი გამოიხურა.

"იცი, — თქვა ბლეინმა, — ჩემი აზრით, არანაირი საფუძველი არ გაქვს, დამაკავო. რა მოხდება, რომ ავდგე და, უბრალოდ, გავიდე აქედან?"

"არაფერიც არ მოხდება, ყოველ შემთხვევაში ახლა. მე, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას არ გაგიწევ, თუმცა ვეცდები, აზრი შეგაცვლევინო, მაგრამ ქალაქიდან მაინც ვერ გააღწევ, იმ ხალხს შენს დასაჭერად ხუთი წუთიც არ დასჭირდება."

"შემეძლო ჰარიეტთან ერთად მანქანით გავცლოდი აქაურობას."

შერიფმა თავი გადააქნია. "შვილო, მე კარგად ვიცნობ ამ ხალხს, მათთან ერთად გავიზარდე, მათი სისხლი და ხორცი ვარ. ვიცი, სადამდე შემიძლია შევტოპო მათთან ურთიერთობაში და ვიცი, სად უნდა გავჩერდე. მარტო ქალს

შემეძლო დავხმარებოდი გაქცევაში, მაგრამ ორივეს ერთად ვერ გაგიყვანდით. შენ გინახავს ოდესმე გამძვინვარებული ბრბო?"

ბლეინმა თავი გაიქნია.

"მაინცდამაინც სასიამოვნო სანახავი არაა."

"სარაზე რას იტყვი, ისიც ხომ ტელეპათია?"

"რას გეტყვი, მეგობარო, და სარა საკმაოდ წარჩინებული ოჯახიდანაა. მართალია, ახლა რთული დრო დადგა, მაგრამ მისი ოჯახი უკვე საუკუნეა, რაც ამ ქალაქში ბინადრობს. ქალაქი სარას მიმართ შემწყნარებლობას იჩენს."

"რა თქმა უნდა, რა ჯობია, როცა ქალაქს საკუთარი მზვერავი ჰყავს."

შერიფმა თავი დაუქნია და ჩაიცინა. "სარას იშვიათად თუ გამოეპარება ვინმე, — წარმოთქვა მან ადგილობრივი მკვიდრისთვის დამახასიათებელი სიამაყით, — მთელი დღე დაკავებულია, გულდასმით აკვირდება ქალაქში შემოსულ თითოეულ უცნობს."

"ტელეპათებს ხშირად იჭერთ ხოლმე?"

"ხშირად არა, — თქვა შერიფმა, — ხანდახან."

შერიფმა მაგიდისკენ მიანიშნა: "ჯიბეებიდან ამოალაგე, რაც გაქვს. კანონი მავალდებულებს ამის გაკეთებას, თუ გინდა, ორდერსაც გამოვწერ."

ბლეინმა ჯიბეებში დაიწყო ქექვა — საფულე, კარტის დასტა, ცხვირსახოცი, გასაღებების აცმა, ასანთი და ბოლოს იარაღი.

ფრთხილად აიღო იარაღი და მაგიდაზე დადო, სხვა ნივთებთან ერთად.

შერიფმა მოავლო თვალი: "და შენ იარაღი გქონდა მთელი ამ ხნის მანძილზე?"

ბლეინმა თავი დაუკრა.

"და რატომ არ გამოიყენე?"

"შემეშინდა და იმიტომ."

"ტარების უფლება თუ გაქვს?"

"ჩემი არც არის."

შერიფმა ჩუმად დაუსტვინა.

აიღო იარაღი და გადახსნა. შიგნით სპილენძისფერი ბარაბანი ელვარებდა.

შერიფმა მაგიდის უჯრა გამოაღო და იარაღი შიგ ჩააგდო.

"ახლა უკვე იურიდიული საფუძველი მაქვს, დაგაკავო," — მშვიდად მიუგო მან, მაგიდიდან ასანთის ყუთი აიღო და ბლეინს მიაწოდა.

"ეს მოსაწევად გამოგადგება."

ბლეინმა ასანთი ჯიბეში ჩაიდო.

"სიგარეტს გიშოვი, თუ გინდა," — შესთავაზა შერიფმა.

"არ არის საჭირო, — უთხრა ბლეინმა, — სიგარეტი კი დამაქვს, მაგრამ ბევრს არ ვეწევი. ხშირად იმდენ ხანს ვატარებ ჯიბით, სანამ მოწევას მოვიფიქრებდე, სულ იცრიცება."

შერიფმა ლურსმნიდან გასაღებების ასხმა ჩამოხსნა.

"წამომყევი," — თქვა მან.

ბლეინი შერიფს დერეფანში შეჰყვა, რომლის გასწვრივ საკნები იყო ჩამწკრივებული.

შერიფმა შესასვლელ კართან ყველაზე ახლოს მდებარე საკანი გააღო.

"საკანი შენს განკარგულებაშია, — უთხრა ბლეინს შერიფმა, — აქედან ბოლო პატიმარი გუშინ გავუშვი. ვიღაც ზანგმა საზღვარი გადმოჭრა და ციხეში ამოყო თავი. ეტყობა, ჩათვალა, თეთრკანიანებს არაფრით ჩამოვუვარდებიო."

ბლეინი საკანში შევიდა. შერიფმა კარი გაიხურა და გადარაზა.

"თუ რამე დაგჭირდება, — უთხრა შერიფმა მეგობრულად, — დამიძახე და მოგიტან."



8

მაგიამ ბევრი სახელი გამოიცვალია.

ერთ დროს ექსტრასენსორული აღქმა ერქვა, გარკვეული ხნის შემდეგ პსიონიზმი დაერქვა, მაგრამ მაგია მისი ყველაზე უფრო გავრცელებული სახელი იყო.

შესაძლოა, რომელიმე უძველესი ექიმბაში, რომელიც ჟანგის მინარევისგან საღებავს აკეთებდა, თავის ქალაში კოჭებს აჩხრიალებდა, ხოლო ჩანთა სავსე ჰქონდა სხვადასხვა გულისამრევი ნივთით, იმაზე უფრო ადრე ატარებდა პრიმიტიულ მაგიურ რიტუალებს, ვიდრე თვით ეს სიტყვა წარმოიშობოდა და მოწყურებული ეტანებოდა უცხო პრინციპებს, რომლის არსი არ ესმოდა, ან სავსებით შესაძლებელია, არც იცოდა, რომ არ ესმოდა, ვერც ხვდებოდა, რომ არსებობდა რაღაც, რის არსსაც უნდა ჩასწვდომოდა. ეს პასიური ცოდნა ხელიდან ხელში გადადიოდა. ამ ცოდნას კონგოს მისნები იყენებდნენ, მის შესახებ იცოდნენ ეგვიპტელმა ქურუმებმა და ტიბეტელმა ბრძენებმა, მაგრამ ვერავინ შეძლო მისი სათანადოდ შეფასება და ჯეროვნად გამოყენება. თანამედროვე ადამიანმა მაგიისადმი ნდობა სრულიად დაკარგა, მიივიწყა და დღეს ცოტა თუ მოიძებნება, ვისაც ნამდვილად სწამს მისი.

ცივილიზაციის ეპოქაში წარმოიშვა მეცნიერება და

მეცნიერებით აღჭურვილ სამყაროში მაგიისთვის ადგილი აღარ დარჩა, რადგანაც არ არსებობდა მისი შესწავლის არც მეთოდი, არც სისტემა. ვერ მოხერხდა მისი გარკვეულ ფორმულამდე ან განტოლებამდე დაყვანა. ასე რომ, მაგია საეჭვო და მიუღებელ ფენომენად იქცა და არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი მას სერიოზულად არ აღიქვამდა.

ხალხი ახლა მას პარანორმალურ კინეტიკას უწოდებდა, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებიც ამ ნიჭით იყვნენ დაჯილდოებული, პარაკინეტიკოსებს ეძახდნენ, ციხეებში ამწყვდევდნენ და ყველანაირად სდევნიდნენ.

მეტად უცნაური ამბავი იყო, თუ კაცი დაუფიქრდებოდა, რადგან მეცნიერებასა და პარანორმალურ კინეტიკას შორის არსებული ამოუცნობი უფსკრულის მიუხედავად, საბოლოოდ, პარანორმალური კინეტიკის პრაქტიკული გამოყენება სწორედ იმ მეთოდური გონების მეშვეობით შეძლეს, რომელიც ადამიანთა მოდგმამ მეცნიერების დახმარებით გამოიმუშავა.

საოცარია, — ფიქრობდა ბლეინი, — მაგრამ რაღაც მომენტში აუცილებელი გახდა, რომ მეცნიერებას ყველაზე მნიშვნელოვანი პოზიცია დაეკავებინა. ის უფრო ადრე უნდა განვითარებულიყო, ვიდრე ადამიანი იმ ძალების შემეცნებას შეძლებდა, რომლებმაც მისი გონება მარწუხებისგან გაათავისუფლეს, სანამ ის ხალხი, ვინც ქვეცნობიერად ყოველთვის ფლობდა ფსიქიკურ ენერგიასა და ძალას, შეძლებდა ამ ძალის გათვითცნობიერებასა და პრაქტიკულ გამოყენებას. პარანორმალური კინეტიკის კვლევისას საჭირო გახდა მეთოდის გამოყენება და მეცნიერება სწორედ იმ საცდელ ბაზისად იქცა, რომელზე დაყრდნობითაც შემდეგ ეს მეთოდი განვითარდა.

ხალხი ამბობდა, რომ შორეული წარსულის რომელიღაც პერიოდში კაცობრიობისთვის გზა ორად დაიყო, ერთ-ერთი მათგანი "მაგიით" აღინიშნა, ხოლო მეორე — "მეცნიერებით" და რომ ადამიანმა "მეცნიერების" გზა აირჩია და "მაგიის" გზა

უგულებელყო. ამ ხალხის დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ადამიანმა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, როდესაც ამ ორ გზას შორის არჩევანი მეცნიერებაზე გააკეთა. მათი აზრით, გაცილებით უფრო შორს წავიდოდით, თავიდანვე "მაგია" რომ აგვერჩია.

მაგრამ ისინი ცდებოდნენ, — გაიფიქრა ბლეინმა თავისთვის, — რადგან ორი გზა არასოდეს ყოფილა, იყო მხოლოდ ერთი. ადამიანს მეცნიერება მანამ უნდა აეთვისებინა, სანამ მაგიას დაეუფლებოდა.

თუმცა მეცნიერებას მაგია თითქმის უკვე დაემარცხებინა, თითქმის კუთხეში მიემწყვდია და ნიშნის მოგებით იგდებდა მასხარად.

დაამარცხებდა კიდევაც, რომ არა შეუპოვარი და მედგარი ადამიანები, რომლებიც ჯიუტად განაგრძობდნენ ვარსკვლავებზე ოცნებას და მზად იყვნენ, მსოფლიოს ქილიკისთვის გაესწორებინათ თვალი, ნებისმიერი დაცინვისთვის გაეძლოთ, ოღონდ ვარსკვლავებისთვის მიეწვდინათ ხელი.

ნეტავ როგორი იყო იმ პერიოდის ყოფა, როცა ფიშჰუკი მხოლოდ იმედის ნაპერწკალს, გონების გაელვებასა და რწმენის მცირედ ნაწილაკს წარმოადგენდა. ეს იმედითა და მოლოდინით სავსე ჯიუტი ადამიანები მარტოდმარტონი იდგნენ ამ გამოწვევის წინაშე. არავინ გაუწოდა მათ დახმარების ხელი, როცა შველა ითხოვეს. ხალხმა ზიზღნარევი დაცინვით უპასუხა ამ მცდარსა და უგუნურ მცდელობას.

პრესამ სენსაციად აქცია მათი გამოჩენა ვაშინგტონში, სადაც ფინანსური დახმარება ითხოვეს. დახმარება, რა თქმა უნდა, არ აღმოუჩინეს, არც ყოფილა გათვალისწინებული ასეთი რამ, რადგან მთავრობა არაფრის დიდებით არ დააფინანსებდა ასეთ სარისკო წამოწყებას. თუკი მეცნიერებამ, მთელი თავისი ძალისა და დიდების მიუხედავად, ვერ შეძლო ვარსკვლავებამდე მიღწევა, რისი

იმედი უნდა ჰქონოდათ ამათ? აბა, რომ, ეს ხალხი მარტო, საკუთარი სახსრებით განაგრძობდა მუშაობას, ხანდახან თუ მიიღებდა ხოლმე დახმარებას სხვადასხვა ქვეყნისგან თუ ორგანიზაციისგან — მაგალითად, მცირედი გრანტი ინდოეთიდან, ფილიპინებიდან და კოლუმბიიდან. გარდა ამისა, უმნიშვნელო შემოწირულობა მეტაფიზიკური საზოგადოებისა და რამდენიმე დონორისგან, რომლებიც თანაგრძნობით ეკიდებოდნენ მათ საქმეს.

და, როგორც იქნა, გამოჩნდა ღვთისნიერი ქვეყანა, მექსიკა, რომელმაც ისინი მოიწვია, სახსრები გამოუყო, სასწავლო ცენტრითა და ლაბორატორიით უზრუნველყო და მასხარად აგდების ნაცვლად რეალური დახმარება აღმოუჩინა.

ამ დღიდან ფიშჰუკი რეალობად იქცა და ისეთ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა, რომელიც არა მარტო საკუთარ თავს, არამედ მის დამფუძნებელ ქვეყანასაც უთქვამდა სახელს.

მე კი მისი შემადგენელი ნაწილი ვარ, — ფიქრობდა ბლეინი საკანში ყოფნისას, — ამ ფაქტობრივად საიდუმლო საზოგადოების ნაწილი, თუმცა გასაიდუმლოების მიზეზი თავად ფიშჰუკი კი არ არის, არამედ — მთელ მსოფლიოში გამეფებული შური, გაუტანლობა და ცრურწმენა. მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობ, გავექცე მას, მიუხედავად მისი დევნისა, მაინც მის განუყოფელ ნაწილად ვრჩები.

ბლეინი წამოდგა თავისი პაწაწინა საწოლიდან, რომელზეც ჭუჭყიანი საგებელი ეგო, სარკმელთან მივიდა და გადაიხედა, საიდანაც მზით გათანგული ქუჩა მოჩანდა, ბულვარში მოქანავე წვრილი ხეებით. ქუჩის გადაღმა ნაღვლიანი და ჩამონგრეული საოფისე შენობები იმზირებოდნენ, ბორდიურებთან ნახევრად დაშლილი მანქანები დაეყენებინათ, ზოგი იმდენად ძველი იყო, რომ შიდაწვის ძრავაზე მუშაობდა. მაღაზიების შესასვლელთან ხალხი ჩამომსხდარიყო, მძინარედ ღეჭავდა თამბაქოს და

იფურთხებოდა, რაც ტროტუარებს გამხმარი სისხლის ლაქებივით აჩნდებოდა. ისხდნენ უსიცოცხლოდ, თამბაქოს ღეჭავდნენ და დროდადრო ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ ხოლმე, ისე, რომ საპატიმროს არც უყურებდნენ და საკუთარ უსაქმურობას სავსებით გულგრილად ხვდებოდნენ.

მაგრამ ბლეინმა იცოდა, რომ ისინი საპატიმროს უთვალთვალებნენ. ისინი მას უთვალთვალებდნენ — ადამიანს სარკისებური გონებით, რომელიც, როგორც ბებერმა სარამ უთხრა შერიფს, ისხლიტავს და შიგ შეღწევის საშუალებას არ გაძლევს.

აი, რა შეამჩნია რენდიმ იმ დღეს. სწორედ ამან გასცა ბლეინი და მთელი ფიშჰუკი მის კვალზე დააყენა. აქედან გამომდინარე, რენდი ან მოყურიადე იყო ან მზვერავი, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, — გაიფიქრა ბლეინმა, — მოყურიადე რომც იყოს, მაინც ვერ ამოიკითხავს ისეთ გონებას, რომელიც ირეკლავს.

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მისი გონება ერთგვარ გამაფრთხილებელ, უეცარ ნათებას ქმნიდა, რისი დანახვაც ყველას შეეძლო, ვისაც ამის უნარი ჰქონდა. უსაფრთხოდ ვერსად იგრძნობდა თავს, ვერსად დაიმალებოდა, მისი გამოჩენა ხმამაღალი ზარის რეკვა იქნებოდა ნებისმიერი მოყურიადესა თუ მზვერავისთვის, რომელიც მას მიუახლოვდებოდა.

ბლეინი დარწმუნებული იყო, რომ ადრე ასეთი არ იყო, თორემ ვიღაცას მაინც წამოსცდებოდა ან მის ფსიქოლოგიურ რეპორტში იქნებოდა შეტანილი.

ეი, შენ, — დაუძახა მან იმ მისტიკურ არსებას, რომელიც მის გონებაში იმალებოდა, — გამოდი მაქედან!

არსებამ კუდი გადაიქნია და ძაღლივით ააქიცინა, მაგრამ სამალავიდან არ გამოსულა.

ბლეინი საწოლს დაუბრუნდა და ნაპირზე ჩამოჯდა.

ჰარიეტი დაბრუნდებოდა და დაეხმარებოდა, ან მანამდე

თვითონ შერიფი გაუშვებდა, როგორც კი სიტუაცია დაწყნარდებოდა. თუმცა შერიფს ახლა მისი დაკავების საბაბი ჰქონდა — იარაღის უკანონო ტარება.

მეგობარო, — მიმართა თავის ბინადარს, — კიდევ ერთხელ დამჭირდება შენი დახმარება. შეიძლება კიდევ ერთი ტრიუკის გამოყენება მოგვიხდეს.

გონებაში ჩასაფრებულმა არსებამ უკვე აჩვენა ბლეინს, რა ოინების ჩადენაც შეეძლო — დროის ცვლის ოინი. თუ ეს მეტაბოლიზმი იყო? ვერაფრით გაერკვია, რა მოხდა, ჩვეულებრივზე სწრაფად მოძრაობდა, თუ დრო შენელდა მის გარდა ყველასათვის.

აქედან როცა გააღწევდა, მერე რა უნდა ექნა?

სამხრეთ დაკოტაში წასულიყო, როგორც ჰარიეტმა ურჩია?

ალბათ ასეც მოიქცეოდა, სხვა გეგმა მაინც არ ჰქონდა. დროც არ ჰყოფნიდა, რამე მოეფიქრებინა. მისი უპირველესი მიზანი ფიშჰუკის კლანჭებიდან თავის დაღწევა იყო. წლების წინ რომ ეზრუნა ამაზე, სამოქმედო გეგმას აუცილებლად დაისახავდა. ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ახლა კი ბლეინი უცხო ქალაქში იყო, რომლის სახელიც კი არ იცოდა, საკანში გამომწყვდეული, თან მხოლოდ თხუთმეტი დოლარი ჰქონდა და ისიც — შერიფის მაგიდის უჯრაში გამოკეტილი.

ბლეინი საწოლზე იჯდა და ქუჩაში მოძრავი მანქანების ხმაურსა და ჩიტების ჟრიამულს უსმენდა. საშინელ მდგომარეობაში იყო, გამოუტყდა საკუთარ თავს, საშინელ და გამოუვალ მდგომარეობაში.

გარეთ კიბეზე რამდენიმე კაცი იჯდა და მას ყარაულობდა, თან ყველანაირად ცდილობდნენ, თავი ისე მოეჩვენებინათ, თითქოს საპატიმრო სულაც არ აინტერესებდათ. ბლეინს არ მოსწონდა მათი მზერა.

შერიფის ოფისის კარი გაიღო, დაიხურა, შემდეგ ვიღაცის ფეხის ხმა გაისმა, რაღაც გაურკვეველი ხმებიც მოდიოდა,

მაგრამ ბლეინს სმენა არ დაუძაბია, რომ გაეგო, რა ხდებოდა. რა აზრი ჰქონდა მოსმენას? და საერთოდ, რა აზრი ჰქონდა რამეს?

შემდეგ შერიფის აუჩქარებელი ნაბიჯის ხმა დერეფანში გაისმა. ბლეინმა აიხედა და დაინახა, რომ ის ზედ საკანთან გაჩერდა.

"ბლეინ, — დაუძახა შერიფმა, — მამა ფლენეგანს უნდა შენი ნახვა."

"რომელ ფლენეგანს?"

"მღვდელს, ურწმუნო. ამ მრევლის წინამძღვარს."

"არ მესმის, — თქვა ბლეინმა, — რატომ უნდა აინტერესებდეს მღვდელს ჩემი ნახვა?"

"შენ რა, ადამიანი არა ხარ? როგორც ყველა ადამიანს, შენც გიდგას სული."

"ნამდვილად."

შერიფმა მკაცრი და შეფიქრიანებული მზერა შეავლო: "რატომ არ მითხარი, რომ ფიშჰუკიდან იყავი?"

ბლეინმა მხრები აიჩეჩა. "რა მნიშვნელობა აქვს, რას შეცვლიდა ეს?"

"ღმერთო ჩემო, ამ ხალხს რომ სცოდნოდა, რომ ფიშჰუკიდან იყავი, ცოცხალი ვერ გადარჩებოდი, — უთხრა შერიფმა ბლეინს, — უბრალო ტელეპათსაც სასტიკად უსწორდებიან და წარმოიდგინე, ფიშჰუკელს რაღას უზამდნენ. სამი წლის წინ ამ ხალხმა ფაქტორია დაწვა, გაყიდვების აგენტმა ძლივს გაასწრო ქალაქიდან."

"შენ რას იზამდი, ჩემი ჩამოხრჩობა რომ მოენდომებინათ?" — ჰკითხა შერიფს ბლეინმა.

შერიფმა თავი მოიქექა. "რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებდი, რაც ჩემს ძალებში იქნებოდა."

"დიდი მადლობა, — თქვა ბლეინმა, — ალბათ ფიშჰუკს უკვე დაუკავშირდით."

"ვუთხარი, რომ მოსულიყვნენ და თვითონ მიეხედათ საკუთარი საქმისთვის."

"ნამდვილი მეგობარი ხარ," — თქვა ბლეინმა.

"რისთვის შემოეხეტე ამ ქალაქში? — ცხარობდა შერიფი, — ეს წყნარი, მშვიდობიანი და წესიერი ქალაქია, შენნაირები მას საფრთხეს უქმნიან."

"მოგვშივდა, — მოიმიზეზა ბლეინმა, — და სასაუზმოდ გავჩერდით."

"მაგარ უსიამოვნებაში გაყავი თავი, — უთხრა მას შერიფმა მკაცრად, — შევეცდები როგორმე გადაგარჩინო."

შერიფმა გასვლა დააპირა, მაგრამ უცბად მობრუნდა.

"მღვდელს შემოვუშვებ," — თქვა მან.



9

მღვდელი საკანში შემოვიდა და წამით შეჩერდა, სიბნელეში თვალებს ჭუტავდა.

ბლეინი წამოდგა და მღვდელს მიმართა: "მიხარია, რომ მოხვედით, სამწუხაროდ, საწოლის გარდა ვერაფერს შემოგთავაზებთ, ჩამოჯექით."

"არა უშავს, — უთხრა მღვდელმა, — გმადლობ. მე მამა ფლენეგანი ვარ, ხელი ხომ არ შეგიშალე?"

"სულაც არა, — მიუგო მას ბლეინმა, — მიხარია თქვენი ნახვა."

მამა ფლენეგანი საწოლთან მივიდა და ჩამოჯდა. მღვდელი უკვე ასაკში იყო და სიმსუქნე მორეოდა. სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა. დამჭკნარი ხელები ართრიტისგან გაშეშებულს უგავდა.

"დაჯექი, შვილო, იმედია, არ გაწუხებ, — თქვა მან, — თავიდანვე გაფრთხილებ, რომ საშინლად ცნობისმოყვარე ვარ. ეს ალბათ იმიტომ, რომ ისეთი სამწყსოს მეთაური ვარ, სადაც უმეტესობა ბავშვია, მიუხედავად მათი ასაკისა. რამე განსაკუთრებულზე ხომ არ გსურს ლაპარაკი?"

"ყველაფერზე ალბათ, რელიგიის გარდა," — უპასუხა ბლეინმა.

"როგორც გატყობ, რელიგიური ადამიანი არ ხარ, შვილო."

"არა, მაინცდამაინც, ამაზე ფიქრს რომ ვიწყებ, მაშინვე ტვინი მერევა ხოლმე."

მღვდელმა თავი გადაიქნია: "უღმერთო დღეები დაგვიდგა, შენნაირები ძალიან მომრავლდნენ და ეს მაწუხებს, დედა ეკლესიასაც, რა თქმა უნდა. ქვეყანაში რთული სულიერი მდგომარეობაა, ხალხის უმრავლესობა ბოროტების შიშით უფრო არის გატაცებული, ვიდრე სიკეთის ჭვრეტით. დღეს ისევ მაქციებზე, ავ სულებსა და დემონებზე დადის ხმები, მაშინ, როცა ამგვარი ფენომენების შიში საუკუნის წინ დავძლიეთ. "

მამა ფლენეგანმა მძიმედ შემოაბრუნდა სხეული და გვერდულად დაჯდა, ბლეინისთვის უკეთესად რომ შეეხედა.

"შერიფმა მითხრა, რომ ფიშუკიდან ხარ," — თქვა მან.

"დიახ, ამას ვერ უარვყოფ," — უპასუხა ბლეინმა.

"ფიშჰუკელთან პირველად ვსაუბრობ, — ჩაიბურტყუნა მოხუცმა მღვდელმა, თითქოს ბლეინს კი არა, საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, — ფიშჰუკზე მხოლოდ მსმენია და ზოგიერთი ამბავი მართლაც რომ ბარბაროსული და დაუჯერებელია. ფაქტორიის გაუქმებამდე აქ ერთი გაყიდვების აგენტი ცხოვრობდა, მაგრამ მე არასდროს შევხვედრივარ. ხალხი ვერ გამიგებდა, რომ მივსულიყავი."

"იქიდან გამომდინარე, რაც ამ დილით მოხდა, ძალიან მეეჭვება, რომ გაეგოთ," — დაეთანხმა მას ბლეინი.

"ამბობენ, რომ შენ პარანორმალური..."

"მაგას პარაფსიქი ჰქვია, — დაუკონკრეტა ბლეინმა, — შელამაზება არ არის საჭირო."

"შენ მართლა ტელეპათი ხარ?"

"მამაო, მართლა დაბნეული ვარ, თქვენი ვიზიტის ჭეშმარიტ მიზეზს ვერ ჩავწვდი."

"აკადემიური მიზეზი მაქვს, — აუხსნა მამა ფლენეგანმა, — დამერწმუნე, წმინდად აკადემიური. შენთან ერთი პირადი მიზეზის გამო მოვედი. ჩემთან შეგიძლია ისევე თავისუფლად ილაპარაკო, როგორც აღსარებისას."

"იყო დრო, როცა მეცნიერება ყველა სახის რელიგიური ჭეშმარიტების ფარულ მტრად მოიაზრებოდა, — თქვა ბლეინმა, — ახლაც ზუსტად იგივე ხდება."

"მაგრამ ხალხს ისევ ეშინია, — განაგრძობდა მამა ფლენეგანი, — ისინი კარებს კეტავენ და ურდულით რაზავენ, ღამით გარეთ არ გამოდიან, ხოლო ჭიშკრებსა და სახლის სახურავებზე კაბალისტური ნიშნები აქვთ გაკრული და არა ნეტარი ჯვარცმა. ისეთ რაღაცებზე დაიწყეს ჩურჩული, რაც, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, დავიწყებას მიეცა, თანაც საკუთარი გონების დაბურულ კუნჭულებში თრთიან, დაკარგეს უძველესი რწმენა. რა თქმა უნდა, ყველა რიტუალს გულდასმით ასრულებენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას მათ სახეებზე ვხედავ, მათ ლაპარაკში ვგრძნობ, მათ გონებაში ვამჩნევ. ამ ხალხმა დაივიწყა რწმენის მარტივი ხელოვნება."

"არა მგონია, მამაო, რწმენა რომ დაეკარგათ, უბრალოდ, გონება აქვთ არეული."

"მთელ მსოფლიოს გონება აქვს არეული," — აღნიშნა მამა ფლენეგანმა.

ეს სრული სიმართლეა, — გაიფიქრა ბლეინმა თავისთვის, — მთელ მსოფლიოს გზა-კვალი აქვს არეული, რადგანაც ტრადიციული კულტურული გმირი დაკარგა და, უდიდესი მცდელობის მიუხედავად, შემცვლელი ვერ იპოვნა. საყრდენი გამოეცალა, რომელიც ალოგიკურობისა და უგუნურობის ქარიშხალში ღუზის მაგივრობას უწევდა და შუა ოკეანეში კომპასისა და რუკის გარეშე დარჩა.

ერთ დროს მეცნიერება კულტურული გმირის სახე იყო. მასში ლოგიკასაც ხედავდნენ, გონიერებასაც და მაქსიმალურ სიზუსტესაც, რომელიც უმცირესი ატომის სიღრმესა და კოსმოსური სივრცის შორეულ ნაპირებში აღწევდა. მისი მეშვეობით მილიონობით მექანიზმი შეიქმნა მეცნიერების თაყვანისმცემელთა სანუგეშოდ და ადამიანს საშუალება მიეცა ხელი და თვალი მიეწვდინა მთლიანი სამყაროსთვის.

მეცნიერება, როგორც ყოველთვის, სარწმუნო წყარო იყო, რადგანაც ადამიანური სიბრძნის მწვერვალს წარმოადგენდა.

პრაქტიკულად კი ის მანქანებსა და მანქანურ ტექნოლოგიამდე დაიყვანებოდა, რადგან მეცნიერება აბსტრაქტული მცნება გახლდათ, ხოლო მანქანები — ხილული და კონკრეტული.

შემდეგ დადგა დღე, როცა ადამიანი, მისი არაჩვეულებრივი მანქანებისა და სახელგანთქმული ტექნოლოგიების მიუხედავად, განდევნეს კოსმოსიდან, თითქოს მათრახის ერთი მოქნევით თავისდა უნებურად გადმოისროლეს უკან, დედამიწის კალთაზე. ამ მარცხის აღმოჩენისას ადამიანს სასოწარკვეთილი გმინვა აღმოხდა. სწორედ ამ დღიდან დაკარგა მეცნიერებამ თავისი ჩვეული ელვარება და სიკაშკაშე და უკვე აღარავინ იყო მეცნიერების, როგორც კულტის მიმდევარი.

იმ დღეს, როცა ადამიანი პირველად გაიჭრა კოსმოსში მანქანების დაუხმარებლად, ტექნოლოგიისადმი თაყვანისცემა ერთხელ და სამუდამოდ ჩაქრა. მართალია, მანქანები, ტექნიკა და თავად მეცნიერება კვლავ განაგრძობდნენ არსებობას, ყოველდღიურად გამოიყენებოდნენ და ჯერ კიდევ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდათ, მაგრამ საკულტო საგნებს აღარ წარმოადგენდნენ.

იმ ხელსაწყოებს, რომლებსაც ფიშჰუკში გამოიყენებდნენ, ვერ დაარქმევდით უბრალო ხელსაწყოებს, ისინი განსხვავდებოდნენ ადამიანის გონებაში ასოცირებული ხელსაწყოებისგან, რადგან მათ არც ერთი იმ კომპონენტთაგანი არ ჰქონდათ, რომელიც ჩვეულებრივ მანქანაზე მიდის — არც სარქველი, არც ბორბალი, არც ამძრავი, არც ღერძი, არც ბერკეტი და არც უბრალო ღილაკი. ეს უცხო და უცნაური აპარატები იყო და მათში არაამქვეყნიური ძალა იგრძნობოდა.

ასე დაკარგა ადამიანმა თავისი გმირი. აბსტრაქტული

გმირის თაყვანისცემის, იდეალისა და მიზნის გარეშე კი არ შეეძლო ცხოვრება, ამიტომ წარმოიშვა ვაკუუმი, რომელიც აუცილებლად ითხოვდა შევსებას.

პარანორმალური კინეტიკა, თავისი უცნაური და უცხო ცნებების მიუხედავად, იდეალურად ავსებდა ამ სიცარიელეს. სწორედ აქ ჰპოვა გამართლება ყველა უჩვეულო კულტმა; და რაც მთავარია, აქ იდო ნება-სურვილების საბოლოო ასრულება; ამ ფენომენში იყო გარკვეული ეგზოტიკური მომენტი, რომელიც ადამიანის სიღრმისეულ განცდებს ესალბუნებოდა. ამას უბრალო მანქანები ვერასოდეს შეძლებდნენ.

აქ, მადლობა ღმერთს, გამოჩნდა მაგია!

ასე რომ, მსოფლიო მაგიის გზით წავიდა.

ქანქარის ერთი ბოლო, როგორც ყოველთვის, ძალზე შორს გადაიზნიქა და ახლა უკან ბრუნდებოდა, დედამიწაზე შეუწყნარებლობის საშინელი ტალღა აგორდა.

ადამიანი კიდევ ერთხელ დარჩა გმირის გარეშე, სამაგიეროდ, განახლებული ცრურწმენები შეიძინა, რამაც ის შუა საუკუნეების ბნელ მორევში გადაისროლა.

"ამ საკითხზე ბევრი ვიფიქრე, თავი ვიმტვრიე, — თქვა მამა ფლენეგანმა, — ასეთ თემას; ბუნებრივია, ისეთი უღირსი ღვთის მსახურებიც ვერ აუვლიან გვერდს, როგორიც მე ვარ, რადგანაც ის, რაც ადამიანის სულსა და მის გონებას ეხება, ეკლესიის, რომის პაპისა და ზეციერის ინტერესს წარმოადგენს."

ბლეინმა ოდნავ დაუკრა თავი, რითაც ამ კაცის გულწრფელობის მიმართ პატივისცემა გამოხატა, მაგრამ მის ხმაში სიმწარის მარცვალი იგრძნობოდა, როცა მღვდელს მიმართა: "მაშ თქვენ ჩემს შესასწავლად და დასაკითხად მოხვედით?!"

მოხუცი მღვდლის ხმას სევდა შეერია: "ღმერთს ვევედრებოდი, რომ ეს ასე არ გაგეგო, თუმცა, როგორც ჩანს, უშედეგოდ. აქ რომ მოვდიოდი, იმედი მქონდა, რომ

დამეხმარებოდი და ამით ძალაუნებურად ეკლესიასაც შეუწყობდი ხელს, რადგან ხანდახან ეკლესიაც საჭიროებს დახმარებას. სიამაყის გადალახვა და ამის აღიარება, რა თქმა უნდა, არც ისე ადვილია, თუ მხედველობაში მივიღებთ ეკლესიის რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიას. ჭკვიანი ადამიანი ხარ და იმ გამოუცნობ ფენომენს ეკუთვნი, რომელიც საგონებელში გვაგდებს. ვიფიქრე, იქნებ, დამეხმაროს-მეთქი."

ბლეინი უხმოდ იჯდა, მღვდელი კი თვალს არ აშორებდა. ფლენეგანი მოკრძალებული ადამიანი გახლდათ, რომელიც შველას ითხოვდა, მაგრამ ისეთი შინაგანი სიმტკიცით, რომ შეუძლებელი იყო, თვალში არ მოხვედროდა ადამიანს.

"წინააღმდეგი არ ვარ, — უთხრა ბლეინმა, — თუმცა რაიმე სასიკეთო შედეგის იმედი მაინცდამაინც არ მაქვს. თქვენ ამ ქალაქს ეკუთვნით, ამიტომაც თანამოზიარე ხართ იმისა, რაც აქ ხდება."

"ასე არ არის, შვილო. ჩვენ არც ვამართლებთ და არც ვგმობთ რამეს, ამის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით."

"მოგიყვებით ჩემ შესახებ, თუ სურვილი გაქვთ, — თქვა ბლეინმა, — მოგზაური ვარ. ჩემი საქმე ვარსკვლავებზე გამგზავრებაა. ამისთვის მანქანში ვჯდები — მანქანა კი არა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ერთგვარი მოწყობილობაა, რომელიც ათავისუფლებს ჩემს გონებას და გარკვეულ მიმართულებასაც აძლევს. ეს ნავიგაციაში მეხმარება — იცით რა, მამაო, ამის ახსნა ცოტა რთულია მარტივი, ჩვეულებრივი ტერნიმებით. ალბათ გაუგებრად ვლაპარაკობ."

"მშვენივრად მესმის, რასაც ამბობთ."

"ეს ნავიგაცია საკმაოდ უცნაური რამ არის, აქ ისეთი ფაქტორებია ჩართული, რომელთაც სახელს ვერ მოუძებნი. მეცნიერებაში ამას მათემატიკა ეწოდება, მაგრამ სინამდვილეში მათემატიკაც არ არის, ეს უფრო ისეთ შეგრძნებას ჰგავს, როცა იცი, სადაც მიემგზავრები."

"მაგია?"

"ეშმაკმა წაიღოს, არა — უკაცრავად, მამაო. არა, ეს მაგია არ არის. საკმარისია, ჩანვდე მის არსს, შეიგრძნო ის და ყველაფერი მარტივად და ნათლად წარმოგიდგება, შენს განუყოფელ ნაწილად იქცევა. ეს ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც სუთქვა, ისეთივე ადვილი, როგორც მორიდან ჩამოვარდნა. მე ვიტყოდი ..."

"მგონი, არ არის საჭირო ამ პროცესის აღწერა, — შეაწყვეტინა მამა ფლენეგანმა, — უბრალოდ მომიყევი, რა გრძნობა გეუფლება, როცა შორეულ ვარსკვლავზე ხარ?!"

"არავითარი განსხვავება არ არის, შეგრძნება იგივეა, როგორც აქ, დედამიწაზე, უბრალოდ, თავიდან, რამდენიმე ჯერზე, ასე გგონია, თითქოს აბსოლუტურად შიშველი ხარ და მხოლოდ საკუთარ გონებას გრძნობ, ხოლო სხეული თითქოს სადღაც გამქრალა... "

"და სხეულს მოწყვეტილი შენი გონება ჰაერში ტრიალებს?"

"არა, შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, ასეც ყოფილიყო, მაგრამ საქმე სხვანაირად არის. ჩვეულებრივ, სპეციალურ მანქანაში განთავსებენ, რომელსაც შორეულ მოგზაურობაში მიყავხარ."

"მანქანაში?"

"საკონტროლო აპარატში, რომელიც მონაცემებს აგროვებს და დისკზე აღბეჭდავს. მთლიან სურათს იღებ, არა მარტო იმისა, რასაც თავად ხედავ — თუმცა ზოგჯერ ამას ხედვასაც ვერ უწოდებ; ეს უფრო შეგრძნებაა — ყველაფრისა, რისი დაფიქსირებაც შეიძლება. თეორიულად და გარკვეულ წილად პრაქტიკულადაც, აპარატი კრებს მონაცემებს, გონება კი მხოლოდ ინტერპრეტატორის ფუნქციას ასრულებს."

"და რას ხედავ?"

ბლეინს ჩაეცინა: "მამაო, ამის მოყოლა იმაზე მეტ დროს წაგვართმევს, ვიდრე გვაქვს."

"და მაინც თუ შეხვდები იქ ისეთ რამეს, რაც დედამიწაზე არ არის?"

"იშვიათად. მართალია, პლანეტები ბევრია, მაგრამ დედამიწისნაირი — ცოტა, პროპორციულად, რა თქმა უნდა და ჩვენც შეგვიძლია ნებისმიერი ავირჩიოთ. დედამიწისნაირი პლანეტები სულაც არ წარმოადგენს ჩვენს ერთადერთ მიზანს. ყველგან შეგვიძლია წასვლა, სადაც კი აპარატი ფუნქციონირებს და იმას თუ გავითვალისწინებთ, თუ როგორ მუშაობენ ასეთი მანქანები, მაშინ გზა ხსნილია თითქმის ყველგან ...."

"სხვა მზის შუაგულისკენაც კი?"

"ამას თავად მანქანა ვერ გაუძლებდა, მწყობრიდან გამოვიდოდა, თუმცა, ჩემი აზრით, გონება ამასაც გაუმკლავდებოდა. მაგრამ ეს ჯერ არავის უცდია, რამდენადაც ვიცი."

"შენ რას განიცდი ამ დროს, რაზე ფიქრობ?"

"ვაკვირდები, — უპასუხა ბლეინმა, — სწორედ მაგისთვის მივდივარ ხოლმე."

"ისეთ გრძნობას არასოდეს შეუპყრიხარ, როცა საკუთარ თავს ყველა ცოცხალი არსების მბრძანებლად მიიჩნევ, არ გიფიქრია, რომ ადამიანს მთელი მსოფლიო ხელის გულზე უჭირავს?"

"ამ დროს ქედმაღლობისა და ამპარტავნების მდაბალი შეგრძნება არასოდეს გეუფლება. ხანდახან ურუანტელივით გივლის იმის აღმოჩენა, რომ იცი, სადაც ხარ. ხშირად გიტაცებს ფიქრნარევი გაოცებაც, როცა რაღაც წამდაუწუმ გახსენებს საკუთარ უსუსურობასა და უმნიშვნელობას და ზოგჯერ გავიწყდება, რომ ადამიანი ხარ და თავი ცოცხალი ნაგლეჯი გგონია — განუყოფელი ნაწილი ყველაფრისა, რასაც აქამდე უარსებია და რაც ამიერიდან იარსებებს."

"ღმერთზე ფიქრობ?"

"არა, არასდროს," — უპასუხა ბლეინმა.

"ძალიან ცუდი, — თქვა მამა ფლენეგანმა, — შემაშფოთებელია, იყო იქ სულ მარტოდმარტო და...

"მამაო, თავიდანვე გაგაფრთხილეთ, რომ რელიგიური ადამიანი არ ვიყავი — ყოველ შემთხვევაში, საზოგადოდ მიღებული საზომით მაინც. მე არ მომიტყუებიხართ, პატიოსნად გეთამაშეთ."

"მართალია," — აღიარა მამა ფლენეგანმა.

"თქვენი მორიგი კითხვა ალბათ ასეთი იქნება: შესაძლებელია თუ არა, რომ ვარსკვლავებზე მორწმუნე ადამიანი წავიდეს და რწმენა შეინარჩუნოს; შესაძლებელია თუ არა მისი წასვლა და დაბრუნება რწმენის ხელყოფის გარეშე; ვარსკვლავებზე მოგზაურობა შეიწირავს თუ არა იმ მრწამსს, რომელსაც ის გულში ატარებს? ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცე, მაშინ თქვენი ტერმინების განმარტება უნდა გთხოვოთ."

"ჩემი ტერმინების?" — იკითხა მამა ფლენეგანმა განცვიფრებით.

"დიახ, მაგალითად რწმენის. რას ნიშნავს რწმენა? საკმარისია თუ არა ის ადამიანისთვის? შეუძლია ადამიანს მხოლოდ რწმენით საზრდოობა? არსებობს სიმართლის აღმოჩენის საშუალება? შეიძლება თუ არა ქრისტიანობის ჭეშმარიტ საზომად ისეთი საგნებისა და მოვლენებისადმი რწმენა ჩაითვალოს, რომლებსაც არანაირი ახსნა არა აქვთ, გარდა ფილოსოფიურისა? ანდა შესაძლებელია თუ არა, რომ ეკლესიამ ..."

მამა ფლენეგანმა ხელი აღმართა: "შვილო! — შესძახა მან, — შვილო!"

"დაივიწყეთ, მამაო. არ უნდა მეთქვა."

ისინი ერთხანს ისხდნენ და ერთმანეთს ათვალიერებდნენ; მათ არ ესმოდათ ერთმანეთის, თითქოს უცხოები ყოფილიყვნენ. მათი აზრები უდიდესი მანძილით დაშორებოდა ერთმანეთს, თუმცა მაინც ორივე ადამიანი იყო.

"ძალიან ვწუხვარ, მამაო."

"არა უშავს. შენ აღიარე. ბევრს სჯერა, ან ფიქრობს, რომ სჯერა, მაგრამ არასდროს ამხელს, შენ პირდაპირ მაინც თქვი."

მამა ფლენეგანმა ბლეინს მხარზე დაკრა ხელი.

"ტელეპათი ხარ?" — ჰკითხა მან.

"ტელეპათი და ტელეპორტერი, მაგრამ მეტად შეზღუდული შესაძლებლობებით."

"და მეტი არაფერი?"

"არ ვიცი, არასოდეს მიცდია, გამომერკვია."

"შენი აზრით, შეიძლება სხვა ფარული უნარებიც გქონდეს?"

"მისმინეთ, მამაო, პარანორმალური შესაძლებლობებით დაჯილდოვებული ადამიანები სხვადასხვა თვისებით არიან აღჭურვილი. ეს თვისებები ეტაპობრივად ვითარდება, ჯერ მარტივი, ტელეპათიური, ტელეპორტატიული თვისებებით იწყებენ და ნელ-ნელა მიიწევენ წინ. ზოგიერთები გარკვეული პერიოდის შემდეგ აჩერებენ განვითარებას, ხოლო ზოგიერთები — აგრძელებენ. თითოეული ამ უნართაგანი ნაწილ-ნაწილ კი არ არის განხილული, არამედ გონების მთლიანობის უბრალო გამოვლინებას წარმოადგენს. თუ მათ ერთად შევკრებთ, გონება ისე იმუშავებს, როგორც თავიდანვე უნდა ემუშავა, შესაძლებლობა რომ მისცემოდა."

"იქნებ ეს ეშმაკეულია! "

"დიახ, ამ შესაძლებლობების არასწორი გამოყენება სწორედ რომ ბოროტებაა და ძალიან ბევრი ადამიანი იყენებს მას მცდარად — დილეტანტები, რომლებიც არასოდეს დაფიქრებულან ან გაუანალიზებიათ, თუ რა ძალას ფლობდნენ. ადამიანები არა მარტო გონებრივ, არამედ ფიზიკურ ძალასაც იყენებდნენ ბოროტად. ისინი კლავდნენ, იპარავდნენ ..."

"ჯადოქარი ხომ არ ხარ?"

ბლეინს უნდოდა, გადაეხარხარა, მაგრამ თავი შეიკავა. იმხელა შიში იგრძნობოდა ამ კითხვაში, რომ ვეღარ გაიცინა.

"არა, მამაო, გეფიცებით. არც კუდიანი ვარ და არც მაქცია. არც ..."

მოხუცმა ხელი ასწია და ბლეინი შეაჩერა.

"ახლა ჩვენ თანაბარ მდგომარეობაში ვართ, მეც ვთქვი ისეთი რამ, რაც არ უნდა მეთქვა."

მამა ფლენეგანი სწრაფად წამოდგა საწოლიდან და ბლეინს ართრიტისგან დაკრუნჩხული ხელი გაუწოდა.

"გმადლობ, — უთხრა მან, — ღმერთი იყოს შენი მფარველი."

"ამ ღამეს აქ იქნებით?"

"ამ ღამეს?"

"როცა ამ ქალაქის მკვიდრნი ჩემს წასაყვანად მოვლენ და ჩამომახრჩობენ ან დამწვავენ, არ ვიცი, როგორ იქცევიან მსგავს შემთხვევებში."

მოხუცის სახემ ზიზღნარევი გამომეტყველება მიიღო. "რატომ ფიქრობ ასეთ რაღაცებზე? ამ ქალაქში არ ხდება..."

"ამათ არ დაწვეს ფაქტორია და მოვაჭრე კინაღამ მოკლეს?"

"ეს არ იყო მართებული საქციელი, — აღიარა მამა ფლენეგანმა, — თავიდანვე ვუთხარი ამის შესახებ, ვიცოდი, რომ ჩემი მრევლის წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას, თუმცა მარტო ისინი არ იყვნენ ამ საქმეში გარეული, იქ სხვაც ბევრი იყო. მაგრამ ეს თვითონაც უნდა სცოდნოდათ, რადგან წლების განმავლობაში ვუქადაგებდი, მსგავსი საქციელი არ ჩაედინათ."

ბლეინმა ხელი გაიწოდა და მამა ფლენეგანის დაკრუნჩხულ ხელს ჩასჭიდა, მღვდელმაც თბილი და მეგობრული ხელის ჩამორთმევით უპასუხა.

"შერიფი კარგი ადამიანია, ყველაფერს გააკეთებს, რაც მის ძალებში იქნება. ზოგიერთს მე თვითონ დაველაპარაკები."

"გმადლობთ, მამაო."

"გეშინია სიკვდილის, შვილო?"

"არ ვიცი. ყოველთვის მეგონა, რომ არ შემეშინდებოდა, მივალ იქამდე და ვნახავ."

"რწმენა უნდა გქონდეს."

"ალბათ მექნება, თუ ოდესმე ვიპოვნე, რა თქმა უნდა. ილოცებთ ჩემთვის?"

"ღმერთი გწყალობდეს. მთელი დღე ვილოცებ."



10

ბლეინი ფანჯარასთან იდგა და აკვირდებოდა, როგორ გროვდებოდა ქუჩაში ხალხი, ნელ-ნელა, აუღელვებლად, ყოველგვარი აურზაურისა და ხმაურის გარეშე, თითქოს სასკოლო წარმოდგენაზე ან ფერმერების შეხვედრაზე მიისწრაფოდნენ.

ბლეინს ესმოდა შერიფის მოძრაობის ხმა დერეფნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ოფისიდან და ფიქრობდა, ნეტავ იცოდა თუ არა შერიფმა, რასაც აპირებდა ბრბო — ეჭვგარეშეა, რომ იცოდა, რადგან საკმაოდ დიდი ხანია, ამ ქალაქში ცხოვრობდა და იმდენად კარგად იცნობდა აქაურ ხალხს, რომ ზუსტად შეეძლო განესაზღვრა, რას მოიმოქმედებდა.

ბლეინი ფანჯარასთან მივიდა და რკინის გისოსებს ჩასჭიდა ხელი. მათ მიღმა, საპატიმროს მდელოზე გაშლილ ხეებზე, რომელიღაც ჩიტი მღეროდა იავნანას, სანამ ტოტზე საბოლოოდ მოკალათდებოდა და ღრმა ძილს მიეცემოდა.

და სანამ ბლეინი ფანჯრიდან ადევნებდა თვალს ხალხს, ვარდისფერი არსება თავისი ბნელი სამალავიდან გამოცოცდა და მთლიანად დაიკავა მისი გონება.

იმისთვის მოვედი, რომ აქ დავრჩე. მომბეზრდა ამდენი

მალვა. მშვენივრად ვიცი, როგორი ადამიანიც ხარ, შენი არსების ყველა კუთხე-კუნჭული შევისწავლე რუდუნებით, შენი მეშვეობით კი იმ სამყაროს ჩავწვდი, რომელშიც ცხოვრობ, ის ახლა ჩემი სამყაროც არის, რადგან მეც უკვე მისი ბინადარი ვარ.

სისულელეების გარეშე? — იკითხა გაორებული სხეულის იმ ნაწილმა, რომელსაც ჯერ კიდევ ბლეინი ერქვა.

სისულელეების გარეშე, ყვირილის, გაქცევისა და დამალვის მცდელობის გარეშე.

მხოლოდ სიკვდილი ვერ გამიგია, რა არის, მისთვის ახსნა ვერ მომიძებნია. შეუძლებელია, სიცოცხლე ოდესმე დასრულდეს, აქედან გამომდინარე, სიკვდილის ფენომენის არსებობაც წარმოუდგენელია. ასეთი რამ გამორიცხულია. თუმცა სადღაც ძალიან ღრმად, მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს ბუნდოვანი მოგონება, რომ ამგვარი რამ ოდესღაც არსებობდა.

ბლეინი ფანჯარას მოსცილდა, თავის ადგილას დაბრუნდა და საწოლზე ჩამოჯდა და ვარდისფერი არსების ფიქრებში ჩაეფლო. ეს შორეული წარსულის მოგონებები იმდენად ბუნდოვანი იყო, რომ ბლეინს ველარ გაერკვია, სინამდვილეში მოხდა ეს, თუ მხოლოდ მისი წარმოსახვის ნაყოფს წარმოადგენდა.

იმდენი უცხო პლანეტა ენახა, იმდენ სხვადასხვა ჯურის ხალხს შეხვედროდა, რომ ყველაფერი აერია გონებაში. მისი ტვინი უცნაურ იდეებსა და კოსმოსური ინფორმაციის არეულ-დარეულ ნაგლეჯებს დაეკავებინა, რომლებიც უწესრიგოდ ეყარა, მილიარდობით ერთმანეთზე დახვავებული ხის ჩხირების გროვებად, როგორც იმ თამაშში, სადაც ჩხირი ისე ფრთხილად უნდა გამოაძრო, რომ სხვები არ დაშალო.

"როგორა ხარ?" — ჰკითხა შერიფმა, რომელსაც ისე ჩუმად გადმოეკვეთა დერეფანი, რომ ბლეინს მისი ფეხის ხმაც არ გაუგია.

ბლეინმა თავი ასწია: "არა მიშავს. ახლა შენს მეგობრებს ვადევნებდი თვალს ქუჩის გადაღმა."

შერიფმა უსიამოვნოდ ჩაიხითხითა: "ნუ გეშინია, ქუჩის გადმოჭრასაც ვერ გაბედავენ. თუ გადმოვლენ, ჩავალ და დაველაპარაკები."

"რომ გაიგონ, ფიშჰუკიდან ვარ, მაშინ რა მოხდება?"

"ვერ გაიგებენ," — დაამშვიდა შერიფმა.

"მამა ფლენეგანმა ხომ გაიგო, შენ არ უთხარი?"

"ეს სულ სხვა ამბავია, — შეუსწორა შერიფმა, — მღვდელს ხომ ვერ დავუმალავდი."

"არავის ეტყოდა?"

"რატომ უნდა ეთქვა?" — შეეპასუხა შერიფი.

ბლეინმა არაფერი უპასუხა, ეს ისეთი კითხვა იყო, რომელზედაც პასუხს ვერ გასცემდი. "

"შეტყობინება გაუგზავნე?"

"ფიშჰუკისთვის არ გამიგზავნია, მეგობარს ვუთხარი, რომელიც ფიშჰუკს შეატყობინებდა."

"ტყუილი გარჯა იყო, — უთხრა მას ბლეინმა, — რატომ შეწუხდი? ფიშჰუკმა მშვენივრად იცის, სადაც ვარ."

ისინი ბლეინის კვალს დიდი ხნის წინ იპოვნიდნენ და ვიღაცას დაადევნებდნენ. გაქცევის ერთადერთი შანსი ჰქონდა, მარტო უნდა ევლო და სწრაფად შეეცვალა მდებარეობა.

შეიძლება დღესაც გამოჩნდნენ ქალაქში, — გაიფიქრა ბლეინმა და იმედის ნაპერწკალი გაუღვივდა, იცოდა, რომ ფიშჰუკი მის თავს ამ ბრბოს არ დაანებებდა.

ბლეინი საწოლიდან ადგა და ფანჯარასთან მივიდა.

"უკვე შეგიძლია, გახვიდე და დაელაპარაკო, — უთხრა ბლეინმა შერიფს, — ქუჩის გადმოღმა არიან."

ქალაქის მცხოვრებლებს, ბუნებრივია, უნდა ეჩქარათ. გასაკეთებელი მანამ უნდა გაეკეთებინათ, სანამ დაღამდებოდა. ღამე რომ ჩამოწვებოდა, ისინი თავიანთ თბილ სახლებში უნდა შეყუჟულიყვნენ, კარი ორმაგად ჩაეკეტათ,

დარაბები ჩაერაზათ, ფარდები ჩაძოეშვათ და კაბალისტური ნიშანიც ყველა შესასვლელში გამოეკიდათ. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდნენ ისინი დაცული სიბნელეში მოხეტიალე ბოროტი ძალებისგან, ავი სულებისგან, მაქციებისგან, ვამპირებისგან, გობლინებისა და ელფებისგან.

შერიფი მობრუნდა, კორიდორი გაიარა და თავის ოფისში დაბრუნდა. ბლეინმა მეტალის ხმა გაიგონა და მიხვდა, რომ შერიფმა თოფი ჩამოიღო თაროდან, გადახსნა და ლულაში ტყვიები ჩაალაგა.

ბრბო მოფარფატე შავი მანტიასავით მოიწევდა წინ, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა, მხოლოდ ფეხის ფრატუნი ისმოდა.

ბლეინი ამ ყველაფერს მოჯადოებულივით ადევნებდა თვალს, თითქოს ეს სანახაობა სადღაც შორს იმართებოდა და მას არ უკავშირდებოდა. მისი სიმშვიდე გასაოცარი იყო, მით უმეტეს მაშინ, როცა იცოდა, რომ ეს ბრბო პირდაპირ მისკენ მოემართებოდა.

თუმცა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან სიკვდილი არ არსებობდა. სიკვდილი სრული უაზრობა გახლდათ და მასზე ფიქრიც დროის ფუჭი და აუტანელი ფლანგვა იყო.

და ამას ვინ ამბობდა?

ბლეინმა ხომ მაინც იცოდა, რომ სიკვდილი რეალურად არსებობდა — რომ იმ სამყაროში, სადაც ყველაფერი ევოლუციურ პრინციპებს ემორჩილება, სიკვდილი აუცილებელი ფენომენია, რომ ის ერთ-ერთი იმ მექანიზმთაგანია, რომელსაც ევოლუციური სახეობებისთვის პროგრესი და წინსვლა მოაქვს.

შენ, — მიმართა მან საკუთარ გონებაში მობინადრე არსებას, — ეს შენი იდეაა. შენ ხომ არ აღიარებ სიკვდილს.

სიკვდილი კი ისეთი ჭეშმარიტებაა, რომლის არაღიარება დაუშვებელია. სიკვდილი რეალური ფენომენი და ყველგან არის. მის მუდმივ არსებობას ნებისმიერი ადამიანი გრძნობს საკუთარი მოკლე ცხოვრების მანძილზე.

სიკვდილი მართლაც რომ არსებობდა და ისე ახლოს იყო, მისი სუნთქვაც კი ისმოდა. ამას ვერ უარყოფდი. ის შენობის გარეთ შეგროვილი ბრბოს ბუტბუტში იგრძნობოდა, ბრბოსი, რომელიც უკვე თვალს მიფარებოდა, თავისი მძიმე სვლა შეეწყვიტა და ციხის კართან თავმოყრილი, შერიფს ეკამათებოდა. გარეთა კარიდან გარკვევით ისმოდა შერიფის ხმამაღალი ლაპარაკი, იგი შეკრებილ ხალხს დაშლისკენ მოუწოდებდა.

"ამით ვერაფერს მოიგებთ, ვერაფერს მიიღებთ, გარდა ტყვიისა მუცელში," — ყვიროდა შერიფი.

ბრბოც ყვირილით პასუხობდა და შერიფიც ღრიალს განაგრძობდა. ასე მეორდებოდა გარკვეული ხანი. ბლეინი გისოსებთან იდგა და ელოდებოდა. მას შიშის გრძნობა იპყრობდა, თავიდან ნელ-ნელა, შემდეგ კი მოზღვავებულ ტალღასავით შემოაწვა სისხლში.

როგორც იქნა, შერიფი შენობაში შემოვიდა, თან სამი კაცი ახლდა — ბრაზმორეული და შეშინებული გამომეტყველება ჰქონდათ, მაგრამ იმდენად მიზანდასახულად და პირქუშად მოემართებოდნენ, რომ აშკარა იყო, სიბრაზეს შიში გადაეფარა.

შერიფი ოფისიდან დერეფანში გამოვიდა თოფით ხელში, დანარჩენი სამი ფეხდაფეხ დაჰყვებოდა მას.

შერიფი ზუსტად გისოსების გარეთ გაჩერდა და ბლეინს შეხედა, თან სახეზე გამეფებული შეცბუნების-დამალვას ცდილობდა.

"მაპატიე, ბლეინ, — მოიბოდიშა მან, — მაგრამ ამის გაკეთება არ შემიძლია. ჩემი მეგობრები არიან, მათ შორის გავიზარდე და ვერ ვესვრი."

"რა თქმა უნდა, ვერ ესვრი, ლაჩარო," — მიახალა ბლეინმა.

"მომე გასაღები, — ჯიჯღინებდა ერთ-ერთი, — აქედან გავიყვანოთ."

"კართან კიდია ლურსმანზე," — უპასუხა შერიფმა.

ბლეინს შეხედა.

"ვერაფრით დაგეხმარები, უძლური ვარ," — თავი გაიმართლა შერიფმა.

"აქედან დაიკარგე," — შეუყვირა ბლეინმა.

კაცმა გასაღები ჩამოხსნა და შერიფი გვერდზე გადგა. გასაღებმა საკეტში გაიჩხაკუნა.

"ერთადერთი პირობა მაქვს, — გამოუცხადა ბლეინმა კაცს, რომელიც კარს აღებდა, — აქედან მარტო უნდა გავიდე."

"ჰა?" — ჩაცინა კაცმა.

"მარტო მინდა-მეთქი გავიდე. არ მოგცემთ იმის საშუალებას, რომ აქედან გამათრიოთ."

"აქედან ისე გახვალ, როგორც გაგიყვანთ."

"ამით არაფერი დაშავდება, — არწმუნებდა მას შერიფი, — თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, როგორ გავა?"

კაცმა საკნის კარი გამოაღო. "კარგი, გამოდი," — შესძახა მან.

ბლეინი დერეფანში გავიდა, სამიდან ორი გვერდიგვერდ ამოუდგა, ხოლო მესამე უკან მიჰყვებოდა. ხელიც არ უხლიათ მისთვის. კაცმა, რომელსაც გასაღებები ეჭირა, იატაკზე დაანარცხა მთელი აცმა. მათი გრუხუნის ხმამ დერეფანი მოიცვა და ბლეინი ნერვიულმა თრთოლამ აიტანა.

"იარე, წყეულო პარაფსიქო," — იყვირა მის უკან მდგომმა კაცმა და ზურგში ხელი ჰკრა.

წარმოუდგენელია, — გაიფიქრა ბლეინმა, — მაგრამ ეს ყველაფერი ჩემს თავს ხდება.

"გინდოდა, შენი ფეხით გევლო, — შესძახა მეორემ, — აბა იარე!"

ბლეინი მიდიოდა, მტკიცე და ურყევი ნაბიჯებით, მყარად ადგამდა ფეხს, რადგან არ უნდოდა, წაებორძიკა, არ უნდოდა, შეცდომა დაეშვა და ისეთი რამ გაეკეთებინა, რაც შეარცხვენდა.

იმედი ჯერ კიდევ ცოცხლობს, — შეუძახა საკუთარ თავს. ჯერ კიდევ იყო შანსი, რომ იქ ვიღაცა მაინც იქნებოდა

ფიშჰუკიდან და ამ მხეცებს გამოსტაცებდა, მის თავს, ანდა იქნება ჰარიეტმა დამხმარე ძალა იშოვნა და საშველად მოდიოდა. თუმცა ბლეინს ამის ნაკლებად სჯეროდა. ჰარიეტს საკმარისი დრო არ ჰქონდა და ვერც იმას მიხვდებოდა, თუ რამდენად სწრაფად უნდა ემოქმედა.

ბლეინმა მტკიცედ გამოიარა შერიფის ოფისი და გარეთა კარისკენ გამავალ ჰოლს ჩაუარა, სამი კაცი გვერდიდან არ შორდებოდა, ახლოს მიჰყვებოდა.

ვილაცას გარეთა კარი გაეღო და დამცინავი თავაზიანობით ეჭირა, რომ ბლეინს გაევლო.

ბლეინი წამით შეჩერდა. უეცარმა პანიკამ შეიპყრო. თუ ამ კარში გაივლიდა, გარეთა კიბეზე დადგებოდა და იქ მომლოდინე ბრბოს თვალს გაუსწორებდა, გადარჩენის ბოლო იმედი გადაეწურებოდა.

"იარე, შე ბინძურო ნაძირალა, — იღრიალა მის უკან მდგომმა კაცმა, — შენ გელოდებიან."

კაცმა მხარზე ნერვიულად დაადო ხელი და მუჯლუგუნი ჰკრა. ბლეინმა რამდენიმე ნაბიჯი წაიბორძიკა, მაგრამ მალე დაიბრუნა წონასწორობა.

ბლეინმა ზღურბლს გადააბიჯა და ბრბოს წინაშე აღმოჩნდა.

ბრბომ ველური ხმით იღრიალა — ერთმანეთში არეული შიშისა და სიძულვილის ხმით, რომელიც სისხლიან კვალზე მდგარი მგლების ხროვის ყმუილს ჰგავდა, მსხვერპლის მოლოდინში ჩასაფრებული ვეფხვის ბრდღვინვას და კიდევ იყო მასში რაღაც, რაც მტაცებლისგან სიკვდილამდე დევნილი და კუთხეში მომწყვდეული ცხოველის წკმუტუნს ჰგავდა.

ეს ხალხი, — ფიქრობდა ბლეინი ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, — ხომ სწორედ დევნილ ცხოველებს ჰგავდა, ხალხი, რომელიც მუდმივად გარბოდა რაღაცისგან და შიშის, სიძულვილის, შურისა და იმედგაცრუების გრძნობას მოეცვა. ისინი ცვლილებების მიღმა აღმოჩნდნენ, ვერ გახდნენ

სიახლეების თანამოზიარენი. მათი ქმედებები იმ ადამიანებისთვის დამახასიათებელი შეუწყნარებლობითა და თვითკმაყოფილებით გამოირჩეოდა, რომლებმაც უარი თქვეს რაღაცის შემეცნებაზე. ეს ხალხი ძველი წყობის უკანასკნელ ზღუდეს წარმოადგენდა, რომელიც მომავლის მისადგომებთან აღმართულიყო და ყველა ღონით ცდილობდა წინსვლის შეჩერებას.

ისინი მოკლავდნენ მას, ისევე, როგორც სხვები მოუკლავთ და კიდევ ბევრს გამოასალმებდნენ სიცოცხლეს მომავალში, მაგრამ მათი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, ბრძოლა უკვე წაგებული ჰქონდათ.

ბლეინს ვიღაცამ ხელი ჰკრა უკნიდან, ფეხი დაუცდა და პრიალა საფეხურებზე გადაეშვა. ხალხი გარს შემოევლო და თავზე დაადგა. უამრავი ხელი ეხებოდა, უამრავი თითი ჩქმეტდა, სახეზე მათ აყროლებულ სუნთქვას გრძნობდა.

ხელებმა ბლეინი ფეხზე წამოაგდეს და მუჯლუგუნებს ურტყამდნენ. ერთმა მუცელში ჰკრა ხელი, მეორემ სახეში მაგრად გაარტყა. მგმინავი ბრბოდან ვიღაცის ბღავილი გაისმა: "მიდი, შე ბინძურო ტელეპათო, გაქრი აბა აქედან, გადადი სხვა სამყაროში."

ეს ყველაზე მეტად მორგებული დაცინვა იყო, რადგან ძალიან ცოტას თუ ძალუძდა ტელეპორტირება. მათ, ვინც ჰაერში ჩიტებივით დაფრინავდნენ, ლევიტატორებს უწოდებდნენ. ბევრს, ბლეინის მსგავსად, შეეძლო მხოლოდ მცირე ზომის ობიექტების ტელეპორტირება, ხოლო ზოგიერთებს, ასევე ბლეინისნაირებს, — გონების ტელეპორტირება მრავალი მილიონი სინათლის წლის მანძილზე, მაგრამ ამას მხოლოდ სპეციალური მანქანების მეშვეობით ახერხებდნენ. თუმცა ჭეშმარიტი ტელეპორტაცია, საკუთარი სხეულის ერთი ადგილიდან თვალის დახამხანებაში მოწყვეტა და მეორე ადგილას გადატანა, ძალზე იშვიათი მოვლენა იყო.

ბრბო დაცინვას განაგრძნობდა: "გაქრი! გაქრი! გაქრი!

გაქრი! შე ბინძურო ნაძირალა!" საკუთარი ჭკუით აღფრთოვანებულები იცინოდნენ და მსხვერპლის შეურაცხყოფით სიამოვნებას იღებდნენ. ერთი წუთითაც არ იუჩერებიათ მისი ხელებითა და ფეხებით ცემა.

უცბად ბლეინს ნიკაპზე რაღაც თბილი სითხე ჩამოეღვარა, ცალი ტუჩი დაუსივდა, პირში მარილიან გემოს გრძნობდა, მუცელი და ნეკნები სტკიოდა, მუშტები და ფეხები კი კვლავ გამეტებით ურტყამდნენ.

შემდეგ ისევ ღრიალის ხმა გაისმა ამ გუგუნში: "შეჩერდით! დაანებეთ თავი!"

ხალხი შეჩერდა, მაგრამ წრე არ გაუხსნია, ბლეინი კი იდგა შუა წრეში და ჩამავალი მზის მკრთალ შუქზე დაინახა გარშემორტყმული ვირთხისებური თვალების ელვარება, დუჟმორეული ტუჩები და უცბად შეიგრძნო ის ძლიერი სიძულვილი, რომელიც ტალღასავით მოექანებოდა მისკენ.

წრე გაიყო და ორი მამაკაცი გამოჩნდა — ერთ-ერთი, მოუსვენარი ჩია კაცი, ბუღალტერს ან კლერკს ჰგავდა, ხოლო მეორეს — ზორბას, ჩოფურას, თითქოს მის სახეზე ქათმებმა მარცვლები და ჭიები კენკესო, ხელში დახვეული თოკი ეჭირა, რომლის ერთი ბოლო, ყულფის ფორმაზე გამონასკვული, მკლავზე ეკიდა.

ორივე ბლეინის პირდაპირ გაჩერდა, ხოლო ჩია კაცი ოდნავ მიბრუნდა, რომ წრის ერთი მხარისთვის შეეხედა.

"ხალხო, — მიმართა მან იქ შეკრებილთ ისეთი ხმით, ნებისმიერი დამკრძალავი ბიუროს დირექტორს რომ შეშურდებოდა, — ღირსეულად და წესიერად უნდა მოვიქცეთ, ჩვენ არაფერი გვაქვს პირადად ამ კაცის საწინააღმდეგო, უბრალოდ, იმ სისტემას ვუცხადებთ ომს, რომელსაც ეკუთვნის."

"მიდი, ბასტერ!" — იყვირა ვიღაცის აღფრთოვანებულმა ხმამ ხალხის უკანა რიგებიდან.

კაცმა, დამკრძალავი ბიუროს დირექტორის ხმით, ხელი ასწია ხალხის გასაჩუმებლად.

"ძალზე არასასიამოვნო მოვალეობაა, შეიძლება ითქვას, აუტანელიც, — წარმოთქვა მან მლიქვნელური ხმით, — მაგრამ ეს ჩვენი მოვალეობაა და პირნათლად უნდა შევასრულოთ."

"მართალია, — იყვირა ვიღაც ენთუზიასტმა, — მოდი, ჩამოვახრჩოთ ეგ ნაძირალა და ამით დავასრულოთ!"

ზორბა კაცი ბლეინთან მივიდა, ყულფი ასწია და თითქმის ნაზად ჩამოაცვა თავზე, ისე, რომ მხრებზე ეცემოდა, შემდეგ ნელ-ნელა მოუჭირა, სანამ კისერზე მაგრად არ შემოეჭდო.

თოკი ახალი იყო, კისერს ფხაჭნიდა და გავარვარებულ უთოსავით წვავდა. წელანდელი გაბუუება წყალივით გამოსვლოდა სხეულიდან და ბლეინმა უეცარი სიცივე, სიცარიელე და სიშიშვლე შეიგრძნო.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, მაშინაც კი, როცა ეს ყველაფერი ხდებოდა, ბლეინი ქვეცნობიერად იმ იმედს ეჭიდებოდა, რომ არ შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო, წარმოუდგენელად მიაჩნდა ასეთი სიკვდილი, ეს შეიძლება ბევრ სხვა ადამიანს შემთხვეოდა, მაგრამ არა შეპარდ ბლეინს.

და ახლა სიკვდილს სულ რაღაც ორიოდე წუთი აშორებდა; სიკვდილის მანქანა უკვე მუშაობდა. ეს ხალხი — რომელთაგან არც ერთს, არც მეორეს არ იცნობდა — მისი სიცოცხლის ხელყოფას აპირებდა.

ბლეინმა სცადა, თოკი გამოეტაცა, მაგრამ გაქვავებული ხელები ვერ აამოძრავა. ცდილობდა, ჰაერი ჩაესუნთქა, მაგრამ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაც ახრჩობდა.

მათ კი ჯერ მისი ჩამოხრჩობაც არ დაეწყოთ.

სხეულში გამეფებული სიცივე სულ უფრო აუტანელი ხდებოდა, წარმოუდგენელი შიშის გრძნობა დაუფლებოდა და გაექვავებინა. ასე ეგონა, სისხლი ძარღვებში გაეყინა, საკუთარ სხეულს ვერ გრძნობდა, ტვინი თითქოს ყინულის ზოდებით ევსებოდა და გასკდომას ლამობდა.

მოულოდნელად, გონების რომელიღაც შორეულ ნაწილში,

გაუელვა აზრმა, რომ ის ადამიანი კი არა, დამფრთხალი ცხოველი იყო, სციოდა, მაგრამ ზედმეტი სიამაყის გამო, თავს სიცივისგან წკმუტუნის უფლებას არ აძლევდა. შიშისგან პარალიზებულ სხეულს ვერ ამოძრავებდა, გაშეშებული ენა და ყელი ყვირილის საშუალებას არ აძლევდა.

ხმაღლა დაყვირება არ შეეძლო, სამაგიეროდ მის შიგნით უფრო და უფრო ძლიერდებოდა კივილის ხმა. იცოდა, თუ ამ მოზღვავებულ გრძნობას ახლა არ მისცემდა გარეთ გამოსვლის საშუალებას, მეორე წუთს ეს გრძნობა თავად წალეკავდა.

მოულოდნელად, წამის მეასედში, ყველაფერი ბინდმა დაფარა და ბლეინმა იგრძნო, რომ მარტო იდგა და სიცივის შეგრძნებაც სადღაც გაუქრა.

საპატიმროსკენ მიმავალ უძველეს ქვის ბილიკზე იდგა, თოკი ისევ ყელზე ეკიდა. საპატიმროს წინ გაშლილ მოედანზე კი არავინ იყო.

სრულიად მარტო აღმოჩნდა ცარიელ ქალაქში!



11

ქალაქს ჩამოწოლილი ბინდი სადღაც გაქრა და იქაურობა ნათელმა და წარმოუდგენელმა სიმშვიდემ მოიცვა.

არ იყო ბალახი.

არ იყო ხეები.

არ იყო ადამიანი, ძეხორციელის ნიშანწყალიც არ ჩანდა.

სასამართლოს წინ გაშლილი შიშველი გაზონი, ან ის, რაც წელან გაზონი იყო, მოასფალტებული ქუჩისკენ ჩადიოდა. გაზონზე ბალახი არ იზრდებოდა, არც გახმარი ბალახი, არც მოცელილი ბალახი, საერთოდ არანაირი ბალახი არ ჩანდა, მარტო მიწა და ხრეში ეყარა, თითქოს ბალახი, როგორც ასეთი, საერთოდ არ ყოფილა და არც არასოდეს უარსებია.

ბლეინი ერთ ადგილას იდგა და ნელი მოძრაობით აბრუნებდა თავს აქეთ-იქით, კისერზე ისევ ყულფი ჰქონდა გამონასკვული. ირგვლივ პეიზაჟი არ იცვლებოდა, ჩამავალი მზის ფონზე სასამართლოს შენობა გაშეშებულიყო, ქუჩა ისევ ცარიელი იყო, ტროტუარებთან მანქანები ეყენა და ჩამწკრივებული მაღაზიების ვიტრინები მკრთალად იმზირებოდნენ.

საპარიკმახეროსთან კუთხეში ერთადერთი ხე იდგა, ისიც გამხმარი და მარტოსული.

ირგვლივ ადამიანი არ ჩანდა, არც ძაღლი, არც კატა, არც

ჩიტების ჭიკჭიკი და მწერების ბზუილი ისმოდა. აქ არავითარი ცოცხალი ორგანიზმი არ ბინადრობდა.

ფრთხილად, თითქოს მყუდროების დარღვევის ეშინოდა, ბლეინმა ხელები ასწია, თოკი მოიხსნა, თავზე გადაიტარა და მინაზე დააგდო. ცალი ხელით გაშეშებული კისერი მოისრისა. თოკის პატარა ნაწილები ეკლებივით ერჭობოდა.

ერთი ნაბიჯი გადადგა საცდელად და დარწმუნდა, რომ სიარული შეეძლო, თუმცა ნაგვემი სხეული ისევ სტკიოდა. ქუჩაში გავიდა, მის შუაგულში მოექცა და მთელ სიგრძეზე აათვალ-ჩაათვალიერა. თვალთახედვის არეში არავინ მოჩანდა.

მზე ჩავიდა, მალე სიბნელე დაისადგურებდა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ბლეინი დროში სულ რაღაც მცირე მონაკვეთით უკან გადაადგილდა.

. ბლეინი შუა ქუჩაში იდგა, გაქვავებული, გაყინული. სწორედ ახლა გაისიგრძეგანა, რაც მოხდა.

აქამდე როგორ ვერ მიხვდა! დღესავით ნათელია, ეს მან ჩაიდინა, თუმცა ალბათ უფრო ქვეცნობიერად, ინსტინქტურად გააკეთა, ვიდრე შეგნებულად, რაც საფრთხისგან თავის დაღწევის რეფლექსით იყო გამოწვეული.

წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ შეძლო ამის გაკეთება, ერთი ორი წუთის წინ რომ გეკითხათ, გულწრფელად დაიფიცებდა, რომ გამორიცხული იყო ასეთი რამ. ეს ადამიანის ფიზიკურ ძალებს აღემატებოდა.

ბლეინმა დროში იმოგზაურა და წარსულს ეწვია, სწორედ იმ წარსულს, ნახევარი საათის წინ აწმყო რომ იყო.

ბლეინი შუაგულ ქუჩაში იდგა და ცდილობდა, გონებაში აღედგინა, ეს როგორ გამოუვიდა, მაგრამ ერთადერთი, რისი გახსენებაც შეძლო, ტალღასავით მზარდი შიშის ზარი გახლდათ, რომელიც მზად იყო, ზვირთივით აგორებულიყო და თავის მორევში შთაენთქა. ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობდა: ამის გაკეთება მასში ღრმად

ფესვგადგმული ქვეცნობიერი ცოდნის შედეგად შეძლო, რომლის არსებობის შესახებ თვითონაც არ იცოდა, და ეს ყველაფერი ერთი საბოლოო, თავგანწირული, ინსტინქტური მცდელობის მეოხებით მოხდა — როგორც, მაგალითად, ხელის რეფლექსური მოძრაობა მოულოდნელი დარტყმისგან თავის დასაცავად.

ეჭვგარეშეა, ადამიანი ამას ვერ გააკეთებდა, ეს მის ძალებს აღემატებოდა, უცხო, ზებუნებრივი გონებისთვის კი ეს უდავოდ ხელმისაწვდომი იქნებოდა. ბლეინს არ ჰქონდა საამისო ადამიანური ინსტინქტი და სათანადო გამოცდილება, თუნდაც მცირედი. ეს უნარი პარანორმალური ძალების საზღვრებსაც სცილდებოდა. ერთი რამ ცხადი იყო: წარსულში გადანაცვლების ერთადერთი გზა არსებობდა და ეს მხოლოდ ამ უცხო გონების მეშვეობითა და შუამავლობით შეიძლებოდა მომხდარიყო.

მაგრამ როგორც ჩანდა, ამ ძალას უკვე დაეტოვებინა ბლეინი, მასთან აღარ იყო. ბლეინი უხმობდა მას, მაგრამ პასუხი არ ისმოდა, მისი კვალიც კი გამქრალიყო.

დასავლეთისკენ მიბრუნდა და ამ აჩრდილისებური ქალაქის შუაგულ ქუჩას აუყვა.

წარსულის სასაფლაო, — გაიფიქრა, — ყველაფერი ჩამკვდარია, მხოლოდ უსიცოცხლო, ცარიელი ქვა და ღორღი, გამხმარი ხე და თიხა.

და სად უნდა გამქრალიყო სიცოცხლე?

რატომ უნდა დამარხულიყო წარსული?

რა ბედი ეწია იმ გონებას, შორეული ვარსკვლავის უცხო ბინადარმა რომ გაუცვალა?

კიდევ ერთხელ მოუხმო უცხოს, მაგრამ ისევ უშედეგოდ, მისი კვალიც კი ვერ აღმოაჩინა; ერთადერთი, რაც მისგან დარჩენილიყო, ეს ბლეინის გონებაში გავლებული პაწაწინა, მტვრიანი ნაფეხურები, უცნაური, ქაოტური მოგონებების ნაგლეჯები და არაამქვეყნური, ერთმანეთთან

დაუკავშირებელი ინფორმაციის ნაწყვეტები იყო, რომლებიც მისი მეხსიერების ქაფმორეულ ზღვაში მოტივტივე ნივთებივით ეყარა.

ბლეინმა, მართალია, თვითონ უცხო ვერ იპოვა, მაგრამ მიხვდა მისი გაუჩინარების მიზეზს — ეს იყო ინსტინქტური პასუხი, რომელმაც მოულოდნელად გაუელვა თავში. უცხო გონება არსად წასულა, არ მიუტოვებია, არამედ საბოლოოდ შეერწყა მის გონებას. იმ შიშის, პანიკისა და საფრთხის შეგრძნებისას თავი იჩინა გარკვეულმა ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა, ქიმიურმა რეაქციამ, რამაც ამ ორი გონების შედუღება განაპირობა.

მაგრამ ბლეინი მაინც ადამიანად რჩებოდა, ამიტომ ეს პასუხი, მისი აზრით, მცდარი უნდა ყოფილიყო, თუმცა ის მაინც ჯიუტად განაგრძობდა არსებობას. მას არავითარი ახსნა-განმარტება და ლოგიკური დასაყრდენი არ ჰქონდა, რადგან ორი გონება რომ ჰქონოდა, ნახევრად ადამიანი და ნახევრად უცხო რომ ყოფილიყო, განსხვავება აუცილებლად იქნებოდა და ის ამ განსხვავებას შეამჩნევდა.

ქუჩის ბიზნეს ცენტრი ღარიბულმა დასახლებებმა შეცვალეს, შორს, ქუჩის ზემოთ, მოჩანდა ის ადგილი, სადაც ქალაქი მთავრდებოდა, ქალაქი, რომელიც ნახევარი საათის წინ (ან ნახევარი საათის შემდეგ) ასე დაჟინებით ცდილობდა მის მოკვლას.

ბლეინი შეჩერდა და უკან მოიხედა, სასამართლოს გუმბათის დანახვაზე გაახსენდა, რომ ყველაფერი, რაც ჰქონდა, იქ დარჩენოდა, შერიფის მაგიდაში ჩაკეტილი. წუთით შეყოვნდა, ვერ გადაეწყვიტა, მიბრუნებულიყო თუ არა. საშინელებაა, როცა ჯიბეები ცარიელი გაქვს და დოლარიანიც არ გიჭყავის.

რომ დაბრუნებულიყო, მანქანასაც გაიტაცებდა. თუ ისეთ მანქანას ვერ იპოვნიდა, რომელშიც გასაღები იქნებოდა ჩარჩენილი, მაშინ მავთულების პირდაპირ გადაერთებით დაქოქავდა. ადრე როგორ ვერ მოიფიქრა, უამრავი მანქანა

იდგა, რომლებსაც თავისუფლად გაიტაცებდა.

შებრუნდა და საპატიმროსკენ გასწია, ორი ნაბიჯი გაიარა და ისევ უკან შემოტრიალდა.

ვერ ბედავდა მიბრუნებას, აქ უფრო უსაფრთხოდ გრძნობდა თავს, ვერაფერი აიძულებდა ქალაქში მიბრუნებას, ვერც ფული, ვერც მანქანა და სხვა რამ.

ბინდი წვებოდა, ბლეინი ჩრდილოეთისკენ გაეშურა და სწრაფი ნაბიჯებით გადაჭრა ქუჩა.

ქალაქს რომ გასცდა, ტრიალ ველზე აღმოჩნდა, რომელიც ქალაქზე მეტად უნაყოფო და მიუსაფარი ჩანდა. უსიცოცხლოდ ჩამწკრივებულ ალვის ხეებს შორის ნაკადული დახტოდა, მესერის ბოძები აჩრდილებივით წამომართულიყვნენ, გახრიოკებულ მიწაზე ბალახის ღეროსაც ვერ შეხვდებოდით. ქარი კვნესით ეფინებოდა უდაბნოს კალთებს.

სიბნელემ იმატა, მალე მთვარეც გამოჩნდა — მისი ზედაპირი ძველ სარკესავით დაბინდული და ვერცხლისფრად დასერილი იყო — და დედამიწის ამ გამხმარ ნაგლეჯს მკრთალი შუქი მოჰფინა.

ბლეინი პაწაწინა ნაკადულზე გადებულ ფიცრის ხიდს მიადგა, წამით შეისვენა და უკან მოიხედა, მის ნაკვალევზე არაფერი მოჩანდა, არაფერი იძროდა. ქალაქი რამდენიმე მილით ჩამოეტოვებინა, გორაკზე მიტოვებული ფერმის ნანგრევები შეფენილიყო — ფარდული, რომელიც საღორეს უფრო წააგავდა, რამდენიმე გაპარტახებული პატარა შენობა და თავად სახლი.

ბლეინი იდგა და ხარბად ისუნთქავდა ფილტვებში ჰაერს. ისეთი შეგრძენება ჰქონდა, თითქოს ჰაერსაც სიკვდილი მორეოდა, გამჭვირვალე და უსიცოცხლო იყო, ყოველგვარი გემო და სურნელი დაჰკარგოდა.

მას ხელის ფიცარზე ჩამოდება უნდოდა, მაგრამ მოულოდნელად ხელმა ფიცრის მეორე მხარეს გაატანა, ბლეინის ხელი ზედაპირზე კი არ გაჩერებულა — ფიცარში

გავიდა. იქ სიცარიელე იყო — არც ფიცარი და არც ხიდი.

ბლეინმა კიდევ ერთხელ სცადა, ხომ შეიძლებოდა, ასცდენოდა ხეს, ვერ მოეჭიდა ხელი მისთვის. მთვარის შუქზე კაცს უცნაური რაღაცები ელანდება, შეიძლება, მოეჩვენა, რომ ხელმა ფიცარში შეაღწია.

ამჯერად მან უფრო ფრთხილად გაიმეორა იგივე პროცესი.

ამჯერადაც იგივე შედეგი მოჰყვა მის მცდელობას.

ბლეინმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან და ხიდს შეშინებული მოსცილდა, რადგან მოულოდნელად ხიდი ცოცხალ საგნად იქცა, თითქოს სული შთაბერესო, ვერ იტყოდით, რომ საშიშ საგნად, მაგრამ მაინც იყო მასში რაღაც, რაც სიფრთხილისკენ მოუწოდებდა. მას თითქოს დასაყრდენი არ ჰქონდა, თითქოს წარმოსახვისა და ილუზიის ნაყოფი, შუა ქუჩაში გაშლილი მოჩვენება იყო. ბლეინს ეგონა, მასზე რომ გაევლო, უეჭველად ჩაინგრეოდა და წყალში აღმოჩნდებოდა.

უსიცოცხლო ხეები და ქარწაღებული გზის მაჩვენებლებიც ილუზია იყო?

ბლეინი გაქვავებულივით იდგა და ფიქრობდა: ნუთუ ეს ყველაფერი ეჩვენებოდა? იმის შიშით, რომ ერთ პატარა უნებლიე მოძრაობას, მცირედ ამოსუნთქვას ეს უსუსური, წარმოსახვითი სამყარო ნაცარტუტად არ ექცია, ბლეინი ზედმეტი ნაბიჯის გადადგმას, მომეტებულად სუნთქვასაც ვერ ბედავდა.

მიწა მის ფეხქვეშ უწინდელივით მყარი იყო, ყოველ შემთხვევაში, ბლეინს ასე ეგონა. ცალი ფეხი მაგრად დააჭირა დედამიწას, მაგრამ ის არ განძრეულა. ფრთხილად დაიჩოქა და გაშლილი ხელისგულებით სინჯავდა მიწას, თითებით სრესდა და მუშტებით ზელდა, თითქოს მის სიმყარეში დარწმუნება უნდოდა.

რა სისულელეა, გაიფიქრა საკუთარ თავზე გულმოსულმა, — ეს გზა არ გამოიარა? სწორედ ეს მიწა იყო, მყარად რომ იდგა და მის ნაბიჯებზე არ შერყეულა.

მიუხედავად ამისა, დარწმუნებული მაინც ვერ იქნებოდი, რადგან ამ ადგილას, როგორც ჩანდა, არავითარი კანონი არ მოქმედებდა, ანდა იძულებული იყავი, თავად დაგედგინა, მაგალითად: გზები სავსებით რეალურია, აი ხიდები კი წარმოსახვითი.

თუმცა საქმე ამაში სულ არ იყო. ალბათ, ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ სამყაროში სიცოცხლე საერთოდ არ არსებობდა.

ეს მკვდარი წარსულის ქვეყანა იყო, მასში მხოლოდ უსიცოცხლო სხეულები ბინადრობდნენ, უფრო სწორად — ამ სხეულების აჩრდილები. გამხმარი ხე, მესერის ბოძები, ულიმღამო ხიდები და შენობები სწორედ ამ აჩრდილებს განეკუთვნებოდნენ. სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ჩანდა; სიცოცხლე წინ წასულიყო. ის ალბათ დროის ერთადერთ წერტილშია განლაგებული და მის დინებას მიჰყვება, მასთან ერთად მოძრაობს. აქედან გამომდინარე, ფიქრობდა ბლეინი, ადამიანს შეუძლია დაემშვიდობოს წარსულში მოგზაურობის ოცნებას, ცხოვრებას, ფიქრს, ლაპარაკს იმ ადამიანებთან, რომლებიც დიდი ხანია, რაც მტვრად ქცეულიყვნენ. ცოცხალი წარსული არ არსებობს, არც კაცობრიობის წარსული არსებობს, გარდა ფურცლებზე შემონახულისა. აწმყო ერთადერთი რეალობაა, სადაც სიცოცხლე შესაძლებელია — ცხოვრება დინებას აგრძელებს და ცდილობს, აწმყოს აუბას ნაბიჯი, არ ჩამორჩეს მას და იქ, სადაც ის გაივლის, მისი არსებობის ყველა კვალი საგულდაგულოდ წაიშლება.

თუმცა არსებობდა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ელემენტი, მაგალითად, თავად დედამიწა, რომელიც დროის ნებისმიერ ქარცეცხლს უძლებდა და გარკვეული უსასრულობის ატმოსფეროს ქმნიდა, ხოლო მკვდარი სხეულები წარსულშივე რჩებოდნენ სამუდამოდ გარდასული სულებივით. მესერის ბოძები, მათზე გაჭიმული მავთულები, უსიცოცხლო ხეები, დანგრეული ფერმები და ხიდები იმ აწმყოს აჩრდილები იყვნენ, წარსულშიც ჯიუტად რომ

აგრძელებდნენ არსებობას, ჯიუტად, რადგანაც სიცოცხლის არქონის გამო მათ წინსვლა არ შეეძლოთ. ისინი დროში იყვნენ გაბმულები და გახიდულები გროტესკულად გრძელი აჩრდილებივით.

ის, გაიფიქრა ელდანაცემმა ბლეინმა, ამ წუთსა და ამ მომენტში ერთადერთი ცოცხალი არსება იყო დედამიწის ზურგზე.

ბლეინი მიწიდან წამოდგა და ხელებიდან მტვერი ჩამოიფერთხა. იდგა და ხიდს გაჰყურებდა, მთვარის შუქზე ის ნორმალურად და ბუნებრივად გამოიყურებოდა, ეჭვსაც ვერ შეიტანდი ვერაფერში, მაგრამ ბლეინმა ხომ იცოდა, რომ მას უცნაური რამ სჭირდა.

ბლეინი ხაფანგში გაბმულს ჰგავდა. თუ არ იცოდა აქედან დაღწევის გზა, მაშინ უეჭველად მახეში გაება და წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ დაეძვრინა თავი.

თავის დაღწევის არავითარი შანსი და იმედი არ ჰქონდა, ვერაფრით ინუგეშებდა თავს.

იდგა ქუჩაში გატრუნული და თან იმის დადგენას ცდილობდა, რამდენად ძლიერი იყო მასში ადამიანური საწყისი. თუ არ იყო მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი, თუ მის გონებაში ისევ სახლობდა ის უცხო არსება, მაშინ მას ჯერ კიდევ ჰქონდა შანსი.

ბლეინი გრძნობდა, რომ ადამიანი იყო, თუმცა სიმართლეს როგორ გაიგებდა? ისევ ბლეინი იქნებოდა, მთლიანად უცხოდაც რომ ქცეულიყო. არ აქვს მნიშვნელობა, ადამიანი იქნებოდა, ნახევრად ადამიანი თუ საერთოდ უცხო, მაინც ბლეინი იქნებოდა და განსხვავებასაც ნაკლებად იგრძნობდა. ნეტა სადმე განცალკევებული ადგილი ეპოვნა და ამ ყველაფრისთვის იქიდან გადაევლო თვალი, ახსნა-განმარტება მიეცა.

ვინც არ უნდა ყოფილიყო, შიშისა და პანიკის მიუხედავად, მაინც შეძლო წარსულში გადანაცვლება, აქედან გამომდინარე, ასევე უნდა სცოდნოდა, აწმყოს ისევ როგორ

დაბრუნებოდა, როგორ მიეღწია დროის იმ წერტილამდე, სადაც სიცოცხლე არსებობს.

მაგრამ ერთი რამ უდავოა: წარმოდგენა არ ჰქონდა, ეს როგორ გაეკეთებინა.

ბლეინმა თვალი გადაავლო მთვარის ავადმყოფური შუქით მოფენილ არემარეს და ჟრუანტელმა დაუარა სხეულში, ეცადა, როგორმე შეეჩერებინა ეს კანკალი, რადგან გამოუთქმელი შიშის მომასწავებელ ნიშნად მიიჩნია, თუმცა უშედეგოდ, ჟრჟოლა ასე ადვილად არ აპირებდა გაქრობას.

კბილების უხმო ღრჭიალით ცდილობდა თრთოლვის შეჩერებას, მაგრამ ის სულ უფრო ძლიერდებოდა და უცბად მისი გონება მოულოდნელმა აღმოჩენამ გაანათა — ბლეინმა იცოდა.

მოულოდნელად ქარი ამოვარდა და არყის ხეებს გადაუფრინა — არყის ხეები ხომ არ იყო აქ წეღან. თრთოლაც სადღაც გამქრალიყო უკვალოდ. ბლეინი ისევ საკუთარ თავს დაუბრუნდა.

ბალახებსა და ბუჩქებში მწერები საქმიანად ფუსფუსებდნენ, ხოლო სიბნელეში დროდადრო ანთებული სინათლის წერტილები ციცინათელას ადგილსამყოფელს ამჟღავნებდნენ. გორაკზე მდგარი სახლის დარაბებიდან სინათლის თხელი, ბუნდოვანი კონები ატანდა.

ბლეინმა გზიდან გადაუხვია, ნაკადულის კალაპოტში ჩახტა, კოჭებამდე წყალში გაიარა და მეორე ნაპირზე გადასული არყის ხეების რიგებს შეერია.

როგორც იქნა, დაუბრუნდა საწყის წერტილს. მარტოდმარტომ მოახერხა წარსულიდან აწმყოში დაბრუნება. რაღაც მომენტში, თითქოს ჩასწვდა დროში გადანაცვლების საიდუმლოს, მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი გაელვება გახლდათ, საიდუმლო ისევ ამოუხსნელი რჩებოდა.

მაგრამ ამას აღარ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. რაც მთავარია, ისევ სახლში იყო და უსაფრთხოდ გრძნობდა თავს.



12

ბლეინმა დილაუთენია გაიღვიძა, ჯერ კიდევ ბნელოდა, ცაში კი ჩიტების მხიარული ჟღურტული ისმოდა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ მალე ინათებდა. გორაკს აუყვა და სახლის წინ მდებარე ბოსტანში სიმინდის სამი ტარო მოტეხა, იქვე გროვად დაყრილი კარტოფილიდან რამდენიმე აირჩია და მინიდან ხორც-მწვანილას ღერო ამოაგდო. ძალიან გაუხარდა, როცა მასზე ოთხი მოზრდილი ხორცის ნაჭერი შენიშნა.

არყის ტყეში დაბრუნებულმა ჯიბეები მოისინჯა და შერიფის დატოვებული ასანთის კოლოფი აღმოაჩინა, ეს ერთადერთი რამ იყო, რაც არ ჩამოურთმევია. კოლოფში სამი ღერილა ეგდო.

შეფიქრიანებულმა დაათვალიერა სამი ღერი. ის დღე გაახსენდა, ბოისკაუტის გამოცდას რომ აბარებდა და ერთი ღერი ასანთისგან კოცონი უნდა გაეჩაღებინა. აბა ახლა თუ შეძლებდა ამას? — გაიფიქრა მან და გულში გაეცინა.

ბლეინმა გამხმარი ხის მორი მოძებნა და ფუტურო შუაგულიდან გამომშრალი ნაფხვენი გამოიღო. წვრილი, ხმელი ფიჩხები მოაგროვა, შემდეგ რამდენიმე მოზრდილი შეშის ნაჭერიც მოძებნა, თან აკვირდებოდა, რომ ნედლი შეშა

არ შეპარვოდა. შეშა ხმელი უნდა ყოფილიყო, ცეცხლს ბევრი ბოლი რომ არ გაეშვა და ამით სხვების ყურადღება არ მიექცია.

მის ზემოთ გამავალ გზაზე პირველმა მანქანამ ჩაიქროლა, სადღაც შორს ძროხის ბღავილი ისმოდა.

ცეცხლი მეორე ასანთის ღერით მოეკიდა, ბლეინი სათუთად აჩაღებდა კოცონს, ჯერ წვრილი ფიჩხებით დაიწყო, შემდეგ ცოტა მსხვილები შეურია და ცეცხლი ცოტა რომ მოძლიერდა, შეშის მოზრდილი ნაჭრებიც შეუკეთა. შეშა სუფთად ინვოდა და კვამლს არ უშვებდა. ბლეინი ცეცხლთან ახლოს ჩამოჯდა და ელოდებოდა, როდის დანაკვერჩხლდებოდა შეშა.

ჯერ მზე არ ამოსულიყო, მაგრამ აღმოსავლეთის ცაზე მოელვარე შუქი და მიწიდან წამოსული სუსხი იმის მომასწავებელი იყო, რომ მალე გათენდებოდა. ქვემოთ კენჭებსა და ღორღებზე მოჩუხჩუხე ნაკადული მირაკრაკებდა. ბლეინმა ხარბად ჩაისუნთქა ფილტვებში დილის ჰაერი და მისი სასიამოვნო სიგრილით დატკბა.

ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მართალია, უცხო და მტრულად განწყობილ ქვეყანაში აღმოჩნდა, მაგრამ მაინც ცოცხალი იყო, ჰქონდა საკმარისი საჭმელი, კუჭი რომ გაეყუჩებინა — მერე რა? სამაგიეროდ არ ჰქონდა ფული, არაფერი ებადა, ერთი ღერი ასანთისა და იმ ტანსაცმლის გარდა, რომელიც ემოსა და კიდევ ისეთი გონებით იყო დაჯილდოებული, რომელიც ადვილად გასცემდა, გონებით, რომელიც, ბებერი კუდიანის თქმით, ირეკლავს და სხვას შიგნით შეღწევის საშუალებას არ აძლევს. ნებისმიერი შემხვედრი მოყურიადესა თუ მზვერავისთვის ის ადვილი მსხვერპლი იქნება.

დღისით შეეძლო დამალულიყო და ღამე ემოძრავა, უფრო უსაფრთხო იქნებოდა. საკვებად ბაღებსა და ბოსტნებს მიაშურებდა და ასე გაიტანდა თავს, ყოველ ღამე რამდენიმე კილომეტრს გაივლიდა, მაგრამ ეს იმდენად დიდ დროს

დააკარგვინებდა, რომ არ ღირდა ცდად, სხვა რამ უნდა მოეფიქრებინა.

ბლეინმა ცეცხლს შეუკეთა, კოცონი ისევ უკვამლოდ ბრიალებდა. წყლის პირას ჩავიდა, მუცელზე გაწვა და პირდაპირ მოჩუხჩუხე ნაკადულიდან დაეწაფა წყალს.

სწორედ იქცეოდა ნეტა, ფიშჰუკიდან რომ გარბოდა? არა აქვს მნიშვნელობა, რა ელოდა იქ, ამაზე უარესი რა უნდა დამართნოდა? მუდმივ დევნაში მყოფს ხალხისგან შორს უნდა დაეჭირა თავი, ვერავის ენდობოდა.

ბლეინი მინაზე გულდაღმა იწვა და ნაკადულის ფსკერზე მიმობნეულ კენჭებს მიშტერებოდა. განსაკუთრებით კი მისი ყურადღება ერთმა წითელმა კენჭმა მიიპყრო, რომელიც მოელვარე ლალივით ბზინავდა დანარჩენ კენჭებში. მან ის გონებრივად გააანალიზა და უცბად დაინახა, რისგანაც შედგებოდა, როგორ იყო მოწყობილი მისი თითოეული კრისტალი, ისიც იცოდა, საიდან გაჩნდა აქ ეს კენჭი და მთელი ათასწლეულების მანძილზე რა გზები გამოიარა.

შემდეგ ლალისფერი ქვა გონებიდან გადააგდო და ახლა მეორე ქვა, კვარცის მბზინავი ნატეხი, ამოიჩემა.

უცნაური რამ ხდებოდა!

მსგავსი რამ ადრე არასდროს გაუკეთებია!

თუმცა ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, თითქოს ეს მისთვის ჩვეულებრივი საქმიანობა ყოფილიყოს.

ბლეინმა საკუთარ სხეულს ძალა დაატანა, წამოიწია და ნაკადულის პირას ჩაცუცქდა. ის, რაც მან გააკეთა, ჩვეულებრივი ადამიანის შესაძლებლობებს აღემატებოდა, თუმცა ბლეინი მაინცდამაინც გაოგნებული არ ჩანდა, რადგანაც იცოდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ის მაინც ბლეინი იყო.

საკუთარ გონებაში უცხო სხეული მოძებნა კიდევ ერთხელ სცადა, მაგრამ ვერ იპოვნა. არსება სამალავიდან არ გამოსულა, მაგრამ ბლეინმა იცოდა, სადაც იყო მიყუჟული. ის კვლავ მის ტვინში მოკალათებულიყო და თავისი უაზრო

მოგონებებით, არაჩვეულებრივი შესაძლებლობებით, სულელური ლოგიკითა და არეულ-დარეული ღირებულებებით მოსვენებას არ აძლევდა მას.

ბლეინის გონებაში უცნაური სურათი გაცოცხლდა — გეომეტრიული ფიგურების დიდებული პროცესია მერყევი ნაბიჯებით კვეთდა ოქროსფერი უდაბნოს უკიდეგანო სივრცეს, ირგვლივ გოგირდისფერ ზეცაზე ჩამოკონწიალებული მეწამური მზის გარდა სხვა არაფერი შეინიშნებოდა. მას უსწრაფესმა აზრმა გაუელვა თავში და უცბად მიხვდა, რომ იცოდა, სადაც იყო, შეეძლო იმ ამოუცნობი კოსმოგრაფიული სისტემის კოორდინატებიც კი დაესახელებინა, რომლებმაც აქამდე მოიყვანა. შემდეგ კი მოულედნელად ყველაფერი გაქრა — ციფრებიც, ინფორმაციაც.

ნელ-ნელა წამოდგა და ცეცხლთან მივიდა, მოძებნა პატარა ჯოხი და ნაკვერჩხლები გადაქექა, შემდეგ შუაგულში კარტოფილი და გაუფცქვნელი სიმინდის ტარო ჩაალაგა და ჯოხითვე დააყარა ნაკვერჩხალი. იქვე მდგარ ხეს ორკაპა ტოტი მოასხიპა, ზედ ხორცის ნაჭერი წამოაცვა და ცეცხლზე შებრაწა.

ბლეინი ცეცხლთან მოკალათდა, მისგან წამოსულმა სასიამოვნო სიმხურვალემ სხეული გაუთბო და უცნაური და ყოვლად უადგილო სიმშვიდის შეგრძნებით აავსო, იმ ადამიანისთვის დამახასიათებელი სიმშვიდით, რომელიც ყველაზე მცირედით კმაყოფილდება. სიმშვიდეს და კმაყოფილებას ასევე უადგილო თავდაჯერებულობა მოჰყვა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მომავალში გადაიხედა და დარწმუნდა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ეს წინასწარმეტყველებას არ ჰგავდა. მომავლის წინასწარმეტყველების უნარით დაჯილდოებული არ იყო. უბრალოდ იცოდა, რომ მომავალში ცუდი არაფერი მოხდებოდა, ხოლო დეტალებზე წარმოდგენა არ ჰქონდა, მაგალითად, როგორ წარიმართებოდა მომავალში და რით

დასრულდებოდა ცხოვრება. მხოლოდ და მხოლოდ მომავლის რწმენა ჰქონდა, რომელიც უძველეს წინათგრძნობას ჰგავდა, მეტი არაფერი.

ხორცმა შიშხინი დაიწყო, ხოლო ნაკვერჩხლებიდან ,ბნვარი კარტოფილის სასიამოვნო სურნელი შეიგრძნო. ბივშტექსი და შემწვარი კარტოფილი საუზმედ, — ჩაეცინა ბლეინს, — თუმცა არც თუ ისე ურიგო საუზმეა, ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე იყო.

ბლეინს სავარძელში გაშხლართული დალტონი მოაგონდა, აბურძგნილი თმითა და სიგარით პირში, რომელიც გაცხარებული შეაჩვენებდა ხორც-მწვანილას და ავადსახსენებელ ფიშჰუკს ბიზნესმენებზე განხორციელებულ ზეწოლაში დაადანაშაულებდა. ცდილობდა გაეხსენებინა, რომელი მზის რომელი პლანეტიდან ჩამოიტანეს ხორც-მწვანილა, მაგრამ ვერ მოიგონა. ხორც-მწვანილა, — გაიფიქრა ბლეინმა, — და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი რამ გაჩნდა ამ პლანეტაზე ფიშჰუკის წყალობით.

პირველად შორეული ვარსკვლავებიდან ახალი წამლები ჩამოიტანეს — სრულიად ახალი ფარმაკოპეა, რომელსაც შესწევდა ძალა, ადამიანის ტანჯვა შეემსუბუქებინა და სნეულებებისგან განეკურნა. ადამიანისთვის დამახასიათებელი უძველესი შიშის გრძნობა კუთხეში მიიმწყვდიეს. სულ რაღაც ერთი, მაქსიმუმ, ორი ასწლეული და ადამიანის ცნობიერებიდან სამუდამოდ გაქრებოდა ავადმყოფობის ცნება და იგი სულით და ხორცით ჯანსაღ ქმნილებად იქცეოდა.

გაჩნდა ახალი მატერიები და მეტალები, უამრავი სხვადასხვა პროდუქტი. შემოვიდა ახალი არქიტექტურული მიმდინარეობები და მასალები, გავრცელდა ახალი ტიპის ლიტერატურა და ადამიანისთვის აქამდე უცნობი არომატები, ხელოვნებაში დამკვიდრდა ახალი პრინციპები. ყველაზე ღირსშესანიშნავ მიღწევად დიმენსინოს შემოტანა შეიძლება ჩაითვალოს. მან გართობის ყველა ტრადიციული

საშუალება შეცვალა — კინო, ტელევიზია, რადიო. დიმენსინოში არა მარტო ხედავდი და გესმოდა, არამედ თავად იღებდი მონაწილეობას იმაში, რაც ხდებოდა. წარმოსახვითი სიტუაციის მონაწილე ხდებოდი, რაღაც პერიოდში საკუთარ თავს წყდებოდი და შენ მიერ არჩეული ერთი ან რამდენიმე პერსონაჟის ცხოვრებით, მისი ემოციებითა და განცდებით ცხოვრობდი და მთლიან ეპიზოდს მასთან ერთად თამაშობდი.

დღესდღეობით თითქმის ყველა სახლში იყო დიმენსინო, სპეციალური ხელსაწყოებით აღჭურვილი ოთახი, რომელიც უცნაურ იმპულსებზე დაყრდნობით სულ სხვა ადამიანად გაქცევდა, ყოველდღიურობის მომაბეზრებელი ორომტრიალისგან მოგწყვეტდა და ამაღელვებელი თავგადასავლების საძიებლად გაგიშვებდა ეგზოტიკურ და ფანტასტიკურ ადგილებში.

და ეს ყველაფერი — პროდუქტები, მასალები, დიმენსინო — ფიშჰუკის მონოპოლიებს წარმოადგენდა.

სწორედ ამიტომ ვერ იტანენ ასე ფიშჰუკს, — გაიფიქრა ბლეინმა, — სძულთ იმიტომ, რომ არ ესმით, იმიტომ, რომ ისინი ამ ცვლილებების მიღმა დარჩნენ, იმიტომ, რომ მათ აქამდე კაცობრიობისთვის არნახული დახმარება აღმოუჩინეს.

ხორცი შეიწვა. ბლეინმა სახელდახელ გამოთლილი შამფური ბუჩქზე შემოდო და ნაკვერჩხლიდან კარტოფილი და სიმინდის ტარო ამოქექა.

ცეცხლთან ჩამოჯდა და ჭამას შეუდგა. ამასობაში მზეც ამოვიდა, ნიავი ჩადგა და მთელ სამყაროს თითქოს სუნთქვა შეეკრა ახალი დღის მოლოდინში. მზის პირველი სხივები არყის ხეების მწვერვალებზე დაეშვა და ფოთლებს ოქროს მონეტებივით ბზინვა დააწყებინა. ნაკადული მიჩუმდა და დღის ხმებს დაუთმო ასპარეზი — საქონლის ბღავილს მდელოზე, მანქანების გრუხუნსა და თვითმფრინავის შორეულ გუგუნს.

ტრასაზე, ხიდს ქვემოთ, ფურგონი გაჩერდა. მანქანიდან მძღოლი გადმოვიდა, კაპოტი ახადა და ნახევრად ჩაიმალა შიგ, შემდეგ გადმოძვრა, კაბინაში დაბრუნდა და რაღაცას დაუწყო ძებნა. როგორც კი იპოვა, გადმოვიდა კაბინიდან, იარაღების ყუთი ფრთაზე ჩამოდო და მის გახსნას შეუდგა. ზემოთ გორაკზე გარკვევით ისმოდა იარაღების წკარუნის ხმა მანქანის მეტალზე.

ძველისძველი მანქანა იყო, ბენზინის ძრავით, ბორბლებითა და დამატებითი რეაქტიული წევით. ასეთ მანქანებს ახლა მხოლოდ გადაყრილი მანქანების სანაგვეზე თუ შეხვდებოდით.

კერძო მეპატრონე, — გაიფიქრა ბლეინმა, — რომელიც მთელი ძალ-ღონით ცდილობს, მსხვილი ავტოგადამზიდავი კომპანიების კონკურენციას გაუძლოს და თავის კლიენტებს დაბალ ფასებსა და შეძლებისდაგვარად მცირე ზედნადებ ხარჯებს სთავაზობს.

მანქანას ფერი დაკარგვოდა და ადგილ-ადგილ საღებავი გადასცლოდა. ზედაპირზე ახალდახატული მკვეთრი ფერის ჩახლართული კაბალისტური ნიშნები მოჩანდა, რაც, უდავოდ, ბოროტი ძალების ასარიდებლად იყო გაკეთებული.

ბლეინმა შენიშნა, რომ მანქანას ილინოისის ნომრები ჰქონდა.

მძღოლმა იარაღები გაშალა და კაპოტს დაუბრუნდა. გორაკზე ჩაქუჩის ჯერი და ჟანგმოდებული ჭანჭიკების ჭრიალის ხმები გაისმა.

ბლეინმა საუზმე დაასრულა. კიდევ ორი ხორცის ნაჭერი და ორი ცალი კარტოფილი დარჩენოდა. ჩამქრალი ნაკვერჩხალი გადაქექა, ჯოხზე ხორცის ორივე ნაჭერი ჩამოაცვა და სათუთად შენვა.

კაპოტის ქვემოდან ისევ ისმოდა ჩაქუჩის დარტყმისა და ჭრიალის ხმა, მძღოლი დროდადრო გამოძვრებოდა ხოლმე კაპოტიდან, ცოტათი შეისვენებდა და ისევ განაგრძობდა მუშაობას.

როცა ხორცი კარგად შეიწვა, ბლეინმა ჩაიდო დარჩენილი ორი კარტოფილი ჯიბეში, ხის შამფურზე წამოცმული ხორცის ნაჭრები საბრძოლო დროშასავით დაიჭირა და ქვემოთ ჩავიდა.

მის ფეხის ხმაზე მძღოლმა კაპოტიდან გამოყო თავი და მიუბრუნდა.

"დილა მშვიდობისა, — მიესალმა ბლეინი, რაც შეეძლო მხიარულად, — ზემოთ ვიყავი, ვსაუზმობდი და დაგინახე, როგორ შემოუხვიე."

მძღოლმა ეჭვით შეათვალიერა.

"ცოტა საჭმელი დამრჩა, — უთხრა ბლეინმა, — ჰოდა, მოგიმზადე, ხომ არ გისაუზმია?"

"არა, — გამოცოცხლდა მძღოლი, — მინდოდა იქ, ქვემოთ, ქალაქში მესაუზმა, მაგრამ სასადილოები ჯერ არ გაუხსნიათ."

"მაშინ მიირთვი," — შესთავაზა ბლეინმა და ჯოხზე წამოცმული ხორცის ორი ნაჭერი მიაწოდა.

კაცმა გამოართვა ჯოხი და ხელში ფრთხილად ატრიალებდა, თითქოს ეშინოდა, არ დაესუსხა. ბლეინმა ჯიბეები მოიქექა და ორი ცალი კარტოფილი ამოიღო.

"სიმინდიც მქონდა, — თქვა მან, — მაგრამ სულ რაღაც სამი ტარო იყო და მე შევჭამე."

"შენ რა, ამას მე მაძლევ?"

"ჰო, რა თქმა უნდა, — უპასუხა ბლეინმა, — თუმცა, შეგიძლია, სახეში მომაყარო, თუ ამის სურვილი გაგიჩნდება."

კაცმა უხერხულად გაიღიმა. "სიამოვნებით გეახლები, — განუცხადა მან, — შემდეგ ქალაქამდე ოცდაათი მილია, ამით კი, — ფურგონზე მიუთითა, — კაცმა არ იცის, როდის მივაღწევ."

"მარილი არა მაქვს, — თქვა ბლეინმა, — თუმცა უმარილოდაც არა უშავს."

"დიდი მადლობა, არ ვიცი, როგორ..."

"დაჯექი და მიირთვი, რა სჭირს ძრავას?"

"არ ვიცი, მე მგონი, კარბურატორის ბრალია."

ბლეინმა ქურთუკი გაიხადა, გულდასმით დაკეცა, მანქანის ფრთაზე ჩამოდო და მკლავები დაიკაპინა.

კაცი გზის პირას ქვაზე ჩამოჯდა და ჭამას შეუდგა.

ბლეინმა ქანჩის გასაღები აიღო და რადიატორზე აძვრა.

"სად იშოვე საჭმელი?"

"ზემოთ გორაკზე, — უპასუხა ბლეინმა, — ფერმერს მთელ მინდორზე ჰქონდა დათესილი."

"შენ რა, მოიპარე?"

"აბა, რა უნდა მექნა, ფული მე არა მაქვს და სამუშაო, სახლამდე როგორმე ხომ უნდა მივაღწიო?'

"სად ცხოვრობ?"

"სამხრეთ დაკოტაში."

მძღოლმა პირში ხორცის დიდი ნაჭერი ჩაიდო და უხმოდ დაღეჭა.

ბლეინმა კაპოტში ჩაიხედა და დაინახა, რომ მძღოლს კარბურატორის ყველა ჭანჭიკი მოეშვა, ერთის გარდა. ბლეინმა ქანჩის გასაღები მოარგო მას და გადაატრიალა. ჭანჭიკმა ჭრიალი ატეხა.

"ჯანდაბა, სუ შეჭამა ჟანგმა," — წარმოსთქვა კაცმა, თან ბლეინს თვალს არ აშორებდა.

ბლეინმა, როგორც იქნა, მოუშვა ჭანჭიკი, კარბურატორი მოხსნა, წამოიღო და მძღოლის გვერდზე ჩამოჯდა.

"ცოტაც და ნაწილებად დაიშლება, — სინანულით აღნიშნა მძღოლმა, — თავიდანვე პრობლემები ჰქონდა, გამაწამა. მთელი გზა ვეწვალები. გრაფიკი სულ ამერია."

ბლეინმა უფრო პატარა გასაღები აიღო, ჭანჭიკს რომ მოერგებოდა, და ჟანგმოდებულ ხრახნებს შეეჭიდა.

"ღამით სიარულიც ვცადე, — განაგრძობდა მძღოლი, — მაგრამ იმ ამბის შემდეგ, მორჩა, ამხელა რისკზე ვერ წავალ."

"მოხდა რამე?"

"ის ნიშნები რომ არა, მანქანაზე რომ მაქვს გამოსახული, ჩემი საქმე წასული იქნებოდა. იარაღიც მაქვს, მაგრამ რა

ხეირი, ერთდროულად საჭის ტრიალი და სროლა ვის გაუგია."

"რომც შეგეძლოს, მაინც ვერ გიშველიდა."

"როგორ არა, მეგობარო, სეირს მაინც ვუჩვენებდი. ჯიბე სავსე მაქვს ვერცხლის საფანტის ტყვიებით.

"ძვირი სიამოვნებაა, არა?"

"საკმაოდ. მაგრამ რას იზამ, ყველანაირად მომზადებული უნდა იყო."

"მართალია," — დაეთანხმა ბლეინი.

"ყოველ წელს მდგომარეობა უარესდება, — აღნიშნა მძღოლმა, — მაგრამ, როგორც იქნა, გამოჩნდა ვიღაც მღვდელი ჩრდილოეთში."

"ეგენი ხომ ყველგან მრავლად არიან."

"მართალია და ქადაგების მეტს არაფერს აკეთებენ, ეს კი პირდაპირ კონკრეტული მოქმედებებისკენ მოგვიწოდებს."

"როგორც იქნა," — წამოიძახა ბლეინმა და ბოლო ჭანჭიკი მოუშვა, კარბურატორი გახსნა და შიგ ჩაიხედა.

"ხედავ, რა ყოფილა?" — მიანიშნა ბლეინმა.

მძღოლი დაიხარა და შეხედა იქ, სადაც ბლეინი მიუთითებდა.

"ეშმაკმა წაიღოს."

"თხუთმეტ წუთში გავაკეთებ და დაგიყენებ. ზეთი გაქვს, ხრახნებს რომ ჩავასხათ?"

მძღოლი წამოდგა და ხელები შარვალზე შეიწმინდა. "მოიცა, ვნახო," — თქვა მან.

მანქანისკენ გაემართა, მაგრამ უცბად მობრუნა და ბლეინს ხელი გაუწოდა. "ბაკი მქვია, — უთხრა, — ბაკ რაილი."

"ბლეინი. შეგიძლია, შეპი დამიძახო."

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

"დაკოტაში მიდიხარ, არა?"

ბლეინმა თავი დაუქნია.

"ვინმე თუ არ შემეშველა, ჭკუიდან გადავალ."

"შემიძლია, დაგეხმარო?"

"ღამით ატარებ მანქანას?"

"როგორ არა."

"შენ საჭესთან დაჯდებოდი, მე კი იარაღი მექნებოდა მზად."

"ცოტა ძილიც არ გაწყენდა."

"ორივე ერთად რამეს მოვახერხებთ. მანქანა არ უნდა გავაჩეროთ, ისედაც ბევრი დრო დავკარგე."

"შენც სამხრეთ დაკოტაში მიდიხარ?"

რაილიმ თავი დაუქნია. "მაშ, მოდიხარ, ხო?"

"სიამოვნებით, — მიუგო ბლეინმა, — ფეხით სიარულს ყველაფერი მირჩევნია."

"ცოტა ფულსაც მოგცემ, — შესთავაზა რაილიმ, — ბევრს ვერა, მაგრამ ..."

"დაივიწყე ფული. შენ ოღონდ იქამდე მიმიყვანე, მეტი არაფერი მინდა."



13

სამხრეთ დასავლეთიდან ჩრდილო აღმოსავლეთით მიდიოდნენ, დღე და ღამე ატარებდნენ მანქანას, თუმცა ამას ტარებასაც ვერ დაარქმევ, რადგან ნახევარი გზა იდგნენ. ფურგონი მართლაც რომ მოსიარულე ჯართი აღმოჩნდა. მთელი გზა ვეებერთელა ძრავასა და ძველისძველ, მოსიპულ საბურავებს ებრძოდნენ, მორყეულ შასის ევლებოდნენ თავს და ასე წვალებით მიიწევდნენ წინ.

ცუდი გზები იყო, ახლა უკვე კარგ გზებს ვეღარც შეხვდებოდით. სწორი, მაგარი და სარკესავით მოპრიალებული გზები, დიდი ხანია, რაც წარსულს ჩაბარდა, რადგან მათი საჭიროება აღარ არსებობდა. ძველი მანქანები ახალი ტიპის ტრანსპორტმა შეცვალა, რომელიც ნახევრად მანქანას და ნახევრად თვითმფრინავს წარმოადგენდა. რა საჭიროა კარგი გზები, როცა ისეთი მანქანა არსებობს, რომელიც გადაადგილებისას მიწას არც ეხება.

ტრასის დახეთქილი ზედაპირი ორმოებით იყო სავსე და ძველი საბურავებით მასზე მოძრაობა ძალიან ჭირდა. ფული რომც ჰქონოდა რაილის, ახალი საბურავების შოვნა მაინც გაუჭირდებოდა. ძველი ტიპის საბურავებზე მოთხოვნა ლამის ნულამდე დავიდა და მათი შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო.

და კიდევ ერთი მუდმივი პრობლემა — ბენზინი, აღარ

არსებობდა ბენზინგასამართი სადგურები. ორმოცდაათი წელია, რაც ისინი გააუქმეს. ატომურ ენერგიაზე მომუშავე მანქანებს არ სჭირდებოდათ საწვავი. ასე რომ, თითოეულ ქალაქში სასოფლო-სამეურნეო მაღაზიებისა და კოოპერატიული დახლების ძებნა უხდებოდათ, რადგან სოფლის მეურნეობის მანქანებისთვის ჯერ კიდევ საწვავს გამოიყენებდნენ.

როგორც კი დროს მოიხელთებდნენ, წაუძინებდნენ ხოლმე, ჭამით კი გზაში ჭამდნენ, ძირითადად სენდვიჩებს და ღვეზელს, რომელსაც ყავას აყოლებდნენ რკინის საგზაო მათარიდან.

ასე წვალებით გადაადგილდებოდნენ ისინი ძველ გზებზე. თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებებს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იყენებდნენ, რომ ისინი კარგად იყო ნაშენები და ორ პუქტს შორის ყველაზე ადვილად გასავლელ საშუალებას წამოადგენდნენ.

"შევცდი, ამ საქმეს რომ მოვკიდე ხელი, მაგრამ კარგ ანაზღაურებას შემპირდნენ. რაღა დაგიმალო და ფული ნამდვილად არ მაწყენდა."

"არა უშავს, როგორმე მოახერხებ, — არწმუნებდა ბლეინი, — შეიძლება ერთი ორი დღე დაგიგვიანდეს, მაგრამ მისვლით კი ნამდვილად მივალთ."

"მანქანა თუ მიაღწევს ცოცხალი?"

"ეს მანქანა თავიდანვე არ ვარგოდა," — შეახსენა ბლეინმა.

რაილიმ სახე მოიწმინდა გახუნებული ცხვირსახოცით, რომელიც ერთ დროს წითელი უნდა ყოფილიყო.

"მარტო მანქანაზე არ არის ლაპარაკი, — თქვა მან, — ასე შეიძლება კაცი ჭკუიდან გადავიდეს."

რაილის შიში ძვალსა და რბილში გასჯდომოდა.

ის არ ჰგავდა ბავშვობის კოშმარებითა და საშინელებებით გატანჯულ ადამიანს, რომელშიც იმდენად მძლავრობს ეს მოგონებები, რომ ნებისმიერ მომენტში ადვილად შეუძლია გონებაში უძველესი ფანტაზიების გაცოცხლება. აქ უფრო

რეალურ შიშზე იყო ლაპარაკი, რომელიც ფარულ ბავშვობისდროინდელ კოშმარებზე უფრო ძლიერი გახლდათ.

ბლეინისთვის რაილი უცხო და უძველეს სამუზეუმო ექსპონატს წარმოადგენდა, ადამიანს, რომელსაც სიბნელისა და იქ მობინადრე წარმოსახვითი არსებების ეშინოდა, სჯეროდა, რომ მანქანაზე დახატული კაბალისტური ნიშნები და ვერცხლის საფანტით დატენილი იარაღი დაიცავდა ბოროტი ძალებისგან. ასეთ ხალხზე ბევრი რამ სმენია, მაგრამ აქამდე არ შეხვედრია და თუ ასეთები მაინც იყვნენ ფიშჰუკელ ნაცნობებს შორის, მაშინ ისე ოსტატურად ირგებდნენ ნიღაბს, რომ მათ ჭეშმარიტ სახეს ვერაფრით დაინახავდი.

თუმცა ბლეინი რაილისთვისაც ისეთივე გამოცანას წარმოადგენდა, როგორც რაილი ბლეინისთვის.

"შენ რა, არ გეშინია?" — ჰკითხა მან.

ბლეინმა თავი გაიქნია.

"არ გჯერა ავი სულების?"

"ჩემთვის ეს მხოლოდ და მხოლოდ ბავშვური სისულელეა," — განუცხადა ბლეინმა.

"ეს არ არის სისულელე, — გააპროტესტა რაილიმ, — დამიჯერე. იმდენ ადამიანს შევხვედრივარ და იმდენი ამბავი მსმენია, რომ ვიცი, ეს სიმართლეა. ჩემს ბავშვობაში ინდიანაში ერთი მოხუცი ცხოვრობდა. ერთ დღესაც ღობეზე გაკრული იპოვეს, ყელი ჰქონდა გამოჭრილი, ტანზე ჩლიქების კვალი ეტყობოდა და გოგირდის სუნი ასდიოდა."

ასეთი ამბები მრავლად მოიძებნებოდა, ერთი მეორეზე უფრო შემზარავი, იდუმალებითა და წარსულის ბნელი აჩრდილებით მოცული.

ამას ვერაფერს მოუხერხებ კაცი, — გაიფიქრა ბლეინმა, — რადგან ადამიანს თანდაყოლილი აქვს მისტიკური მოვლენებისადმი სწრაფვა, მის ძვალსა და რბილში ღრმად არის გამჯდარი ამგვარი რწმენა და რწმენის სურვილი, მისი სათავე კი შორეულ წარსულში, პრეიოსტორიულ ხანაშია. იმ

ადამიანებმა კი, ვისთვისაც ეს მსოფლიო ადვილად სამართავ და მოსაწყენ ადგილად ქცეულიყო, სადაც ერთადერთი ბოროტი ძალა ატომურ იარაღსა და გავლენიანი ხალხის შემაშფოთებელ უგუნურებაში სუფევს, დიდი მონდომებითა და ხალისით გამოიყენეს ეს მდგომარეობა თავიანთ სასარგებლოდ.

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ადამიანმა პარანორმალურ კინეტიკას მიმართა გართობის მიზნით. სულ რაღაც ერთ ღამეში ფსიქიკური ძალის ცნებამ მსოფლიო მოიცვა. ღამის კლუბებმა სახელები შეიცვალეს, მოდაში შემოვიდა ახალი ტენდენციები, გაჩნდა ახალი ჟარგონი, ტელევიზიებმაც ისარგებლეს ამით და აუარება საშინელებათა ფილმი გადაიღეს, პრესამაც არა ერთი გვერდი დაუთმო ზებუნებრივ ძალებს. ძველი კულტების აღორძინებასთან ერთად ახლებიც წარმოიშვა. ორი საუკუნის მანძილზე დავიწყებას მიცემულმა სპირიტიზმის აპარატმა კვლავ დაიბრუნა უწინდელი აქტუალობა. მაშინ ადამიანი გართობის მიზნით მიმართავდა სპირიტიზმს და როგორც კი მიხვდა, რომ არ შეიძლებოდა სულების სამყაროსთან თამაში, თავი მიანება მას. ორი ვარიანტი იყო, ან გჯეროდა ამისი, ან არა, არავითარი შუალედური მოსაზრებები.

გამოჩნდა უამრავი შარლატანი და შედარებით გულწრფელი, თუმცა მცდარი შეხედულებების მქონე ადამიანიც, რომლებმაც ფული და სახელი მოიხვეჭეს ამ გატაცების წყალობით. მეწარმეებიც სიხარულით ემორჩილებიდნენ ამ ახირებას, ჰობის, ახალ მეცნიერებას თუ რელიგიას, ტერმინის განსაზღვრა იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ რამდენად სერიოზულად ეკიდებოდა მას თითოეული პიროვნება, და დაუზარელად უშვებდნენ ათასობით წვრილმან იაფფასიან საქონელს.

ეს, რა თქმა უნდა, არასწორი მიდგომა იყო, რადგან პარანორმალურ კინეტიკას არაფერი ჰქონდა საერთო ზებუნებრივ, შავბნელ ძალებთან, ავსულებთან,

ეშმაკეულთან ან ნებისმიერ სხვა მივიწყებულ უძველეს ძალასთან, რომლებმაც უცაბედად დააღწიეს თავი შუა საუკუნეების ტყვეობას და თავაშვებულად გაპარპაშდნენ. სინამდვილეში პარანორმალური კინეტიკა მხოლოდ ადამიანის შესაძლებლობების ახალი განზომილება იყო — მაგრამ ამ სიახლით დაბნეული და აღტაცებული ხალხი მის არსს ვერ ჩასწვდა და სულ სხვანაირად გაიგო.

და როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, გაფრთხილებების მიუხედავად, ადამიანმა ძალზე შორს შეტოპა, იმდენად შორს, რომ თავად ინამა ეს უცნაური ფანტაზია და სახარებასავით გაითავისა. პანები, გობლინები და ავსულები რეალურ არსებებად იქცნენ.

გაჩნდნენ ფანატიკოსი რეფორმისტები, რომლებიც ფანატიზმისთვის დამახასიათებელი საზარელი და ბრმა სისასტიკით გააფთრებულები ებრძოდნენ თავიანთ პარანორმალურ მეზობლებს და რაც ყველაზე შემაშფოთებელია, ამას წმინდა მისიას უწოდებდნენ.

პარანორმალური ძალების მქონე ადამიანები ყველა ეპოქაში მრავლად იყვნენ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ვერც კი წარმოედგინათ, რომ ზებუნებრივი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებული და ვარსკვლავებისთვის ხელის გაწვდენა შეეძლოთ. ცოტათი უცნაური და დაბნეული ხალხი იყო, თანამემამულეებიც მათ მიმართ შემწყნარებლობას იჩენდნენ, რადგან საზოგადოებისთვის საშიშად არ მიაჩნდათ. იყვნენ უფრო ძლიერი ნიჭის მქონენიც, მაგრამ ვერც ისინი იყენებდნენ ამ უცნაურ ძალებს ჯეროვნად, რადგან არ ეჯერათ მათი. რომც დაეჯერებინათ, ვერ გაბედავდნენ მათ გამოყენებას — მეცნიერების კულტმა ეს ყველაფერი ავბედით სისულელედ შერაცხა.

შემდეგ მოვიდნენ მამაცი მექსიკელები, რომელთაც დაამტკიცეს, რომ ეს არ იყო სისულელე და ამ ხალხსაც ფრთები შეესხა, გასაქანი მიეცა მათ ყველა ფარულ თუ აშკარა ნიჭსა და ძალას. ძირითადად, მათ კეთილი და დიადი

მიზნებისთის იყენებდნენ, ზოგჯერ კი სავსებით უმიზნოდ და უაზროდ, ხოლო იშვიათ შემთხვევებში, ეს ახლად აღმოჩენილი შესაძლებლობები ბოროტსა და ავისმომასწავებელ მიზნებს ემსახურებოდა.

სწორედ ამ დროს იმძლავრეს სიკეთით შენიღბულმა ცრუ მორალისტებმა. შავადმოსილმა წვერმოშვებულმა რეფორმისტებმა პარანორმალური კინეტიკა ყოველგვარი ბოროტების სათავედ მიიჩნიეს და მთელი სისასტიკით გაილაშქრეს მის წინააღმდეგ. ხალხზე ზემოქმედებისთვის მათ მარჯვედ გამოიყენეს ცრურწმენისა და შიშის ფსიქოლოგიური ფაქტორი და მათრახის, თოკისა და დამღის მეშვეობით შიშის ზარს სცემდნენ მთელ ქვეყანას. ჰაერი იმდენად იყო დამუხტული ამ საშინელი შიშის სუნით, რომ სული შეგეხუთებოდა.

"გაგიმართლა, — უთხრა ბლეინს რაილიმ, — თუ არ გეშინია, არც ისინი გახლებენ ხელს. ძაღლი იმას კბენს, ვისაც მისი ეშინია, ხოლო იმას, ვისაც არ ეშინია, ხელებს ულოკავს."

"მაშინ მაგაზე ადვილი რა არის, — დაამშვიდა ბლეინმა, — ნულა გეშინია."

მაგრამ მიხვდა, რომ უაზრო რჩევა იყო, რაილისნაირი კაცი მას ვერ მიიღებდა.

ყოველ ღამეს, როცა ბლეინი საჭესთან იჯდა, რაილის ვერცხლის საფანტით დატენილი თოფი ჰქონდა ჩახუტებული და შეშინებული ძაღლივით თრთოდა.

შიშის საბაბი კი უამრავი იყო — ბუ, რომელიც ახლოს ჩამოუფრენდა, მელია, რომელიც გზას გადაუჭრიდა, ნებისმიერი აჩრდილი, რომელიც გზის პირას გაიელვებდა, მისთვის ყველაფერი ღამის მოჩვენებებად იქცეოდა, ხოლო კოიოტების ყმუილი მსხვერპლზე სანადიროდ გამოსული ავსულების კივილს აგონებდა.

თუმცა ყველაფერი რაილის ფანტაზიის ნაყოფი არ ყოფილა. ერთხელ მათ ტევრის ზემოთ, მაღალ ტოტზე მოცეკვავე ადამიანის ფორმის ჩრდილი შენიშნეს, თუმცა ის

უკვე ადამიანი აღარ იყო. მათ გაპარტახებული ფერმის ნანგრევებს ჩაუარეს, საიდანაც საკვამური ზეცაში აღმართულიყო. ერთხელ კი, როცა რაილი მანქანის ჩამქრალ სანთლებს ეწვალებოდა, ბლეინი ნაკადულს აუყვა წყაროს ძებნაში და პატარა კოცონის კვამლი შენიშნა. მისი ფეხის ხმა რომ გაიგეს, უკვე გვიანი იყო და მიმალვა ვერ მოასწრეს, ბლეინმა შენიშნა, როგორ გაუჩინარდნენ ისინი ტყით დაფარული კლდის კალთების მიღმა, როგორც ჰაერში მოცურავე სულები.

ბლეინი იმ ადგილას იდგა, სადაც ისინი იყვნენ დაბანაკებული, ანთებული ცეცხლის პირას გადაყირავებული ტაფა ეგდო, გათელილ ბალახზე ოთხი ნახევრად შემწვარი კალმახი ეყარა, ცეცხლის გარშემო რამდენიმე ნაქსოვი ბამბის საბანი ეგო, რომელიც საწოლის მაგივრობას სწევდა. ბანაკთან ახლოს ტოტებისგან სახელდახელოდ დაწნული ქოხი დაედგათ, წვიმისგან თავის დასაცავად.

ბლეინმა ჩაიმუხლა ცეცხლთან და ტაფა გაასწორა, თევზი აიღო, ზედ მიკრული ტოტებისა და ბალახისგან გაწმინდა და ტაფაზე დააწყო.

ჯერ იფიქრა, გაქცეულებისთვის დაეძახა და დაემშვიდებინა ისინი, მაგრამ მიხვდა, რომ აზრი არ ჰქონდა, მათ ნდობას ასე ადვილად ვერ მოიპოვებდა.

ისინი მტაცებლისგან დევნილ ცხოველებს ჰგავდნენ და ეს სწორედ ისეთ ქვეყანაში ხდებოდა, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატები იყო, ქვეყანაში, რომელიც ოდითგანვე ადამიანს მისი უფლებების თავგანწირულ დამცველად მოევლინა და სადაც ერთ დროს ასე აღმერთებდნენ თავისუფლებას.

ბლეინი მუხლებზე იდგა და სიბრაზისა და სიბრალულის გრძნობით ივსებოდა. მუშტი შეკრა, თვალს მომდგარი ცრემლი რომ მოეწმინდა, სველმა თითებმა მის სახეზე ჭუჭყიანი ხაზები დატოვეს.

ცოტა ხანს ასე ჩაცუცქული იყო, შემდეგ წამოდგა და

ნაკადულს დაუყვა, არც კი გახსენებია, რის საძებნელად წამოვიდა — წყარო რომელიც ბანაკიდან ალბათ სულ რამდენიმე ნაბიჯში იქნებოდა.

უკან დაბრუნებულს რაილისთან სიტყვაც არ დაუძრავს ნანახის შესახებ.

მათ უდაბნოები გადაიარეს, მთები გადალახეს და, როგორც იქნა, თვალუწვდენელ უკიდეგანო დაბლობზე გავიდნენ, სადაც არც ხე იყო და არც მდელო, მხოლოდ ქარი სისინებდა გაუჩერებლად, არაფერი უშლიდა ხელს მის დაუბრკოლებელ თარეშს.

ბლეინი საზურგეს მიყრდნობოდა და ცდილობდა, დაესვენა, მანქანის ჯანჯღარის მიუხედავად. დაბლობს მწველი მზე აჭერდა და ცხელი ქარი ქროდა, შორს, ჩრდილოეთით, ამომშრალი მდინარის კალაპოტში ქვიშის საზარელი კორიანტელი ტრიალებდა.

რაილი წელში მოხრილიყო, დაძაბული ჩასჭიდებოდა საჭეს და ასე ატარებდა ფურგონს უსწორმასწორო გზაზე. დროდადრო ნერვიული ტიკისგან სახე ეკრუნჩხებოდა.

ამ კაცს დღისითაც ეშინია, — გაიფიქრა — ბლეინმა, დღისითაც არ ეშვება სიბნელესთან ჭიდილს.

ნეტა ეს შიში ტვირთთან ხომ არ არის დაკავშირებული, ჩვენ რომ მიგვაქვს? რაილის სიტყვაც არ დაუძრავს მასზე, ერთხელაც არ შეუმოწმებია. ფურგონის უკანა კარზე დიდი ბოქლომი ეკიდა, რომელიც მანქანის თითოეულ მკვეთრ მოძრაობაზე გულისგამაწვრილებლად რაკუნობდა და ჩხარუნებდა.

ბლეინი ერთი ორჯერ შეეცადა ეკითხა, მაგრამ თავი შეიკავა, რაღაცა უშლიდა ხელს. რაილის არაფერი უთქვამს, არც გაუკეთებია ისეთი არაფერი, რაც აგრძნობინებდა ბლეინს, რომ ამ კითხვის დასმა არ შეიძლებოდა. მიზეზი ალბათ უფრო მის ხაზგასმულ დაუდევრობაში იყო საძებნელი.

ბოლოს და ბოლოს რა მისი საქმე იყო, რა ჰქონდა რაილის საბარგულში, არც აინტერესებდა. მას მხოლოდ ფურგონი აღელვებდა, მისი ბორბლების თითოეული ბრუნი ბლეინს მიზანთან აახლოებდა.

"დღეს თუ კარგად ვივლით, დილით მდინარეზე ვიქნებით," — აღნიშნა რაილიმ.

"მისურიზე?"

რაილიმ თავი დუქნია. "თუ კიდე რამე არ გაფუჭდა და დრო არ დავკარგეთ."

მაგრამ იმ ღამეს მათ კუდიანებთან შეხვედრა ელოდათ.



14

პირველად რაღაც ბუნდოვანი გამოსახულება შენიშნეს, რომელმაც გზაზე გაიელვა ფარების შუქის ფონზე, შემდეგ ისინიც გამოჩნდნენ, მთვარის შუქზე მოფარფატენი, უფრო სწორად, ჰაერში თევზებივით მოცურავენი, რადგან ფრთები არ ჰქონდათ. მათი მოძრაობა მხოლოდ და მხოლოდ მფრინავი არსებებისთვის დამახასიათებელი გრაციოზულობით გამოირჩეოდა.

ერთი შეხედვით ეს შუქზე მოლივლივე პეპლების მოძრაობებს ანდა რომელიმე ფრთოსანი მტაცებლის მოწყვეტილ თავდასხმას ჰგავდა მსხვერპლზე, მაგრამ როცა გონება წამიერი განცვიფრებისა და გაოგნების მომენტს გადალახავდა, ადამიანი ყოველგვარი ეჭვის გარეშე მიხვდებოდა, ეს რაც იყო.

მათ მფრინავი ადამიანები დაინახეს. ლევიტატორები. კუდიანები, რომლებიც თავყრილობაზე მიიჩქაროდნენ.

ბლეინმა მუხრუჭებს მიაჭირა ფეხი, როგორც კი დაინახა, რომ მის გვერდით მჯდომმა რაილიმ იარაღი ღია ფანჯარაში გაყო.

რაილიმ ჩახმახს გამოჰკრა ხელი და გასროლის ხმა მეხივით გაისმა კაბინაში.

მანქანა მოსრიალდა და გზის გარდიგარდმო გაჩერდა. ბლეინმა რაილის ცალი ხელი მხარზე სტაცა და წონასწორობიდან გამოიყვანა, ხოლო მეორეთი იარაღი გამოსტაცა.

ბლეინმა რაილის სახეს შეავლო თვალი, კაცი შიშისგან გაქვავებულიყო, ქვედა ყბა მექანიკური მოძრაობით ადი-ჩადიოდა, პირის კუთხეებში დუჟი მორეოდა, ბრაზმოდებული თვალები გადმოცვენას ლამობდნენ, სახის ყველა კუნთი ისე დაჭიმვოდა, დაკრუნჩხულ გროტესკულ ნიღაბს დამსგავსებოდა. მისი მოკუნტული თითები იარაღისკენ იწევდნენ და მის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ.

"გაჩერდი, გეყოფა! — დაიღრიალა ბლეინმა, — ესენი მხოლოდ და მხოლოდ ლევიტატორები არიან."

მაგრამ ეს სიტყვა რაილისთვის არაფერს ნიშნავდა, დაძაბულ ტვინში მეხივით მოგუგუნე შიშს მთელი მისი შეგნება მოეცვა და დაებინდა.

უცხო ხმა სწორედ მაშინ შემოესმა, როცა რაილის ელაპარაკებოდა, ეს იყო ღამის წიაღიდან მისკენ მიმართული უჩინარი ხმების გუნდი.

მეგობარო, ერთი ჩვენგანი დაჭრილია (ალისფერი სისხლის ზოლი დაკუნთულ მხარზე), *მძიმედ არა, იარაღი მას აქვს* (მელანქოლიურად ჩამოღვენთილი თოფის ლულა). *ყველაფერი რიგზეა — იარაღი ჩვენს მეგობარს აქვს. მოდი, ახლა ამას მივხედოთ* (კუთხეში მიმწყვდეული, მყეფარე ძაღლი, კუდამოძუებული სკუნსი, დაგრაგნილი ჩხრიალა გველი, იერიშისთვის მზად მყოფი).

მოიცადეთ, — იყვირა ბლეინმა, — მოიცადეთ! ყველაფერი რიგზეა, მეტს აღარ გაისვრის.

ბლეინი იდაყვით მიაწვა საკეტს და კარი გააღო. ხელის მკვეთრი მოძრაობით მოიცილა რაილი, კაბინიდან გადმოფორთხდა და იარაღი გახსნა, საიდანაც ვაზნები გადმოცვივდა. შემდეგ თოფი გზაზე მოისროლა და მანქანას მიეყრდნო.

უცბად სამარისებული სიჩუმე ჩამოწვა, რომელსაც მხოლოდ რაილის კვნესისა და ღმუილის ხმა არღვევდა.

მორჩა, — წამოიძახა ბლეინმა, — საშიში აღარაფერია.

ლევიტატორები ციდან დაეშვნენ, თითქოს უხილავ პლატფორმას მოსწყდნენ და რბილად დაფრინდნენ მიწაზე.

ნელ-ნელა, უხმაუროდ მოიწევდნენ სიბნელეში, მოუახლოვდნენ მათ და გაჩერდნენ.

რა სულელურად იქცევით, — უსაყვედურა ბლეინმა, — ახლა გაგიმართლათ, მაგრამ სხვა დროს უთუოდ თავს წაგაცლიან (უდარდელად მოსეირნე თავწაცლილი სხეული, ყელის გადანაჭერიდან მოჩუხჩუხე აქაფებული სისხლი).

ბლეინმა შენიშნა, რომ ყველა ახალგაზრდა იყო, არც ერთი მათგანი ცხრამეტზე მეტის არ იქნებოდა, ტანზე საბანაო კოსტიუმების მსგავსი რამ ეცვათ და სახეზე მხიარულებისა და სიცელქის ნიშნები ეტყობოდათ.

უფრო ახლოს მოვიდნენ, ბლეინი ცდილობდა, კიდევ სხვა რამე ამოეკითა მათ მზერაში, მაგრამ ამაზე მეტს ვერაფერს ხედავდა.

ვინ ხარ? — იკითხა ერთ-ერთმა.

შეპარდ ბლეინი, ფიშჰუკიდან.

და სად მიდიხარ?

სამხრეთ დაკოტაში.

ამ ფურგონით?

და ამ კაცთან ერთად, — დასძინა ბლეინმა, — ხელი არ ახლოთ.

ამ კაცმა გვესროლა, მარი დაჭრა.

არაფერია, — დაამშვიდა მარიმ, — *ნაკაწრია მხოლოდ.*

ისეა შეშინებული, რომ ვერცხლის საფანტს დაატარებს, — თქვა ბლეინმა.

ვერცხლის საფანტმა ძალიან გაამხიარულა ისინი.

და სწორედ ამ დროს მთელი ძალით იგრძნო შექმნილი ვითარების უჩვეულობა: მთვარით განათებული ღამე, მიყრუებული გზა, შუა ტრასაზე გაჩერებული მანქანა,

პრერიაზე მოზუზუნე მარტოსული ქარი და ისინი, ორნი, ის და რაილი, რომელთაც სიუს ან კომანჩეს ტომის ხალხი კი არ შემორტყმოდა გარს, არამედ გასართობად გამოსული პარანორმალური თინეიჯერების გუნდი.

და ვის შეეძლო ისინი გაემტყუნებინა ან დაეშალა მათთვის რამე? თუკი ამ წინააღმდეგობითა და შეურაცხყოფით აღსავსე ცხოვრებაში ეს პატარა გამოწვევები თვითდამკვიდრებაში დაეხმარებოდა, თუკი ამ გზით ადამიანური ღირსების დაცვა სურდათ, ეს სულაც არ იყო გასაკიცხი საქციელი.

მთვარისა და ფარების მკრთალ შუქზე ბლეინი მათ სახეებს აკვირდებოდა და ხედავდა, რომ მათში გაუბედაობა და სიფიცხე ერთმანეთს ებრძოდა.

მანქანიდან ისევ ისმოდა რაილის ისტერიული კვნესა.

ფიშჰუკი? (ბორცვზე აღმართული შენობების კოშკები, კილომეტრობით შენობები, მასიური, დიდებული, შთამაგონებელი...)

მართალია, — აღნიშნა ბლეინმა.

ახალგაზრდების ჯგუფს გოგო გამოეყო, ბლეინს მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

მეგობარო, — მიმართა მან, — *არ ველოდით ჩვენიანის გამოჩენას. ბოდიშს გიხდით უსიამოვნებისთვის.*

ბლეინმა ხელი ჩამოართვა და ნორჩი თითების მტკიცე და ძლიერი მოჭერა იგრძნო.

ღამით გზებზე იშვიათად თუ შევხვდებით ხოლმე ვინმეს, — აღნიშნა ერთ-ერთმა.

უბრალოდ ვერთობით, — თქვა მეორემ, — *ეს ცხოვრება მაგარი მოსაწყენია.*

ვიცი, რომ მოსაწყენია, — დაეთანხმა ბლეინი.

მალე ყველა წმინდანთა დღეა, — დაუმატა კიდევ ერთმა.

ყველა წმინდანთა დღე? ა, ჰო, მაშინ გასაგებია (ჩარაზულ დარაბებზე ატეხილი ბრახუნი, ხეზე ჩამოკონწიალებული ჭიშკარი, თავდაყირა დაკიდული კაბალისტური ფირფიტა).

ახია მათზე, თვითონ არიან დამნაშავეები.

მართალია, — დაეთანხმა ბლეინი, — *მაგრამ სახიფათოა.*

მაინცდამაინც არა, ძალიან არიან შეშინებულები.

მაგრამ ეს მდგომარეობას არ უშველის.

მისტერ, ამ მდგომარეობას უკვე ველარაფრით უშველი.

კი მაგრამ ფიშჰუკი? — იკითხა ბლეინის პირდაპირ მდგარმა გოგომ.

ბლეინმა ყურადღებით შეათვალიერა გოგო და შენიშნა, რომ ძალიან ლამაზი იყო, ცისფერი თვალები, ოქროსფერი თმა და ისეთი მოხდენილი ტანი ჰქონდა, ძველი დრო რომ ყოფილიყო, ნებისმიერ სილამაზის კონკურსში გაიმარჯვებდა

მოკლედ, კერპი, რომელიც პარანორმალური კინეტიკით ვატაცებულმა ადამიანმა სულ მთლად მიივიწყა.

მაპატიე, გთხოვ, — მოუბოდიშა ბლეინმა, — *ვერ გეტყვი.*

მოხდა რამე? საფრთხე გემუქრება?

ამჟამად არა.

დაგეხმარებით.

არ არის საჭირო, — უპასუხა ბლეინმა, რაც შეიძლება უდარდელად და აუღელვებლად.

სადაც გინდა, იქ წაგიყვანთ.

მე ლევიტატორი არ ვარ.

არც არის საჭირო, რომ იყო. ჩვენ შეგვიძლია ფრენა (ჰაერში მოფარფატე ბლეინი, ორ ლევიტატორს ორივე მხრიდან უჭირავს და მიაფრენენ).

ბლეინს შეაჟრჟოლა. *არა, მადლობ, არ მინდა.*

მოულოდნელად ერთ-ერთმა მანქანის კარი გააღო, მეორე კი რაილის დასწვდა და კაბინიდან გადმოათრია.

რაილი ოთხზე იდგა და ქვითინით მიფორთხავდა მიწაზე.

თავი დაანებეთ! — იყვირა ბლეინმა.

გოგო შეტრიალდა. მისმა ფიქრებმა მკაცრად და დამაჯერებლად გაიჟღერა: *მოსცილდით! ხელი არ ახლოთ! თითი არ დააკაროს არავინ!*

კი მაგრამ, ანიტა...

თითიც არ დააკაროთ, — გაიმეორა მან.

ის ხომ ბინძური ნაძირალაა, ვერცხლის საფანტით ისვრის.

არა!

მათ უკან დაიხიეს.

უნდა წავიდეთ, — მიმართა ანიტამ ბლეინს, — *ხომ კარგად იქნება ყველაფერი?*

ამ კაცს გულისხმობ?

ანიტამ თავი დაუქნია.

ამას მე მოვუვლი, — უპასუხა მან.

ანიტა ენდრიუსი ვარ, ჰამილტონში ვცხოვრობ, ჩემი ტელეფონის ნომერია 276. ჩაიწერე გონებაში.

ჩავიწერე, — მიუგო ბლეინმა და ციფრები და სიტყვები აჩვენა.

დახმარება თუ დაგჭირდა...

დაგირეკავ.

მპირდები?

გპირდები (მფეთქავ გულთან მიტანილი გადაჯვარედინებული თითები).

მოულოდნელად რაილი წამოხტა, თოფს დაავლო ხელი და ბარბაცით მდგარმა ჯიბეებში დაუნყო ვაზნებს ძებნა.

ბლეინი რაილის დააფრინდა, მხარით მუხლებს ზემ.ოთ მიეხეთქა, ცალი ხელი წელზე მოხვია და მეორეთი ცდილობდა, თოფის ლულას მოსჭიდებოდა, მაგრამ უშედეგოდ.

დაცემისას იყვირა: გაეცალეთ ჩქარა! ყველანი!

ბლეინი სახით დაეცა ასფალტზე და გადაგორდა. ტანსაცმელი ტკაცანით ასკდებოდა და გრძნობდა, როგორ აძრობდა მას ტყავს ასფალტის ხორკლიანი ზედაპირი, რაილიც მასთან ერთად მიგორავდა, რადგან ბლეინი არაფრით არ უშვებდა ხელს.

როცა გაჩერდნენ, ბლეინმა ხელის ცეცებით დაუწყო იარაღს ძებნა, მაგრამ უცბად სიბნელეში თოფის ტარმა გაიელვა და მის ზურგზე დაეშვა. ბლეინმა სიმწრისაგან

შეიკურთხა და შეეცადა, თოფი გამოეტაცა, მაგრამ რაილის უკვე მოესწრო მეორე დარტყმისთვის მომზადება. ბლეინმა ალალბედზე გაიქნია ხელი და რაილის მოარტყა, რომელსაც ძლიერ დარტყმაზე გმინვა აღმოხდა და უცაბედად ძირს დაშვებული თოფი ბლეინის სახეს მილიმეტრებში ასცდა.

ბლეინმა ხელი სტაცა იარაღს, მოქაჩა, გადაგრიხა და, როგორც იქნა, ხელიდან გააგდებინა.

როგორც კი იარაღი ხელში ჩაიგდო, ბლეინი გზიდან გადაგორდა და წვალებით წამოდგა ფეხზე, მაგრამ მოულოდნელად შენიშნა, რომ ხელებგაშლილი რაილი კორიდის ხარივით მოქროდა მისკენ, პირი გახსნილ იარასავით დაეღო და სიბრაზისგან ცოფებს ყრიდა.

ბლეინმა აიღო იარაღი და ძლივს მოასწრო მისი სიბნელეში გადაგდება. განზე გახტა, მაგრამ ნაბიჯი ვერ გათვალა, წამში რაილის ბარკლისოდენა ტორი მის ბარძაყს ჩაეჭიდა. ბლეინი მკვეთრად მოტრიალდა, ისე, რომ რაილის ხელი არ გაუშვია. რაილიმ სხეულის გაშმაგებული მოძრაობით გაჩერება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა, ინერციით გაექანა მანქანისკენ და გამაყრუებელი გრუხუნით მიეხეთქა.

ტკივილისგან მოიკეცა და მიწაზე დაეშვა. ბლეინი თვალს არ აცილებდა, მაგრამ რაილი არ განძრეულა.

სიჩუმე ჩამოწვა. ლევიტატორები გამქრალიყვნენ, მათ გარდა ირგვლივ არავინ ჩანდა, მხოლოდ ის, რაილი და დანგრეული ფურგონი დარჩენილიყვნენ.

ბლეინი შემოტრიალდა და ცას ახედა, იქაც არაფერი ჩანდა მთვარისა და ვარსკვლავების გარდა. პრერიაზე მხოლოდ ტრამალის მარტოსული ქარი დანავარდობდა.

რაილის შეხედა, ცოცხალი იყო, იჯდა და ფურგონის წინა მხარეს მიყრდნობოდა. დარტყმისგან შუბლი გაჩეხილი ჰქონდა, ძალა სულ გამოცლოდა, მძიმედ სუნთქავდა, სული რომ მოეთქვა, და გაშმაგებული აბრიალებდა თვალებს.

ბლეინი მიუახლოვდა.

"ნამდვილი იდიოტი ხარ, — მიახალა ბლეინმა, — კიდევ

ერთი გასროლა და წასული იყო ჩვენი საქმე, ნაფლეთებად გვაქცევდნენ."

რაილი ბლეინს მისჩერებოდა, პირს ამოძრავებდა და რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა: "შენ ... შენ ... შენ."

ბლეინი მასთან მივიდა, ხელი გაუწოდა, ადგომაში რომ დახმარებოდა, მაგრამ რაილიმ უარი თქვა დახმარებაზე და მთელი ძალით მიეკრო მანქანას, თითქოს უნდოდა, მეტალის ზედაპირს შერწყმოდა.

"შენც იმათნაირი ხარ! — იყვირა მან, — ამას თავიდანვე მივხვდი."

"გაგიჟდი?"

"არაფერიც, გეშინია, არავინ შეგნიშნოს, მანქანას არც სცილდები, ყავაზე და საჭმელზე სულ მე დავდივარ, ბენზინზეც მე ვევაჭრები, შენ კი ნაბიჯსაც არ ადგამ."

"ეს ხომ შენი მანქანაა, — ამშვიდებდა ბლეინი, — ფულიც შენ გაქვს და შენვე უნდა მოელაპარაკო, ხომ იცი, მე ჯიბეგამოფხეკილი ვარ"

"გახსოვს, როგორ დამადექი თავზე? — ზლუქუნებდა რაილი, — პირდაპირ ტყიდან გამოხვედი და გამომეცხადე, ალბათ მთელი ღამე იქ გაატარე. შენ არაფრის გწამს, ჩვეულებრივ ადამიანს არ გავხარ."

"ეს იმიტომ, რომ სულელი არა ვარ, — არწმუნებდა ბლეინი, — მე ისეთივე ადამიანი ვარ, როგორიც შენ. როგორ გგონია, ჯადოქარი რომ ვიყო, ამ ხლამით ვირახრახებდი ამხელა გზაზე?"

რაილის მიადგა, სტაცა ხელი, ფეხზე დააყენა და ისე მაგრად შეაჯანჯღარა, რომ თავმა აქეთ-იქით რყევა დაუწყო.

"გეყოფა! — დაუღრიალა ბლეინმა, — საფრთხე აღარ გვემუქრება, წავედით აქედან."

"თოფი! შენ გადააგდე!"

"დაივიწყე. ჩაჯექი მანქანაში."

"შენ მათ ელაპარაკებოდი, მე გავიგონე!"

"რას ამბობ, სიტყვაც არ მითქვამს."

"პირით არა, — განაგრძობდა რაილი, — არც ენით, მაგრამ მაინც გავიგონე, როგორ ელაპარაკებოდი. ყველაფერი არა, რაღაც ნაწყვეტები. უეჭველად ელაპარაკებოდი."

ბლეინმა ცალი ხელი რაილის ჩასჭიდა და მანქანას ააკრა, ხოლო მეორეთი კარი გააღო.

"ახლა მოკეტე და მანქანაში ჩაჯექი, — მკვახედ მიუგო ბლეინმა, — შენ და შენი თოფი! ვერცხლის საფანტი! რაღაც გაიგონა ბიჭმა, დიდი ამბავი!"

უკვე გვიანია, — გადაწყვიტა მან. აზრი არა აქვს ახსნას, რამის ჩვენებას. მისი დახმარება რომც ეცადა, მაინც ვერ გაიგებდა. სიმართლე რომ ეთქვა, რაილი კეთილგონიერების იმ მცირე ნაწილსაც დაკარგავდა, რაც გააჩნდა. სულ მთლად შეიშლებოდა და დანაშაულის გრძნობის მორევში ჩაეფლობოდა, როცა გაიგებდა, რომ ავი საქმის ძალაუნებური თანაზიარი გახდა.

ბლეინმა ფურგონს მეორე მხრიდან შემოუარა, ჩაჯდა, დაქოქა და მანქანა გზის პირას გამოიყვანა.

მთელი საათი ისე მიდიოდნენ, არც ერთს ხმა არ ამოუღია. რაილი კუთხეში მიკუნტულიყო და ბლეინი გრძნობდა, რომ თვალს არ აშორებდა.

"მაპატიე, — როგორც იქნა, წამოიძახა, — ბლეინ, მაპატიე. მგონი, მართალი იყავი."

"რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ბლეინი, — შენ რომ სროლა დაგეწყო... "

"მე მაგაზე არ გეუბნები, — შეაწყვეტნა რაილიმ, — შენც რომ ერთ-ერთი იმათგანი იყო, არ დარჩებოდი, იმათთან ერთად გაფრინდებოდი. სადაც მოისურვებდი, იქ გაგაქროლებდნენ."

ბლეინმა ჩაიცინა: "რომ დაგიმტკიცო, რომ ეს ასე არ არის, ხვალ ყავასა და საჭმელზე მე წავალ, თუ, რა თქმა უნდა, შენს ფულს მანდობ."



15

ბლეინი სკამზე იჯდა სასაუზმეში და ელოდებოდა ბარმენს, რომელსაც ჰამბურგერები უნდა შეეხვია და მათარა ყავით გაევსო. შენობაში მის გარდა კიდევ ორი კლიენტი იყო, მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ერთს საუზმე ახლახანს დაემთავრებინა და გაზეთს კითხულობდა, მეორე კი საკუთარ თეფშს დაჰყურებდა და სქელ მასას ილუკმებოდა, რომელიც ერთ დროს ერბოკვერცხი და შემწვარი კარტოფილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისე იყო გადაზელილი, რომ ძაღლის სალაფავს წააგავდა.

ბლეინმა მზერა შენობის შუშის კედელზე გადაიტანა.

ქუჩაში დილის სიმშვიდე სუფევდა, ტროტუარზე ერთადერთი ფეხით მოსიარულე მიდიოდა, რომელსაც დროდადრო მანქანა ჩაუვლიდა ხოლმე.

ალბათ სისულელეს აკეთებდა, ასე რომ რისკავდა, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ რაილი დაემშვიდებინა და მისი ეჭვები გაეფანტა. ერთი რამ ნათელი იყო, რაც არ უნდა გაეკეთებინა მას და რაც არ უნდა ეთქვა რაილის, ის მაინც ეჭვის თვალით შეხედავდა.

თუმცა დიდი გზა არც დარჩენოდათ, მალე მდინარე გამოჩნდებოდა და პიერიც იქიდან რამდენიმე მილით იყო დაშორებული ჩრდილოეთით. ახლა მოუვიდა აზრად, რომ

რაილის ერთხელაც არ უთქვამს, სად მიდიოდა. თუმცა უცნაურიც არაფერია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ რაილი უაღრესად შეშინებული იყო და ყოველთვის თავს არიდებდა ტვირთზე საუბარს.

ბლეინმა ფანჯარას მოსწყვიტა თვალი და ბარმენს მიადევნა, რომელმაც ჰამბურგერები ჩაუწყო და ყავა ჩამოუსხა, შემდეგ ხუთდოლარიანი მიაწოდა, რაილიმ რომ გამოატანა, და ხურდა ჯიბეში ჩაიდო.

ქუჩაში გავიდა და ბენზინგასამართი სადგურისკენ გასწია, სადაც რაილი ელოდებოდა თავის ფურგონთან ერთად. ჯერ ადრე იყო და გასამართზე არავინ იქნებოდა, ისაუზმებდნენ იქ და როცა სადგური გაიხსნებოდა, ბენზინს ჩაასხამდნენ და გზას გაუდგებოდნენ. შეიძლება ეს მათი ერთად მგზავრობის ბოლო დღეც ყოფილიყო.

როგორც კი მდინარეს მიაღწევდნენ, ბლეინი მარტო განაგრძობდა გზას პიერისკენ.

გრილი დილა იყო, თითქმის სუსხიანი, ცივი ჰაერი ბლეინს ჩასუნთქვისას ნესტოებს წვავდა. კიდევ ერთი მშვენიერი დილა გათენდა, ოქტომბრის დილა, როცა ცაზე თხელი ნისლია გადაკრული და ჰაერი ღვინოსავით ათრობს.

ბლეინი ბენზინგასამართს მიუახლოვდა, მაგრამ ვერც რაილი შენიშნა და ვერც ფურგონი.

რაილიმ მანქანა გვერდზე ხომ არ გადააყენა? მაგრამ ბლეინმა მშვენივრად იცოდა, რომ ფურგონი იქ არ დახვდებოდა, დარწმუნებული იყო, რომ რაილიმ მოატყუა.

თავიდან რომ მოეშორებინა, რაილი იძულებული შეიქნა ხუთ დოლარიანს დამშვიდობებოდა და სხვა სადგური ეძებნა.

ბლეინს ეს მაინცდამაინც არც გაჰკვირვებია, გულის სიღრმეში მზად იყო ამისთვის, თუმცა არ აღიარებდა. რაილის აზრით, ასეთი საქციელი წინა ღამის ეჭვებს ყველაზე ადვილად გაფანტავდა.

საკუთარი ვარაუდის სისწორეში რომ დარწმუნებულიყო, ბლეინმა კვარტალი შემოიარა.

მანქანა არსად ჩანდა. ქუჩაში მის გარდა არავინ ჭაჭანებდა.

სულ ცოტა ხანში ქალაქი გაიღვიძებდა და აქაურობას მანამ უნდა გასცლოდა, სანამ ეს მოხდებოდა, უსაფრთხო სამალავი უნდა მოეძებნა, სადაც დღე გაჩერდებოდა.

წუთით შეჩერდა, რომ ორიენტაცია აეღო.

ბლეინი დარწმუნებული იყო, რომ ქალაქის ყველაზე ახლო ნაპირი აღმოსავლეთით მდებარეობდა, რადგან აქ სამხრეთიდან შემოვიდნენ და ორი-სამი მილი გამოიარეს.

გზას დაადგა და ცდილობდა, რაც შეიძლება სწრაფად ემოძრავა, თუმცა ისე არა, რომ სხვისი ყურადღება მიეპყრო. ქუჩაში სულ რამდენიმე მანქანამ გაიქროლა, ვიღაცა სახლიდან გამოვიდა და კართად დაგდებული გაზეთი აიღო, ერთმა კი გვერდით ჩაუარა, ხელში საუზმის კალათას მოაქანავებდა, მაგრამ არც ერთს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

დასახლებული ადგილები შეთხელდა და ბლეინი ქალაქის ბოლო ქუჩას დაადგა. აქ დაბლობი მთავრდებოდა და დამრეცი რელიეფი იწყებოდა, ტყით მოცული ბორცვები და გორაკები, ერთი მეორეზე დაბალი. ბლეინი მიხვდა, რომ ქვემოთ, სადაც უკანასკნელი ბორცვი მთავრდებოდა, ძალუმი მდინარე მიედინებოდა, თავისი მოძრავი ქვიშის თავთხელებითა და ტირიფის კუნძულებით.

ბლეინმა მინდორი გადაჭრა, ღობეზე გადაძვრა და ციცაბო ხევს დაუყვა, რომლის ძირშიც პატარა ნაკადული მხიარულად ეხეთქებოდა ნაპირებს, ხოლო იქვე შორიახლოს ტბა მოჩანდა, რომელსაც ტირიფების რიგი შემოხვეოდა გარს მცველად.

ოთხზე დადგა და ტირიფებში შეძვრა. მშვენიერი სამალავი იყო, ქალაქიდან მოშორებით. აქ არავინ შეაწუხებდა, რადგან ტბა იმდენად პატარა იყო, სათევზაოდ არ გამოდგებოდა, საცურაოდ კი ძალიან ცივი იყო.

აქ ვერავინ შეამჩნევს მის გონებაში მოელვარე სარკეს და ვერავინ უწოდებს პარაფსიქს.

ღამე კი გზას გააგრძელებდა.

ბლეინმა ორი ჰამბურგერი შეჭამა და ყავა მიაყოლა.

ქალაქიდან შორეული ხმები ისმოდა — ფურგონების გრუხუნი, ძრავების გუგუნი, ძაღლების ყეფა, დედის ხმა, რომელიც ბავშვებს ეძახდა.

რამხელა მანძილი გამოუვლია ფიშჰუკიდან. ბლეინი იჯდა ტირიფების ჩრდილში და ჯოხით ქვიშის ზედაპირს ჩიჩქნიდა. თითქოს საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ფრედი ბეიტსს შეხვდა და შარლინის ვილას ესტუმრა და აქამდე დროც ვერ მოიხელთა, რომ ამაზე დაფიქრებულიყო.

ისევე, როგორც მაშინ, ახლაც იგივე კითხვა აწუხებდა: უკეთესი ხომ არ იქნებოდა, გოდფრი სთოუნის სიტყვების მიუხედავად, ქალაქში დარჩენილიყო და ყველაფერი გადაეტანა, რასაც ფიშჰუკი უმზადებდა?

ბლეინი იჯდა და ფიქრობდა. მისი ფიქრები იმ ლურჯ ოთახს დაუბრუნდა, საიდანაც ყველაფერი დაიწყო. ოთახი მთელი სიცხადით წარმოუდგა თვალწინ, თითქოს გუშინ ყოფილიყოს იქ. უცხო ვარსკვლავები მკრთალად ეცემოდნენ ამ უსახურავო ოთახს, ხოლო ბორბლები პრიალა ზედაპირზე ადვილად გადაადგილდებოდნენ. ოთახში სხვადასხვა უცნაური სახისა და მოყვანილობის საგანი ეყარა, რომლებიც ავეჯის, ხელოვნების ნიმუშების ან სხვა ფუნქციას ასრულებდნენ.

და ყველაფერი ნათლად აღიდგინა გონებაში, მთელი სიცხადითა და ყველა წვრილმანი დეტალით.

ზანტად გაშხლართული ვარდისფერი არსება მის დანახვაზე ოდნავ წამოდგა და ბლეინს მიმართა: მაშ დაბრუნდი?

მართლა დაბრუნებას არ ჰგავდა?

შეპარდ ბლეინი დაუბრუნდა ვარდისფერს ყოველგვარი მოწყობილობის, მანქანის ან სხეულის დახმარების გარეშე, დაბრუნდა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი გონების წყალობით.



16

გონება უხილავია, მაგრამ ვარდისფერი არსება ხედავდა მას, ან გრძნობდა, უფრო სწორად, იცოდა, რომ ახლომახლო ვიღაცის გონება იყო. შეპარდ ბლეინს არ ჰქონია არც გაოცების, არც უცხოობის შეგრძნება, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს სახლში დაბრუნდა, ცისფერი ოთახი ახლა უფრო ნაცნობი და ახლობელი იყო მისთვის, ვიდრე პირველი ვიზიტის დროს.

ჰო, — აღნიშნა ვარდისფერმა და მის გონებას გადაავლო მზერა, —შენგან მშვენიერი მეწყვილე გამოვიდა!

რა თქმა უნდა, გაიფიქრა მისი გონების ის ნაწილმა, რომელსაც ჯერ კიდევ შეპარდ ბლეინი ფლობდა, ის ხომ მისი გარკვეული ნაწილი იყო, უფრო სწორად, ნახევარი, მართლა საკუთარ სახლს დაუბრუნდა. ბლეინი პირდაპირ აღმართული უცხო არსების ნაწილად გრძნობდა თავს, ერთი მხრივ, შეპარდ ბლეინი იყო, დედამიწის ბინადარი და მეორე მხრივ — ცისფერი ოთახის მკვიდრი არსების დუბლიკატი, თუმცა დარწმუნებით ვერ იტყოდა, რომელი ნაწილი უფრო სჭარბობდა მასში და რამდენით.

როგორ მიდის საქმე? — მეგობრულად ჰკითხა არსებამ, თითქოს არ იცოდა.

ერთი პრობლემა გვაქვს, — ჩქარობდა ბლეინი, უნდოდა

მოესწრო ყველაფრის თქმა მანამ, სანამ დრო ამოიწურებოდა და ამ ადგილის დატოვება მოუხდებოდა, — მხოლოდ ერთი. ჩვენ სარკესავით ვართ, სხვის გონებას ვირეკლავთ.

აბა როგორ გინდა, — გაიკვირვა არსებამ, — სხვანაირად არ გამოვა. უცხო პლანეტაზე როგორმე ხომ უნდა დაიცვა თავი ცნობისმოყვარე გონებისგან, როცა მათ გონებას აირეკლავ, მიხვდებიან, ვინც ხარ და თავს დაგანებებენ. აქ, სახლში, რა თქმა უნდა, არ არის საჭირო...

შენ ვერ გამიგე, — შეეწინააღმდეგა ბლეინი, — ეს კი არ გვიცავს, პირიქით, საფრთხეში გვაგდებს, რადგან ზედმეტად იქცევს ყურადღებას. იმ დღეს ძლივს გადავურჩით სიკვდილს.

რას ამბობ, სიკვდილი არ არსებობს, — შეაწყვეტინა გულმოსულმა არსებამ, — სიკვდილი წარმოუდგენელი და ყოვლად უსაფუძვლო ცნებაა, თუმცა შეიძლება ვცდებოდე, ძალიან დიდი ხნის წინ, მგონი, იყო ერთი პლანეტა...

ვარდისფერმა არსებამ გონება დაძაბა, ცოტაც და ბლეინი მისი ქაოტური მეხსიერების გაყვითლებული საარქივო საქაღალდეების შრიალს გაიგონებდა.

კი, ნამდვილად იყო ერთი, უფრო სწორად, რამდენიმე პლანეტა. რა სამარცხვინოა, ჩემთვის ეს სრულიად გაუგებარი და წარმოუდგენელია.

დამიჯერე, — ამტკიცებდა ბლეინი, — ჩემს პლანეტაზე არსებობს სიკვდილი, ყველა და ყველაფერი მოკვდავია...

მართლა? ნუთუ ყველაფერი?

ალბათ, ზუსტად ვერ გეტყვი...

ხომ ხედავ, შენს პლანეტაზეც არ ყოფილა სიკვდილი უნივერსალური მოვლენა.

არ ვიცი. შეიძლება უკვდავი რაღაცებიც არსებობს.

ჩვეულებრივ რაღაცებს გულისხმობ?

სიკვდილს თავისი მიზეზი აქვს, — ამტკიცებდა ბლეინი, — ეს ის პროცესია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა სახეობების განვითარება და დიფერენციაცია ჩემს პლანეტაზე. სწორედ სიკვდილი არ გვაძლევს ჩიხში შესვლის

საშუალებას, ის ერთგვარი მექანიზმია, რომელიც შეცდომებს შლის და ახალ დასაწყისს უმზადებს საფუძველს.

ვარდისფერი არსება მოხერხებულად მოკალათდა და აზრებს მოუყარა თავი, თითქოს გრძელი და ნაყოფიერი საუბრისა და, შეიძლება, კამათისთვისაც მოემზადა.

იქნებ, მასეც იყოს, მაგრამ ეს ძალიან პრიმიტიული გზაა, რომელიც ქაოსამდე მიგიყვანთ. სხვა, უკეთესი გზებიც არსებობს. გარკვეულ ეტაპზე შეიძლება ის სრულყოფის აუცილებლობაც არ არსებობდეს, რომელზედაც შენ ლაპარაკობ, თუმცა სანამ შორს წავალთ, მითხარი, კმაყოფილი ხარ?

კმაყოფილი?

ჰო, შენ ხომ საკუთარი თავი სრულყავი. ახლა მარტო საკუთარი თავი კი აღარ ხარ, არამედ ჩემს გარკვეულ ნაწილსაც შეიცავ.

ისევე, როგორც შენც გარკვეულწილად ჩემს ნაწილს წარმოადგენ?

ვარდისფერ არსებას ჩაეცინა: არ ვიცი, ხვდები, თუ არა, რომ ერთდროულად ორ არსებას იტევ — საკუთარ თავსა და მე, მე კი, ვინ მოთვლის, რამდენ ნაწილად ვარ დაყოფილი, არც ვიცი, საიდან დავიწყო. ძალიან ბევრი მივლია და უამრავი რამ შემითვისებია, მათ შორის მრავალი გონებაც. სიმართლე გითხრა, ზოგის მიღება არც ღირდა. მაგრამ, რა არის, იცი? ხომ ამდენ ადგილს ვსტუმრობ, ჩემთან ძალიან დიდი ხანია არავინ მოსულა სტუმრად. ვერც წარმოიდგენ, რა მადლობელი ვარ, რომ მოხვედი. იყო ერთი არსება, რომელიც ძალიან ხშირად მნახულობდა, მაგრამ დიდი ხნის წინ იყო, აღარც მახსოვს დანამდვილებით, როდის. ჰო, მართლა, თქვენ დროის საზომი გაქვთ, არა? ზედაპირულ დროს ვგულისხმობ.

ბლეინმა აუხსნა, როგორც ზომავდნენ ადამიანები დროს.

ჰმმ, ახლავე გეტყვი, — არსებამ გონება დაძაბა და სწრაფად გამოიანგარიშა, — თქვენი გამოთვლებით გამოდის, რომ ეს არსება ათი ათასი წლის წინ მესტუმრა. შენ ჩემი

პირველი სტუმარი ხარ მას შემდეგ, თვითონ მოხვედი და არ დამიწყე ლოდინი. მანქანით იყავი...

მაშ, რატომ მკითხე დროის საზომზე? შენ ხომ ყველაფერი მშვენივრად იცოდი, ჩემს გონებას ფლობ და რაც მე ვიცი, ის შენც იცი.

რა თქმა უნდა, ვიცოდი, — წაილუღლუღა მან, — მაგრამ უნდა გამეხსენებინა, შენ ვერ წარმოიდგენ, რა ორომტრიალი მაქვს გონებაში.

რაც მართალია, მართალია, გაიფიქრა ბლეინმა, გონება იმდენად გადატვირთული ჰქონდა, რომ შეიძლება ერთი ზედმეტი გონებისთვისაც ვერ გაეძლო. საინტერესოა...

ჰო, რა თქმა უნდა, — უთხრა არსებამ, — მაგრამ არა უშავს, დროთა განმავლობაში ყველაფერი მოგვარდება, ცოტაც მოითმინე და თქვენ ორნი ერთი არსება გახდებით, ერთი გონება გექნებათ. რას იტყვი, როგორ მოგწონს?

ცოტა სარკის ამბავი ვერ იყო კარგად ჩაფიქრებული.

სულაც არ მინდა უსიამოვნებები, ყველაფერს გავაკეთებ, რომ შეცდომები გამოვასწორო. თუ გინდა, სარკის ეფექტს მოვხსნი.

კარგს იზამ, — უპასუხა ბლეინმა.

აქედან ნებისმიერ პლანეტას ვსტუმრობ, ისე, რომ ადგილიდანაც არ ვიძვრი. ალბათ გაგიკვირდება, რომ გითხრა, რა იშვიათად მიჩნდება იმის სურვილი, რომ ვინმეს გონება გავუცვალო.

ათი ათასი წლის მანძილზე არა ერთს მოაგროვებდი.

ათი ათასი წელი, — შეფიქრიანდა არსება, — ათი ათასი წელი გუშინდელ დღესავითაა.

არსება საკუთარ გონებას ჩაუღრმავდა, ცდილობდა, მეხსიერების ყველაზე ღრმა კუნჭულებში შეეღწია და დასაწყისი ეპოვა, მაგრამ — უშედეგოდ.

ძალიან დიდი სიფრთხილე მმართებს, როცა ვინმეს გონებას ვუცვლი, რადგან ბევრი მეორე გონებას ვერ იტევს. ზოგი ფიქრობს, რომ რაღაც ბოროტ ძალას ჰყავს

შეპყრობილი, ზოგი ჭკუიდანაც გადადის. გესმის, რასაც ვგულისხმობ?

რა თქმა უნდა, — უპასუხა ბლეინმა.

მოდი, ახლოს დამიჯექი.

ასეთ მდგომარეობაში, არა მგონია, შევძლო, — აღნიშნა ბლეინმა.

ა, მართალი ხარ. როგორ არ ვიფიქრე. მაშინ მომიახლოვდი, შენ თვითონ არ მოხვედი ჩემთან სტუმრად?

რა თქმა უნდა, — დაიბნა ბლეინი.

მაშ, — წამოიძახა არსებამ, — მოდი, ვილაპარაკოთ მოგზაურობაზე.

კარგი, — უპასუხა ბლეინმა და მისკენ ახლოს მიიწია.

იმდენი სხვადასხვა ადგილი არსებობს, სადაც უამრავი განსხვავებული არსება ბინადრობს, რომ არც ვიცი, საიდან დავიწყო. იმაზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევს, რა მოხდებოდა, ეს ყველაფერი ერთმანეთთან რომ დამეკავშირებინა და მთლიან ერთეულად მექცია, ალბათ რაღაც მნიშვნელოვანი აღმოჩენის ზღვარს მივუახლოვდებოდი. გინდა მოგიყვე, როგორ არსებებს შევხვედრივარ გალაქტიკის განაპირას?

კი, რა თქმა უნდა, — უთხრა ბლეინმა.

მეტად უჩვეულო არსებებს, რომლებმაც თქვენსავით მანქანები კი არ გამოიგონეს, არამედ გარკვეულ წილად თავად იქცნენ მანქანებად...

ისხდნენ უცხო ვარსკვლავების მკრთალი შუქით მოფენილ ცისფერ ოთახში, შორიდან უდაბნოს ქარის მძვინვარე ზუზუნი ისმოდა და ვარდისფერი არსება უამრავ რაღაცაზე ყვებოდა: მანქანების ცივილიზაციაზე, მწერების ტომებზე, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იმაზე მეტი საკვები მოიმარაგეს, ვიდრე ოდესმე შეეძლოთ აეთვისებინათ და საკუთარი ბრმა მომჭირნეობის მსხვერპლად იქცნენ, რასაზე, რომელმაც ხელოვნება რელიგიური თაყვანისცემის საფუძვლად აქცია, ფარული მოსმენის სადგურებზე,

რომლებიც ერთ-ერთი ყველასაგან მივიწყებული გალაქტიკური იმპერიის გარნიზონებმა გამართეს, ერთ-ერთი რასის მეტად საოცრად ჩახლართულ სექსუალურ ტრადიციებზე, რასის, რომლის თითქმის მთელი ძალისხმევა რეპროდუქციისადმია მიპყრობილი, უსიცოცხლო და უნაყოფო პლანეტებზე, ასევე პლანეტებზე, სადაც ისეთი ქიმიური რეაქციები მიმდინარეობს, რომლის გაგება და წარმოდგენაც ადამიანის ძალებს აღემატება და ამ ქიმიური რეაქციების შედეგად ჩნდება მერყევი, ეფემერული შეგრძნება, რომელიც ერთ წამს სიცოცხლეს ჰგავს, მეორე წამს კი — სხვა რამეს.

კიდევ უამრავ რამეზე ყვებოდა.

ბლეინი უსმენდა და ხვდებოდა, რა ფანტასტიკური გონების უკვდავ არსებას გადააწყდა, არსებას, რომელსაც აღარ ახსოვდა, სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა მისი გონება, რომელსაც საკუთარი მოხეტიალე გონების მეშვეობით მილიონობით სინათლის წლის მანძილზე ამ და ზოგიერთ მეზობელ გალაქტიკებში მდებარე მილიონობით ვარსკვლავი და პლანეტა მოენახულებინა, სხვადასხვა სახის აურაცხელი ინფორმაცია შეეგროვებინა, მაგრამ რატომღაც არასოდეს უცდია ამ ინფორმაციის გამოყენება და სისტემატიზირება, რადგან წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ გაეკეთებინა ეს, თუმცა ყოველთვის აწუხებდა იმაზე ფიქრი, რომ ცოდნის ასეთი ძვირფასი მარაგი ფუჭად ცდებოდა, არსებას, რომელსაც შეეძლო, უსასრულოდ მჯდარიყო მზეს მიფიცხებული და მთელი ამ ხნის მანძილზე ნანახის შესახებ მოეყოლა.

ბლეინის აზრით, ეს იყო გალაქტიკური ენციკლოპედია, უზარმაზარი ატლასი, რომელიც აურაცხელ სინათლის წელს რუკასავით ფარავდა, მას შეეძლო ცოდნის უშრეტი წყარო გამხდარიყო ადამიანთა მოდგმისთვის, უდიდესი სარგებელი მოეტანა მისთვის. ადამიანი შეხვდა არსებას, რომელსაც კეთილგანწყობის გარდა სხვა არანაირი ემოცია არ გააჩნდა

და თუ ოდესმე ჰქონდა, კარგა ხანია, მტვრად ქცეულიყო. შეხვდა არსებას, რომელსაც უდიდესი ცოდნა დაეგროვებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შეძლო მისი გამოყენება, თუმცა ამ მცდელობას ფუჭად მაინც არ ჩაუვლია, რადგან საუკუნეების მანძილზე გალაქტიკების ჭვრეტის შედეგად მოთმინებისა და გაგების უნარი შეიძინა, ისწავლა ნებისმიერი მოტივის, ეთიკის, მისწრაფებისა და კულტურის აღიარება, რაოდენ უცნაური და მიუღებელი არ უნდა ყოფილიყო ის.

და უცბად ბლეინი მიხვდა, რომ ყველა ეს ინფომაცია ერთ გონებაში იყო თავმოყრილი, შეპარდ ბლეინის გონებაში, მაგრამ — ქაოტურად. რა იქნებოდა მისი განცალკევება, კლასიფიცირება, შენახვა, შემდეგ მოძებნა და ჯეროვანი გამოყენება რომ შეძლებოდა.

ბლეინმა დროისა და საკუთარი თავის შეგრძნება დაკარგა და ისეთი გაფაციცებით უსმენდა არსებას, როგორც პატარა ბიჭი უსმენს ხოლმე შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებული მოხუცი მეზღვაურის მონათხრობ წარმოუდგენელ ისტორიებს.

ოთახი მის მშობლიურ ადგილად, ხოლო ვარდისფერი არსება მის მეგობრად იქცა, ვარკვლავებიც ისე უცხოდ აღარ ეჩვენებოდნენ და შორეული ქარის ზუზუნი უკვე ნაცნობ იავნანასავით ჩაესმოდა.

კარგა ხნის შემდეგ გამოერკვა და მიხვდა, რომ არსებას უკვე დაესრულებინა თხრობა.

ბლეინი შეიშმუშნა. მშვენიერი დრო გავატარე, ასეთი კმაყოფილი არასოდეს ვყოფილვარ, — მიუგო უცხომ.

ერთადერთი კითხვა მაქვს, — უთხრა ბლეინმა.

თუ ეს სარკეს ეხება, სანერვიულო არაფერია, უკვე მოგაშორე, ველარაფერი გაგცემს.

მაგაზე არ ვამბობ. დროს ვგულისხმობ. მე, უფრო სწორად, ჩვენ, გარკვეულ წილად დროს ვაკონტროლებთ. ერთი ორჯერ ამან სიკვდილისგან მიხსნა.

შემეცნების უნარი შენს გონებაშია, — მიანიშნა არსებამ, — მხოლოდ უნდა იპოვო ის.

კი მაგრამ, დრო ხომ ...

დრო, — დასძინა ვარდიფერმა არსებამ. — ყველაზე მარტივი ფენომენია, დამიჯერე...



17

ბლეინი გაუნძრევლად იწვა და საკუთარი სხეულის შეგრძნებით ტკბებოდა, როგორც იქნა, სხეული დაიბრუნა. გრძნობდა ჰაერის შეხებას კანზე, გრძნობდა, როგორ ასხამდა ოფლი ხელებზე, სახესა და გულ-მკერდზე.

ცისფერ ოთახში განცდილ ჰაეროვნების შეგრძნებას დაეტოვებდა, არც უდაბნოს ქარის შორეული ზუზუნი ესმოდა, სამაგიეროდ, ესმოდა სლუკუნის ხმა, რომელიც თანაბარი ინტერვალებით მეორდებოდა, ხოლო ჰაერი ანტისეპტიკური საშუალებების მძაფრი სუნით იყო გაჟღენთილი.

ბლეინმა ფრთხილად გაახილა თვალები, თან მზად იყო, მაშინვე დაეხუჭა, თუ ისეთ რამეს დაინახავდა, რაც მის თვალებს არ ეამებოდა. მაგრამ ქათქათა თეთრი ჭერის მეტი ვერაფერი შენიშნა.

თავი ბალიშზე ედო, თეთრი ზეწარი ეგო და თეთრი ფერის გახამებული პერანგი ეცვა.

ბლეინმა თავი მიატრიალა და გვერდით მწოლიარე მუმია შენიშნა.

დრო, — თქვა სხვა სამყაროს მკვიდრმა, — ყველაზე მარტივი ფენომენია... — და რაღაცის მოყოლას აპირებდა,

მაგრამ არ დასცალდა, რადგან ბლეინმა მალევე დატოვა იქაურობა.

ეს ყველაფერი სიზმარს ჰგავდა, ისეთივე არარეალური, ბუნდოვანი შერძნება ჰქონდა, როგორც სიზმარში, მაგრამ დანამდვილებით იცოდა, რომ სიზმარი არ იყო, რომ ის ნამდვილად ეწვია ცისფერ ოთახს, მის ბინადარ უცხო არსებას ესაუბრა, მისი მონათხრობი მოისმინა. არა, ეს არ იყო სიზმარი, სიზმარი რომ ყოფილიყო, საუბრის დეტალები აღარ ემახსოვრებოდა ასე მკაფიოდ.

მუმია, რომელიც მეზობელ საწოლში იწვა, თავიდან ბოლომდე ბინტით იყო გადახვეული, პირისა და ნესტოების ადგილას ბინტში ნახვრეტები მოუჩანდა, თვალების ადგილი მთლიანად დაფარული ჰქონდა, გაჭირვებით სუნთქავდა, დროდადრო ამოისლუკუნებდა ხოლმე.

თეთრი კედლები, თეთრი ჭერი, იატაკზე დაგებული კერამიკული ფილები, ოთახში გამეფებული სტერილურობა აშკარად მიანიშნებდა, ეს რა ადგილიც იყო.

ბლეინი საავადმყოფოს პალატაში იწვა და მის გვერდით მუმია ხროტინებდა.

ტალღასავით გადაუარა შიშის მოულოდნელმა გრძნობამ, მაგრამ არ განძრეულა, ტალღის გადავლას დაელოდა, რადგანაც მაშინაც კი, როცა ამას განიცდიდა, წარმოდგენა არ ჰქონდა საიდან, მაგრამ იცოდა, რომ არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა.

ნეტავ, სად იყო კიდევ, — გაიფიქრა ბლეინმა, — ცისფერი ოთახის გარდა. ბლეინმა გონება დაძაბა და გაიხსენა, სადაც იყო.— არყის ტყეში, ქალაქის განაპირა ხევში.

ჰოლში ფეხის ხმა გაისმა და ოთახში თეთრხალათიანი კაცი შემოვიდა, კარში შეჩერდა და ბლეინს შეხედა.

"როგორც იქნა, მობრუნდი, — თქვა მან, — როგორა ხარ?"

"არა მიშავს, — უპასუხა ბლეინმა, სინამდვილ; ში თავს მშვენივრად გრძნობდა. ყველაფერი რიგზე იყო, — სად მიპოვნეთ?"

ექიმმა შემხვედრი კითხვა დაახვედრა: "ეს პირველი შემთხვევაა?"

"რას გულისხმობთ?"

"გონების გათიშვას, — უპასუხა ექიმმა, — ადრე კომაში ჩავარდნილხარ?"

ბლეინმა ბალიშზე თავი გადაიქნია: "არ მახსოვს."

"ისეთი შეგრძნება არ გქონია, თითქოს მოჯადოებული ხარ?"

"ჯადოქრობას გულისხმობთ, ექიმო?" — გაეცინა ბლეინს.

"არა მგონია, — უშნოდ დაიმანჭა ექიმი, — თუმცა, რა იცი, ზოგიერთ პაციენტს მართლა მასე ჰგონია."

ოთახი გადმოჭრა და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

"ექიმი ვეტმორი ვარ, — გაეცნო ბლეინს, — ორი დღეა, რაც აქ ხარ. ბიჭები კურდღელზე ნადირობნენ ქალაქის აღმოსავლეთით და იმათ გიპოვნეს, ბუჩქებში იყავი შემძვრალი. თავიდან მკვდარი ეგონე."

"თქვენ მომიყვანეთ?"

"მე არა, პოლიციამ."

"რა მჭირს?"

ვეტმორმა თავი გააქნია: "არ ვიცი."

"ფული რომ არა მაქვს, როგორ გადაგიხადოთ, ექიმო?"

"შენ მაგაზე არ იდარდო. ჰო, მართლა, მინდოდა მეკითხა, თან არავითარი საბუთი არ გქონია, გახსოვს საერთოდ, ვინ ხარ?"

"რა თქმა უნდა, შეპარდ ბლეინი ვარ."

"და სად ცხოვრობ?"

"არსად, დავბოდიალობ აქეთ-იქით."

"აქ როგორ მოხვდი?"

"ზუსტად ვერ ვიხსენებ."

ბლეინი საწოლზე წამოჯდა: "მისმინე, ექიმო, მოდი რა, წავალ აქედან, სულ ტყუილად ვაცდენ ადგილს."

ექიმმა თავი გადააქნია: "ცოტა ხნით მინდა, რომ გაჩერდე. რაღაც ანალიზებია ჩასატარებელი."

"არ მინდა, შეგაწუხო."

"პირიქით, ძალიან დამავალებ. შენნაირი შემთხვევა ჯერ არ მქონია. აქ რომ მოგიყვანეს, ყველაფერი წესრიგში გქონდა, უბრალოდ, პულსი და სუნთქვა შენელებული გქონდა, სხეულის ტემპერატურა კი ოდნავ ნორმალურზე დაბალი, სხვა მხრივ არაფერი გიშავდა, მხოლოდ გონმიხდილი იყავი, ძლივს მოგასულიერეთ."

ბლეინმა მუმიაზე მიანიშნა თავით: "ის ტიპი ძალიან ცუდად არის, როგორც ვატყობ."

"საკმაოდ, ავარიაში მოყვა," — უთხრა ექიმმა.

"ცოტათი უცნაურია, მასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე."

"თანაც უჩვეულო ვითარებაში მოხდა, — განაგრძობდა ექიმი, — ძველი ფურგონით მგზავრობდა, მაღალი სიჩქარით მოდიოდა, ერთ-ერთ მოსახვევში შემოუხვია მდინარის ზემოთ, სწორედ მაშინ გაუსკდა სალტე."

ბლეინმა დაკვირვებით შეხედა მეზობელ საწოლზე გაჭიმულ კაცს, მაგრამ ვერაფრით იცნო. ისევ მძიმედ სუნთქავდა და ხანდახან ხროტინის ხმას გამოსცემდა.

"შემიძლია სხვა პალატაში გადაგიყვანო."

"არ არის საჭირო, გმადლობ. აქ დიდხანს მაინც ვერ გავჩერდები."

"ჯობია, იწვე. შეიძლება ისევ გაითიშო და ამჯერად ველარ მოგაბრუნონ."

"კარგი, ვიფიქრებ," — შეჰპირდა ბლეინი და საწოლზე წამოწვა.

ექიმი ადგა ბლეინის საწოლიდან და გვერდით საწოლს მიუახლოვდა, დაიხარა და მის სუნთქვას დაუგდო ყური, ბამბის ტამპონით ტუჩები მოუწმინდა, რაღაცა უჩურჩულა და წამოდგა.

"რამე ხომ არ გინდა? — ჰკითხა ბლეინს, — მშიერი იქნები."

ბლეინმა თავი დაუქნია. ახლა გაახსენდა, რომ მართლა შიოდა.

"დავიცდი," — უთხრა ბლეინმა.

"სამზარეულოში დაველაპარაკები, რაღაცას გაჭმევენ."

ექიმი შემობრუნდა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან, ბლეინი იწვა და მის ფეხის ხმას უსმენდა კორიდორში.

და უცბად მიხვდა, გაახსენდა, რატომაც გრძნობდა თავს უსაფრთხოდ. შორეული პლანეტის მკვიდრმა გაანთავისუფლა ის იმ კაშკაშა სარკისგან. ახლა აღარ იყო საჭირო დამალვა, შეეძლო, უშიშრად ემოძრავა.

ბლეინი იწვა და ფიქრობდა. ახლა იცოდა, რომ ადამიანი იყო, თუნცა ამას ყოველთვის გრძნობდა, მაგრამ ამჟამად ადამიანურობის მიღმა მოულოდნელად აღმოაჩინა რაღაც ღრმა ცოდნა და ამ ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა.

მეზობელ საწოლში მუმია კვნესოდა და ხროტინებდა.

"რაილი!" — დაიჩურჩულა ბლეინმა.

სუნთქვა არ შეცვლილა, ავადმყოფს არაფერი შეუმჩნევია.

ბლეინი საწოლზე წამოჯდა და ფეხები ცივ მეტლახზე დაუშვა, შემდეგ წამოდგა და მეზობელ საწოლზე გაშოტილ, ბინტებში შეფუთულ არსებას დაადგა თავზე. გახამებული პერანგი ტომარასავით ადგა ტანზე.

"რაილი! შენ ხარ? გესმის ჩემი, რაილი?"

მუმია შეინძრა, სცადა, თავი მიებრუნებინა მისკენ, მაგრამ ვერ შეძლო, ტუჩებსაც კი დიდი გაჭირვებით ამოძრავებდა. ენა იბრძოდა რაღაც სიტყვის წარმოსათქმელად.

"უთხარი..." — უჩურჩულა მუმიამ და დაძაბულობისგან სახე დაემანჭა.

არ დანებდა და კიდევ ერთხელ სცადა: "ფინს უთხარი."

ბლეინი მიხვდა, რომ ამით სათქმელი არ ამოწურულა, რომ კიდევ უნდოდა რაღაცის დამატება. ბლეინი გარინდებული ელოდა, მუმია ტუჩებს წვალებით ამოძრავებდა, ხოლო პირის ალაგას დატანებული ჭრილიდან მოჩანდა, რა მძიმედ ატრიალებდა ენას. ამაოდ ელოდა, რომ მუმია რამეს იტყოდა.

"რაილი!" — დაუძახა ბლეინმა, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

ბლეინმა უკან დახევა იწყო და ცოტა ხანში საკუთარ საწოლს გადაანყდა, ჩამოჯდა ზედ და უმოძრაოდ მწოლიარე, ბინტებში შეფუთულ ფიგურას მიაჩერდა.

შიშმა, რომლისგანაც ეს კაცი ასე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა და რომელმაც ნახევარი კონტინენტი გადააკვეთინა, ბოლოს და ბოლოს აღსასრულამდე მიიყვანა. თუმცა შეიძლება ეს მარტო ის შიშიც არ იყო, რომლისგანაც გარბოდა, არამედ სულ სხვა შიში და საფრთხის შეგრძნება.

რაილიმ მძიმედ ამოისუნქა, სუნთქვა ეკვროდა.

ვინ იყო ფინი, საიდან იყო და რა კავშირი ჰქონდა რაილისთან?

ფინი?

ერთ ფინს კი იცნობდა, მაგრამ დანამდვილებით ვერ იტყოდა, ის იყო თუ არა.

ბლეინი საწოლზე წამოჯდა და ეცადა, ყველაფერი გაეხსენებინა, რაც იცოდა მის შესახებ.

თუმცა შეიძლება ცდებოდა კიდეც და ეს სულ სხვა ფინი იყო.

ლამბერტ ფინი ერთ დროს ფიშჰუკელი მზვერავი გახლდათ, მაგრამ მოულოდნელად გაუჩინარდა, ისევე, როგორც გოდფრი სთოუნი, თუმცა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე სთოუნი გაქრებოდა და თავად ბლეინი მოვიდოდა ფიშჰუკში.

ახლა კი იგი ლეგენდად, საზარელი ამბის საზარელ გმირად, ფიშჰუკის ერთ-ერთ კოშმარულ ზღაპრად ქცეულიყო, მის სახელსაც ჩურჩულით წარმოთქვამდნენ.

ამ ზღაპრის მიხედვით, ლამბერტ ფინი იმდენად შეშინებული დაბრუნდა ერთ ღამეს ვარსკვლავებიდან, რომ თავს ვერ იკავებდა და შლეგიანივით ყვიროდა.



18

ბლეინი საწოლზე იწვა და ჭერს მიშტერებოდა. ფანჯრიდან სიოს შრიალი ისმოდა, ხოლო ფოთლების ჩრდილები მხიარულად ცეკვავდნენ კედელზე. ბლეინი ხეების სიჯიუტემ გააკვირვა, სადაცაა, ოქტომბერი გავა, გაიფიქრა, ესენი კი ფოთლებს ვერ ელევიან.

კორიდორიდან ისევ მოდიოდა დახშული ხმები, ხოლო ჰაერი კვლავინდებურად მძაფრი ანტისეპტიკური საშუალებების სუნით იყო გაჟღენთილი.

აქედან უნდა გაეღწია, გზას უნდა დასდგომოდა, მაგრამ რომელს? ალბათ პიერისკენ მიმავალს, იქ, სადაც ჰარიეტი ელოდებოდა, თუ ჰარიეტი იქ იყო, რა თქმა უნდა. თუმცა პიერში ჩასვლას არავითარი აზრი არ ჰქონდა, ეს გზა ჩიხში შეიყვანდა — იქ არაფერი ესაქმებოდა, მაგრამ ამ ეტაპზე სხვაგან ვერსად შეაფარებდა თავს. ბლეინი ხომ ლტოლვილი გახლდათ, რომელიც ბრმა თავგანწირვით გარბოდა, მას შემდეგ, რაც უცხო პლანეტიდან დაბრუნდა და, რაც ყველაზე ცუდია, ეს თავგანწირვა უმიზნოდ მიაჩნდა, არ ჰქონდა არც გეგმა, არც სტრატეგია, უბრალოდ, იმიტომ გარბოდა, რომ უსაფრთხო ადგილი ეპოვნა.

მიზნის არქონა მტკივნეული მომენტი იყო და ბლეინი თავს

ცარიელ, უნებისყოფო ადამიანად გრძნობდა, როგორც ქარისგან გადასროლილი ბუმბული.

ბლეინი იწვა, მისი არსება ტკივილისა და სიმწარის შეგრძნებას მოეცვა, რომელსაც ახლა ეჭვი და სინანული ემატებოდა. ღირდა ნ; ჭავ საერთოდ ფიშჰუკიდან გაქცევა? ფრედი ბეიტსი გაახსენდა, მისი ნაძალადევი ღიმილი, მოციმციმე თვალები, ჯიბეში ჩადებული რევოლვერი და ყველა ეჭვი გაიფანტა, ბლეინი მიხვდა, რომ სწორად მოიქცა, ფიშჰუკიდან რომ გაიქცა.

მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, აუცილებლად სჭირდებოდა იმედისა და რწმენის ნაპერწკალი, კონკრეტული მიზანი, რაღაც ხელმოსაჭიდი და რეალური. ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, ოდესღაც ხომ უნდა დასრულებულიყო მისი უაზრო გაქცევა, ხომ უნდა მოეძებნა ისეთი ადგილი, სადაც თავის დაღლილ სხეულს დაასვენებდა.

რაილიმ ხრიალით ამოისუნთქა, ამოიხროტინა და მიჩუმდა.

არავითარი აზრი არ ჰქონდა დარჩენას. ექიმმა კი სთხოვა, ცოტა ხნით მოეცადა, მაგრამ ის მაინც ვერაფერს აღმოაჩენდა, ბლეინი კი საკუთარი ნებით არაფერს ეტყოდა, ამიტომ, მისი აზრით, აქ ყოფნა დროის ფუჭი ხარჯვა იქებოდა ორივესთვის.

წამოდგა ლოგინიდან და ოთახის გავლით კართან მივიდა, რომელიც, სავარაუდოდ, ტანსაცმლის კარადა უნდა ყოფილიყო. ბლეინმა კარი გამოაღო და კარადაში მისი ტანსაცმელი დახვდა. საცვალი არ ჩანდა, მაგრამ შარვალი და პერანგი იქ ეკიდა, ქვემოთ კი ფეხსაცმელები ეწყო, საკიდიდან ჩამოვარდნილი პიჯაკი ძირს ეგდო.

ბლეინმა საავადმყოფოს პერანგი გაიძრო, შარვალი ჩაიცვა და მჭიდროდ მოიჭირა ქამარი.

ის იყო, პერანგი უნდა აეღო, რომ უეცრად იქ გამეფებული სიჩუმისგან გაოგნებული გაჩერდა — შემოდგომის დღის რბილი, ჩუმი სიმშვიდე, გაყვითლებული ფოთლების სიმშვიდე, შორეულ მთებზე ჩამოწოლილი ნისლის სიჩუმე და

შემოდგომის მათრობელა არომატი იგრძნო.

ბლეინი სულგანაბული იდგა და მალე მიხვდა, რომ სიჩუმეს ავადმყოფის მძიმე სუნთქვა და ხროტინი აღარ არღვევდა.

გაქვავებული ელოდა, როდის ამოიღებდა ხმას კაცი, მაგრამ ამაოდ, რაილი დუმდა.

შემობრუნდა და საწოლთან დააპირა მისვლა, მაგრამ შეჩერდა, მიხვდა, რომ აზრი არ ჰქონდა, რადგან რაილის ბინტით გადახვეული სხეული უმოძრაოდ და უხმაუროდ იწვა, ხოლო ტუჩებზე ნერწყვი შეჰყინვოდა.

"ექიმო! — დაიყვირა ბლეინმა, — ექიმო!" და კარისკენ გაექანა, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ მისი რეაქცია არაადეკვატური და სულელური იყო.

კარს რომ მიაღწია, გაჩერდა, კიდეებს მიეყრდნო და თავი კორიდორში გაყო.

ექიმი სწრაფი ნაბიჯით მოაბიჯებდა კორიდორში.

"ექიმო," — დაიჩურჩულა ბლეინმა.

ექიმმა კარში მდგომი ბლეინი ხელის მკვეთრი მოძრაობით მოიცილა გზიდან და საწოლისკენ გაეშურა, სტეტოსკოპი მოიძარცვა, დაიხარა და მუმიას დაადო, მაგრამ მოულოდნელად გასწორდა და ბლეინს მკაცრად შეხედა.

"შენ სადღა მიდიხარ?" — ჰკითხა მან.

"მოკვდა, — წამოიძახა მან, — სუნთქვა შეაჩერა და ამდენი ხანი..."

"მართალი ხარ, — დაეთანხმა ექიმი, — გადარჩენის შანსი არ ჰქონდა, ამას გობათიანიც ვერაფერს უშველიდა"

"გობათიანი? ამით მკურნალობდით? აი, რატომ იყო ასე გადახვეული ბინტებში."

"ერთიანად დამტვრეული იყო, — აუხსნა ექიმმა, — წარმოიდგინე, სათამაშო ძირს რომ დააგდო და ორივე ფეხით შედგე. ის..."

შეჩერდა და ერთხანს დაჟინებით უყურებდა ბლეინს.

"გობათიანის შესახებ რა იცი?" — იკითხა მან.

"გამიგია უბრალოდ," — უპასუხა ბლეინმა.

გაუგია რომელია, საკუთარი თვალითაც უნახავს.

"უცხო პლანეტიდან ჩამოტანილი წამალია, — განმარტავდა ექიმი, — ამ წამალს ერთი მეომარი მწერების რასა მიმართავს და, როგორც ამბობენ, სასწაულმოქმედია. დაშლილი ქსოვილებისა და დამსხვრეული ძვლების აღდგენა შეუძლია."

ექიმმა უსიცოცხლო სხეულს დახედა და ბლეინს მიუბრუნდა.

"წაგიკითხავს სადმე ამის შესახებ?"

"მხოლოდ სამეცნიერო ჟურნალში."

ბლეინის თვალწინ იმ ველური პლანეტის სიგიჟე გაცოცხლდა, სადაც იმ წამალს გადააწყდა, მწერები რომ იყენებდნენ. სიმართლე რომ ითქვას, ისინი სულაც არ იყვნენ მწერები და არც ის იყო წამალი, რასაც ისინი გამოიყენებდნენ.

მაგრამ სახელებს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ტერმინოლოგია ყოველთვის დიდ სირთულეს წარმოადგენდა, ხოლო ვარსკვლავური მოგზაურობების შემდეგ აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა. ამიტომ ყველაზე ადვილი გამოსავალია — მიახლოებითი მნიშვნელობა აიღო და ზუსტი სახელის ძებნას თავი დაანებო.

"სხვა პალატაში გადაგიყვანთ," — უთხრა ექიმმა.

"არ არის საჭირო, მაინც წასვლას ვაპირებდი."

"ვერ გაგიშვებ, — მტკიცედ მიუგო ექიმმა, — ამას ჩემს სინდისზე ვერ ავიღებ, აშკარად ავად ხარ და არც არავინ გყავს, რომ მოგიაროს."

"არა უშავს, როგორმე გავიტან თავს, აქამდე სხვების დაუხმარებლად მოვედი."

ექიმი მიუახლოვდა.

"ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ რაღაცას მიმალავ."

ბლეინი შემობრუნდა და კარადისკენ გაემართა, პერანგი და ფეხსაცმელები ჩაიცვა, ქურთუკი აიღო, კარი დახურა და ექიმს მიუბრუნდა.

"ახლა კი, თუ გაიწევით და ნებას დამრთავთ, გავალ."

დერეფნიდან ვიღაცის ფეხის ხმა შემოესმა, შეიძლება ექთანს საჭმელიც მოჰქონდა, ექიმმა რომ სთხოვა. იქნებ მოეცადა და ცოტა შეეჭამა, ძალიან შიოდა.

რომ დაუკვირდა, მიხვდა, რომ ერთი ადამიანის ფეხის ხმა კი არ იყო, არამედ, სულ მცირე, ორის. შეიძლება ყვირილის ხმა გაიგეს და დახმარებისთვის გამოეშურნენ.

"უკეთესი იქნება, წასვლას თუ გადადებ. გარდა იმისა, რომ მკურნალობა ჭგჭირდება, კიდევ გარკვეული სახის ფორმალობებია მოსაგვარებელი..."

ბლეინს მისი დანარჩენი სიტყვები აღარ გაუგონია, რადგან ის ხალხი უკვე კარს მოსდგომოდა და ოთახში იყურებოდა.

"შეპ, აქ როგორ მოხვდი? სად აღარ გეძებდით," — შესძახა ჰარიეტ კვიმბიმ, ყინულივით ცივი ხმით.

და მოულოდნელად, როგორც მოქნეული მათრახი, მის ყურს ტელეპათიური ჩურჩული მოხვდა: *ჩქარა! მითხარი, რა ვქნა!*

უბრალოდ უთხარი, რომ შენ მომივლი, მეტი არაფერი (გამძვინვარებული ქალი გამეტებით მიათრევს გზააბნეულ მაწანწალას), *ჰოდა მეც გამიშვებენ. არყის ტყეში მიპოვნეს...*

(სასმელით ტვინდაბინდული კაცი ნაგვის ყუთში ჩაძვრა და იქიდან ვეღარ გადმოდის, ცილინდრი ცალ მხარეზე გადმოწოლილა, ცხვირი ფეთქავს და სარეკლამო სტენდივით ინთება, არეულ თვალებში კი მცირედი გაკვირვება აისახება).

არა, მასე არ იყო, — შეუსწორა ბლეინმა, — *უბრალოდ, ხის ძირას ვიჯექი, გათიშული. ექიმი ფიქრობს, რომ ავად ვარ...*"

მართალია...

კი მაგრამ ...

და გოდფრი სთოუნის მეგობრული ხმა შემოესმა, რომელმაც სევდანარევი ღიმილით მიუგო: "ისევ ძველი პრობლემა გაწუხებს? ზედმეტი დალიე, ალბათ. ექიმმა ხომ გითხრა, რომ ..."

"რას ამბობ, ერთი ორი ჭიქა დავლიე, სულ ეგ არის."

"დეიდა ედნა კინაღამ შეიშალა ნერვიულობისგან, — თქვა ჰარიეტმა, — ხომ იცი მაგის ამბავი, რა ემოციურია. იფიქრა, სამუდამოდ გაქრი და ველარ გნახავდა."

გოდფრი! გოდფრი! ღმერთო ჩემო, სამი წელია...

დამშვიდდი, შეპ. მაგის დრო არ არის. აქედან უნდა გაგიყვანო.

"თქვენ რა, იცნობთ ამ კაცს? თქვენი ნათესავია?"— იკითხა ექიმმა.

"არა, უბრალოდ მეგობრები ვართ, — უპასუხა სთოუნმა, — დეიდამისი ..."

"კაი, წავედით," — გააწყვეტინა ბლეინმა.

სთოუნმა კითხვის ნიშნით შეხედა ექიმს, მან თავი დაუკრა.

"მიმღებში შეჩერდით და გამოწერის ფურცელი აიღეთ. დავურეკავ, თქვენი სახელები დასჭირდებათ."

"კარგით, — უთხრა სთოუნმა, — დიდი მადლობა."

"არაფრის."

ბლეინი კართან შეჩერდა და ექიმს მიუბრუნდა.

"ძალიან ვწუხვარ, რომ სიმართლე ვერ გითხარით, ცოტა არ იყოს, მრცხვენია კიდეც."

"არა უშავს, მასეთი მომენტები ყველას გვაქვს, ყოველთვის ვერ იქნები საკუთარი საქციელით კმაყოფილი."

"ნახვამდის, ექიმო."

"კარგად, ფრთხილად იყავი."

და სამივენი გვერდიგვერდ დაუყვნენ კორიდორს.

ვინ იყო ის კაცი, გვერდზე საწოლში რომ ინვა?

ვინმე რაილი.

რაილი!

ფურგონის მძღოლი.

რაილი! სწორედ მას ვეძებდით, შენ სრულიად შემთხვევით გადაგაწყდით.

სთოუნი შეჩერდა და მიბრუნება დააპირა.

აზრი არა აქვს, — უთხრა ბლეინმა, — მკვდარია.

რა მოუვიდა?

გზიდან მოუსრიალდა მანქანა და დაიმტვრა.

"ო, გოდფრი!" აღმოხდა ჰარიეტს.

გოდფრიმ ჰარიეტს შეხედა და თავი გადაიქნია: "ვერ მოვასწარით, — თქვა მან, — ვერ მოვასწარით."

ეი, რა ხდება?

ყველაფერს მოგიყვებით, ჯერ აქედან გავაღწიოთ.

სთოუნმა მკლავში მოჰკიდა ხელი და წამოიყვანა.

ის მაინც მითხარით, ლამბერტ ფინი რა კავშირშია ამ ამბავთან?

"ლამბერტ ფინი, — წარმოთქვა სთოუნმა, — დღესდღეობით ყველაზე საშიში პიროვნებაა დედამიწის ზურგზე."



19

"ცოტა შორს ხომ არ გავსულიყავით? — იკითხა ჰარიეტმა, — იმ ექიმმა რამე რომ იეჭვოს..."

სთოუნმა გზიდან გადაუხვია.

"რატომ უნდა იეჭვოს?"

"რატომ და შეპის ამბით ძალიან დაინტერესებულია, უეჭველად ჩაუფიქრდება და საეჭვოსაც ბევრს აღმოაჩენს."

"იმპროვიზაციის კვალობაზე მართლა კარგად გამოგვივიდა ყველაფერი. მე მგონი, გავაღწიეთ."

"ჯერ ადრეა მაგაზე ლაპარაკი, ქალაქიდან სულ რაღაც ათიოდე მილში ვართ."

"დღეს საღამოს უნდა დავბრუნდე. მინდა, ვნახო, რაილის ფურგონი რა მდგომარეობაშია."

სთოუნმა მანქანა პატარა შენობის წინ შეაჩერა, შესასვლელთან გაკრულ აბრაზე "ოფისი" ეწერა.

"შენ, როგორც გატყობ, სიცოცხლე მოგბეზრებია," — უსაყვედურა ჰარიეტმა.

კაცი, რომელიც შესასვლელ კიბეს გვიდა, მათ დანახვაზე მანქანისკენ გამოემართა.

"კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — მიეგება გულთბილად, — რით შემიძლია გემსახუროთ?"

"ორი ერთმანეთში გამავალი ოთახი თუ გაქვთ?"

"ეს-ესაა, გათავისუფლდა, — მიუგო კაცმა, — რა კარგი ამინდია, არა?"

"ჰო, ნამდვილად, მშვენიერი ამინდია."

"თუმცა გამორიცხული არ არის, რომ აცივდეს. უკვე გვიანი შემოდგომაა. მახსოვს, ერთ წელს მოთოვა..."

"ჰო, მაგრამ ახლა არ მოთოვს..." — შეეპასუხა სთოუნი.

"რა თქმა უნდა, ახლა არა. მაშ, ორი ერთმანეთში გამავალი ოთახი გინდათ, არა?"

"თუ შეიძლება."

"კი, ბატონო. პირდაპირ იარეთ. თქვენი ნომრებია — ათი და თერთმეტი. გასაღებს ავიღებ და შემოგიერთდებით."

სთოუნმა მცირედი რეაქტიული წევა მისცა მანქანას და მოსახვევში შეაცურა. სასტუმრო ნომრებთან სხვა მანქანებიც ჩამწკრივებულიყვნენ. ირგვლივ ხალხი ფუსფუსებდა, ზოგი საბარგულებს ცლიდა, ზოგიც პატარა ეზოებში სკამებზე ისვენებდა. სასტუმროს ბოლოში ოთხი ახირებული ბერიკაცი ერთმანეთს ხმამაღალი შეძახილებით ეჯიბრებოდა ნალის ტყორცნაში.

მალე მანქანა მისთვის განკუთვნილ ადგილას აღმოჩნდა და მსუბუქად დაეშვა მიწაზე.

ბლეინი გადმოვიდა და ჰარიეტს კარი გაუღო.

ორი დაკარგული მეგობრის პოვნა უზომო სიხარულს გვრიდა, თითქოს დიდი ხნის არყოფნის შემდეგ სახლში დაბრუნდა. ახლა აღარაფრის ეშინოდა, თავისიანებთან მშვიდად გრძნობდა თავს.

სასტუმრო მდინარის ფლატეებიანი ნაპირის ზემოთ, კლდოვან შვერილებზე გაეშენებინათ. ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით თვალუწვდენელი სივრცე გაშლილიყო — შიშველი, ნაცრისფერი კლდეები, ტყით დაფარული ხევები და ღრეები. უსწორმასწოროდ ჩამწკრივებული ხეები მცველებივით შემორტყმოდნენ გარს შოკოლადისფერ მღვრიე ნაკადს, რომელმაც თითქოს არ იცოდა, საით მიემართა საკუთარი დინება და უმიზნოდ მიიკლაკნებოდა,

უკან კი თავისი მერყეობისა და ცვალებადობის კვალს ტოვებდა — განცალკევებულ გუბეებს, ტბორებსა და პატარა ნაკადულებს, ისეთივე ცელქს, როგორც თავად მდინარე.

ოთახში სისუფთავისა და სივრცის წარმოუდგენელი შეგრძნება სუფევდა.

სასტუმროს ადმინისტრატორი ტროტუარს მოუყვებოდა გასაღებების ულარუნით. მათ ნომერს რომ მიუახლოვდა, გასაღები კარს მოარგო და ფართოდ გააღო.

"ამ სასტუმროში ყველაფერი წესრიგშია, — მოახსენა მან, — ჩვენ ძალიან ყურადღებით ვართ, ვცდილობთ, არაფერი გამოგვრჩეს. ყველა ფანჯარა დარაბებითაა დაცული, კარებზეც საუკეთესო საკეტები აყენია. კომოდში კაბალისტურ ნიშნებსა და შელოცვების კრებულს ნახავთ. თავიდან ნიშნებს ჩვენ თვითონ ვკიდებდით, მაგრამ მერე, როგორც აღმოჩნდა, კლიენტებმა საკუთარი სურვილისამებრ დაიწყეს მათი გამოყენება."

"წინდახედული ნაბიჯია თქვენი მხრიდან," — შეაქო სთოუნმა.

"კლიენტებს მოსწონთ, როცა მათზე ზრუნავენ, თავს მშვიდად გრძნობენ," — თავმომწონედ აღნიშნა ადმინისტრატორმა.

"კიდევ რას გვეტყვი?" — ჰკითხა სთოუნმა.

"მთავარ შენობაში რესტორანია..."

"აუცილებლად ვეწვევით, — შესძახა ჰარიეტმა, — შიმშილისგან ვკვდები."

"გზად შეგიძლიათ მიმღებში შემობრძანდეთ და ბარემ რეგისტრაცია გაიაროთ."

"აუცილებლად," — შეჰპირდა ჰარიეტი.

ადმინისტრატორმა გასაღებების აცმა ჰარიეტს გადასცა და მხიარული ნაბიჯებით დაუყვა ტროტუარს, თან ლაღი თავაზიანობით უკრავდა თავს სტუმრებს მეზობელი ნომრებიდან.

"მოდი, შევიდეთ," — შესთავაზა მათ სთოუნმა.

ჯერ ბლეინი და ჰარიეტი გაატარა, შემდეგ თვითონაც შევიდა და კარი მაგრად მიიხურა.

ჰარიეტმა გასაღებების აცმა კომოდზე შემოაგდო და ოთახი დაათვალიერა.

"შეპ, — მიმართა მან ბლეინს, — მომიყევი, რა შეგემთხვა. იმ სასაზღვრო ქალაქში რომ დავბრუნდი, საშინელი არეულობა დამხვდა, ყველაფერი დუღდა. ეტყობა, რაღაც შემზარავი ამბავი მოხდა, მაგრამ ვერ გავიგე რა. იქაურობას ისე მალე გავეცალე, კითხვა ვერც მოვასწარი."

"გაქცევა მოვახერხე," — უპასუხა ბლეინმა.

"ჩემზე უკეთესად კი გამოგივიდა, შენ მაშინვე მაინც გაიქეცი," — აღნიშნა სთოუნმა და ხელი გაუწოდა.

ბლეინის მტევანი სთოუნის უზარმაზარ ტორში ჩაიკარგა.

"მიხარია, რომ აქ ხარ," — აღნიშნა სთოუნმა.

"იმ ღამეს რომ არ დაგერეკა, უეჭველად დამიჭერდნენ. ყოველთვის მახსოვდა შენი სიტყვები და არ დავუწყე ლოდინი, სანამ თვითონ დამადგებოდნენ თავზე."

სთოუნმა ხელი გაუშვა, ერთხანს უხმოდ უყურებდნენ ერთმანეთს. ბლეინი აშკარა ცვლილებას ატყობდა. ყოველთვის ზორბა აღნაგობა ჰქონდა, მაგრამ თუ ადრე სიდიდე მხოლოდ მის ფიზიკურ და გარეგან მხარეს ახასიათებდა, ახლა მასში რაღაც სულიერი სიდიადე და მიზანდასახულობაც შეინიშნებოდა, რასაც გარკვეულ წილად ახლად შეძენილი სისასტიკეც ემატებოდა.

"არ ვიცი, შეიძლება ჩემმა უეცარმა გამოჩენამ თქვენც პრობლემები შეგიქმნას, — გააფრთხილა ბლეინმა, — ძალიან ნელა და წინდაუხედავად ვმოქმედებდი. ალბათ ამ დროისთვის ფიშჰუკის მთელი არმია ჩემს კვალზე დგას."

სთოუნმა ხელი გაიქნია, თითქოს უნდოდა, ეს აზრი გამოერიცხა, თითქოს ფიშჰუკმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა და არც აქ, არც სხვაგან უკვე აღარაფერი ესაქმებოდა.

მან ოთახი გაიარა და სავარძელში მოკალათდა.

"რა მოგვიდა, შეპ?"

"უცხო სენი შემეყარა."

"მეც ეგ სენი მჭირს."

სთოუნმა სიჩუმე ჩამოაგდო, გონებაში ფიშჰუკში გატარებული უკანასკნელი დღეები აღიდგინა.

"სატელეფონო ჯიხურიდან რომ გამოვედი, — განაგრძო მან, — უკვე მელოდებოდნენ. სხვა გზა არ მქონდა, უნდა გავყოლოდი. ჩამსვეს მანქანაში და წამიყვანეს..." (ზღვის ნაპირას გაშენებული უზარმაზარი შენობა, ლურჯი ცის ფონზე თეთრად მოელვარე. ლაჟვარდოვანი ცის თვალისმომჭრელი სილურჯე მზის სიკაშკაშეს შთანთქავდა და აირეკლავდა, შეგეძლო, უსასრულოდ გემზირა ამ სილურჯისთვის და მის უკიდეგანო მორევში ჩაძირულიყავი. შენობის ირგვლივ აღმართული სხვა ნაგებობები მხოლოდ ზომაში თუ ჩამოუვარდებოდნენ მას. სასტუმროს წინ გაშლილ ხასხასა, სათუთად მოვლილ გაზონს მზრუნველი ხელი აშკარად ეტყობოდა. მწვანე ბალახის იქით სანაპიროს თეთრი ზოლი და ოკეანის ლურჯი სივრცე მოჩანდა, მისი ქაფმოდებული ტალღები გამეტებით ეხეთქებოდნენ ოკეანის კლდოვან შვერილებს. სანაპიროზე ქოლგების თვალისმომჭრელი პალიტრა გაშლილიყო...).

"როგორც მოგვიანებით გავიგე, შუა უდაბნოში ოაზისივით აღმოცენებული ეს პატარა საკურორტო ადგილი სამხრეთ კალიფორნიაში მდებარეობს (ოკეანის ბრიზზე მოფარფატე გოლფის მოედნის დროშები, ტენისის კორტების სიმეტრიული მართკუთხედები. ბაღში სკამებზე მოკალათებული სტუმრები თეთრ, ქათქათა კოსტიუმებში გამოწყობილან და სენდვიჩებითა და სასმელით მოვაჭრეების მოლოდინში ზანტად ემასლაათებიან ერთმანეთს). იქ ისეთი სათევზაო ადგილებია, არც დაგსიზმრებია, ნადირობა მთელი წლის მანძილზეა ნებადართული..."

"არ გაგიჭირდა ასეთი ყოფის გაძლება?" — გაეცინა ჰარიეტს.

"სულაც არა, — შეეწინააღმდეგა სთოუნი, — შეიძლება თავიდან მასე მოგეჩვენოს, მაგრამ იქაურობას მალე ეჩვევი. იქ ყველაფერია, რასაც კაცი მოინდომებს — საჭმელი, სასმელი, ქალები, მეტი რა გინდა. შენი ყველა სურვილი და ნატვრა წამში სრულდება. რაც მთავარია, ამისთვის ფული სულაც არ გჭირდება, ყველაფერი უფასოა."

"წარმომიდგენია, რას გრძნობს ადამიანი, როცა..." — აღნიშნა ბლეინმა.

"ვიცი, რასაც გულისხმობ. იქ ყოფნისას უსარგებლობის გრძნობა გეუფლება, თითქოს ვიღაცამ პატარა ბიჭად გაქცია, რომელსაც თამაშის გარდა სხვა არაფერი მოეთხოვება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენი სიძულვილისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, ფიშჰუკი მაინც დიდ შემწყნარებლობასა და გულისხმიერებას იჩენს ჩვენ მიმართ, ამას ვერ უარვყოფ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ფიშჰუკს პირადად ჩვენი საწინააღმდეგო არაფერი აქვს, არც ჰქონია ოდესმე რაიმე სამხილი. ვერც ბოროტმოქმედებას დაგვწამებენ, ვერც მოვალეობებისადმი გულგრილობას, ყოველ შემთხვევაში, უმეტესობას ჩვენ შორის. ფიშჰუკი ამიერიდან ვეღარ ისარგებლებს ჩვენი მომსახურებით, რადგან ეს სახიფათოა, მაგრამ ვერც სამსახურიდან დაგვითხოვს, ამით მისი უნაკლო რეპუტაცია შეილახება. არც იმის საბაბს მისცემენ ვინმეს, რომ დაუდევრობაში დასდოს ბრალი, თითქოს მათ ისეთი ადამიანი გაუშვეს, რომელსაც ტვინში უცხოპლანეტური ელემენტი შეერია, ან რომლის გონებაც თუნდაც სულ მცირედით განსხვავდება საზოგადოდ აღიარებული სტანდარტებისგან. ჰოდა, ისინიც გრძელვადიან, უფრო სწორად, უვადო შვებულებაში უშვებენ მათ პანსიონატებში, ისეთ ადგილებში, რომლებსაც მილიონერები სტუმრობენ ხოლმე."

"საკმაოდ ჭკვიანურად არის ჩაფიქრებული. შენ გძულს ეს მარადიული სამოთხე და მაინც ვერ ტოვებ მას, რადგან საღი აზრი გკარნახობს, რომ სისულელეა ამის გაკეთება. აქ

უსაფრთხოდ და უზრუნველად ცხოვრობ, არაფერზე არ ზრუნავ, გარდა საკუთარი სიამოვნებისა. ძნელია, ასეთ პირობებში გაქცევაზე იფიქრო, ან რომელ გაქცევაზეა ლაპარაკი, როცა არაფერი გაკავებს, გზა ხსნილია. მაგრამ ეს ერთი შეხედვით, საკმარისია, ცადო, რომ მაშინვე აღმოაჩენ — გზებზე სათვალთვალო კოშკებია აღმართული და თითოეულ მონაკვეთს, გზასა თუ ბილიკს საპატრულო მანქანები აკონტროლებენ. ასეთ პირობებში შუაგულ უდაბნოში ფეხით ხეტიალი ხომ თვითმკვლელობის ტოლფასია. თანდათან იგებ — მთელი ამ ხნის განმავლობაში იმ ადამიანებს, თავს სტუმრებად რომ ასაღებდნენ, გამუდმებით ეჭირათ შენზე თვალი. საკმარისია, გაქცევაზე გეფიქრა, ცდაზე ზედმეტია ლაპარაკი, რომ ფიშჰუკის აგენტები სასწრაფო ზომებს მიმართავდნენ."

"ნამდვილი მარწუხები, ამოსუნთქვის საშუალებას რომ არ გაძლევს, ფუფუნება და უზრუნველი ცხოვრებაა. ასეთ რამეზე ძნელია უარის თქმა და ფიშჰუკმა ეს მშვენივრად იცის. დამიჯერე, შეპ, სიმდიდრე ყველაზე უფრო მაგარი ციხეა, რომელიც ადამიანს ოდესმე უშენებია."

"კი, მაგრამ, როგორც ყველა ციხე, ესეც ხასიათს გიკაუებს და გიმტკიცებს, გაძლევს ძალასა და ნებისყოფას, რომ მიზანი დაისახო და განახორციელო. როცა იგებ ჯაშუშებისა და პატრულის არსებობის შესახებ, შენც მათსავით ცბიერი და სასტიკი ხდები, მათ დამარცხებას შენი ცხოვრების მიზნად ისახავ. ფიშჰუკის შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ სვლა ზუსტად ვერ გათვალა, უსაფრთხოების სისტემა საერთოდ არ იყო საჭირო. როცა შენს გაქცევას წინ არავინ აღუდგებოდა, ამას ნებისმიერ დროს მოახერხებდი, მაგრამ მეორე კვირას საკუთარი ნებით დაბრუნდებოდი, როცა ამ სამოთხის მიღმა არსებული სამყაროს სისასტიკეში თავად დარწმუნდებოდი. მაგრამ როცა იგებდი შეიარაღებული პატრულის, მეძებარი ძაღლებისა და ავტომატების არსებობის შესახებ, ამას როგორც გამოწვევას, ისე იღებდი,

მზად იყავი, მისთვის თვალი გაგესწორებინა და იმ სასტიკ თამაშში ჩაბმულიყავი, სადაც ფსონად საკუთარ სიცოცხლეს დებდი."

"არა მგონია, გაქცევის ბევრი მცდელობა ყოფილიყო, — აღნიშნა ბლეინმა, — თორემ ფიშჰუკი ახალ აღმკვეთ ზომებს მიიღებდა."

"მართალი ხარ, — ეშმაკურად ჩაიცინა სთოუნმა, — ბევრს არ უცდია გაქცევა, არც უფიქრია ამაზე, მოხერხებით კი სულ რამდენიმემ მოახერხა."

"შენ და ლამბერტ ფინმა?"

"ლამბერტი ჩემთვის ყოველდღიური შთაგონების წყაროდ იქცა, — მშრალად მიუგო სთოუნმა, — ჩემს იქ მისვლამდე დაახლოებით სამი წლის წინ გაიქცა. ლამბერტამდეც იყო ერთი, მაგრამ დღემდე არავინ იცის, რა ბედი ეწია."

"რა ელის ფიშჰუკიდან ლტოლვილ ადამიანს, რით დასრულდება მისი ამბავი? — ჰკითხა ბლეინმა, — აი, მე, მაგალითად, ჯიბეში ორიოდე დოლარი მიდევს და ისიც სხვისია, უფრო სწორად — რაილის, არც პირადობის დამადასტურებელი საბუთი მაქვს, არც პროფესია, არც სამუშაო. როგორ უნდა..."

"ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ნანობ ფიშჰუკიდან წამოსვლას."

"რაღაც მომენტებში მართლა ვნანობ. დროის დაბრუნება რომ შემეძლოს, სულ სხვაგვარად მოვიქცეოდი. ჯერ ერთი, წინასწარ დავგეგმავდი ყველაფერს, სხვა ქვეყანაში ფულს გადავრიცხავდი, ახალ საბუთებს დავამზადებინებდი, ბიზნესს მივყოფდი ხელს და საერთოდ, ახალ ცხოვრებას დავიწყებდი."

"ჰო, მაგრამ შენ ხომ ვერ იფიქრებდი წინასწარ, რომ გაქცევა მოგიწევდა. ჩემი შემთხვევა კი გქონდა მაგალითად, მაგრამ ალბათ ვერ წარმოიდგენდი, რომ მსგავსი რამ დაგემართებოდა."

"შეიძლება მართალიც ხარ."

"ახლა თავს გარიყულად გრძნობ."

ბლეინმა თავი დაუკრა თანხმობის ნიშნად.

"მაშინ კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩვენს საზოგადოებაში," — ახარა სთოუნმა.

"მოიცა, შენ..."

"არა, მე არა. მე ერთი მნიშვნელოვანი საქმე მაქვს გასაკეთებელი"

"კი, მაგრამ..."

"კაცობრიობის უდიდეს ნაწილზეა ლაპარაკი, — გამოუტყდა სთოუნი, — მილიონობით ადამიანზე."

"ჰო, რა თქმა უნდა, ყოველთვის იყვნენ..."

"ცდები, კიდევ ერთხელ, — შეუსწორა სთოუნმა, — საქმე პარაკინეტიკოსებს ეხებათ, ძმაო, იმ პარაკინეტიკოსებს, რომლებმაც ფიშჰუკის კედლები დატოვეს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდები..."

"ვიცი, — დაეთანხმა ბლეინი, სიცივემ ურუანტელივით დაუარა მთელ სხეულში, ის არც შიშს ჰგავდა და არც სიძულვილს, არამედ რაღაც შუალედურს მათ შორის, — საკუთარი თვალით ვიხილე, რაც ხდება."

"ეს დიდ ზიანს აყენებს როგორც პარაკინეტიკოსებს, ისე მთლიანად კაცობრიობას. ამ ხალხს სდევნიან, გეტოებში ამწყვდევენ, სძულთ და წყევლიან მათ სახელს. არადა, სწორედ მათ შეუძლიათ ადამიანთა მოდგმის გადარჩენა. შექმნილ სიტუაციაში არა მარტო იმ შეუწყნარებელ, ფანატიკოს და უვიც მხეცებს მიუძღვით ბრალი, რომლებიც საკუთარ თავს ნორმალურ ადამიანებად მიიჩნევენ, არამედ თავად ფიშჰუკსაც. მან პასუხი უნდა აგოს თავის წილ დანაშაულზე. ფიშჰუკის დანაშაული კი იმაში მდგომარეობს, რომ პარანორმალური კინეტიკა საკუთარი ეგოისტური მიზნებისთვის გამოიყენა. ის ჩვენნაირ პარაკინეტიკოსებს სათუთად უფრთხილდებოდა, საგულდაგულად არჩევდა ათასობით ადამიანს შორის, სამაგიეროდ, სხვა

პარაკინეტიკოსებზე არანაირ მზრუნველობას არ იჩენდა და შუაგულ მორევში ალალბედზე ტოვებდა."

"ეშინიათ..."

"არა, უბრალოდ არ ადარდებთ. ამგვარი მდგომარეობა სავსებით აკმაყოფილებთ. ფიშჰუკის დაარსება ჯვაროსნულ მოძრაობას ჰგავდა. თავდაპირველად მან საზოგადოების ხსნის მისია იტვირთა, მაგრამ თანდათან ისეთ სერიოზულ მონოპოლიად იქცა, რომ მასზე არავითარი საერთო წესები და აკრძალვები არ მოქმედებდა, გარდა იმ წესებისა, რომლებსაც თვითონ უდგენდა საკუთარ თავს."

"მშია," — დაიჩივლა ჰარიეტმა.

სთოუნს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, სკამიდან გადაიხარა და განაგრძო: "ასეთი გარიყულები მრავლად არიან. მათ განუწყვეტლივ სდევნიან, იმის მაგივრად, რომ წაახალისონ და მათი ფარული შესაძლებლობები განავითარონ. ამ ნიჭის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუყენებელი და აუთვისებელია. თუ ამ პოტენციურ ძალას ფართო გასაქანს მივცემთ, შეიძლება იმაზე უფრო დიდი შედეგი მივიღოთ, ვიდრე ფიშჰუკს ოდესმე მიუღწევია."

"იყო დრო, როცა ხალხს მართლა სჭირდებოდა ფიშჰუკი და რაც არ უნდა მოხდეს, კაცობრიობა ყოველთვის ვალში იქნება მის წინაშე. მაგრამ ფიშჰუკმა უკვე დაკარგა უწინდელი აქტუალობა და დღესდღეობით მისი განვითარების შემაფერხებელ ძალადაც იქცა, რადგან უგულებელყოფს იმ პარაკინეტიკოსებს, რომლებიც ყალიბში ვერ თავსდებიან. პარაკინეტიკა აღარ უნდა წარმოადგენდეს ფიშჰუკის მონოპოლიას."

"მაგრამ ხალხი საშინელი ცრურწმენით არის სავსე, — აღნიშნა ბლეინმა, — ეს ბრმა შეუწყნარებლობა.."

"ერთდროულად დამსახურებულიც არის და დაუმსახურებელიც. ხალხმა პარაკინეტიკა ძველი, აწ უკვე გარდასული, დროის ყაიდას მოარგო და სავსებით ურცხვად გამოიყენა პირადი, ხშირ შემთხვევაში — ბოროტი

მიზნებისთვის. სწორედ ამის მიზეზია, პარაკინეტიკოსებს დანაშაულის გრძნობა რომ ვერ მოუშორებიათ. მათი დევნისა და ამ ღრმად ფესვგადგმული გრძნობის შედეგად ისინი ამ შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებას ვერ ახერხებენ, საკუთარი თავის ან მთლიანად კაცობრიობის საკეთილდღეოდ. მაგრამ ერთი რამ უდავოა, რომ შეძლონ ღიად და დაუფარავად მუშაობა, ყოველგვარი სახალხო ქარცეცხლის გარეშე, ფიშჰუკზე გაცილებით უკეთეს შედეგებს მიაღწევენ. ნება რომ დართონ, დაამტკიცებენ, რომ არაფიშჰუკისეული პარაკინეტიკა უფრო ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს კაცობრიობისთვის. მაშინ მათ საქვეყნოდ აღიარებენ და გაკიცხვის მაგივრად ქებითა და დიდებით აავსებენ და ეს, შეპ, წინ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი იქნება."

"მაგრამ ჯერ უნდა დავამტკიცოთ, — განაგრძობდა სთოუნი, — რომ პარაკინეტიკა არა მარტო ფიშჰუკელი პარაკინეტიკოსებისთვის, არამედ ზოგადად ადამიანისთვის დამახასიათებელი შესაძლებლობაა. ეს თუ მოვახერხეთ, მთელი კაცობრიობა დაკარგულ კეთილგონიერებასა და ღირსების გრძნობას დაიბრუნებს."

"შენ კულტურულ ევოლუციაზე ლაპარაკობ, — მიუგო ბლეინმა, — ეს, ცოტა არ იყოს, გრძელვადიანი პროცესია. შეიძლება, საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი ბუნებრივადაც მოხდეს, მაგრამ ამას ერთი ასი წელი მაინც დასჭირდება"

"სად გვაქვს ამდენი დრო!" — შესძახა სთოუნმა.

"გაიხსენე რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი უთანხმოებები, — შეახსენა ბლეინმა, — პროტესტანტებსა და კათოლიკებს, მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის გაჩაღ[illegible]ული ომები და შეადარე დღევანდელ დღეს. როგორ ვუყურებთ ამას დღევანდელი გადასახედიდან? ასევე კომუნისტებსა და კაპიტალისტებს შორის არსებული დაპირისპირება..."

"ფიშჰუკს დიდი წვლილი მიუძღვის ამ დავების

გადაწყვეტაში. დროთა განმავლობაში ის საკმაოდ ძლიერ მესამე ძალად იქცა."

"ადამიანის ოპტიმიზმი უსაზღვროა, — განაგრძობდა ბლეინი, — გადამწყვეტ მომენტში ყოველთვის იჩენს თავს მესამე ძალა, ისტორიული მოვლენები და მდგომარეობები თავისი კანონზომიერებით მიდის და გუშინდელი დავები და უთანხმობები დღევანდელი ისტორიკოსებისთვის მხოლოდ და (ოლოდ აკადემიურ პრობლემას წარმოადგენს."

"ნუთუ მზად ხარ, მთელი ასი წელი იცადო?" — ჰკითხა სთოუნმა.

"ცდა აღარ არის საჭირო, — ჩაერთო ჰარიეტი, — ეს საქმე უკვე დაწყებულია, მალე შეპიც შემოგვიერთდება."

"მე?"

"ჰო, შენ."

"შეპ, — შეეხვეწა სთოუნი, — გთხოვ, მომისმინე."

"გისმენ," — მიუგო ბლეინმა და ჟრუანტელმა დაუარა, მასში უცხო სხეული შეირხა, მოსალოდნელი საფრთხე რომ იგრძნო.

"მე პარაკინეტიკოსებისგან შემდგარი ორგანიზაცია დავაარსე. მთელი ჯგუფი შემოვიკრიბე, თუ გინდა, საზოგადოება უწოდე მას, თუ გინდა — იატაკქვეშეთი, ან შტატი, ანდა კომიტეტი. ის წინასწარ შეიმუშავებს გეგმებსა და ტაქტიკას . გარკვეული ექსპერიმენტებისა და კვლევებისთვის, რაც შემდგომში დაგვეხმარება, ვაჩვენოთ ხალხს, რომ პარანორმალურ ადამიანებს ფიშჰუკის დაუხმარებლადაც შეუძლიათ დიდი წვლილის შეტანა კაცობრიობის განვითარებაში..."

"პიერი!" — წამოიძახა ბლეინმა და ჰარიეტს გახედა.

ჰარიეტმა თავი დაუქნია.

"აი, თურმე რა გქონდა თავში თავიდანვე. გახსოვს, შარლინის წვეულებაზე ძველი მეგობარი რომ ახსენე..."

"და რა არის ამაში ცუდი?" — ჰკითხა ჰარიეტმა.

"არც არაფერი."

"თავიდანვე რომ მეთქვა ყველაფერი, დათანხმდებოდი?"

"არ ვიცი, ჰარიეტ, გეფიცები, არ ვიცი."

სთოუნი სავარძლიდან წამოდგა, ბლეინს მიუახლოვდა, ორივე ხელი გაიწვდინა და მხრებზე ჩამოადო. მისი თითები მაგრად შემოეჭდო ბლეინის მხრებს.

"შეპ, — მტკიცედ წარმოთქვა მან, — შეპ, ძალიან მნიშვნელოვანი და სერიოზული საქმეა. არ შეიძლება, რომ ფიშჰუკი ადამიანის ვარსკვლავებთან დამაკავშირებელ ერთადერთ ძალად რჩებოდეს. წარმოუდგენელია, რომ კაცობრიობის ერთი ნაწილი დედამიწაზე მიჯაჭვული, ხოლო მისი მეორე ნაწილი მისგან თავისუფალი იყოს."

ოთახის მკრთალ შუქზე სთოუნის თვალებს ჩვეული სისასტიკე დაეკარგათ და მისტიკური ელფერი შეეძინათ. მათში უამრავი დაუღვრელი ცრემლი კრთოდა.

"არსებობს ვარსკვლავები, — განაგრძო მან ჩურჩულით, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, — რომლებიც ადამიანმა აუცილებლად უნდა მოინახულოს, რათა დაინახოს, რა მწვერვალების დაპყრობა შეუძლია კაცობრიობას, რათა იხსნას საკუთარი სული."

ჰარიეტმა საქმიანი სახით აიღო ჩანთა და ხელთათმანები.

"თქვენ როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, — გამოაცხადა მან, — მე საჭმელად მივდივარ. ვკვდები, ისე მშია. მოდიხართ?"

"მე მოვდივარ," — თქვა ბლეინმა.

შემდეგ რაღაც გაახსენდა.

ჰარიეტმა მისი ფიქრი დაიჭირა და გაეცინა.

"ჩვენ დაგპატიჟებთ. ჩათვალე, რომ იმ დროის ვალს გიბრუნებ, ორივეს რომ გვპატიჟებდი ხოლმე სადილზე."

"არ არის საჭირო დაპატიჟება, — ჩაერთო სთოუნი, — ბლეინი უკვე შტატშია, ხელფასი ერიცხება. რას იტყვი, შეპ?"

ბლეინს ხმა არ ამოუღია.

"შეპ, მოდიხარ? ძალიან მჭიდები, შენ გარეშე ვერაფერს მოვახერხებ."

"კარგი, მოვდივარ," — უპასუხა ბლეინმა.

"როგორც იქნა, გავარკვიეთ ეს ამბავი, ახლა წავიდეთ, ვჭამოთ."

"თქვენ წადით, — უთხრა სთოუნმა, — მე დავრჩები და აქაურობას ვუდარაჯებ."

"გოდფრი..."

"მარტო მინდა, დავრჩე. ერთი-ორი საკითხი მაქვს გადასაჭრელი, უნდა ვიფიქრო..."

"წავედით, — ჰარიეტი ბლეინს მიუბრუნდა, — იჯდეს და იფიქროს."

შეფიქრიანებული ბლეინი ჰარიეტს გაჰყვა კარისკენ.



20

მათ შეკვეთა მისცეს, ჰარიეტი სკამზე მოხერხებულად მოკალათდა და ბლეინს მიმართა: "აბა, მომიყევი, რა მოხდა იმ ქალაქში, საავადმყოფოში როგორ მოხვდი?"

"სხვა დროს იყოს, — შეეპასუხა ბლეინი, — დრო კიდევ გვექნება ამაზე სალაპარაკოდ, ახლა შენ ამიხსენი, რა სჭირს გოდფრის?"

"შენ გაინტერესებს, რატომ დარჩა ოთახში?"

"ჰო, ეგ და კიდევ ბევრი სხვა რამ. ეს უცნაური ახირება, ნაპერწკალი მის თვალებში, აკვიატებული აზრი, თითქოს ადამიანის ხსნა ვარსკვლავებშია. ნამდვილ განდეგილს დაემსგავსა, ხილვას რომ ნახავს."

"მართლა ჰქონდა ხილვა," — განუცხადა ჰარიეტმა.

ბლეინი გაკვირვებული მიაჩერდა მას.

"ეს ბოლო მოგზაურობის დროს მოხდა, — განაგრძო ჰარიეტმა, — იქიდან შეშლილი დაბრუნდა. ეტყობა, იქ ნანახმა მთელი მისი არსება შეძრა."

"მართალია, — დაეთანხმა ბლეინი, — იქ მართლა არსებობს რაღაც..."

"შენ გინდა თქვა, რომ საშინელი რამ?"

"საშინელიც, მაგრამ ალბათ უფრო გამოუცნობი. იქ ადამიანის ცნობიერებისა და ლოგიკისთვის ყოვლად

წარმოუდგენელი პროცესები მიმდინარეობს. ეს აზრსმოკლებული კანონზომიერებები მიუღებელია მისთვის. ადამიანი უძლურია მათ წინაშე და შიში ეუფლება, რადგან საყრდენი წერტილი არა აქვს, არ იცის, საით წავიდეს, აბსოლუტურად მარტოა ამ უცხო სამყაროში და ირგვლივ ნაცნობ დედამიწას არაფერი აგონებს."

"და მაინც როგორ უმკლავდები ამ შიშის გრძნობას?"

"სხვა გზა არა გაქვს. ფიშჰუკში მუშაობისას გარკვეული თვისებები გიყალიბდება, რაც ამ წინააღმდეგობის გადალახვაში გეხმარება."

"გოდფრისთან საქმე სხვანაირადაა. ისეთი რაღაც იხილა, რის არსსაც ადვილად ჩასწვდა, შეიძლება ითქვას, ძალიან კარგადაც ჩასწვდა. ეს სრულყოფილება იყო."

"სრულყოფილება!"

"ცოტა არ იყოს, გაცვეთილი სიტყვაა, — დაეთანხმა ჰარიეტი, — სენტიმენტალური და მაღალფარდოვანი, მაგრამ ერთადერთი სიტყვაა, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავს სათქმელს."

"სრულყოფილება," — გაიმეორა ბლეინმა, თითქოს სიტყვა გადააბრუნა, ცდილობდა, მისი გემო გაესინჯა.

"იმ პლანეტაზე არც სიხარბეა, არც სიძულვილი, არც ადამიანის დამღუპველი პატივმოყვარეობა და არც ამ სიძულვილსა და გაუმაძღრობის წარმომშობი გარემო. ეს იქნებოდა სრულყოფილი ქვეყანა, სადაც რჩეული რასა იცხოვრებდა. სოციალური სამოთხე."

"არ მესმის..."

"ერთი წუთით დაუკვირდი და გაიგებ. ოდესმე გინახავს ისეთი მშვენიერი საგანი, ნივთი, სკულპტურა ან პეიზაჟი, რომ მისი სრულყოფილების შემხედვარე ფიზიკურ ტკივილს შეუპყრიხარ?"

"მინახავს, ერთი ორჯერ."

"ძალიან კარგი, მაგრამ ნახატი ან სკულპტურული ნამუშევარი ადამიანის, შენი, ცხოვრების მიღმა არსებული

საგნებია. ეს მხოლოდ ემოციური განცდაა და შენთან არსებითად დაკავშირებული არ არის, ანუ შენ თავისუფლად შეგიძლია მთელი ცხოვრება ისე გაატარო, რომ ერთხელაც აღარ შეხედო მას, თუმცა შეიძლება დროდადრო გაგახსენდეს და ამ გახსენებასთან ერთად ის ადრე განცდილი ტკივილის გრძნობაც დაგიბრუნდეს. ახლა წარმოიდგინე კულტურა, ცხოვრების წესი, რომელიც შეიძლება შენი ცხოვრების წესიც გახდეს, იმდენად მშვენიერი, რომ ნაცნობ ტკივილს განგაცდევინებს, მაგრამ ეს გრძნობა ათასჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე ხელოვნების ჩვეულებრივი ნიმუშის ხილვით გამოწვეული გრძნობა. აი, რა დაინახა გოდფრიმ და რატომ დაბრუნდა იქიდან შეშლილი. სწორედ იქ ნანახმა აალაპარაკა. ახლა ადგილს ვერ პოულობს, პატარა, გაღლეტილი ბიჭივითაა, ღობის იქით ზღაპრულ სამყაროს რომ აღმოაჩენს, იმდენად რეალურს, რომ შეუძლია, ხელი გაიწვდინოს და შეეხოს, მაგრამ ამავე დროს იცის, რომ შიგ ვერასოდეს შეაღწევს."

ბლეინმა ღრმად ჩაისუნთქა და მძიმედ, ნელა ამოისუნთქა.

"აი, თურმე რაში ყოფილა საქმე, — ჩიალაპარაკა, — ახლა მივხვდი, რაც უნდა."

"შენ რა, არ გენდომებოდა?"

"ალბათ კი, რომ მენახა."

"სთხოვე გოდფრის და თვითონ მოგიყვება. ანდა არც სთხოვო, ჩანაფიქრს მიგიხვდება და თვითონვე მოგიყვება."

"შენ უკვე მოგიყვა?"

"კი."

"და რა შთაბეჭდილება მოახდინა შენზე?"

"შენ თვითონ ხედავ, აქ ვარ."

ამასობაში ოფიციანტიც მოვიდა და შეკვეთა მოიტანა — შემწვარი ხორცის ორი მოზრდილი ნაჭერი, შემწვარი კარტოფილი და სალათა. ყავადანი მაგიდის შუაში დადგა.

"რა მადისაღმძვრელად გამოიყურება, — აღნიშნა ჰარიეტმა, — სულ მშია. გახსოვს, შეპ, პირველად რომ

დამპატიჟე რესტორანში?"

ბლეინს გაეღიმა: "რა დამავიწყებს. მაშინაც მაგრად გშიოდა."

"ვარდიც მიყიდე."

"მგონი, კი."

"რა საყვარელი ხარ, შეპ."

"თუ სწორად მახსოვს, ჟურნალისტი ხარ, არა? როგორ მოხდა, რომ..."

"სტატიაზე ვმუშაობ."

"ფიშჰუკს ეხება?"

"ნაწილობრივ," — უპასუხა ჰარიეტმა და ბივშტექსს მიუბრუნდა.

ერთხანს უხმოდ მიირთმევდნენ.

"კიდევ ერთი ფიქრი არ მასვენებს, — დაარღვია სიჩუმე ბლეინმა, — რა კავშირი აქვს ამ ყველაფერთან ფინს? გოდფრი ამბობდა, საშიში კაციაო."

"რა იცი ფინის შესახებ?"

"ბევრი არაფერი. ფიშჰუკიდან ჩემს მისვლამდე გაიქცა. მისმა გაუჩინარებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამბობენ, ერთ-ერთი მოგზაურობის დროს შეირყა, რომ შორეულ პლანეტაზე ნანახმა ჭკუიდან გადაიყვანა."

"მართალია, შეიშალა, — დაეთანხმა ჰარიეტი, — დახეტიალობს აღმა-დაღმა და ქადაგებს."

"ქადაგებს?"

"ხალხს ცეცხლსა და მახვილზე ელაპარაკება, ბიბლიით აშინებს. არწმუნებს, რომ ყოველგვარი სიბოროტისა და ცოდვის დასაბამი ვარსკვლავებია, რომ ადამიანმა არ უნდა იფიქროს უცხო პლანეტაზე მოგზაურობის შესახებ, რომ ერთადერთი უსაფრთხო ადგილი დედამიწაა, უცხო პლანეტებზე კი სიბოროტეს დაუსადგურებია. პარაკინეტიკოსებს კი იმაში ადანაშაულებს, რომ მათ ფართო კარი გაუღეს ჯოჯოხეთს..."

"და ხალხს სჯერა?"

"სჯერა რომელია, ნეტა განახა, რა სულგანაბულები უსმენენ. ვერ წარმოიდგენ, როგორ მოსწონთ მისი ქადაგება. რა გასაკვირია, იციან, რომ ვარსკვლავებს ვერ მისწვდებიან და მათი ავადხსენებით იოხებენ გულს."

"მათი რისხვა ალბათ პარაკინეტიკოსებზეც ვრცელდება. წარმომიდგენია, რას აღარ უწოდებენ მათ — ვამპირებს, მოჩვენებებს, მაქციებს..."

"კიდევ გობლინებს, — დაამატა ჰარიეტმა, — კუდიანებს, ავსულებს, რა ვიცი, უამრავი სახელი შეგიძლია მოიფიქრო."

"ფინი ნამდვილი შარლატანია."

ჰარიეტმა თავი გააქნია: "სულაც არ არის შარლატანი. ის ისევე გულწრფელია, როგორც სთოუნი. მართლა სჯერა იმ სიბოროტის, საკუთარი თვალით ნახა და დარწმუნდა მის არსებობაში."

"გოდფრიმ კი სიკეთე დაინახა."

"მართალი ხარ. საქმე მარტივადაა. ფინი ისევე დარწმუნებულია, რომ ადამიანს არაფერი ესაქმება უცხო პლანეტაზე, როგორც სთოუნია დარწმუნებული, რომ კაცობრიობის ხსნა ვარსკვლავებშია."

"და ორივე ფიშჰუკს ებრძვის."

"გოდფრის უნდა, რომ ფიშჰუკის მონოპოლიას ბოლო მოეღოს, თუმცა სტრუქტურის შენარჩუნების წინააღმდეგი არ არის. ფინი კი უფრო შორს მიდის, მის მიზანს პარაკინეტიკის განადგურება წარმოადგენს, ფიშჰუკი მისთვის უკვე მეორეხარისხოვანია."

"და ფინი საკუთარ თავს გოდფრის მტრად მიიჩნევს?"

"ჰო, სულ გზაზე ელოდება, ხელს უშლის. სხვას მაინც ვერაფერს დააკლებს. გოდფრი ძალიან ფრთხილობს, არავის აძლევს თავდასხმის საშუალებას. მაგრამ ფინმა მაინც შეიტყო მისი გეგმების შესახებ, ფიქრობს, რომ გოდფრი ერთადერთია, ვისაც პარაკინეტიკოსების გაერთიანება შეუძლია და ყველანაირად ცდილობს, გზიდან ჩამოიშოროს."

"შენ, როგორც გატყობ, მაინცდამაინც არ ღელავ."

"ეს იმიტომ, რომ გოდფრი არ ღელავს და სიმტკიცეს ინარჩუნებს. ფინი მისთვის მხოლოდ მორიგი წინააღმდეგობაა, მეტი არაფერი."

მათ რესტორანი დატოვეს და ტროტუარს დაუყვნენ ნომრისკენ.

ჩამავალი მზის შუქზე სანაპირო შავ და მეწამურ ფერებში ელვარებდა და მდინარის სპილენძში ირეკლებოდა. უკანასკნელი სხივები კლდოვან შვერილებს ეფინებოდა, ხოლო შორს, ლაჟვარდოვანი ცის კიდეზე ქორი ვერცხლისფერ კამარას კრავდა.

ნომერს მიუახლოვდნენ, ბლეინი კარს მიაწვა, ჰარიეტი გაატარა და თვითონაც დააპირა ოთახში შესვლა, მაგრამ ჰარიეტმა უკან გადადგა ნაბიჯი და ბლეინს შეეჯახა. სასოწარკვეთილი გმინვა აღმოხდა და დაძაბული სხეულით ბლეინს მიეკრა.

ბლეინმა ჰარიეტის მხარს იქით გადაიხედა და იატაკზე პირქვე დამხობილი სთოუნი დაინახა.



21

ბლეინი დაიხარა და სთოუნს დახედა თუ არა, მაშინვე მიხვდა, რომ მკვდარი იყო. მისი სხეული, ერთი შეხედვით, შევიწროვდა, დაპატარავდა. ერთ დროს სიცოცხლით სავსე სთოუნი ახლა დაჭმუჭნილ ძონძში გახვეულ, შიშისმომგვრელ უძრავ მასად ქცეულიყო.

ჰარიეტმა შემოსასვლელი კარი ჩარაზა. საკეტის ჩხაკუნს მისი ქვითინის ხმა შეერია.

ბლეინი უფრო დაბლა დაიხარა და მკრთალ შუქზე უსიცოცხლო სხეული დაათვალიერა. თავზე, იმ ადგილას, საიდანაც სისხლს გამოეჟონა, მუქი ფერის ლაქა შენიშნა.

ჰარიეტმა ბერკეტს მოქაჩა და დარაბები ჭრიალითა და ჭრიჭინით დაეშვა ფანჯრებზე.

"იქნებ შუქი აანთო, — სთხოვა ბლეინმა, — ბნელა."

"ახლავე, შეპ."

ჩამრთველმა დაინკაპუნა და ოთახი ჭერიდან ჩამოფრქვეულმა შუქის ნაკადმა გაანათა. კაშკაშა შუქზე ნათლად ჩანდა, რომ სთოუნისთვის ძლიერი დარტყმით თავის ქალა ჩაემსხვრიათ.

პულსის მოსინჯვას და გულისცემის მოსმენას აზრი არ ჰქონდა, ასეთ დარტყმას ვერც ერთი სულიერი ვერ გადაურჩებოდა.

ბლეინი ჩაიცუცქა, წამით შეტორტმანდა და ისევ დაიბრუნა წონასწორობა. ამ სისასტიკისგან თავზარდაცემული ფიქრობდა — განა რა მრისხანებას, გინდა სასოწარკვეთას, უნდა შეეპყრო ადამიანი, ასეთ რამეზე რომ წასულიყო.

ჰარიეტს შეხედა და თავი გააქნია, როგორ შეეძლო ასე გულგრილად ეყურებინა ამისთვის, მაგრამ გაახსენდა, რომ ჟურნალისტურ პრაქტიკაში ძალადობრივი სიკვდილი არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა, ალბათ მიჩვეულიც იყო.

"ეს ფინის ნამოქმედარია, — წარმოთქვა ჰარიეტმა ჩუმი და ისეთი მშვიდი ხმით, რომ აშკარად იგრძნობოდა გარეგან აუღელვებლობაში დამალული ფარული დაძაბულობა, — უშუალოდ ფინის არა, რა თქმა უნდა. მას უამრავი ფანატიკოსი მიმდევარი ჰყავს, რომლებიც ყველაფერზე წავლენ მისი გულისთვის, მისი ნებისმიერი ბრძანების შესასრულებლად."

ჰარიეტი ბლეინთან მივიდა და მის გვერდით ჩაიცუცქა. ტუჩები ერთ სწორ ხაზად შეჰკვროდა, სახე დაძაბულობისგან დასჭიმვოდა და ლოყაზე ერთადერთი ჩამოგორებული ცრემლის ნაკვალევი აჩნდა.

"რა ვქნათ ახლა, — იკითხა ბლეინმა, — პოლიციას დავუძახოთ?"

ჰარიეტმა ხელები გაასავსავა.

"არავითარი პოლიცია, არ უნდა გამოვჩნდეთ. ფინი და მისი ბანდაც ალბათ სწორედ ამას მოელის. დაგენაძლევები, ვიღაცამ უკვე დარეკა პოლიციაში."

"მკვლელს გულისხმობ?"

"რა თქმა უნდა. რატომაც არა, უბრალოდ დარეკავდა, შეატყობინებდა, რომ ამა და ამ ადგილას, ამა და ამ დროს ვიღაც მამაკაცი მოკლეს და მალევე დაკიდებდა ყურმილს."

"ჩვენზე რომ აეღოთ ეჭვი?"

"ჩვენზე, ნებისმიერზე, ვინც გოდფრისთან ერთად აღმოჩნდებოდა. შეიძლება იციან კიდევაც, ვინც ვართ. ის ექიმი..."

"შეიძლება, ეგეც ყოფილიყო."

"მისმინე, შეპ, იქიდან გამომდინარე, რაც მოხდა, დარწმუნებული ვარ, რომ ფინი ბელმონტშია."

"ბელმონტში?"

"ბელმონტი ის ქალაქია, სადაც შენ გიპოვნეს."

"აი, თურმე რა ჰქვია იმ ქალაქს."

"რაღაც ხდება, აქ რაღაც მნიშვნელოვანი ხდება. ჯერ რაილი და მისი ფურგონი, ახლა კი..."

"რა უნდა ვქნათ?"

"არ უნდა დავუშვათ, რომ გოდფრი აქ იპოვნონ."

"იქნებ, მანქანა მოვაყენოთ და უკანა კარიდან გავიყვანოთ."

"არ არის გამორიცხული, რომ ვინმე გვითვალთვალებდეს. მაშინ კი წასული იქნება ჩვენი საქმე."

"ახლა ფინს ასპარეზი მიეცა და რასაც უნდა, იმას გააკეთებს. არ უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ თამაშიდან გამოგვთიშოს, ყველანაირად უნდა ვცადოთ მისი შეჩერება."

"ჩვენ?"

"მე და შენ. შენ იცი გოდფრის ჩანაფიქრის შესახებ, ახლა შენი ჯერია, შენ უნდა ჩაუდგე სათავეში ამ საქმეს."

"კი მაგრამ, მე..."

ჰარიეტს თვალები სიბრაზისგან აენთო: "შენ ხომ მისი მეგობარი იყავი, მისი ამბავი მოისმინე. თვითონ არ უთხარი, შენს გვერდით მიგულეო?"

"ვუთხარი, მაგრამ ყველაფერს თავიდან ვიწყებ და ძალიან გამიჭირდება, ამ საქმის შესახებ თითქმის არაფერი ვიცი."

"ფინი უნდა შეაჩერო. გაიგე, რა აქვს ჩაფიქრებული და ხელი შეუშალე, დროის გაყვანის ტაქტიკას მიმართე..."

"შენ და შენი სამხედრო აზროვნება, დროის გაყვანის მეთოდები, უკან დასახევი გზები." (გენერლის მუნდირში გამოწყობილი მოხდენილი ქალბატონი უზარმაზარი ჩექმებითა და უამრავი მედლით დამშვენებული მკერდით).

გეყოფა!

საღად მოაზროვნე ჟურნალისტი.

"შეპ, გაჩუმდი, როგორ გინდა, ამ დროს საღად იაზროვნო? მე გოდფრი სთოუნის მჯეროდა, მჯეროდა იმ საქმის, რისთვისაც იბრძოდა."

"მგონი, მეც მჯერა, მაგრამ ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, რომ..."

"ხომ არ აჯობებს, უბრალოდ გავიქცეთ და მივიმალოთ?"

"არა! ახლა რომ გავიქცევით, ამით საკუთარ დანაშაულს დავამტკიცებთ და ძალაუნებურად თამაშს გავეთიშებით."

"შეპ, აბა რა ვქნათ? სხვა გზა არ არის."

"უნდა იყოს. აქ ახლომახლო არის ასეთი ქალაქი — ჰამილტონი?"

"კი, მდინარის ქვემოთ, ერთი ორი მილით არის აქედან დაშორებული."

ბლეინი წამოხტა და ოთახს მზერა მოავლო.

ტელეფონი საწოლებს შორის მდგარ მაგიდაზე იდო.

"რას აპირებ?"

"ერთი მეგობარი მყავს, — აუხსნა ბლეინმა, — გზაში გავიცანი, შეიძლება დაგვეხმაროს. მაშ ამბობ, ერთ ორ მილშია?"

"ჰო, ჰამილტონი, თუ ეს ის ქალაქია, ხომ არ გეშლება..."

"არა, არ მეშლება, ის ქალაქია."

სწრაფი ნაბიჯით გადაჭრა ოთახი, ტელეფონის ყურმილს დაავლო ხელი და ნომერი აკრიფა.

"შეგიძლიათ, ჰამილტონთან დამაკავშიროთ?"

"ნომერი მითხარით, სერ."

"276."

"ახლავე შეგაერთებთ."

ბლეინმა ჰარიეტს შეხედა: "ღამდება უკვე?"

"დარაბებს რომ ვხურავდი, ჯერ კიდევ მაშინ ღამდებოდა."

ტელეფონში ზუმერის ხმა ისმოდა.

"კარგია, რომ დაღამდა, სიბნელე სჭირდებათ, დღე ვერ შეძლებდნენ..."

"ვერ ვხვედი, შეპ, რა ჩაიფიქრე."

"გისმენთ," — გაისმა ვიღაცის ხმა ტელეფონში.

"ანიტას სთხოვეთ, თუ შეიძლება."

"ახლავე," — უპასუხა ხმამ. *ანიტა, შენ გეძახიან. ვიღაც კაცია.*

წარმოუდგენელია, გაიფიქრა გაოგნებულმა ბლეინმა. შეუძლებელია, ალბათ მეჩვენა.

"დიახ, — უპასუხა ანიტა ენდრიუსმა, — ვინ ბრძანდებით?"

ბლეინი. შეპარდ ბლეინი. გახსოვარ? იმ კაცთან ერთან ვიყავი, ვერცხლის საფანტით დატენილი თოფი რომ ჰქონდა.

კი, მახსოვხარ.

არ მოჩვენებია, ტელეპათია ტელეფონითაც იყო შესაძლებელი!

გახსოვს, რომ მითხარი, დახმარება თუ დაგჭირდა, დამიკავშირდიო?

გითხარი.

ახლა მჭირდება დახმარება (იატაკზე გაშლილი უსიცოცხლო სხეული, მოახლოებული პოლიციის მანქანა, ანთებული წითელი შუქები, ჩართული სირენა, სპიდომეტრი, საათი, აბრა სასტუმროს კედელზე, ოთახის ნომერი კარზე). *გეფიცები, ანიტა, მე არა ვარ მკვლელობაში გარეული. ახლა ვერაფერს აგიხსნი, მაგრამ დამიჯერე, სიმართლეს გეუბნები. პოლიციამ გვამი ოთახში არ უნდა ნახოს.*

კარგი, მოგაშორებთ.

სიტყვაზე მენდობით?

გენდობით. იმ ღამეს შენ დაგვეხმარე, ახლა ჩვენი ჯერია.

მაშინ იჩქარეთ!

ახლავე გამოვალ, რამდენიმე კაცს წამოვიყვან.

გმადლობ, ანიტა. მაგრამ მას უკვე დაეკიდა ყურმილი.

ბლეინი ერთხანს გაუნძრევლად იდგა, ყურმილი ხელში ეჭირა და გაოცებული მიშტერებოდა მას, შემდეგ ნელა დაუშვა და დაკიდა.

"საუბრის რაღაც ნაწილი დავიჭირე, — თქვა ჰარიეტმა, — შეუძლებელია."

"რა თქმა უნდა, არა. ტელეპათიური სატელეფონო კავშირი სავსებით შესაძლებელია."

ბლეინმა სთოუნის სხეულს დახედა: "აი, რას გულისხმობდა, ისეთ შესაძლობებზე როცა ლაპარაკობდა, ფიშჰუკს რომ არც დასიზმრებია."

ჰარიეტს პასუხი არ გაუცია.

"საინტერესოა, კიდევ რა შესაძლებლობები აქვთ," — ჩაილაპარაკა ბლეინმა.

"რა გითხრეს, მალე მოვალთო, რითი მოვლენ?"

მის ხმას ისტერიული ტონი შეჰპარვოდა.

"მოფრინდებიან, — უპასუხა ბლეინმა, — ლევიტატორები არიან. კუდიანები."

მწარედ გაეცინა.

"შენ როგორ..."

"გავიცანი? ერთ ღამეს თავს დაგვესხნენ მე და რაილის. უბრალოდ, ერთობოდნენ, რაილის კი შეეშინდა და სროლა აუტეხა..."

"რაილი!"

"ეს ის კაცია, გახსოვს, პალატაში რომ იწვა? ავარიაში რომ მოყვა, დაილუპა."

"შეპ, რაილისთან ერთად იყავი? როგორ მოხვდი მასთან?"

"ვთხოვე, მანქანით მივეყვანე. ისეთი შეშინებული იყო, რომ სიამოვნებით დამთანხმდა, ოღონდ მარტო არ ევლო. მთელი გზა მის დანგრეულ ფურგონს ვეწვალებოდით..."

ჰარიეტი გაოგნებული მიშტერებოდა ბლეინს.

"მოიცადე, საავადმყოფოში რაღაც მითხარი. მითხარი, რომ..."

"ვეძებდით. რაილი გოდფრიმ დაიქირავა, მაგრამ შეაგვიანდა და..."

"კი, მაგრამ..."

"შეპ, რა მოგივიდა?"

"სიკვდილამდე რამდენიმე წუთის წინ მელაპარაკა, უფრო სწორად, რაღაცის თქმას ცდილობდა. უნდოდა, ფინისთვის გადამეცა რაღაც. მაშინ პირველად გავიგე ფინის შესახებ."

"ყველაფერი უკუღმა დატრიალდა, — დაიჩივლა ჰარიეტმა, — აბსოლუტურად ყველაფერი. ის ვარსკვლავური მანქანაც..."

ჰარიეტმა სიტყვა გაწყვიტა და ბლეინს მიუახლოვდა: "შენ როგორც გატყობ, არაფერი იცი ამ მანქანის შესახებ."

ბლეინმა თავი გადააქნია: "ისეთივეა, ფიშჰუკში რომ გამოიყენებენ ვარკვლავებზე სამოგზაუროდ?"

ჰარიეტმა თავი დაუკრა თანხმობის ნიშნად: "რაილის კოსმოსური მანქანა გადაჰქონდა თავისი ფურგონით. გოდფრიმ დიდი გაჭირვებით იშოვა და უნდოდა, პიერში გადაეტანა. ამიტომაც დაიქირავა რაილი..."

"არალეგალური ვარსკვლავური მანქანა! — წამოიძახა ოდნავ შემკრთალმა ბლეინმა, — შენ თუ იცი, რომ ამ მანქანის ფლობა კანონით აკრძალულია ყველა ქვეყანაში? მარტო ფიშჰუკს აქვს ამის უფლება."

"გოდფრიმ ეს მშვენივრად იცოდა, მაგრამ მანქანა ძალიან სჭირდებოდა. მისი აწყობაც კი სცადა, მაგრამ გაუჭირდა. ნახაზები არ ჰქონდა."

"რა თქმა უნდა, არ ჰქონდა. საიდან უნდა ჰქონოდა?"

"შეპ, რა დაგემართა?"

"არ ვიცი, ალბათ ყველაფერი რიგზეა, უბრალოდ, ცოტა დავიბენი. არ ველოდი, რომ ასე მოულოდნელად გავებმებოდი ასეთ ამბავში."

"ნებისმიერ დროს შეგიძლია თამაშიდან გამოსვლა, უბრალოდ, გაიქეცი."

"ჰარიეტ, ჩემზე კარგად იცი, დავიღალე ამდენი სირბილით. გასაქცევიც არსად მაქვს."

"შეგეძლო, რომელიმე ბიზნეს ჯგუფს მიკედლებოდი. სიამოვნებით მიგიღებდნენ და კარგადაც გადაგიხდიდნენ იმ ინფორმაციისთვის, ფიშჰუკზე რომ ფლობ."

ბლეინს შარლინის წვეულება გაახსენდა, სავარძელში მოკალათებული დალტონი, პირში გაჩრილი სიგარითა და აბურძგნილი თმით, ყვავის ბუდეს რომ მიუგავდა. გაახსენდა მისი სიტყვები: "თეორიული თვალსაზრისით, შენი დახმარება შეუფასებელი იქნებოდა."

"შენი რჩევა მართლა ძვირი ეღირება."

"ხომ იცი, არ ვარ მაგის კაცი. გარდა ამისა, სიტყვა მივეცი გოდფრის, რომ მის გვერდით ვიქნებოდი. ძალიან არ მომწონს, რაც ჩემ გარშემო ხდება. არ მომწონს, რომ ვიღაცა ჩამოხრჩობას მიპირებს მხოლოდ იმიტომ, რომ პარაკინეტიკოსი ვარ. და საერთოდ, ძალიან ბევრი რამ ამ ამბავში ჩემთვის მიუღებელია."

"გაბრაზებული ხარ და ძალიან სამართლიანადაც," — აღნიშნა ჰარიეტმა.

"შენ არა?"

"გაბრაზებული არა, უფრო შეშინებული. სულით ხორცამდე შეშინებული."

შენ და შეშინებული! მამაცი ჟურნალისტი რკინის ნერვებით.

ბლეინი ჰარიეტისკენ მიბრუნდა, რაღაც გაახსენდა — ადგილი, სადაც მოხუცი ქალი ვარდებს ყიდდა. იმ ღამეს პირველად მოიხსნა ჰარიეტ კვიმბიმ ნიღაბი, ახლა მეორედ იხსნიდა.

ჰარიეტის სახე აღარ მალავდა, რომ უშიშარი და მამაცი ჟურნალისტი ზოგჯერ შეიძლება ჩვეულებრივ შეშინებულ ქალად მოგევლინოს.

ბლეინმა ჰარიეტი ჩაიკრა. ჩვეულებრივი ადამიანის სხეული იყო, არა რკინასავით მაგარი და უტეხი, არამედ რბილი და ნაზი.

დამშვიდდი, — უთხრა ბლეინმა, —ყველაფერი კარგად იქნება.

და უეცრად სინაზისა და მზრუნველობის მოულოდნელი გრძნობა შემოაწვა საკუთარ მკლავებში მოქცეული ქალის

მიმართ, რაც, ცოტა არ იყოს, გასაკვირი იყო მათი ურთიერთობიდან გამომდინარე.

როგორ? ფურგონი დამტვრეულია, რაილი მკვდარია და ვარსკვლავური მანქანა შეიძლება უკვე პოლიციას ან, უარეს შემთხვევაში, ფინსაც ჰქონდეს. ახლა კიდევ გოდფრის სიკვდილი და კარსმომდგარი პოლიცია...

ყველაფერი კარგად იქნება, — დაამშვიდა ბლეინმა, — ნუ გეშინია.

შორს სირენის ხმა გაისმა, რომელსაც პრერიის ქარის ღმუილი აპობდა.

ჰარიეტი წამოხტა: "შეპ, მოდიან."

"უკანა კარიდან გადი და მდინარისკენ გაიქეცი! ხეობაში დავიმალებით."

ბლეინი კარს მივარდა და საკეტს დაუწყო ძებნა. ამასობაში ვილაცამ დააკაკუნა.

საკეტი გახსნა და კარი გააღო. ოთახიდან წამოსული სინათლის ნაკადში ანიტა ენდრიუსი და მისი მოზარდი მეგობრები აღმართულიყვნენ.

"ზუსტად დროზე მოხვედით," — მიესალმა ბლეინი.

"სად არის ცხედარი?"

"აი იქ."

ოთახში შემოფრინდნენ.

სირენის ხმები ახლოვდებოდა.

"ჩვენი მეგობარი იყო, — აუხსნა დაბნეულმა ჰარიეტმა, — რა საშინელი..."

"ნუ ღელავთ, მის, — დაამშვიდა ანიტამ, — მივხედავთ. როგორც წესია, ისე დავასაფლავებთ."

ჩქარა! — მიმართა ანიტამ მეგობრებს, — დაბლა იფრინეთ. ცის ფონზე თქვენი სილუეტები არ უნდა გამოჩნდეს.

ამის თქმაც არ დაესრულებინა, რომ ოთახი უკვე დაცარიელდა, სთოუნის ცხედარიც სადღაც გამქრალიყო.

ანიტა წამით შეჩერდა, ბლეინსა და ჰარიეტს შეხედა.

ერთ დღეს აუცილებლად ამიხსნი, რაც მოხდა.

აუცილებლად, — შეჰპირდა ბლეინი, — დიდი მადლობა.

არაფრის. ჩვენ ტელეპათები ერთად უნდა ვიყოთ, ერთმანეთს ვეხმარებოდეთ. თუ ასე არ ვიზამთ, გაგვანადგურებენ.

ანიტა ფიქრეულად ბლეინს გადაეხვია, ბლეინმა მისი გონების შეხება იგრძნო, უცბად ბინდში მოციმციმე ციცინათელები შენიშნა და მდინარის რბილ ნისლში მოცურავე იასამნის სურნელი შეიგრძნო.

შემდეგ ანიტა გაქრა და კარი დაიხურა. უცბად, ვიღაცამ მთელი ძალით დააბრახუნა კარზე.

დაჯექი, უბრძანა ჰარიეტს. ეცადე, ბუნებრივად მოიქცე, მშვიდად, აუღელვებლად. ვითომ ვისხედით და უბრალოდ ვლაპარაკობდით. გოდფრი ვითომ ქალაქში წავიდა. ვიღაცამ მოაკითხა და გაჰყვა. ჩვენ არ ვიცით, ვინ იყო. ერთ ორ საათში უნდა დაბრუნებულიყო.

გასაგებია, — უპასუხა ჰარიეტმა.

ის სკამზე ჩამოჯდა და ხელები კალთაში დაიწყო.

ბლეინი კართან მივიდა და ოთახში კანონდამცველებს შემოუძღვა.



22

ბელმონტი ნელ-ნელა ძილისთვის ემზადებოდა. სახლებში, რომლებსაც ჩაუარეს, დიდი ხანია დარაბები დაეკეტათ. ქალაქის ბიზნეს რაიონშიც ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდა შუქები.

ერთი ორი კვარტლის ზემოთ ჯერ კიდევ ანათებდა სასტუმროს აბრები, ხოლო რეკლამა წარწერით "ველური დასავლეთი" იმაზე მეტყველებდა, რომ ბარი ღია იყო გვიანი სტუმრებისთვის.

"გგონია, გავაცურეთ ის პოლიციელები?" — ჰკითხა ბლეინს ჰარიეტმა.

"არა მგონია, რომ დაგვიჯერეს, მაგრამ ხომ შევაჩერეთ გარკვეული ხნით. ჩვენ წინააღმდეგ არანაირი სამხილი არა აქვთ."

"რაღაც მომენტში მეგონა, დაგვაკავებდნენ."

"მეც მასე მეგონა. რა ოსტატურად იგდებდი მასხარად. წარმომიდგენია, როგორია ამის ატანა, ალბათ იდიოტებივით გრძნობდნენ თავს."

ბლეინმა ბარის განათებაზე ანიშნა: "აქედან ხომ არ დაგვეწყო?"

"რატომაც არა, სხვა არჩევანი მაინც არა გვაქვს."

ბარი ცარიელი იყო. ბარმენი იდაყვით დაყრდნობოდა მაგიდას, ხელში ტილო დაეჭირა და ზანტად ებრძოდა წარმოსახვით ლაქებს.

ბლეინი და ჰარიეტი ბარმენის პირდაპირ, მაღალ სკამებზე დასხდნენ.

"რას დალევთ?" — ჰკითხა ბარმენმა.

უთხრეს, რასაც დალევდნენ.

ბარმენმა ჭიქები გადმოიღო და ბოთლებს მისწვდა.

"დღეს რაღაც ცოტა ხალხია, — აღნიშნა მან, — ისედაც არავინ რჩება გარეთ გვიანობამდე. შეღამდება თუ არა, ხალხი სახლებისკენ მიეშურება."

"როგორი ქალაქია?"

"არა უშავს. უბრალოდ, ახლა კომენდანტის საათია გამოცხადებული და ქალაქი პატრულის მანქანებითაა სავსე. ნეტა განახათ, როგორ თვითნებობენ პოლიციელები."

"შენ როგორ მუშაობ?" — ჰკითხა ჰარიეტმა.

"აქ ყველა მიცნობს. იციან, რომ გვიანობამდე მიწევს მუშაობა. სასტუმროდან ხშირად შემოივლიან ხოლმე თქვენნაირი გვიანი კლიენტები. მერე კიდევ სანამ დავკეტავ, ხომ უნდა მოვაწესრიგო აქაურობა, შუქები ჩავაქრო. მოკლედ, ერთ ორ ზედმეტ წუთს მჩუქნიან."

"რა საშინელებაა," — თანაგრძნობით მიუგო ბლეინმა.

ბარმენმა თავი გააქნია: "ეს ჩვენივე კეთილდღეობისთვის კეთდება. ხალხი უგნურია, ბევრი რამ არ ესმის. კომენდანტის საათი რომ არ გამოეცხადებინათ, გვანობამდე იხეტიალებდნენ ქუჩაში, ღამით კი, ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს."

ბარმენი წუთით შეჩერდა.

"ახლა გამახსენდა. რაღაც ახალი სასმელი მაქვს. ხომ არ გასინჯავდით?"

"რა სასმელია?" — დაინტერესდა ჰარიეტი.

ბარმენმა ბოთლი გადმოიღო და აჩვენა.

"ეს რაღაც ახალი და უცხოა, — გამოაცხადა მან, —

პირდაპირ ფიშჰუკიდან. რომელიღაცა უცხო პლანეტიდან ჩამოიტანეს, ხის წვენია თუ რაღაც ამის მაგვარი. ნახშირწყალბადით იქნება გაჯერებული. რამდენიმე ბოთლი წამოვიღე ფაქტორიადან გასასინჯად. შეიძლება, ვიღაცას მოეწონოს კიდეც."

ბლეინმა თავი გააქნია: "არა, გმადლობ. ღმერთმა იცის, შიგნით რას ურევენ."

"არც მე, გმადლობ," — უარი თქვა ჰარიეტმა.

ბარმენმა იმედგაცრუებულმა დააბრუნა ბოთლი თავის ადგილას.

"ნამდვილად არ გამტყუნებთ, — მიმართა ბლეინსა და ჰარიეტს და სასმელი მიაწოდა, — მე თვითონ მოვსვი ერთი ორი ყლუპი. არა ვსვამ, უბრალოდ, რო გამესინჯა."

"არა, — დაუმატა მან სასწრაფოდ, — იმიტომ კი არა, რომ რაიმე საწინააღმდეგო მაქვს."

"რა თქმა უნდა, არა," — დაამშვიდა ჰარიეტმა.

"ისე, უცნაური გემო კი დაჰკრავდა — შმორის. არც ცუდი და არც კარგი. თავიდან არა, მაგრამ ერთი ორი ყლუპის შემდეგ მოგეწონებოდათ."

ბარმენი წუთით გაჩუმდა და ხელები დახლზე დაალაგა.

"იცით, რაზე ვფიქრობ?" — იკითხა მან.

"წარმოდგენა არა გვაქვს," — მიუგო ჰარიეტმა.

"რაზე და ნეტა მთელი ეს ამბავი ფაქტორიაში ხომ არ მოიგონეს, როგორც ბოროტი ხუმრობა?"

"არა მგონია, მაგდენი გაებედათ."

"შეიძლება მართალიც ხართ, მის. მაგრამ ეს ფაქტორია ძალიან უცნაური რამ არის. სოციალურად ხალხს მათთან მაინცდამაინც მჭიდრო შეხება არა აქვს და მათ მაინც იმაზე მეტი იციან, რაც ხდება ქალაქში, ვიდრე ჩვენ. ალბათ დღე და ღამე დაყურადებული არიან, როგორმე უახლეს ჭორს მოკრან ყური."

"და რაც ყველაზე ცუდია, — განაგრძო ბარმენმა და ხაზი გაუსვა მათ დანაშაულებრივ ქმედებებს, — არც არაფერს

გეუბნებიან, არაფრად გაგდებენ."

"მართალი ხარ," — მიუგო ბლეინმა.

ბარმენი ფიქრს მიეცა.

ბლეინმა ბარის გარეთ გამეფებულ სიბნელეს მოავლო თვალი: "რაღაც ხალხმრავლობაა. ხდება რამე?"

ბარმენი მოხერხებულად მოკალათდა და გრძელი საუბრისთვის მოემზადა. მისმა ხმამ კონფიდენციალური ტონი მიიღო.

"თქვენ რა, მართლა არაფერი გაგიგიათ?"

"არაფერი. ქალაქში სულ რამდენიმე საათის წინ შემოვედით."

"მაშინ, მისტერ, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ქალაქში ვარსკვლავური მანქანა აღმოაჩინეს, არც მეტი, არც ნაკლები."

"რა?"

"ვარსკვლავური მანქანა, აი ისეთი მოწყობილობა, პარაკინეტიკოსები რომ იყენებენ ვარკვლავებზე გასაფრენად."

"პირველად მესმის."

"საიდან უნდა გაგეგოთ. მისი გამოყენება მხოლოდ ფიშჰუკშია ნებადართული."

"გინდა თქვა, რომ ეს მანქანა არალეგალურია?"

"სწორედ რომ არალეგალურია. შტატის პოლიციამ ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, ტრასის პირას მდებარე ფარდულში იპოვა. აქ შემოსვლამდე იმ ადგილს უთუოდ გაივლიდით."

"არ მახსოვს."

"მოკლედ, იქ იპოვეს. და რაც ყველაზე მთავარია, დღეს ქალაქში თავად ლამბერტ ფინი გამოჩნდა."

"ცნობილი ლამბერტ ფინი?"

"დიახ. ამჟამად აქ, სასტუმროშია. ხვალ დიდი შეკრების მოწყობას აპირებს იმ ფარდულთან. პოლიცია დაითანხმა, მისთვის მანქანა გამოეთრიათ, ხალხმა საკუთარი თვალით

რომ იხილოს სიბოროტის სათავე და ქადაგებამაც უფრო დიდი ნაყოფი გამოიღოს. გარწმუნებთ, მისტერ, არ ინანებთ, მამა ფინს თუ მოუსმენთ. ისეთ ცეცხლს დაარიალებს, ჯერ რომ არ გინახავთ. განსაკუთრებული რისხვა ალბათ პარაკინეტიკოსებს დაატყდებათ. ნაცარტუტად აქცევს მათ. ისეთ დღეს დააყრის, რომ ქალაქში გამოჩენასაც ვეღარ გაბედავენ."

"ასეთ მიყრუებულ ქალაქში ბევრი არც იქნება."

"მართლია., თვითონ ქალაქში ბევრნი არ არიან, — უხალისოდ დაეთანხმა ბარმენი, — მაგრამ ახლომახლო, მდინარის პირას, ერთი ადგილია, სახელად ჰამილტონი. ახალი ქალაქია, ყველა შტატიდან ჩამოსულმა პარაკინეტიკოსებმა დააარსეს. რაღაც ჰქვია ასეთ ადგილს, აღარ მახსოვს. რა ერქვა იმ ადგილს, ევროპაში ებრაელები რომ ჰყავდათ გამოკეტილი?"

"გეტო."

ბარმენმა გამეტებით დაჰკრა ხელი დახლს: "როგორ დამავიწყდა. ჰო, ზუსტად ეგ ჰქვია. გეტო. იმ განსხვავებით, რომ ძველ დროში მასეთ ადგილებს ქალაქის ღარიბ ნაწილში აშენებდნენ, ახლა კი ქალაქგარეთ, უკაცრიელ და დაუსახლებელ ადგილას ააგეს. მიწა მდინარის პირას არაფრად არ ვარგა, აბა ვის მოუვიდოდა აზრად იქ ქალაქის გაშენება, მაგრამ პარაკინეტიკოსებს მოსწონთ იქაურობა. თავისთვის არიან და თუ არავის აწუხებენ, არც მათ აწუხებს ვინმე. თუ წყნარად არიან, არ ვეხებით, მაგრამ კარგად იციან, რომ ვუთვალთვალებთ და თუ რამე მოხდა, ვიცით, სადაც უნდა ვეძებოთ."

ბარმენმა საათს შეხედა: "თუ სურვილი გაქვთ, ერთი ჭიქის გადაკვრას კიდევ მოასწრებთ."

"არა, გმადლობ, საკმარისია, — მადლობა გადაუხადა ბლეინმა და მაგიდაზე რამდენიმე კუპიურა დაუდო, — ხურდა დაიტოვე."

"გმადლობთ, სერ, დიდი მადლობა."

ბლეინმა და ჰარიეტმა წამოდგომა რომ დააპირეს, ბარმენი მიუახლოვდა მათ და გააფრთხილა: "თქვენს ადგილას, სახლში დავბრუნდებოდი. პოლიციამ თქვენზე ეჭვი თუ აიღო, კარგი დღე არ დაგადგებათ."

"ასეც მოვიქცევით, — დაეთანხმა ჰარიეტი, — და გმადლობ მასპინძლობისთვის."

"რას ამბობთ, ყოველთვის მზად ვარ, გემსახუროთ."

ბარი დატოვეს და მანქანისკენ გაემართნენ. ბლეინმა კარი გაუღო ჰარიეტს, შემდეგ მანქანას შემოუარა და თვითონაც ჩაჯდა.

"მაშ, ძველი ფარდული, გზის პირას რომ დგას?"

"შეპ, რა ჩაიფიქრე. შარში გავეხვევით."

"რაღაც ღონეს უნდა მივმართოთ. ვერ მივცემ ფინს იმის საშუალებას, რომ მანქანა ქადაგებისთვის გამოიყენოს."

"შენ რა, მის გამოთრევას აპირებ?"

"არა. მეტისმეტად დიდია, ალბათ ვერ მოვერევი. რაღაცა უნდა მოვიფიქროთ, ფინს ხელი რომ შევუშალოთ."

"დაცვა ეყოლება."

"არა მგონია, ჰარიეტ. შეიძლება ცხრაკლიტულით იყოს ჩარაზული, მაგრამ დაცვას არ დაუყენებდნენ. ამ ქალაქში ხალხი ისეა დაშინებული, ღამე იქ არავინ გაჩერდებოდა."

"შენც გოდფრისავით ხარ, ორივეს მოგწონთ თავის ყულფში გაყოფა."

"გოდფრი მოგწონდა, არა?"

"ძალიან."

ბლეინმა ძრავა ჩართო და მანქანა გზაზე გადაიყვანა.

ჩაბნელებული და მიგდებული ძველი ფარდულის ირგვლივ კაციშვილი არ ჩანდა. რამდენჯერმე ჩაუარეს ნელა და არაფერი შეცვლილა — მიყრუებული ფარდული უცვლელად იდგა თავის ადგილას, როგორც იმ ძველი დროის ცოცხალი რელიქვია, როცა მანქანები ტრასებზე დადიოდნენ და გზების ტექნიკური გამართულობისთვის აუცილებელი იყო ასეთი გარაჟების არსებობა.

ბლეინმა გზიდან გადაუხვია, მანქანა ტირიფნარში შეაცურა, მიწაზე დასვა და ფარები გამორთო.

გარშემო შემზარავი სიჩუმე ჩამოწვა.

"ჰარიეტ!" — დაუძახა ბლეინმა.

"რა არის, შეპ?"

"აქ დარჩი. ფეხი არ მოიცვალო. წავალ, დავხედავ იქაურობას."

"დაგაგვიანდება? მარტოს მაინც არაფერი გამოგივა."

"მალე მოვალ. ფარანი გაქვს?"

"უჯრაში უნდა იყოს."

ჰარიეტმა უჯრა გამოხსნა და პატარა ნათურის შუქზე საგზაო რუკების დასტას, სათვალესა და სხვა წვრილმანს შორის ფარანიც იპოვა და ბლეინს მიაწოდა. ბლეინმა გასინჯა და რომ დარწმუნდა, მუშაობდა, გამორთო და მანქანიდან გადავიდა.

"ჩუმად იჯექი," — გააფრთხილა ჰარიეტი.

"ფრთხილად იყავი," — მიაძახა ჰარიეტმა.



23

ფარდული იმაზე დიდი აღმოჩნდა, ვიდრე გზიდან ჩანდა. გარს მაღალი გამხმარი ბალახის მესერი შემორტყმოდა, რომელსაც ქარის მცირედ დაბერვაზე შრიალი გაჰქონდა. შენობა გოფრირებული მეტალის ფურცლებისგან იყო აგებული. ასეთი სახის მასალას დაახლოებით სამოცი წლის წინ იყენებდნენ, სანამ ალდებარანიდან სუპერპლასტს შემოიტანდნენ. მეტალის ერთგვაროვან ზედაპირს მხოლოდ გაზეპილი ფანჯრები და მათზე გაბმული მრავალწლიანი აბლაბუდები არღვევდა. უზარმაზარი ჭიშკარი, რომელიც ზემოთ იხსნებოდა, თითქმის მთლიან ფასადს იკავებდა.

აღმოსავლეთით, ამომავალი მთვარის მკრთალი შუქით განათებული ცის ფონზე, მძინარე ქალაქის კონტურები მოჩანდა.

ბლეინმა დიდი სიფრთხილით დაარტყა წრე შენობას, ცდილობდა, შესასვლელი ეპოვნა, მაგრამ უშედეგოდ. შესასვლელი კარი ჩაერაზათ. მართალია, ქვემოთ მეტალის რამდენიმე ფურცელი მოშვებულიყო, მაგრამ მეტისმეტად მძიმე მეტალის აწევას და ქვეშ გაძრომას ნამდვილად ვერ შეძლებდა.

შიგნით შეღწევის ერთადერთი გზა არსებობდა.

ბლეინი გზასთან ყველაზე ახლოს მდებარე კუთხესთან

მივიდა და მიაყურადა. ბალახის შრიალის გარდა, არაფერი ისმოდა. ამ ტრასაზე, როგორც ჩანს, დიდი ხანია, არავის გაევლო და საეჭვოა, რომ ვინმე ოდესმე გაივლიდა. იქაურობა სიბნელეში ჩანთქმულიყო. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ამ ქვეყანაზე მისი და ამ მიყრუებული გარაჟის გარდა, არაფერი არსებობდა.

ბლეინი ერთხანს დაჟინებით იყურებოდა ტრასისკენ, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენიშნა, ვერავინ მიხვდებოდა, რომ ტირიფნარში მანქანა დაემალათ.

სწრაფად დაიძრა ადგილიდან, კედელს გაუყვა და პირველივე ფანჯარასთან გაჩერდა. დაგლეჯილი ქურთუკი გაიხადა, ხელზე შემოიხვია, მკვეთრი მოძრაობით შუშა ჩატეხა და ჩარჩოში ჩარჩენილი შუშის წვრილი ნატეხები გამოიღო, გადაძრომაში ხელი რომ არ შეეშალა.

ბლეინი კუთხეს დაუბრუნდა და ერთხანს გაუნძრევლად იდგა, მაგრამ ღამის სიჩუმეს კვლავინდებურად არაფერი არღვევდა.

ფანჯარას მიუახლოვდა, ფრთხილად გადაძვრა და სანამ ფეხს დადგამდა, იატაკი მოსინჯა, შემდეგ ჯიბიდან ფარანი ამოიღო, აანთო და სინათლის ზოლი გარაჟის ჩაბნელებულ ინტერიერს მოავლო.

კართან ახლოს ნაცნობი დანჯღრეული ფურგონი იდგა, როგორც იქნა, დაასვენეს საცოდავი. იქვე ვარსკვლავური მანქანაც მოჩანდა.

ბლეინი მანქანასთან უხმაუროდ მივიდა და ფარნის შუქი მიანათა. ამ მანქანას კარგად იცნობდა, ფიშჰუკში ყოფნისას დაწვრილებით ჰქონდა შესწავლილი. მასში რაღაც ამოუცნობი სილამაზე შეიმჩნეოდა, თითქოს მის ზედაპირზე ყველა ის მისტიკური პლანეტა აირეკლებოდა, სადაც ოდესმე ადამიანი წაუყვანია.

თუმცა ეს ძველი მოდელი იყო. ასეთები ფიშჰუკმა დაახლოებით ათი წლის წინ ამოიღო ხმარებიდან და ახლით შეცვალა. უდავოა, რომ ის ფიშჰუკიდან მოდიოდა. იქ,

საწყობში, უამრავი ასეთი მანქანა დგას, ალბათ იმიტომ, რომ მათი დაკონსერვება უფრო იოლია, ვიდრე ნაწილებად დაშლა, უბრალოდ გადაგდება კი გამორიცხულია. ასეთი ნივთი ან ჩაკეტილ-ჩარაზული უნდა ინახებოდეს ან ნაწილებად დაიშალოს. მასში ფიშჰუკის მონოპოლიის გასაღები იდო და მისი უცხო ხელში მოხვედრა დაუშვებელი გახლდათ.

მაგრამ იმ მანქანებიდან ერთ-ერთი, როგორც ჩანს, უკვე ჩავარდა უცხო ძალის ხელში და ბოროტი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენებდა. ამ მიტოვებულ ფარდულში დატყვევებული ვარსკვლავური მანქანა ფიშჰუკის წინააღმდეგ განხორციელებული ყველაზე სასტიკი ხრიკის უსიტყვო დამადასტურებელი იყო.

ნეტა, როგორ მოახერხა სთოუნმა ამ მანქანის შოვნა. ბლეინმა წარმოიდგინა, რა ძალისხმევის ფასად დაუჯდებოდა ეს ამ კაცს და უცბად მის მიმართ მომეტებული პატივისცემის გრძნობით აივსო. ამისთვის, პირველ რიგში, ფული დასჭირდებოდა, ასევე — სანდო აგენტები და ზუსტი და უტყუარი სამოქმედო გეგმა.

საინტერესოა, ჰარიეტი რა მონაწილეობას იღებდა ამაში. ყოველ შემთხვევაში, ფიშჰუკიდან გაქცევაში როცა ეხმარებოდა, საკმაოდ მტკიცედ და აუღელვებლად მოქმედებდა. ასეთ რამეს მხოლოდ ჰარიეტისნაირი ქალი თუ მოახერხებდა. თავდაჯერებული და მშვიდი იყო, მშვენივრად იცნობდა ფიშჰუკის შიდა სამზარეულოს და, რაც მთავარია, ჰქონდა ტვინი, რომელიც შვეიცარიული საათის სიზუსტით მუშაობდა, მხოლოდ ამ თვისებებით დაჯილდოვებული ქალი თუ მოახერხებდა ვარსკვლავური მანქანის გატაცებას.

სთოუნი მანქანაზე დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ ის ცოცხალი აღარ იყო და იმედიც მასთან ერთად გაქრა, მანქანა კი ამ მიგდებულ გარაჟში ეყენა, ნივთიერი დასტური იმისა, რომ სიძულვილითა და ბოროტებით სავსე ადამიანი პარაკინეტიკოსების განადგურებას ცდილობდა.

ფინი ვარსკვლავურ მანქანას ზედმიწევნით კარგად

გამოიყენებდა საკუთარი ბოროტი მიზნებისთვის. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ დანადგარს მანქანასაც ვერ უწოდებდი, რადგან ადამიანის მიერ საუკუნეების მანძილზე შეთვისებულ მანქანას სულაც არ ჰგავდა. არ ჰქონდა ჩვეულებრივი მანქანისთვის დამახასიათებელი ნაწილები და ფუნქციები, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანურ გონებასა და გრძნობაზე მუშაობდა. საწვავად ზებუნებრივ ენერგიას გამოიყენებდა და არა ჩვეულებრივს. და ყველაფრის მიუხედავად, მაინც მუშაობდა, ისეთივე სასწაულებრივი ეფექტი ჰქონდა, როგორც მორწმუნის მიერ წარმოთქმულ ლოცვას საუკუნეების წინ, მაშინ, როცა პარანორმალური კინეტიკის ხსენებაც არ იყო.

თუ იმედი გაქრა, მაშინ მანქანაც უნდა გამქრალიყო. თუ სხვას ვერაფერს გააკეთებდა, ამით მაინც გადაუხდიდა ნანილობრივ ვალს სთოუნს.

გამოსავალი ნამდვილად არსებობდა. უბრალოდ, უნდა შეძლოს და უცხო გონების ქაფმოდებული ზღვიდან საჭირო ცოდნა ამოკრიფოს.

ბლეინმა გონებაში მოძებნა და იპოვა კიდეც საჭირო ინფორმაცია, ამასთან ერთად დარწმუნდა, რომ იქ სხვა უამრავი სახის ინფორმაცია და ცოდნაც ინახებოდა, ისე საგულდაგულოდ დაწყობილი და კლასიფიცირებული მის გონებრივ არქივში, თითქოს მასზე გამოცდილ არქივარიუსს ემუშავა.

ამ წესრიგის აღმოჩენამ ბლეინი გააოგნა, წარმოდგენა არ ჰქონდა, რაც ხდებოდა მის გონებაში. ეს წმინდად ადამიანური მიდგომა იყო, ადამიანური ბუნტი იმ მოუწესრიგებელი, ფრაგმენტული ცონდისა და ინფორმაციის მიმართ, რომელიც შორეული პლანეტის არსებას ჩაენერგა მისთვის.

უცხო არსება ან, შეიძლება ითქვას, მისი არსი კვლავ მის ტვინში ცხოვრობდა. ბლეინმა საკუთარი გონებრივი არქივები გადაქექა, მაგრამ ვარდისფერი არსების კვალიც ვერ იპოვა. არსება გამქრალიყო, სამაგიეროდ, რჩებოდა

წინათგრძნობა, რომ რაღაც არ იყო წესრიგში.

შეშინებული ბლეინი ამ წინათგრძნობას მიჰყვა და მისი სათავე იპოვა. აღმოჩენამ თავზარი დასცა — ბლეინის გონება აღარ იყო მხოლოდ ადამიანური. გაოგნებასთან ერთად გაოცებაც დაეუფლა — ნეტავ, ასეთ მდგომარეობაში საქმის ვითარებას როგორ მიხვდა.

ბლეინმა ბრმად გაიწვდინა ხელი, რამეს რომ დაყრდნობოდა, და ვარსკვლავური მანქანის კიდეს მაგრად მოეჭიდა.

ეს აღმოჩენა ერთ მარტივ ფაქტამდე დაიყვანებოდა — გარეგნულად ის ადამიანად რჩებოდა, ხოლო შინაგანად ორი პიროვნების, ორი გონების, ორი განსხვავებული სიცოცხლის ეთიკისა და მამოძრავებელი ძალის ნაზავს წარმოადგენდა. ვარდისფერი არსება არ შეცვლილიყო, ისეთივე მოშვებული და უფორმო მასად რჩებოდა. მასში ადამიანის გონების არავითარი კვალი არ ჩანდა, თუმცა მის შიგნით მაინც იყო რაღაც ადამიანური და, ღმერთმა იცის, კიდევ რამდენი სხვა რამ.

ბლეინმა მანქანის კიდეს ხელი გაუშვა და სარკისებურ მეტალის ზედაპირზე მოატარა.

ასე რომ, გამოსავალი არსებობდა, მთავარი იყო — ეს გაეკეთებინა. სათანადო ცონდა ჰქონდა, ახლა ხერხი უნდა მოეძებნა.

"დრო, — უთხრა ვარდისფერმა არსებამ, — დრო ყველაზე მარტივი ფენომენია." მაგრამ დროის მართვა არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ეს იმ არსებამ დაუხატა.

ბლეინი იდგა და ფიქრობდა. უცებ მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა.

წარსულის გზაზე სიარულს აზრი არ ჰქონდა, მანქანა კი უკვე წარსულის კუთვნილებას წარმოადგენდა და ამ გზაზე გრძელი და ბურუსით მოცული კვალი დაეტოვებინა.

მომავალი კი სულ სხვა ამბავია. თუ შესაძლებელი იქნება მანქანის მომავალში გადატანა, ახლანდელი მომენტები და

აგრეთვე ყველა მომდევნო მომენტი მისთვის წარსულ მოვლენად იქცევა და მისგან მხოლოდ აჩრდილი დარჩება, რაც ადამიანებში სიცილისა და ქილიკის სურვილს გააღვიძებს. ბუნებრივია, ეს მანქანა არ უნდა გახდეს ლამბერტ ფინისნაირი ადამიანის ქადაგების თემა.

გარდა ამისა, — გაუელვა თავში ბლეინს, — ფინს გული გაუსკდება შიშისგან, ამას რომ დაინახავს.

ბლეინმა სცადა, ვარსკვლავური მანქანა საკუთარი გონების მორევში გაეხვია, თუმცა — ამაოდ. გონება ვერ წვდებოდა მთლიან მანქანას, მისი შთანთქმისთვის გასაქანი არ ჰყოფნიდა. შეისვენა და განაგრძო.

მოულოდნელად იქაურობა უცნაური დაძაბულობით აივსო, ყველაფერმა ირგვლივ უცხო ელფერი მიიღო. ჩამსხვრეული ფანჯრების გარეთ გამხმარი ბალახის შრიალი მუქარასავით ისმოდა, მსუსხავი ჰაერი ისეთი მძაფრი სუნით გაჟღენთილიყო, რომ ბლეინს ჟრუანტელმა დაუარა. უცნაური შეგრძნება ჰქონდა — თითქოს გარე სამყაროს მოსწყდა, თითქოს მასთან უკვე არაფერი აკავშირებდა — არც მიწა, რომელზედაც ფეხი ედგა, არც ჰაერი, რომელსაც ჩაისუნთქავდა და არც სხეული, რომელსაც ატარებდა. მისთვის უცბად აქამდე ნაცნობი უცნობი გახდა და ეს უეცარი გადანაცვლება ნაცნობი სამყაროდან აბსოლუტურად უცნობ სამყაროში, რომლის ადგილმდებარეობაც არ იცოდა, წარმოუდგენელ შიშს ჰგვრიდა. მაგრამ ყველაფერი თავის კალაპოტს დაუბრუნდება, თუ მოახერხებს და ამ უცნაურ მანქანას გონებით გადააადგილებს. ამ ამოუცნობ ადგილას ხომ იმიტომ მოხვდა, იმიტომ გამოიხმეს თავისი თბილი, მყუდრო და უსაფრთხო კუნჭულიდან, რომ მასზე დაკისრებული მისია შეესრულებინა, რის შემდეგაც თავისუფლად შეძლებს, თავის ბნელ სამალავს მიაშუროს, ძველ მოგონებებს დაუბრუნდეს და რუდუნებით განაგრძოს ფაქტების შეგროვება, ხარბად დაეწაფოს თითოეულ ახალ ინფორმაციას, დაახარისხოს და

თანაბარ და სიმეტრიულ დასტებად დაალაგოს.

ამ ხელოვნური სხეულის აწევა, მისი უჩვეულო ბუნების მიუხედავად, სულაც არ ყოფილა ძნელი საქმე. ძალიან ღრმადგადგმული ფესვები არ ჰქონდა და კოორდინატების დადგენას დიდი დრო არ წაურთმევია, ცოტაც და გადაიტანდა კიდევაც, მაგრამ მოთმინება უნდა მოიკრიბოს და მიუხედავად ამ ყველაფრის სწრაფად დასრულების დაუოკებელი სურვილისა, მაინც არ უნდა აჩქარდეს. დაელოდა, სანამ კოორდინატები მკაფიო და ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებდა, შემდეგ ნელა და აუღელვებლად განსაზღვრა სავარაუდო ტემპორალური დატვირთვა და მთელი გონებრივი ძალით ასწია ეს ხელოვნური სხეული, საჭირო კუთხით შემოატრიალა და იმ ადგილას გადაისროლა, სადაც მისი მოთავსება ჰქონდა გადაწყვეტილი.

დაასრულა თუ არა ეს მოქმედება, ვარდისფერმა არსებამ თავის ძველ ბნელსა და თბილ სამალავს მიაშურა. ბლეინი ბურუსით მოცული სიცარიელით გარშემორტყმული აღმოჩნდა — საკუთარ ადამიანურ ბუნებას დაბრუნებოდა.

ახლომახლო არაფერი ჩანდა, ბლეინისა და ვარსკვლავური მანქანის გარდა. მან ხელი შეახო მანქანას, მის რეალურობაში რომ დარწმუნებულიყო. როგორც ჩანდა, ის ერთადერთი ხელშესახები საგანი იყო იქ, სადაც ბლეინი აღმოჩნდა.

ნისლსაც რაღაც უცნაური და უჩვეულო სახე მიეღო, თითქოს საკუთარი არსებობის შენიღბვას ცდილობდა.

ბლეინი გაუნძრევლად იდგა. ადგილიდან დაძვრასაც ვერ ბედავდა, იმის შიშით, რომ მცირედ მოძრაობას სამუდამოდ არ გადაეგდო უძირო ჭაში, საიდანაც უკან ვეღარ დაბრუნდებოდა.

აი, თურმე როგორი ყოფილა მომავალი, ადგილი, რომელსაც სივრცისა და დროის არც ერთ ნაცნობი თვისება არ გააჩნდა. ამ ადგილას ჯერ არაფერი მომხდარა, ირგვლივ სრული სიცარიელე სუფევდა. აქ არც სინათლე ჩანდა, არც სიბნელე, მხოლოდ სიცარიელე. ამ ადგილას არც ერთი

სულიერი თუ უსულო სხეული არ აღმოჩენილა და არც უნდა აღმოჩენილიყო ამ კონკრეტულ მომენტამდე, როცა ბლეინი და ვარსკვლავური მანქანა, მას შემდეგ, რაც დროის გარკვეული მონაკვეთი გადალახეს, რაღაც მაგიურმა ძალამ იქ გადაისროლა.

ბლეინმა ნელა ამოისუნთქა და ჩასუნთქვა რომ დააპირა, მიხვდა, რომ სივრცე უჰაერო იყო.

თვალთ დაუბნელდა, საფეთქლები გამეტებით უცემდა, ინსტინქტური თავგანწირვით ცდილობდა, რამეს მოსჭიდებოდა, მაგრამ სიცარიელეში რას მოეჭიდებოდა.

სწორედ ამ დროს ისევ გამოჩნდა ვარდისფერი არსება, შეშინებული და დაბნეული უცხო სხეული, უცნაური სიმბოლოებისა და ციფრების ნაკრები. ამ აგონიაშიც იგრძნო ბლეინმა, როგორ წალეკა მისი გონება არამიწიერი მათემატიკის ნაკადმა.

უცბად სივრცე ჰაერით გაიჟღინთა. ბლეინმა მყარი იატაკი იგრძნო ფეხქვეშ და ჰაერში გარაჟის ნესტისა და შმორის სუნი დატრიალდა.

როგორც იქნა, სახლში დაბრუნდა, მასთან ერთად უცხო გონებაც, რადგან მისი არსებობა აღარ იგრძნობოდა. ბლეინმა მშვენივრად იცოდა, სადაც იყო მისი თბილი და მყუდრო სახლი — მის გონებაში.

გასწორდა და სხეული მოისინჯა, ყველაფერი ადგილზე ჰქონდა. ნელა გაახილა თვალები, რატომღაც — დახუჭული. ფარდულში ბნელოდა, თუმცა ისე ძალიან არა, როგორც ცოტა ხნის წინ, რადგან ჩამსხვრეულ ფანჯარაში ახალამოსული მთვარის შუქი შემოდიოდა. ბლეინს გაახსენდა, რომ ხელში ფარანი ეჭირა.

აანთო და იმ ადგილს მიანათა, სადაც მანქანა იდგა, უფრო სწორად ის, რაც მისგან დარჩენილიყო — მისი აჩრდილი, უცნაური და არარეალური კვალი, რომელიც მომავალში წასულმა ვარსკვლავურმა მანქანამ დატოვა.

ბლეინმა თავისუფალი ხელი ასწია და ქურთუკის

სახელოთი შუბლი მოიწმინდა. როგორც იქნა, დამთავრდა. შეძლო ჩანაფიქრის შესრულება. სთოუნის მაგივრად მიაყენა დარტყმა ფინს, ხელი შეუშალა მას.

აღარ დარჩა ნივთმტკიცებულება, რომელსაც ფინი თვალსაჩინოებისთვის გამოიყენებდა ქადაგების დროს. მაგია, რომელსაც ფინი წლების მანძილზე ებრძოდა, ნიშნის მოგებითა და დაცინვით პასუხობდა.

უკან რაღაც შეირხა და ბლეინი ისე მკვეთრად მოტრიალდა, რომ ფარანი ხელიდან გაუსხლტა და იატაკზე დაენარცხა.

სიბნელეში ვილაცის გულითადი ხმა გაისმა.

"შეპ, რა მაგრად გამოგივიდა ყველაფერი."

უიმედობის მწარე გრძნობით შეპყრობილი ბლეინი ადგილზე გაქვავდა.

ბლეინი მიხვდა, რომ რბოლა დასრულდა. დისტანცია დაფარა და ეს უკვე ფინიში იყო.

ბლეინმა, რა თქმა უნდა, იცნო ეს გულში ჩამწვდომი ხმა — რა დაავიწყებდა მას.

სიბნელეში მდგომი კაცი მისი დიდი ხნის ნაცნობი — კერბი რენდი იყო.



24

სიბნელეში რენდის სილუეტი შავ ლაქად მოჩანდა. რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა, ფარანს დასტაცა ხელი და შემოტრიალდა, რომ მისი შუქი ვარსკვლავური მანქანისთვის მიენათებინა. ფარნის შუქმა მანქანის შუაგულში შეაღწია და მის ფონზე მტვრის პატარა ნაწილაკები აცეკვდნენ.

"მშვენიერი ნამუშევარია, ვერაფერს იტყვი, — შეაქო კერბიმ, — წარმოდგენა არა მაქვს, როგორ მოახერხე ან რისთვის დაგჭირდა ამის გაკეთება, მაგრამ მაინც ყოჩაღ, კარგად გამოგივიდა."

კერბიმ ფარანი გამორთო. ისინი ერთხანს უხმოდ იდგნენ სიბნელეში. მათი სილუეტები გარედან შემოსული მთვარის შუქს აეჭრელებინა.

"ალბათ იცი, ფიშჰუკი როგორი მადლიერია შენი ამ საქმისთვის," — მოახსენა კერბიმ.

"კარგი, გეყოფა, — უხეშად მოუჭრა ბლეინმა, — მშვენივრად იცი, ფიშჰუკისთვის არ მიწვალია."

"და მაინც, გამოდის, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი ინტერესები ემთხვევა. ვერც ერთი ჩვენგანი ვერ დაუშვებდა, რომ მანქანა დაკარგულიყო ან, უარეს შემთხვევაში, უღირსთა ხელში მოხვედრილიყო. გესმის, ალბათ, რასაც ვგულიხმობ."

"მშვენივრად მესმის," — უპასუხა ბლეინმა.

რენდიმ ამოიოხრა: "მე, სიმართლე გითხრა, სკანდალს ველოდი, ფიშჰუკს კი ყველაზე ძალიან სკანდალები არ უყვარს, განსაკუთრებით თუ არეულობა ქალაქგარეთ ხდება."

"არავითარი არეულობა არ ყოფილა, — დაამშვიდა ბლეინმა, — ფიშჰუკს გადაეცი, დაწყნარდეს. სანერვიულო არაფერია."

"ძალიან კარგი, მიხარია. როგორ ხარ, შეპ?"

"არა მიშავს."

"კარგია. ძალიან დამამშვიდე. ახლა, მე მგონი, ჯობია, აქედან წავიდეთ."

რენდი გატეხილ ფანჯარასთან მივიდა და ბლეინს გზა დაუთმო.

"მხოლოდ შენ მერე, — უთხრა მან ბლეინს, — უკან მოგყვები, ოღონდ ერთი უმორჩილესი თხოვნა მექნება, გაქცევა არ სცადო."

"ნუ გეშინია, არც მიფიქრია," — მშრალად უპასუხა ბლეინმა და ფანჯრიდან გადაძვრა.

შეეძლო, რა თქმა უნდა, გაქცეულიყო, მაგრამ თავი შეიკავა ამ უაზრო საქციელისგან. სროლაში გაწაფული რენდი უთუოდ შეიარაღებული იქნებოდა და, თუ დასჭირდებოდა, ისე ოსტატურად გამოიყენებდა იარაღს, რომ მთვარის მკრთალი შუქიც ვერ შეუშლიდა ხელს. და კიდევ, ჰარიეტი სროლის ხმას რომ გაიგებდა, საშველად გამოვიდოდა და მასაც თუ დაიჭერდნენ, მაშინ კი ნამდვილად დარჩებოდა მეგობრის გარეშე. ღმერთს ეხვეწებოდა, რომ ჰარიეტი ტირიფნარიდან არ გამოსულიყო. როცა ნახავდა, რაც მოხდა, ალბათ რაღაცას მოიმოქმედებდა და გამოსავალს უცბად იპოვნიდა. ჰარიეტი ახლა მისი ერთადერთი იმედი იყო.

ბლეინი ფანჯრიდან ჩამოხტა და გვერდზე გადგა, რენდისთვის გზა რომ დაეთმო.

რენდი მიწაზე დახტა და სწრაფი, მკვეთრი მოძრაობით

მიუბრუნდა ბლეინს, როგორც მონადირე — მსხვერპლს. შემდეგ ცოტათი მოეშვა და ჩაიცინა.

"შესანიშნავი ტრიუკი გამოგივიდა, შეპ, — უთხრა აღფრთოვანებით, — მშვენივრად მოწყობილი. მერე ხომ მომიყვები, როგორ მოახერხე კოსმოსური მანქანის მოპარვა? წარმოუდგენელია."

ბლეინს ლამის სუნთქვა შეეკრა მოულოდნელად მოზღვავებული განცვიფრებისგან, თან იმედი ჰქონდა, რომ რენდი მთვარის შუქზე ვერ დაინახავდა მისი სახის გამომეტყველებას.

რენდიმ მეგობრულად ჩასჭიდა ხელი მკლავში.

"მანქანა იქ დგას, გზის პირას," — თან გზისკენ მიუთითა.

ისინი ერთად დაუყვნენ მოშრიალე შამბნარს. იქაურობას განსხვავებული იერი მიეღო. სიბნელე და შიშისმომგრელი შეგრძნება გამქრალიყო და მთვარის შუქს ყველაფერი ჯადოსნური კალმით ნახატი ტილოსთვის დაემსგავსებინა. მარცხნივ ქალაქი იწვა. სახლების ბნელი სილუეტები ყორღანებს უფრო ჰგავდა, ვიდრე სახლებს, მათ შორის, აღმოსავლეთის ცის ფონზე, ბუნდოვნად მოჩანდნენ გაშიშვლებული ხეები, ვერტიკალურად ჩაწყობილი მხატვრის გაბურძგნილი ფუნჯების მსგავსად. დასავლეთითა და ჩრდილოეთით ვერცხლისფრად ელვარებდა თვალუწვდენელი და მოსაწყენი პრერია, რომლის არაფრის მთქმელი, ერთფეროვანი პეიზაჟი მხოლოდ და მხოლოდ მის სიდიდეს უსვამდა ხაზს.

გზის ქვემოთ კი ტირიფნარი იწყებოდა.

ბლეინმა სწრაფი მზერა ესროლა ბუჩქნარს, მაგრამ ხეების გარდა ვერაფერი შენიშნა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შემდეგ ისევ მოიხედა და დარწმუნდა, რომ ტირიფნარში მანქანა აღარ იდგა. ჰარიეტი წასულიყო.

ყოჩაღ, გაიფიქრა ბლეინმა. ჭკვიანური გადაწყვეტილებაა. ალბათ რენდი როგორც კი გამოჩნდა, მაშინვე დაძრა მანქანა.

იფიქრა, ეს ყველაზე მიზანშეწონილი საქციელი იქნებოდა, თან უფრო წყნარად მოიფიქრებდა, რა უნდა გაეკეთებინა.

"არა მგონია, სადმე გაჩერება მოგესწრო," — უთხრა რენდიმ ბლეინს.

"მართალი ხარ, ვერ მოვასწარი."

"საშინელი ქალაქია, — შესჩივლა რენდიმ, — ზედმეტად სერიოზულად ეკიდებიან ჯადოქრობას და მისნობას. პოლიციამ დღეს ორჯერ გამაჩერა. გამაფრთხილეს, აუცილებლად სახლში წავსულიყავი, რომ ეს ყველაფერი ჩემივე ინტერესებისთვის კეთდებოდა.

"დაბნეულები და აღელვებულები არიან, — აუხსნა ბლეინმა, — ქალაქში ლამბერტ ფინია ჩამოსული."

"ა, ჩვენი მეგობარი ფინი?" — დაუდევრად წამოიძახა რენდიმ.

"რა მეგობარი, არც ვიცნობ."

"ქარიზმატული ადამიანია."

"მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რაც ჭორად დადის."

რენდიმ რაღაც ჩაიბურტყუნა.

"იცი რა, მოდი, ეს ღამე ფაქტორიაში გაათენე, — შესთავაზა რენდიმ, — ჩვენი თანამშრომელი დასაწოლ ადგილს გამოგინახავს. იქნებ, ერთი ბოთლი დასალევიც გვიშოვოს. სიამოვნებით გამოვთვრებოდი."

"არც მე ვიტყოდი უარს."

ახლა უარის თქმას, ისევე როგორც გაქცევას, აზრი არ ჰქონდა. ამ ხალხთან შენსას ვერ გაიტანდი, უნდა დაგეცადა, სანამ შესაფერისი მომენტი დადგებოდა. ამასთანავე, ორივემ მშვენივრად იცოდა, რომ ამ, ერთი შეხედვით, უწყინარ თამაშს შეიძლება სასიკვდილო შედეგიც მოჰყოლოდა.

ყველაფრის მიუხედავად, ბლეინს უკვირდა, საერთოდ რატომ ნერვიულობდა. რამდენიმე კვირის არყოფნის შემდეგ, იცოდა, რომ ფიშჰუკი მიმზიდველ ადგილად მოეჩვენებოდა. კალიფორნიის პანსიონატშიც რომ გაეგზავნათ, იმას მაინც ემჯობინებოდა, მისურის სანაპირო ქალაქში რაც ელოდა.

გზის პირას მდგარ მანქანას მიუახლოვდნენ. ბლეინმა რენდის აცალა საჭესთან დაჯდომა, შემდეგ თვითონაც ჩაჯდა.

რენდიმ მანქანა დაქოქა, მაგრამ ფარები არ აუნთია, გზაზე გადაუხვია და ქალაქისკენ გაემართა.

"პოლიცია არაფრის მაქნისია, ხალხის დაპატიმრების გარდა, სხვა არაფერი ეხერხება. აზრი არა აქვს მათთან ურთიერთობას, თავი შორს უნდა დაიჭირო, თუ მოახერხებ, რა თქმა უნდა."

"მართალი ხარ," — დაეთანხმა ბლეინი.

რენდი ქალაქის ცენტრს მოერიდა, გარეუბნებით შევიდა, ვიწრო ქუჩა გაიარა და მანქანა სადგომზე გააჩერა.

"მოვედით, — გამოაცხადა, — წამო, დავლიოთ."

მის კაკუნზე კარი გაიღო და ისინი ფაქტორიის უკანა ოთახში აღმოჩნდნენ. ბლეინმა შენიშნა, რომ ოთახის უმეტესი ნაწილი სათავსოს მაგივრობას სწევდა, მხოლოდ ერთი პატარა კუთხე გამოიყენებოდა საცხოვრებლად. ოთახში საწოლი, მაგიდა და ღუმელი იდგა. მასიურ ქვის ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, მის გარშემო კი მოხერხებული სავარძლები შემოეწყოთ.

ფაქტორიის წინა ნაწილში გამავალ კართან უზარმაზარი ყუთი აღმართულიყო. თუმცა ბლეინს არასოდეს ენახა ის, მაშინვე მიხვდა, რომ ტრანსო იყო, მანქანა, რომლის მეშვეობითაც მატერიის გადატანა ხდებოდა. ამ მანქანის წყალობით ფაქტორიები მსოფლიოს ყველა ნაწილში დაარსდა და ფიშჰუკმა დიდი ეკონომიკური სარგებელი ნახა. ტრანსო-მანქანის მეშვეობით ფაქტორიის ნებისმიერ შეკვეთას მომენტალურად აკმაყოფილებდნენ.

სწორედ ამ მანქანას ახსენებდა დალტონი შარლინის წვეულებაზე, მანქანა, რომელიც მთელ სატრანსპორტო სისტემას გამოუთხრიდა ძირს, თუკი ფიშჰუკი დანერგავდა.

რენდიმ ერთ-ერთ სავარძელზე მიუთითა: "მოეწყვე,

როგორც მოგიხერხდება. გრანტი სასმელს დაგვისხამს, არა, გრანტ?"

გრანტს გაეღიმა: "რა თქმა უნდა, დაგისხამთ. ასეთ მიყრუებულში სასმლის გარეშე რამ უნდა გააძლებინოს კაცს."

ბლეინი ბუხართან მდგარ სავარძელში მოკალათდა, რენდი კი მის გვერდით მოეწყო და ხელები მოიფშვნიტა.

"ბოლოს რომ ვნახეთ ერთმანეთი, მაშინაც ერთად ვსვამდით, — გაიხსენა რენდიმ, — მგონი, ცუდი აზრი არ იქნება, ჩვენი ხელახალი შეხვედრაც სასმლით აღგვენიშნა."

ბლეინი დაიძაბა, მახეში გაბმულივით გრძნობდა თავს, მაგრამ არაფერი უთქვამს, მხოლოდ ჩაიცინა.

"შენ იცი, რამდენი წუთი იყო მაშინ ჩემს განკარგულებაში? — ჰკითხა ბლეინმა, — სულ რაღაც საცოდავი რვა წუთი."

"გეშლება, შეპ. ზუსტად ოცი წუთი გქონდა. ბიჭებმა ცოტათი დააგვიანეს ფირის ამოღება."

"ფრედი? ვინ იფიქრებდა, რომ ფრედი შენთან მუშაობდა?"

"ჩემთან ისეთი ხალხი მუშაობს, გაგიკვირდება."

ერთხანს ისხდნენ უხმოდ აგიზგიზებულ ბუხართან და ერთმანეთს აკვირდებოდნენ.

"შეპ, — დაარღვია სიჩუმე რენდიმ, — ამიხსენი რა, თავ-ბოლო ამერია. იქ, პლეადების იქით, რაღაც რომ აღმოაჩინე, როგორ მოახერხე მისი ჩაკეტვა?"

"ჩაკეტვა?"

"ჰო, ჩაკეტე და საკმაოდ ოსტატურადაც. მაშინვე მივხვდით, რომ რაღაც იცოდი და იქ ხალხი გავგზავნეთ. შენი ქმნილება იპოვეს, ზის იქ და ხმას არ იღებს. ცდილობდნენ, აელაპარაკებინათ, მაგრამ უშედეგოდ, ვითომ არაფერი ესმის. როგორ მოახერხე..."

"ძმობა, — აუხსნა ბლეინმა, — ერთმანეთს ძმობა შევფიცეთ. შენ ამას ვერ გაიგებ."

"მე მგონი, გავიგებ. შეპ, ადამიანი ხარ თუ უცხო?"

"შემამოწმე და შენ თვითონვე ნახავ."

რენდის შეაკანკალა: "არა, გმადლობ. მთელი გზა შენს კვალს დავდევ, ფრედით დაიწყო და რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უფრო იხლართებოდა."

"ახლა რას აპირებ?"

"ჯანდაბა, წარმოდგენა არა მაქვს."

გრანტმა ბოთლი და ორი ჭიქა მოიტანა.

"შენ არ სვამ?" — ჰკითხა რენდიმ.

გრანტმა თავი გააქნია უარის ნიშნად: "რაღაც მაქვს გადმოსატვირთი, ასე რომ, თქვენის ნებართვით..."

"კი, ბატონო, — ნება დართო რენდიმ, — მიხედე შენს საქმეს. ერთი რამ უნდა გკითხო."

"რა არის, სერ?"

"ხომ შეიძლება, მისტერ ბლეინმა აქ ღამე გაათიოს?"

"როგორ არა, მაგრამ ეს რომ მაინცდამაინც კომფორტული ღამის გასათევი არ არის?"

"არა უშავს," — უპასუხა ბლეინმა.

"ჩემს ლოგინს შემოგთავაზებდით, მაგრამ არც ის არის უკეთესი..."

"არა, გმადლობ."

"საბანს მოგიტანთ და იატაკზე გაგიშლით ლოგინს. დამიჯერეთ, საწოლს ეს სჯობს."

"არა აქვს მნიშვნელობა. დიდი მადლობა."

რენდიმ ბოთლი აიღო და გახსნა.

"საბანს ცოტა ხანში მოგიტანთ," — უთხრა გრანტმა, ოთახიდან გავიდა და კარი ფრთხილად გაიხურა.

რენდიმ სასმელი ჩამოასხა.

"პრინციპში, — აღნიშნა, — თუ არ გინდა აქ გაჩერება, შეგიძლია, წახვიდე."

"მართლა?"

"მე ფიშჰუკში ვბრუნდები. ტრანსოთი. წამოხვალ?"

ბლეინს ხმა არ ამოუღია. რენდიმ ჭიქა მიაწოდა.

"რას იტყვი?" — ჰკითხა.

ბლეინს გაეცინა: "რა მარტივად უყურებ ყველაფერს."

"შეიძლება," — დაეთანხმა რენდი.

სასმელი მოსვა და სავარძელზე გადაწვა.

"არამიწიერი გონება, მესმის — ამ პროფესიული რისკის წინაშე ნებისმიერი მკვლევარი შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ ვარსკვლავური მანქანის ამბავი ვერაფრით გამიგია, რა შუაშია? ალბათ სთოუნთან იყავი შეკრული."

"სთოუნი მკვდარია, არ იცი?"

"არა, პირველად მესმის," — თქვა რენდიმ, მაგრამ მისი სიტყვები ნაკლებად დამაჯერებლად ჟღერდა.

და უცბად რენდის ლაპარაკის ტონით თუ ინტუიციით, ბლეინი მიხვდა, რომ მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, სთოუნი მკვდარი იყო თუ ცოცხალი. არც ის ანაღვლებდა, რომ ბოროტი ზრახვებით სავსე ლამბერტ ფინი ქალაქში თავისუფლად დასეირნობდა. ანდა, უფრო მეტიც, შეიძლება რენდი ძალიანაც კმაყოფილი იყო, რომ სთოუნი მოიშორეს. ალბათ ფინის შეხედულებების დიდ ნაწილსაც ეთანხმებოდა, რადგან ფიშჰუკის მონოპოლია გამორიცხავდა სხვა პარაკინეტიკოსების არსებობას, ნორმალურ მსოფლიოს ეფუძნებოდა და იმ მილიონობით ადამიანზე იყო დამოკიდებული, რომლებიც ფიშჰუკს ვარსკვლავებთან დამაკავშირებელ ერთადერთ ძალად მიიჩნევდნენ და დიდი აღტაცებით ეტანებოდნენ იმ უცხო ნივთებს, ფიშჰუკს შორეული პლანეტებიდან რომ ჩამოჰქონდა. ასე რომ, ფიშჰუკს და რენდის, — მთელი სიმწარით გაისიგრძეგანა ბლეინმა, — ალბათ, დიდი სურვილიც აქვთ, რომ ფინის ჯვაროსნულმა ლაშქრობამ დასახულ მიზანს მიაღწიოს.

თუ ეს მართლა ასეა, ნუთუ სთოუნის სიკვდილში თავად ფიშჰუკს მიუძღვის ბრალი და არა ფინს?

ბლეინი ამ შემზარავი ფიქრის თავიდან მოშორებას შეეცადა, მაგრამ ის ჯიუტად იპყრობდა მის გონებას. მდგომარეობა გაცილებით უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე ფინსა და სთოუნს შორის არსებული უბრალო შუღლი.

ამ შემთხვევაში ყველაზე ჭკვიანური სვლა ვარსკვლავურ

მანქანასთან ყოველგვარი კავშირის უარყოფა იქნებოდა. ალბათ ჯობდა, თავიდანვე ასე მოქცეულიყო, მაშინ, როცა რენდიმ პირველად ახსენა ის ფარდულში. სიმართლე რომ ეთქვა და ელიარებინა, რომ მანქანის არსებობის შესახებ მხოლოდ რამდენიმე საათის წინ შეიტყო, შესაძლო გარიგებისთვის ხელსაყრელ მომენტს ხელიდან გაუშვებდა, ალბათ რენდი არც დაუჯერებდა, რადგან რაილის ფურგონით მგზავრობდა, მას კი მექსიკიდან მოყოლებული მთელი გზა გადაჰქონდა ეს ტვირთი.

"ისე დიდი დრო კი დახარჯე, ჩემამდე რომ მოგეღწია. რა არის, რენდი, მაძებარის ნიჭი დაკარგე, თუ უბრალოდ მეთამაშებოდი?"

"შენი კვალი დავკარგეთ, — დაუბღვირა რენდიმ, — იმ ქალაქში ჩამოგვშორდი, სადაც ჩამოხრჩობას გიპირებდნენ."

"შენ რა, იქ იყავი იმ ღამეს?"

"პირადად მე არა, ხალხი მყავდა იქ."

"და თქვენ უფლებას მისცემდით, ჩამოვეხრჩვე?"

"ამასთან დაკავშირებით აზრები გაიყო, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისგან შენ თვითონვე გაგვათავისუფლე."

"მე რომ არ..."

"ალბათ შენს ჩამოხრჩობას დავანებებდით. რა თქმა უნდა, შეგვეძლო, დაგვეხსენი და შენი მეშვეობით ჩაგვეგდო ხელში ვარსკვლავური მანქანა, მაგრამ იმ მომენტში დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენ თვითონვე ვიპოვნიდით."

რენდიმ ჭიქა მაგიდაზე დაახეთქა: "მაინც რა გიჟური ჩანაფიქრი იყო, — იღრიალა მან, — იმ ჟანგიანი მანქანით ასეთი აპარატის თრევა, რა ჯანდაბამ..."

"რა არის აქ გაუგებარი? — უპასუხა ბლეინმა, — პასუხი შენც მშვენივრად იცი. არავის მოუვიდოდა აზრად, ვარსკვლავური მანქანა რაილის ჟანგიან ფურგონში ეძებნა. ასეთ სისულელეს ვინ ჩაიდენდა? ხომ იცი, რაიმე ძვირფას

ნივთს რომ მოიპარავ, მაშინვე უნდა გადამალო და რაც შეიძლება შორს..."

"ეგ ყველამ იცის," — უპასუხა რენდიმ.

ბლეინს შეხედა და მის სახეზე ღიმილი რომ დაინახა, მასაც გაეღიმა.

"შეპ, მოდი, სიმართლე მითხარი. ჩვენ ხომ კარგი მეგობრები ვიყავით. შეიძლება ახლაც, ყველაფრის მიუხედავად, მეგობრებად ვრჩებით."

"რისი გაგება გინდა?"

"სულ ახლახანს ის მანქანა სადღაც გადაიტანე."

ბლეინმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

"და ალბათ მისი დაბრუნებაც შეგიძლია."

"არა, — უპასუხა ბლეინმა, — დარწმუნებული ვარ, ეს შეუძლებელია. ერთი ადამიანის გასამწარებლად გავაკეთე."

"ეს ადამიანი მე ვარ?"

"შენ არა, ლამბერტ ფინი"

"როგორც გატყობ, ფინი მაინცდამაინც გულზე არ გეხატება."

"ფინს არც ვიცნობ."

რენდიმ ბოთლი აიღო და ჭიქები შეავსო, შემდეგ ნახევარი ჭიქა გამოცალა და წამოდგა.

"ჩემი წასვლის დროა, — თქვა მან და თან საათზე დაიხედა, — მალე შარლინის წვეულება იწყება, ვერაფრით ვერ გამოვტოვებ. დარწმუნებული ხარ, რომ არ გინდა წამოსვლა? შარლინს გაუხარდება შენი ნახვა."

"არა, გმადლობ. აქ დავრჩები. ფრედი მომიკითხე."

"ფრედი ჩვენთან აღარ მუშაობს."

ბლეინი წამოდგა და რენდისთან ერთად ტრანსოს მიუახლოვდა. რენდიმ კარი გააღო. ტრანსოს შიდა ნაწილი სატვირთო ლიფტს ჰგავდა.

"რა სამწუხაროა, რომ კოსმოსში ამის გამოყენება არ შეგვიძლია. ეს რამდენი მუშახელის ეკონომიას გაგვიკეთებდა."

"ალბათ ამაზე, უკვე კარგა ხანია, მუშაობთ."

"ეა უნდა, ახლა მთავარია, მართვის სისტემა შევიმუშაოთ."

რენდიმ ბლეინს ხელი გაუწოდა; "კარგად, შეპ. შეხვედრამდე."

"კარგად, კერბი, — დაემშვიდობა ბლეინი, — იმედია, აღარ შევხვდებით."

რენდიმ ჩაიცინა, აპარატში ჩაჯდა და კარი მიიხურა. შუქები არ ანთებულა, არც ძრავას დაუწყია გუგუნი. ნეტა რაზე მუშაობდა ეს აპარატი?

და მიუხედავად ამისა, კერბი რენდი უკვე ფიშჰუკში იყო.

ბლეინი ტრანსო-მანქანას მოსცილდა და ბუხრის პირას თავის ადგილს დაუბრუნდა.

კარი ფართოდ გაიღო და ოთახში გრანტი შემოვიდა. ხელზე ზოლიანი მოსასხამი ჰქონდა გადაკიდებული.

"ეს გამოგადგებათ, — შესთავაზა ბლეინს, — სულ დამავიწყდა, რომ მქონდა."

მოსასხამი გაშალა და დაფერთხა.

"ხომ ლამაზია?" — იკითხა აღფრთოვანებით.

მართლა ლამაზი იყო. რაღაც უჩვეულო ბეწვისგან შეკერილი მოსასხამი ცეცხლის შუქზე ისე ბზინავდა, თითქოს ვინმეს ოქროს ქვიშა გაებნია ზედ. მუქი ყვითელი ფერის იყო, შავი დიაგონალური ზოლებით, უფრო აბრეშუმს ნააგავდა, ვიდრე ბეწვს.

"რამდენი წელია, აქ გდია, — ამცნო გრანტმა, — ეს ერთმა კაცმა შეუკვეთა. მდინარის პირას ჰქონდა კარავი გაშლილი. ფიშჰუკს ცოტა გაუჭირდა ამის მაშინვე შოვნა, მაგრამ, როგორც მოგეხსენება, ფიშჰუკისთვის შეუძლებელი არაფერია."

"ჰო, ვიცი," — დაეთანხმა ბლეინი.

"ის კაცი მას მერე აღარ გამოჩენილა. მოსასხამი ისე მომეწონა, უკან აღარ გამიგზავნია. როგორც საქონელი, ისე ვინახავ, თითქოს გასაყიდად, მაგრამ სინამდვილეში, რა თქმა

უნდა, არ გავყიდი. მოსასხამის ყიდვის მსურველი ამ გაძვალტყავებულ ქალაქში, სიმართლე გითხრა, არც მეგულება."

"რა არის ეს?"

"ეს არის მსოფლიოში ყველაზე თბილი, ყველაზე მსუბუქი და რბილი ბეწვი. საძილე ტომარას მაინც სჯობს."

"ამას ვერ დავიფარებ. უბრალო საბანი მომიტანეთ..."

"გამომართვით, ძალიან გთხოვთ. ისედაც უხერხულად ვგრძნობ თავს, ასეთ პირობებში რომ გმასპინძლობთ. მაგრამ თუ მეცოდინება, რომ ეს მდიდრული ბეწვი გახურავთ..."

ბლეინმა გაიცინა და ხელი გაუწოდა.

"კარგი, გამოგართმევ. დიდი მადლობა."

გრანტმა ბლეინს ბუმბულივით მსუბუქი მოსასხამი მიაწოდა.

"ახლა უნდა დაგტოვოთ, თქვენის ნებართვით, — მოუბოდიშა გრანტმა, — სადაც მოგიხერხდებათ, იქ მოეწყვეთ."

"როგორც გინდათ. ამ ჭიქას დალევ და დავიძინებ. ხომ არ შემომიერთდებით?"

"მოგვიანებით, — მიუგო გრანტმა, — ძილის წინ ერთ ჭიქას ყოველთვის ვსვამ ხოლმე."

"მაშინ ბოთლს დაგიტოვებთ."

"ღამე მშვიდობისა, სერ. ხვალამდე."

ბლეინი ბუხარს დაუბრუნდა და სავარძელში ჩაჯდა, მოსასხამი კალთაში დაიდო. ხელი გადაუსვა, რბილი და თბილი ბეწვი ცოცხალის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ბლეინი ვისკის წრუპავდა და თან რენდიზე ფიქრობდა.

სთოუნი ცდებოდა, ყველაზე საშიშ პიროვნებად ფინი რომ მიაჩნდა. რენდიზე საშიში მაინც ვერ იქნებოდა. მას მტაცებელი ცხოველის, მეძებარი ძაღლის ყნოსვა ჰქონდა და ფიშჰუკის პოლიტიკას საღვთო რჯულივით ატარებდა. ის, ვისაც ფიშჰუკი მტრად გამოაცხადებდა, რენდის რისხვას ვერ გადაურჩებოდა.

და მაინც, საინტერესოა, რატომ არ მოსთხოვა ბლეინს მასთან ერთად წასვლა. ისე, სხვათა შორის და ზერელედ დაპატიჟა, თითქოს ეს მიპატიჟება მხოლოდ სოციალურ ხასითს ატარებდა და ბლეინის უარს არავითარი წყენა და გაბრაზება არ მოჰყვებოდა. რენდის არც ძალის გამოყენება უცდია, რაც, ბლეინის აზრით, იმით იყო გამოწვეული, რომ მას საქმის ვითარება ბოლომდე ვერ გაერკვია. ბლეინის კვალს რომ მიჰყვებოდა, უდავოა, გზადაგზა ისეთ რამეებს გადაეაწყდებოდა, ბლეინის ფარულ შესაძლებლობებში დაარწმუნებდა.

ასე რომ, როგორც ჩანს, აუჩქარებელი და ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და ცდილობდა, დაინტერესება არ შეემჩნია. ბლეინმა მშვენივრად იცოდა, რომ რენდი სულაც არ ჰგავდა ისეთ კაცს, ადვილად რომ დანებდებოდა.

ეჭვი არ ეპარებოდა, რომ რენდის რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ რა, არ იცოდა.

ერთი რამ ცხადია — მახე მისთვის უკვე დაეგოთ.

ბლეინი სავარძელში იჯდა და უხმოდ სვამდა ვისკის, ჭიქაში რომ ესხა.

შეიძლება, შეცდომასაც უშვებს, ფაქტორიაში რომ რჩება. უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ამდგარიყო და ახლავე დაეტოვებინა აქაურობა? იქნებ, რენდიც ზუსტად ასეთ საქციელს მოელის და მახე ოთახში კი არა, სადმე გარეთ არის დაგებული, შეიძლება ეს ოთახი ამჟამად ყველაზე უსაფრთხო ადგილია მისთვის ღამის გასათევად.

ბლეინს თავშესაფარი სჭირდებოდა, ძილით მაინცდამაინც არ ეძინებოდა. რა მოხდებოდა, აქ რომ დარჩენილიყო და არ დაეძინა, უბრალოდ, იატაკზე დაწვებოდა მოსასხამში გახვეული, გრანტს მძინარედ მოაჩვენებდა თავს და თვალს არ მოაშორებდა, რადგან ამ ოთახში მახეს, გრანტის გარდა, ვერავინ დააგებდა.

ჭიქა დაცალა და მაგიდაზე დადო რენდის ჭიქის გვერდით, სადაც ისევ ესხა სასმელი. შემდეგ ჭიქებს ბოთლი მიუდგა და

ორი ჭიქისა და ერთი ბოთლისგან შემდგარი კომპლექტი გამოვიდა. ბლეინმა მოსასხამი ხელზე გადაიკიდა და ბუხრისკენ დაიძრა. საჩხრეკი მოძებნა და შეშის ნაჭრები ერთად მიაწყო, ცეცხლი რომ გაეღვივებინა.

გადაწყვიტა, ბუხრის წინ გაეშალა ლოგინი, ასე ცეცხლის შუქი მას კი არ დაეცემოდა, არამედ ოთახს გაანათებდა.

ბლეინმა მოსასხამი გულდასმით გაშალა იატაკზე, ქურთუკი გაიხადა, დაკეცა და თავქვეშ დაიგო, შემდეგ ფეხსაცმელები გაიხადა და ქვეშაგებზე მიწვა. მოსასხამი ლეიბივით რბილი და ფაფუკი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ სისქე აკლდა. მისი მეორე ბოლო გადმოიხურა და საძილე ტომარასავით შემოისხა. ასეთი მყუდრო და ტკბილი ლოგინი ბავშვობის მერე არ ჰქონია, როცა თავის ოთახში ზამთრის ყინვიან საღამოს რბილ საბანში გაეხვეოდა ხოლმე.

ბლეინი იწვა და საწყობში გამეფებულ სიბნელეს მიშტერებოდა, ბუნდოვნად მოჩანდა კასრების, ტომრებისა და ყუთების კონტურები. ოთახში სიჩუმე გამეფებულიყო, რომელსაც დროდადრო ცეცხლის ტკაცატკუცი არღვევდა. მოულოდნელად ბლეინმა სუსტი არომატი შეიგრძნო, რომელიც მთელ ოთახს მოსდებოდა. ასეთი ამოუცნობი სურნელი მხოლოდ არაამქვეყნიურ საგნებს ახასიათებს. ის არ იყო არც მძაფრი, არც ეგზოტიკური, არც გამომწვევი, მაგრამ მაინც ასეთ სურნელს დედამიწაზე ვერ შეხვდებით, უცხო პლანეტაზე წარმოქმნილი სუნელების, ქსოვილების, ხისა და საკვების ნაზავ სურნელს წარმოადგენდა. აქ, ფაქტორიაში, ამ პროდუქციის ალბათ მცირე მარაგი თუ მოიძებნებოდა, იმდენი, რამდენიც ამ ერთ პატარა ფაქტორიას ეყოფოდა, მაგრამ მის უკან ფიშჰუკის გრანდიოზული საწყობები და რეზერვუარები იდგა, საიდანაც ტრანსო-მანქანის მეშვეობით ყოველ წუთს შეიძლებოდა ნებისმიერი რაოდენობის ტვირთის გადმოტანა.

მაგრამ ეს ვარსკვლავებიდან ჩამოტანილი ნივთები მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენდა, ნაწილს იმისა, რისი ყიდვა, რისი ფლობაც შეგეძლოთ.

ამ პროდუქციის მიღმა ფიშჰუკის ნადვილი საიდუმლო, მისი ყველაზე ნაკლებად რეალიზებული შესაძლებლობები იმალებოდა. სინამდვილეში, ფიშჰუკის მთავარ ფუნქციას კოსმოსური სიღრმეებიდან მიღებული ცოდნისა და იდეების შეგროვება და შენახვა წარმოადგენდა. ამ იდეებს ფიშჰუკის უნივერსიტეტებში მსოფლიოს ყველა კუთხის მეცნიერები სწავლობდნენ, ცდილობდნენ აქ თავმოყრილი ცოდნის დახარისხებას, ერთმანეთთან დაკავშირებასა და, ზოგიერთ შემთხვევაში, მის გამოყენებასაც. მომავალში სწორედ ამ კედლებში მიღებული და დამუშავებული ცოდნა და იდეები განსაზღვრავდა კაცობრიობის ბედსა და მისი განვითარების კურსს.

მაგრამ ამ ყველაფრის მიღმა კიდევ ერთი რამ იმალებოდა. ხალხისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და ცოდნის გარდა, არსებობდა კიდევ საიდუმლო ფაილები, რომლებიც ამ კვლევის ზოგიერთ შედეგს მოიცავდნენ. ეს დოკუმენტაცია ცეცხლგამძლე სეიფებში, ცხრაკლიტულში ჩაეკეტათ ან, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ნდობით აღჭურვილ ჯგუფებსა და გარკვეულ პირებს ჰქონდათ მათი ნახვის უფლება.

ფიშჰუკი ვერ დაუშვებდა, საკუთარი და საკაცობრიო ინტერესებიდან გამომდინარე, რომ ამ ინფორმაციის თუნდაც მცირედი ნაწილი გარეშე პირთათვის გამხდარიყო ცნობილი.

წარმოიშვა ახალი მეთოდები, პრინციპები, იდეები, როგორც გინდათ, ისე უწოდეთ მათ. ზოგიერთი, სავსებით მისაღები თავისი სოციალური სტრუქტურით, ადამიანის ცნობიერებასა და წარმოსახვაში ვერ ჯდებოდა, ის ვერ გაიზიარებდა მათ. ზოგიერთს, სავსებით პრაქტიკულსა და გამოყენებადს, შესაძლებელია, ისეთი გვერდითი ეფექტები ჰქონოდა, რომლებიც უარყოფითად იმოქმედებდნენ ადამიანის აზროვნებაზე. ამიტომ, სანამ საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში დანერგავდნენ, აუცილებლად

დეტალურად უნდა შეესწავლათ და გამოეცადათ. და ბოლოს არსებობდა პროგრესული, რევოლუციური და სავსებით მისაღები იდეები, რომელთა დანერგვა მომდევნო ასი წლის მანძილზე არ შეიძლებოდა, იმდენად წინ უსწრებდა კაცობრიობის განვითარებას. ადამიანს მთელი საუკუნე სჭირდებოდა, მას რომ დასწეოდა.

ალბათ ესეც სთოუნის მიერ წამოწყებული ფვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ. მის მიზანს კი ინ პარანორმალური ადამიანების ფიშჰუკის მონოპოლიისგან გათავისუფლება წარმოადგენდა, რომლებიც ფიშჰუკის მიღმა დარჩნენ და რომელთაც სთოუნი იმ მიღწევების ძირითად მემკვიდრეებად მიიჩნევდა. სწორედ მათი განსაკუთრებული უნარების წყალობით მიაღწია ფიშჰუკმა ჩვეულებრივი გონებისათვის მიუწვდომელ წარმატებას.

ამ შემთხვევაში ბლეინი სთოუნის აზრს იზიარებდა, პარანორმალური კინეტიკის ყველა მიღწევას არ უნდა აკონტროლებდეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მონოპოლია, რომელსაც საუკუნოვანი არსებობის განმავლობაში თავისი პირვანდელი ფუნქცია დაეკარგა და არნახული კომერციული სარგებლის ქარცეცხლში გახვეულიყო.

პარაკინეტიკა კაცობრიობის მიღწევას წარმოადგენდა. ის ხალხს ეკუთვნოდა და არა რომელიმე კონკრეტულ დაჯგუფებას ან კორპორაციას, ანდა მის დამაარსებელსა და შთამომავალს. მისი ჩამოყალიბება და რეალიზაცია ვერ ჩაითვლებოდა მხოლოდ ერთი პიროვნების ან დაჯგუფების მიღწევად, ის ხალხის საკუთრება, სახალხო ფენომენი გახლდათ. პარაკინეტიკა ისეთ ბუნებრივ რესურსებს ჰგავდა, როგორიცაა წყალი, ტყე, ჰაერი, რომლებიც მთელ კაცობრიობას ეკუთვნის.

ბუხარში შეშა ჩაიწვა და ტკაცანით დაიშალა ნაკვერჩხლებად. ბლეინი ბუხრისკენ მიბრუნდა, ცეცხლისთვის რომ შეეხედა — უფრო სწორად, ეცადა. მიბრუნებულიყო.

მაგრამ თავის განძრევაც ვერ შეძლო.

მოსასხამი ისე მჭიდროდ შემოხვეოდა, რომ ადგილიდან ვერ იძვროდა.

ბლეინმა ხელების გათავისუფლება და მოსასხამის მოშვება სცადა, მაგრამ ვერც ერთი მოახერხა და ვერც მეორე.

გრძნობდა, რომ მოსასხამი უფრო მჭიდროდ ეკვროდა.

გაოგნებული ბლეინი სხეულის დაძვრასა და წამოდგომას ცდილობდა, მაგრამ — უშედეგოდ.

მოსასხამი მას ნაზად, მაგრამ ჯიუტად ჩასჭიდებოდა.

ნებისმიერ თოკზე უფრო მაგრად აბამდა. უცბად მოსასხამი გიჟის პერანგად იქცა, რომელმაც თავისი მარწუხები შემოახვია და იატაკზე მიაკრა.

ბლეინი ზურგზე იწვა გაუნძრევლად, შიშის სიცივეს შეეპყრო და გრძნობდა, როგორ ჩამოეღვარა ოფლი შუბლიდან თვალებში.

აი სად ყოფილა ხაფანგი დაგებული.

ბლეინმა იცოდა ამის შესახებ.

ცდილობდა, ფხიზლად ყოფილიყო.

მაგრამ მაინც საკუთარი ხელით შემოიხვია მახე, ისე, რომ აზრზეც ვერ მოვიდა.



25

სანამ ტრანსოში ჩაჯდებოდა, რენდიმ ხელი ჩამოართვა ბლეინს და მხიარულად და თავდაჯერებულად დაემშვიდობა. ჰქონდა კიდევაც ამის საბაბი, — სინანულით გაიფიქრა ბლეინმა, — რადგან რენდიმ მისი ყველა სავარაუდო ნაბიჯი თავიდანვე დეტალურად გათვალა. ყველაფერი იდეალურად დაგეგმილი სცენარის მიხედვით მიდიოდა. ამაზე უკეთეს ხერხს ვერც მოიფიქრებდა მოულოდნელობით აღსავსე ადამიანის დასაკავებლად, რომელსაც შიშნარევი ეჭვით უყურებდა.

ბლეინი გაუნძრევლად იწვა იატაკზე, გარს მარწუხებივით შემოჭერილ მოსასხამის კალთებს იატაკზე მიეჯაჭვა და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. სინამდვილეში ამას მოსასხამსაც ვერ დაარქმევდით — ეს ფიშჰუკის ერთ-ერთი გამოგონება გახლდათ, რომელსაც ის, საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული შემთხვევისთვის ინახავდა საიდუმლოდ, დარწმუნებული იმაში, რომ ასეთი შემთხვევა ადრე თუ გვიან მაინც მოხდება.

გონება დაძაბა, მაგრამ ამ ქმნილების მსგავსი ვერაფერი იპოვა. ის ალბათ უფრო რომელიღაც პარაზიტს ჰგავდა, მთელი საუკუნე მშვიდად და აუღელვებლად წოლა რომ

შეეძლო და როგორც კი ცოცხალი არსების თბილ შეხებას იგრძნობდა, მაშინვე გამოფხიზლდებოდა.

ამჟამად მისი მსხვერპლი თავად ბლეინი იყო და სულ მალე ეს ბეწვის მოსასხამი მის შთანთქმას ან სხვა რაიმე მეთოდით ათვისებას დაიწყებდა. წინააღმდეგობის გაწევას, იცოდა, აზრი არ ჰქონდა, იმიტომ, რომ სხეულის თითოეულ მოძრაობაზე მოსასხამი უფრო და უფრო მჭიდროდ ეკვროდა.

კიდევ ერთხელ ჩაიხედა საკუთარი გონების სიღრმეებში და მოულოდნელად აღმოაჩინა ის, რასაც ეძებდა — ბნელი, უღიმღამო, ხშირი და ერთმანეთში გადახლართული მცენარეული საფარით მოცული, გაურკვევლი ჯიშის მცოცავი, მხოხავი და მოფარფატე ბინადრებით დასახლებული ქაოტური პლანეტა, მეხსიერების ბურუსით მოცული სიღრმეებიდან მომზირალი საზარელი ადგილი. მაგრამ ყველაზე მეტად ის ფაქტი აოცებდა, რომ მაშინაც კი, როდესაც ამ შორეულ მოგონებებს უხმობდა გონებრივი არქივებიდან, სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ისინი მის საკუთრებას არ წარმოადგენდნენ. ბლეინი არც არასდროს ყოფილა იმ პლანეტაზე და არც არავის დასცდენია სიტყვა მის შესახებ. შეიძლება ეს რომელიმე დიმენსინოს მეშვეობით გადაიტანა და გონებაში ღრმად ჩაფლული განცდა მხოლოდ ახლა ამოტივტივდა.

ბუნდოვანი სურათი თანდათან მკაფიო გამოსახულებას იძენდა, თითქოს ვიღაც უხილავი ფოტოგრაფი მის გონებაში ობიექტივს ასწორებდა და ბლეინი წარმოუდგენელი სიცხადით ხედავდა ამ ქაოტური ჯუნგლების ბინადართა ცხოვრების თითოეულ გამაოგნებელ და შემზარავ დეტალს. ეს ამაზრზენი, მხოხავი არსებები უგუნური და ბნელით მოცული ადამიანისთვის დამახასიათებელი შემაშფოთებელი სისასტიკით გამოირჩეოდნენ და მხოლოდ სიძულვილი და პირველყოფილი შიმშილის გრძნობა ამოძრავებდათ.

ბლეინი ამ ახალაღმოჩენილი პლანეტის კოშმარს გაექვავებინა. ეგონა, თითქოს მისი ერთი ნაწილი ოთახში

ბუხრის პირას იწვა, ხოლო მეორე საზარელ ჯუნგლებში იდგა და იქ გამეფებულ საშინელებას მთელი არსებით ებრძოდა.

მოულოდნელად მას, უფრო სწორად, უცხო პლანეტაზე მყოფ მის მეორე ნაწილს შრიალი შემოესმა, ზევით აიხედა და უცნაური მოყვანილობის, მახინჯი და ეკლიანი ხე შენიშნა. მის ერთ-ერთ ტოტზე ალმასის მტვრით მოსილი ბეწვის მოსასხამი ჩამოზრდილიყო, რომელიც ეს-ესაა ტოტს მოსწყდებოდა და თავზე დაეცემოდა.

ბლეინმა იყვირა ან მოეჩვენა, რომ იყვირა და მოულოდნელად ეს ამაზრზენი პლანეტა, თავისი ბინადრებითურთ, აორთქლდა, თითქოს უხილავმა ხელმა პროექტორის ობიექტივი ფოკუსიდან გადაიტანა.

კიდევ ერთხელ დაბრუნებოდა საკუთარ სამყაროს, ფაქტორიას, ბუხრის პირს. კუთხეში ტრანსო-მანქანა მოჩანდა. უცებ კარი გაიღო და ოთახში გრანტი შემოვიდა.

გრანტმა ფრთხილად დახურა კარი, თავისი ზორბა და მასიური ტანი მოაბრუნდა და ბუხრის პირას მწოლიარე კაცს მიაშტერდა.

"მისტერ ბლეინ, — ჩუმად დაუძახა, — მისტერ ბლეინ, გღვიძავთ?"

ბლეინს ხმა არ გაუცია.

"თვალები რატომ გაქვთ გახელილი? მოხდა რამე?"

"არაფერი არ მომხდარა, — უპასუხა ბლეინმა, — ვწევარ ჩემთვის და ვფიქრობ."

"კარგ რამეზე ფიქრობთ?"

"ნამდვილად."

გრანტი ფრთხილი და ნელი ნაბიჯით, თითქოს კატასავით ეპარებაო, მაგიდას მიუახლოვდა, ბოთლს დასწვდა, პირთან მიიტანა და მოიყუდა.

ბოთლი მაგიდაზე დადო და ბლეინს მიუბრუნდა: "მისტერ ბლეინ, ხომ არ ადგებოდით? ცოტას დავლევდით, დავილაპარაკებდით. ისე იშვიათად ველაპარაკები ხალხს, ლამის გავგიჟდე. კლიენტები კი შემოდიან, მაგრამ იმათთან

საუბარს ვერ გააბამ, იმაზე მეტს არაფერს ამბობენ, ვიდრე საჭიროა."

"არა, გმადლობ, მირჩევია, ვიწვე."

გრანტი მაგიდას მოსცილდა და ბუხართან მდგარ სკამზე ჩამოჯდა.

"რა სამწუხაროა, მისტერ რენდის რომ არ გაყევით ფიშჰუკში. საოცარი ადგილია."

"მართალი ხართ," — ავტომატურად უპასუხა ბლეინმა, ისე, რომ ყურადღებაც არ მიუქცევია მისთვის.

ახლა მიხვდა, საიდანაც გაჩნდა იმ უცხო პლანეტის გონებრივი სურათები და მოგონებები. ისინი ვარდისფერი არსებისგან მიღებული ცოდნის სისტემატიზირებული არქივებიდან მოდიოდა. რა თქმა უნდა, ბლეინი თავად არ ყოფილა იქ, სამაგიეროდ, ვარდისფერმა არსებამ იხილა ყველაფერი საკუთარი თვალით და ნანახი ბლეინს გაუზიარა.

არქივში პლანეტის ფოტოგრაფიულ მასალასთან ერთად მთელი მონაცემები ინახებოდა მათი წარმოშობისა და განვითარების შესახებ. მაგრამ დაუმუშავებელი და დაუხარისხებელი ინფორმაციის სახე ჰქონდა და მისი გამოყენება ძალიან ჭირდა.

გრანტი საზურგეს მიაწვა და კმაყოფილმა ჩაიცინა.

გადაიხარა, ხელი მოსასხამს მოავლო და თითები დაარტყა. მოსასხამმა დოლის დახშული ხმა გამოსცა.

"როგორ მოგწონთ, მისტერ ბლეინ?" — ჰკითხა მან.

"დაგანახებ, როგორც მომწონს, ხელებს როცა გავითავისუფლებ," — დაემუქრა ბლეინი.

გრანტი წამოდგა და მაგიდას დაუბრუნდა, თან დამცინავად შორიდან შემოურა იატაკზე გაშოტილ ბლეინს, თითქოს, მისგან თავის დაცვას ცდილობდა. ბოთლი აიღო და მოსვა.

"იმის იმედი არ გქონდეთ, რომ ხელებს გაითავისუფლებთ, იმიტომ, რომ ერთ-ორ წუთში ამ ტრანსოში ჩაგსვამთ და ფიშჰუკში გაგამგზავრებთ."

კიდევ ერთხელ მოსვა და ბოთლი მაგიდაზე დადგა.

"არ ვიცი, რა ჩაიდინეთ, ან რაში დასჭირდათ თქვენი დაჭერა, მაგრამ მკაცრად მაქვს ნაბრძანები."

გრანტმა ისევ აიღო ბოთლი, მაგრამ გადაიფიქრა და მაგიდის შუაში დადგა, შემდეგ ბლეინთან მივიდა და თავზე დაადგა.

ბლეინის გონებაში ახალი მოგონება ამოტივტივდა: კიდევ ერთი პლანეტა, ბილიკზე დაუდგენელი და გაურკვეველი ჯიშის არსება მოძრაობდა, მისი მსგავსი ბლეინს არსად ენახა. ის მოძრავ კაქტუსს ჰგავდა, თუმცა ვერც კაქტუსს და ვერც რომელიმე სხვა ცოცხალ ბოსტნეულს დაარქმევდით. მაგრამ გზასაც და ამ არსებასაც მეორეხარისხოვანი დატვირთვა ჰქონდა, მთავარი კი ამ არსების ფეხდაფეხ ტლანქად მოკუნტრუშე მოსასხამთა რიგი გახლდათ.

მონადირე ძაღლები, — გაიფიქრა ბლეინმა. კაქტუსი მონადირე ანდა დამჭერი იყო, მოსასხამები კი — მისი ძაღლები ანდა მახეები. ეს მოსასხამები, სავარაუდოდ, რომელიმე მოხეტიალე მოგზაურმა, რომელმაც რაღაც მანქანებით კოსმოსურ რადიაციას გაუძლო, ჯუნგლების პლანეტიდან ჩამოიტანა და მისთვის უფრო ღირებულ რამეზე გაცვალა.

შეიძლება, — გაუელვა ბლეინს თავში, — ეს მოსასხამიც, მას რომ შემოხვეოდა, სწორედ ამ პლანეტიდან ჩამოიტანეს ფიშჰუკში.

ტვინში კიდევ ერთი რამ ურტყამდა — რაღაც აბსოლუტურად უცხო და არაამქვეყნური, შეიძლება კაქტუსისებრი არსების ენაზე ნათქვამი ფრაზა, იმდენად დახლართული და არაფრისმთქმელი, რომ მისი წარმოთქმისას ენას მოიმტვრევდი. როცა გრანტი დაიხარა და მის წამოსაწევად ხელები გაშალა, ბლეინმა მთელი ძალით მიახალა ეს ფრაზა. წარმოთქვა თუ არა, მოსასხამმა თავისი მარწუხები მოუშვა. ბლეინი ადგილს მოსწყდა და მისკენ დახრილ გრანტს ფეხებში ეცა.

გრანტმა სიმწრისგან დაიღრიალა და სახით იატაკზე დაენარცხა. ბლეინი წამოხტა და მაგიდას ამოეფარა.

გრანტი ნელა წამოდგა. გატეხილი ცხვირიდან სისხლი წასკდა, გადატყავებული მტევნის სახსრებიდანაც სისხლი წვეთავდა.

ნაბიჯი სწრაფად გადადგა, სახე ორმაგი შიშით დაემანჭა — იმ კაცის შიშით, რომელსაც შეეძლო მოსასხამის რკინის კლანჭებისგან თავის გათავისუფლება და ფიშჰუკის შიშით, ვერშესრულებული სამუშაოს გამო.

გრანტმა თავი დახარა და გაშლილი ხელებითა და თითებით პირდაპირ ბლეინისკენ გამოემართა. სასოწარკვეთას მისთვის ძალა გაეორმაგებინა და უფრო საშიშ და ულმობელ ადამიანად ექცია. თავს არ დაზოგავდა, ოღონდ ბლეინი ხელთ ეგდო.

ბლეინი გვერდზე გადაიხარა, მისი შემოტევა რომ მოეგერიებინა, მაგრამ მანძილი კარგად ვერ გათვალა. გრანტის უშველებელი ტორი მხარზე მოხვდა, მისი თითები გაშმაგებით ჩაებღაუჭა ბლეინის პერანგს. ბლეინმა წამით წონასწორობა შეინარჩუნა, მაგრამ ქსოვილმა ვეღარ გაუძლო და პერანგი ფხრიწინით გაირღვა.

გრანტმა წაიბორძიკა, შემდეგ გასწორდა და ღმუილით კიდევ ერთხელ შეუტია. ბლეინმა მთელი ძალა მოიკრიფა და ისე ძლიერად დაარტყა, რომ გრანტის ყბამ გაიჭახუნა. ზორბა სხეული ტკივილისგან აუკანკალდა და გრანტი წაბარბაცდა.

ბლეინი გაუჩერებლად და შეუბრალებლად ურტყამდა, სანამ ტკივილისგან ხელი არ გაუბუჟდა. დარტყმებისგან გაბრუებილი გრანტი ნელ-ნელა უკან იხევდა.

მიუხედავად იმისა, რომ მრისხანებას მოეცვა, ბლეინს არც შიში ამოძრავებდა, არც რისხვა და არც თავდაჯერებულობა. მარტივი ჩანაფიქრი ჰქონდა, იცოდა, რომ მისი თავისუფლება გრანტის დამარცხებაზე იყო დამოკიდებული. მიზნის მისაღწევად ყოველი ღონე უნდა ეხმარა.

რადგან პირველი დარტყმა წარმატებული აღმოჩნდა,

ბლეინი აღარ უნდა გაჩერებულიყო, მოწინააღმდეგისთვის გონს მოსვლის საშუალება არ უნდა მიეცა, თორემ გრანტის ერთი ძლიერი ხელის მოქნევაც საკმარისი იქნებოდა მის დასამარცხებლად.

ძლიერი დარტყმისგან ელდანაცემი გრანტი შეტორტმანდა და გაშმაგებული მოძრაობით ვარდნისგან თავის შეკავებას შეეცადა. შემდეგი დარტყმა ბლეინმა თავის არეში მიაყენა. გრანტი მოცელილივით დაეშვა იატაკზე. მისმა სხეულმა უცებ ფორმა დაკარგა, თითქოს ვიღაცას ძვლებისა და კუნთებისგან გაეთავისუფლებინოს. იგი იატაკზე ჩაიკეცა და ნაჭრის თოჯინასავით მოეშვა, რომელსაც ნახერხის შიგთავსი გამოაცალეს.

ბლეინმა ხელები დაუშვა და მაშინვე იგრძნო, როგორ დაუარა ყრუ ტკივილმა გადაღლილ კუნთებსა და დასისხლიანებული მუშტებში.

საკუთარ მიღწევას გაეოცებინა. როგორ შეძლო შიშველი ხელებით ამხელა გოლიათის დამარცხება?

პირველ დარტყმაში უბრალოდ გაუმართლა, მეტი არაფერი. მაგრამ მოსასხამის გამხსნელი გასაღები რომ იპოვა, ისიც დამთხვევა იყო?

ეს დამთხვევა ნამდვილად არ ყოფილა. მან, უბრალოდ, დროულად მიიღო საჭირო ინფორმაცია იმ .არქივიდან, რომელიც ტვინში იმ უცხო არსებამ ჩაუნერგა, ხუთი ათასი სინათლის წლის მიღმა გონება რომ გაუცვალა. ეს ფრაზა ერთგვარი შელოცვა გახლდათ — ნებისმიერ რამეს ათავისუფლებდა მოსასხამის სასიკვდილო მარწუხებისგან. ვარდისფერ არსებას, რომელმაც ეს ამაზრზენი პლანეტა მოინახულა, აურაცხელი ინფორმაცია შეეგროვებინა კაქტუსისებრი რასის შესახებ და ამ დანაწევრებული და დაუხარისხებელი ფაქტებიდან ადამიანის გამჭრიახმა გონებამ ამოარჩია ერთადერთი გაუგებარი ფრაზა, რომელიც, საბოლოო ჯამში, სასიცოცხლო მნიშვნელობის აღმოჩნდა.

ბლეინი იდგა და იატაკზე გაუნძრევლად მწოლიარე გრანტს თვალს არ აშორებდა.

ახლა რა უნდა გაეკეთებინა?

პირველ რიგში, აქაურობას უნდა გასცლოდა. მალე ფიშჰუკის რომელიმე თანამშრომელი გადმოაბიჯებდა ტრანსო-მანქანიდან, რომ გაერკვია, რატომ დააგვიანა გრანტმა გაკოჭილი ბლეინის გადაყვანა.

გაქცევა ისევ ერთადერთი გამოსავალია ჩემთვის, — სიმწრით გაიფიქრა ბლეინმა. ყველაზე კარგად ეს გამოსდიოდა. რამდენიმე კვირაა, რაც გარბის და რაც ყველაზე ცუდია, ამას ბოლო არ უჩანს.

იცოდა, რომ, ადრე თუ გვიან, ამ გაუთავებელი სირბილისა და მალვის შეწყვეტა მოუწევდა. ხომ უნდა ეპოვნა ისეთი ადგილი, სადაც გაჩერდებოდა, თუმდაც იმიტომ, რომ საკუთარი თავის პატივისცემა შეენარჩუნებინა.

თუმცა ეს დრო ჯერ არ დამდგარა. ისევ უნდა გაქცეულიყო, მაგრამ ამჯერად ამ ყველაფერს მიზანი ჰქონდა, დღევანდელი გაქცევა მას კონკრეტულ შედეგს მოუტანდა.

ბლეინი მაგიდისკენ მიტრიალდა ბოთლის ასაღებად და უცბად იატაკზე დაგდებულ მოსასხამს გადააწყდა. გაშმაგებულმა კრა ფეხი და ბუხრისკენ გადაისროლა. მოსასხამი უფორმო გუნდად დაეცა იატაკზე.

ბოთლს დასტაცა ხელი და საწყობის სექციისკენ გაემართა, სადაც გროვად დაწყობილი საქონელი ეგულებოდა.

ერთ-ერთ დასტას სტაცა ხელი და როცა დარწმუნდა, რომ შიგ მშრალი და რბილი შიგთავსი იყო, სასმელი გადაასხა და ცარიელი ბოთლი შუა ოთახში მოისროლა. შემდეგ ბუხართან მივიდა, ბადე მოხსნა, აქანდაზით გავარვარებული ნაკვერჩხლები გადმოიღო და ვისკით გაჟღენთილ ტომრებს დააყარა.

ტომრებს ცეცხლის ლურჯი ენები მოედო. მალე ცეცხლი

გაღვივდა, ტკაცანით გაიშალა და იქაურობა შთანთქა.

ხუთ წუთში ცეცხლი მთელ საწყობს ჯოჯოხეთის ალად მოედებოდა და მას ვეღარაფერი შეაჩერებდა. ტრანსოც ვერ გაუძლებდა ცეცხლის მხურვალებას, დადნებოდა და ფიშჰუკისაკენ გამავალი საიდუმლო კარიც დაიკეტებოდა.

ბლეინი გრანტს საყელოში დასწვდა და კარისკენ გაათრია. კარი გააღო, გარეთ გამოიყვანა და ეზოში შენობიდან ოცდაათიოდე ფუტის მანძილზე დატოვა. გრანტმა დაიკვნესა და წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო და მიწაზე დაენარცხა. ბლეინმა კიდევ ათი ფუტით გადაათრია და დაუშვა. გრანტმა რაღაც ჩაიბურტყუნა და ხელ-ფეხ ააამოძრავა, მაგრამ ისე იყო ნაცემი, მოძრაობის თავიც არ ჰქონდა.

ბლეინი გზაზე გავიდა, შეჩერდა და იქიდან ადევნედა თვალს ცეცხლმოკიდებულ შენობას. ფაქტორიის კედლები წითლად ბრიალებდა.

შემდეგ შეტრიალდა და გზას დაუყვა.

ფინთან სტუმრად მისვლისთვის ამაზე უკეთეს მომენტს ვერ შეარჩევდა. მალე ხანძრის ამბავი ქალაქს მოედებოდა, ხალხს პანიკა მოიცავდა და მთელი პოლიცია ფეხზე დადგებოდა. კომენდანტის საათი რომც დაერღვია, მაინც არავინ მიაქცევდა ყურადღებას.



26

სასტუმროს საფეხურზე ხალხი შეგროვილიყო და სულ ორიოდე კვარტალში მდგარ ცეცხლმოდებულ ფაქტორიას უყურებდა. ბლეინისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. არც პოლიცია ჩანდა.

"გორილების" ნამოქმედარი იქნება, — წამოიძახა ვილაცამ.

"ამ ხალხის ვერაფერი გამიგია, — მხარი აუბა ერთმა, — დღისით სავაჭროდ მიდიან, ღამე კი შემოძვრებიან ხოლმე და ხანძარს აჩაღებენ."

"ნეტა ფიშჰუკი როგორ ეგუება ამას? — ცხარობდა ვილაცა, — არ შეიძლება, ასე შორიდან ადევნო თვალი ყველაფერს და არ ჩაერიო."

"ფიშჰუკს არც ადარდებს, აქ რა ხდება, — უპასუხა მეორემ, — დამიჯერე, ხუთი წელი გავატარე ფიშჰუკში და ვერაფრით გავერკვიე იქაურ ადათ-წესებში. საერთოდ, ამაზე უცნაური ადგილი არ მინახავს."

რეპორტიორი, — გაიფიქრა ბლეინმა. ქალაქში უამრავი ჟურნალისტი ჩამოსულიყო ფინის ქადაგების გასაშუქებლად. ბლეინმა იმ ტიპს შეხედა, ხუთი წელი რომ გაეტარებინა ფიშჰუკში, მაგრამ ვერ იცნო.

კიბეს აუყვა და ცარიელ ფოიეში აღმოჩნდა. ხელები ქურთუკის ჯიბეებში ჩაიყო, დალურჯებულ და

ჩასისხლიანებულ მუშტებს ცნობისმოყვარე ხალხის ყურადღება რომ არ მიექცია.

ძველი სასტუმროს შენობის ფოიეში ავეჯი ალბათ წლების განმავლობაში არ გამოცვლილა. და საერთოდ, სასტუმრო ძველი ყაიდის, უღიმღამო, მის ჭერქვეშ დაბინავებული ხალხის უამრავი პლეადის მომჟავო სუნით გაჟღენთილი დანესებულების შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ფოიეში რამდენიმე კაცი ჩამომჯდარიყო სავარძლებში, ზოგი გაზეთს კითხულობდა, ზოგიც — უბრალოდ მოწყენილი და მოლოდინით სავსე სახით გაჰყურებდა ბნელ სივრცეს.

ბლეინმა ადმინისტრატორის მაგიდაზე მდგარ საათს დახედა. თორმეტის ნახევარი იყო.

მაგიდას გაუარა და ლიფტისკენ გაემართა.

"შეპ!"

ბლეინი მკვეთრად მიბრუნდა.

უზარმაზარი სავარძლიდან ვიღაც კაცი წამოდგა და ფოიეს გავლით მისკენ წამოვიდა.

ბლეინი ელოდა, როდის მიუახლოვდებოდა, თან ტანში ურუანტელი უვლიდა.

კაცმა ხელი გაუწოდა.

ბლეინმა ჯიბიდან ამოიღო მარჯვენა ხელი და უჩვენა.

"სიბნელეში ფეხი გამისხლტა და დავეცი," — აუხსნა მან.

კაცმა ხელზე დახედა: "ჭრილობა უნდა ჩამოიბანო," — ურჩია მან.

"სწორედ მაგას ვაპირებ."

"მე ვერ მცნობ? — შეახსენა თავი კაცმა, — ბობ კოლინზი ვარ. გახსოვს, რამდენჯერმე შევხვდით ფიშჰუკში, ბარში "წითელი აჩრდილი"?"

"რა თქმა უნდა, მახსოვს, — შეცბუნებულმა უპასუხა ბლეინმა, — ვიცოდი, რომ სადღაც მყავდი ნანახი, მაგრამ ვერ გავიხსენე, სად. როგორ ხარ?"

"არა მიშავს. მართალია, ფიშჰუკზე გამწარეული ვარ, ვერ მომინელებია, იქიდან რომ გამომაძევეს. მაგრამ

ჟურნალისტი ყველანაირი სიბინძურისთვის მზად უნდა იყოს."

"ფინზე წერ რამეს?"

კოლინზმა თავი დაუკრა თანხმობის ნიშნად: "შენ?"

"მე არა. უბრალოდ, მის ნახვას ვაპირებ."

"მასთან თუ მიაღწიე, ჩათვალე, რომ მაგრად გაგიმართლა. 210-ე ოთახშია. კართან ვიღაც მუტრუკი ზის და ყარაულობს."

"მგონი, მივაღწევ."

კოლინზმა გვერდზე დახარა თავი: "გავიგე, ფიშჰუკიდან გაქცეულხარ. მთელი ქალაქი მაგაზე ლაპარაკობს."

"მართალია," — დაუდასტურა ბლეინმა.

"რაღაც არ მომწონხარ, ცუდად გამოიყურები, — უთხრა კოლინზმა, — არ იუხერხულო, მაგრამ, თუ გჭირდება, შემიძლია ცოტა ფული..."

ბლეინს გაეცინა.

"მაშინ დავლიოთ."

"არა, მეჩქარება. ფინი უნდა ვნახო."

"ერთად ხართ?"

"ერთად არა..."

"მისმინე, შეპ. ჩვენ ხომ კარგ ნაცნობებად ვითვლებოდით ფიშჰუკში. მითხარი, რა იცი. ნებისმიერი რამ. გამიწიე სამსახური. ერთი რეპორტაჟი მაინც რომ მომამზადებინა, ფიშჰუკში დამაბრუნებდნენ. ამაზე მეტად არაფერი მინდა."

ბლეინმა თავი გააქნია.

"შეპ, აქ უამრავი ჭორი დადის. ამბობენ, რომ მდინარის პირას ერთი ფურგონი გადავარდა გზიდან, რომლითაც ფინისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე ტვირთი გადაჰქონდათ. პრესას გაუმხილა, რომ ხვალ სენსაციურ განცხადებას გააკეთებს. თქვა, რომ ხალხისთვის რაღაცის ჩვენებას აპირებს. ამბობენ, ეს კოსმოსური მანქანა იქნება. მითხარი შეპ, შესაძლებელია, რომ ეს მართლა კოსმოსური მანქანა იყოს?"

"წარმოდგენა არ მაქვს."

კოლინზი ახლოს მივიდა ბლეინთან, ხმას დაუწია და ჩახლეჩილი ჩურჩულით განაგრძო: "საქმე სერიოზულად არის, შეპ. ფინმა ისეთი რამ ჩაიგდო ხელში, რომ დარწმუნებულია, მისი მეშვეობით პარაკინეტიკოსების განადგურებას შეძლებს, ყველასი სათითაოდ. და საერთოდ, მთლიანად პარანორმალური კინეტიკის მცნებასაც აღგვის პირისაგან მიწისა. ხომ იცი, წლებია, ამაზე მუშაობს. ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თავის მდაბალ მიზანს მიაღწიოს. ნამდვილი პროვოკატორია, ქვეყანას უვლის და სიძულვილსა და ბოროტებას სთესავს. წარმატების მისაღწევად ეს ერთადერთი რამ სჭირდება, ამას რომ მიიღებს, მთელი მსოფლიო ტაშის კვრით მიესალმება, ცოტა კიდევ რომ დააცადონ, სამყარო ფეხქვეშ გაეგება და პარაკინეტიკოსებს ცოცხლად დაუწყებენ ტყავის გაძრობასა და შეჭმას."

"ნუ გავიწყდება, რომ მეც პარაკინეტიკოსი ვარ."

"ფინიც პარაკინეტიკოსი იყო ერთ დროს."

"ეს ქვეყანა სიძულვილის მორევშია გახვეული, — დაღლილი ხმით წარმოთქვა ბლეინმა, — ვინ მოთვლის, რამდენი შეურაცხმყოფელი იარლიყი გავრცელდა. რეფორმისტები პარანორმალურ ადამიანებს პარაფსიქებს ეძახიან, პარაკინეტიკოსები კი მათ „გორილებს" უწოდებენ. შენნაირებს ეს სულაც არ ანაღვლებთ. შენთვის სულ ერთია. მართალია, შენ თვითონ არ დაიწყებ ადამიანებზე ნადირობას, სამაგიეროდ, ამაზე დაწერ და გაზეთის გვერდებს სისხლით მონამავ. შენთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვისი სისხლი იქნება ეს, მთავარია, სისხლი იყოს."

"ღვთის გულისთვის, შეპ..."

"ერთ რამეს გეტყვი. შეგიძლია, დაწერო, რომ ფინს არც საჩვენებელი აქვს რამე და არც სათქმელი. დაწერე, რომ ფინი კურდღელივით არის შეშინებული, რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა..."

"შეპ, შენ რა, მასულელებ?"

"ვერ გაბედავს ვერაფრის ჩვენებას."

"რა აქვს საჩვენებელი?"

"რაღაც, რაც ფინს ნამდვილ იდიოტად აქცევს, თუ გამოაჩენს. გარწმუნებ, ვერ გაბედავს ამას. ხვალ დილით ქალაქი ყველაზე დამფრთხალ ადამიანს იხილავს მსოფლიოში."

"შეპ, ხომ იცი, ამას ვერ დავწერ."

"ხვალ შუადღით, — განაგრძო ბლეინმა, — ამაზე ყველა დაწერს. თუ ახლავე დაიწყებ, დილის ბოლო გამოცემას მიუსწრებ. შენ პირველი იქნები, თუ გამბედაობა გეყოფა."

"შეპ, მართალს ამბობ? შენ..."

"გადაწყვიტე დროზე. მე სიმართლე გითხარი, ახლა შენზეა, რასაც იზამ. უნდა წავიდე."

კოლინზი წამით შეყოვნდა: "გმადლობ, შეპ, დიდი მადლობა."

ბლეინმა ლიფტს აუარა და კიბისკენ გაემართა.

მეორე სართულზე ავიდა და დერეფნის ბოლოში მარცხენა მხარეს დაცვა შენიშნა, რომელსაც სკამი გადაეხარა და კედელს მიყრდნობოდა.

ბლეინი მტკიცე ნაბიჯებით დაუყვა დერეფანს. დაცვის ბიჭი მის დანახვაზე ფეხზე წამოდგა და ბლეინს გზა გადაუღობა.

"სად მიდიხართ, მისტერ?"

"სასწრაფო საქმე მაქვს ფინთან."

"შიგნით ვერ შეგიშვებთ."

"მაშინ გადაეცით."

"ახლა ვერაფერს ვერ გადავცემ."

"უთხარით, რომ სთოუნისგან ვარ."

"კი, მაგრამ სთოუნი ხომ..."

"უბრალოდ გადაეცით, რომ სთოუნისგან ვარ."

დაცვას წამით ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა, შემდეგ ხელი დაუშვა.

"მოიცადეთ აქ. შევალ და ვკითხავ. ფოკუსების გარეშე, თუ შეიძლება."

"კარგი, მოვიცდი."

ბლეინი იდგა და ფიქრობდა, სნორად იქცეოდა თუ არა. ჩაბნელებული, მოჟამული კორიდორის ფონზე მასში კვლავ ძველი ეჭვის გრძნობა ამოტივტივდა, — ხომ არ აჯობებდა, მოტრიალებულიყო და გზას დასდგომოდა, სანამ გვიანი არ იყო.

ამასობაში დაცვაც გამოჩნდა.

"არ გაინძრეთ, — უბრძანა მან, — უნდა გაგჩხრიკოთ."

ამ საქმეში გამოცდილი დაცვის ხელები ბლეინის სხეულს დაუყვა იარაღის ან დანის ძებნაში.

დაცვამ კმაყოფილმა დაუკრა თავი: "ყველაფერი რიგზეა. შეგიძლიათ, შეხვიდეთ. მე კართან ვიქნები."

"გასაგებია," — მიუგო ბლეინმა.

კარი გაუღო და ბლეინი შიგნით შევიდა.

მისაღები ოთახის უკან საძინებელი მოჩანდა.

ოთახის კუთხეში მაგიდა იდგა, რომლის უკან შავებში ჩაცმული მაღალი კაცი აღმართულიყო, თეთრშარფშემოხვეული. მის გრძელ და გამხდარ სახეს რკინის ხასიათი და ურყევი ნებისყოფა დატყობოდა.

ბლეინი მტკიცე ნაბიჯით გაემართა მაგიდისკენ.

"მაშ, შენ ხარ ფინი?"

"ლამბერტ ფინი," — შეუსწორა ფინმა ჭეშმარიტი ორატორისთვის დამახასიათებელი დაბალი ხმით, რომელიც ორატორობას დასვენების დროსაც ვერ ეშვება.

ბლეინმა ხელები ჯიბეებიდან ამოიღო და მაგიდაზე დააწყო. ფინმა მის ხელებს შემხმარ სისხლს და ტალახს შეხედა.

"შენ კი შეპარდ ბლეინი ხარ. შენ შესახებ ყველაფერი ვიცი."

"მაშინ ისიც გეცოდინება, რომ შენს მოკვლას ვაპირებ."

"ესეც ვიცი, უფრო სწორად, ეჭვი მაქვს."

"დღეს არა, იმიტომ, რომ ერთი სული მაქვს, ხვალ ქადაგებისას შენი სახე ვნახო. ნეტა როგორ გადაყლაპავ ამ ყველაფერს."

"იმიტომ მოხვედი, ეგ რომ გეთქვა?"

"უცნაურია, მაგრამ სხვა მიზეზს ახლა მართლა ვერ დაგისახელებ. ფაქტობრივად, ვერც აგიხსნი, რისთვის შევიწუხე თავი აქ მოსვლით."

"გარიგებაზე ხომ არ გინდა წასვლა?"

"ეს არც მომსვლია თავში. შენ რაზე უნდა გაგირიგდე?"

"შეიძლება მართალიც იყო, სამაგიეროდ, ისეთი რამ გაქვს, რაც მე ძალიან მჭირდება და რისთვისაც მზად ვარ, სოლიდური თანხა გადაგიხადო."

ბლეინი უხმოდ შეჰყურებდა ფინს.

"კოსმოსური მანქანის გატაცებაში მონაწილეობდი. მინდა, მითხრა, რა მიზნები და მოტივები გამოძრავებდა. შენი ამბავი შეიძლება კარგ მტკიცებულებადაც გამოდგეს და გაფანტული მოზაიკის ცალკეული ნაწილებიდან აზრის გამოტანაში დამეხმაროს."

ბლეინს ჩაეცინა: "ერთ დროს შენს ხელში ვიყავი, მაგრამ ხელიდან გამიშვი."

"ეს იმ იდიოტი ექიმის ბრალია, — მრისხანედ წარმოთქვა ფინმა, — მარტო იმაზე დარდობდა, რომ ამას შეიძლება არეულობა მოყოლოდა და მის ჰოსპიტალზე ცუდი ხმები გავრცელებულიყო."

"ხალხის შერჩევა უნდა ისწავლოთ."

"პასუხი არ გაგიცია," — შეუღრინა ფინმა.

"გარიგებაზე ამბობ? ძვირი დაგიჯდება, ძალიან ძვირი."

"გადავიხდი. შენ კიდევ ფული გჭირდება. ჯიბეში ერთი ცენტიც არ გიდევს, თანაც მთელი ფიშჰუკი შენს კვალს დასდევს."

"სულ რაღაც ნახევარი საათის წინ ფიშჰუკს გაკოჭილი ვყავდი და მოკვლას მიპირებდა."

"და გაქცევა მოახერხე? შეიძლება ახლა გაგიმართლოს და

სხვა დროსაც გაიქცე, მაგრამ შენი მდგომარეობა უიმედოა, იმიტომ, რომ ფიშჰუკი არ მოგეშვება და ადრე თუ გვიან მისი მსხვერპლი გახდები."

"მარტო ჩემზე ამბობ, თუ საერთოდ ყველაზე? შენ რისი იმედი გაქვს?"

"მე შენზე ვამბობ. ჰარიეტ კუიმბის იცნობ?"

"საკმაოდ კარგად."

"ჰარიეტი ფიშჰუკის აგენტია."

"გაგიუდი?" — იღრიალა ბლეინმა.

"დამშვიდდი და დაფიქრდი ამაზე. მე მგონი, დამეთანხმები, რომ მართალს გეუბნები."

ისინი უხმოდ აკვირდებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის ცოცხალი სიჩუმე ჩამოწვა და ორივე გრძნობდა მის არსებობას.

უცბად ბლეინს ერთმა აზრმა გაუელვა: რა იქნება, ახლა რომ მოეკლა?

ასეთი ადამიანის მოკვლა ძნელი არ იქნებოდა. ფინზე საძულველი ადამიანი ჯერ არ შეხვედრია, არა მარტო პრინციპულად, არამედ პიროვნულადაც.

ამ საქციელისკენ ქვეყანაში გამეფებული სიძულვილი გიბიძგებდა, მხოლოდ თვალები უნდა დაგეხუჭა და ხის ტოტზე ჩამოკონწიალებული ფოთლებით დაფარული სხეული, ცისკენ მიმართული საკვამური მილები, მიტოვებული ბანაკი წარმოგედგინა, სადაც ლოგინის ნაცვლად საბანი ჰქონდათ დაგებული და სადილად ტაფაზე შემწვარ თევზს შეექცეოდნენ.

ბლეინმა მაგიდიდან ხელები აიღო, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ დაუშვა.

და უცბად, თავისდაუნებურად, დაუფიქრებლად და გაუთვითცნობიერებლად ისეთი რამ გააკეთა, რასაც არ გააკეთებდა არც შეგნებულად და არც ქვეცნობიერად. მაშინვე მიხვდა, რომ ეს მის გონებაში მიმალული არსების ნამოქნედარი გახლდათ და თავად მას არავითარი

მონაწილეობა არ მიუღია ამაში.

ვერც იფიქრებდა, მიეღო მონაწილეობა. ეს კაციშვილს არ მოუვიდოდა აზრად.

ბლეინმა მშვიდად და აუღელვებლად მიუგო ფინს: "მე შენ ჩემს გონებას გიცვლი."



27

მთვარე მაღლა, ცაზე, ციცაბო კლდეების თავზე დაცურავდა, ჯარასავით რომ შემოვლებოდნენ გარს მდინარის ნაპირს. სანაპიროდან ბუს განწირული კივილი მოდიოდა, რომელსაც პერიოდულად ხითხითის ხმა ცვლიდა. კივილი ღამის სუსხიან ჰაერში მკაფიოდ ისმოდა და ყინვის მოახლოებას მოასწავებდა.

ბლეინი კედრის ტყის პირას შეჩერდა და დაძაბული უგდებდა ყურს ხმებს. დაგვაჯული და ერთმანეთში გადახლართული ხეები მთელი ძალით ჩაბღაუჭებოდნენ ფესვებით მიწას და წელში მოხრილ ბებერ გნომებს დამსგავსებოდნენ. ირგვლივ სიჩუმე იდგა, რომელსაც მხოლოდ ბუს ხითხითი და ჯიუტი ფოთლების შრიალის ხმა თუ არღვევდა, გორაკის ქვემოთ ჩამწკრივებულ არყის ხეების რიგს რომ შერჩენოდა. კიდევ ისმოდა ერთი სუსტი, ოდნავ გასაგონი ხმა, როგორც ფერიის შორეული ჩურჩული, რაც სინამდვილეში მრისხანე მდინარის ხმას წარმოადგენდა, მთვარის შუქით განათებულ კლდოვან ნაპირებზე რომ მიექანებოდა.

ბლეინი მიწაზე ჩამოჯდა და გარშემორტყმული კედრების ბნელს შეეფარა, თან ცდილობდა, საკუთარი თავი

დაერწმუნებინა, რომ საფრთხე არ ემუქრებოდა, რომ არ უთვალთვალებდნენ და მეძებარივით მის კვალს არავინ დაყვებოდა. ფიშჰუკი ვერ დაედევნებოდა, რადგან ფაქტორიის დაწვით მისკენ მიმავალი კარი დაიხურა, ვერც ლამბერტ ფინი დააკლებდა რამეს, მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ამას ნამდვილად ვერ შეძლებდა.

ბლეინი იჯდა და ყოველგვარი სინანულის გარეშე იხსენებდა ფინის სახეს, როცა მას გონებას უცვლიდა — გაყინული, შეძრწუნებული და ბლეინის წარმოუდგენელი თავხედობით აღშფოთებული ადამიანის მზერა, დიდებული მქადაგებლისა და ძლევამოსილი წინასწარმეტყველის კეთილი სახელის შებღალვით გამოწვეული, რომელსაც სიძულვილის გრძნობა რელიგიის, ან იმის, რასაც ის რელიგიად ასაღებდა, მანტიით შეემოსა.

"ეს რა ჰქენი! — შეჰყვირა თავზარდაცემულმა ფინმა, — ეს რა ჩაიდინე!"

ახლა ფინი მთელი სიცხადით გრძნობდა უცხო გონების მსუსხავ სიცივეს, მის წარმოუდგენელ არაადამიანურობასა და ბლეინისგან მომავალ სიძულვილს.

"მორჩა! — გამოუცხადა ბლეინმა, — ამიერიდან შენ ადამიანი კი აღარ ხარ, არამედ ჩემი და იმ არსების ნაწილი, ხუთი ათასი სინათლის წლის მიღმა რომ ვიხილე. დიდი იმედი მაქვს, რომ ამით ბოლო მოეღება შენს პარპაშს."

ფინმა გაოცებისგან პირი დააღო, შემდეგ ხაფანგივით დახურა.

"ახლა აქედან გავალთ, — უბრძანა ბლეინმა, — გაუგებრობა თავიდანვე რომ ავიცილოთ, შენ გარეთ გამიძღვები, მხარზე ხელს გადამხვევ, როგორც დიდი ხნის უნახავ ძმას და გზაზე უსაყვარლესი და უერთგულესი მეგობარივით დამიწყებ ლაპარაკს და თუ ასე არ მოიქცევი, საქვეყნოდ გამოვაცხადებ, ვინც ხარ."

ფინი ყოყმაობდა.

"ყველას ვეტყვი, რომ უცხოდ იქეცი, — განაგრძობდა

ბლეინი, — და გარეთ შეკრებილი რეპორტიორები რუდუნებით ჩაინერენ ჩემს სიტყვებს."

ეს საბაბი საკმარისი აღმოჩნდა ფინისთვის, რომელიც სასტიკი, შეუპოვარი და პედანტი რეფორმისტების რიგს მიეკუთვნებოდა, იმათ, რომლებიც საკუთარ თავს მთელი კაცობრიობის მორალური ღირებულებების დამცველად მიიჩნევენ და გამორიცხავენ, რომ მათ სახელს ოდესმე ჩირქი მოეცხოს ან თუნდაც ვინმემ მცირედი ეჭვი შეიტანოს მათში.

ორივე ერთად ჩაუყვა დერეფანს, კიბეს და ფოიეს, ხელი ხელში ჰქონდათ გაყრილი და მხიარულად საუბრობდნენ. რეპორტიორები გაკვირვებული ადევნებდნენ თვალს მათ მოძრაობებს.

ისინი ქუჩაში გავიდნენ და ტროტუარს ჩაუყვნენ, თითქოს ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ. ცეცხლი ისევ წითლად ელვარებდა ცაზე.

შესახვევს რომ მიუახლოვდნენ, ბლეინმა გაუხვია და აღმოსავლეთ სანაპიროსკენ გაიქცა.

და აი ისევ გარბოდა, ახლაც, როგორც ყოველთვის, ყოველგვარი გეგმისა და სტრატეგიის გარეშე. თუმცა ჰქონდა ისეთი მომენტებიც, როცა შეჩერდებოდა ხოლმე და სულს მოითქვამდა. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც შეძლო რამდენიმე წარმატებული სვლის გაკეთება — ფინს შეუშალა ხელი მზაკვრული მიზნების განხორციელებაში, თვალსაჩინოების ნიმუში ააცალა თვალწინ, რომლის გამოყენებასაც ფინი ქადაგების დროს აპირებდა, რათა ხალხი პარაკინეტიკის ბოროტებასა და საფრთხეში დაერწმუნებინა, ფინის გონებას ახალი, უცხო ცნობიერება შეურია, ამიერიდან ის აღარ იქნება ისეთი ეგოცენტრული მანიაკი, როგორც ადრე.

ბლეინი ჩაცუცქულიყო და ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს უსმენდა, რომელსაც მხოლოდ მდინარის ჩხრიალი, ბუს კივილი და ფოთლების შრიალი არღვევდა.

ნელა წამოდგა ფეხზე და უცებ რომელიღაც მტაცებლის

შემზარავი ყმუილისა და ეშვების კრაჭუნის ხმა შემოესმა. ბლეინი შიშისგან გაქვავდა. ამ ხმამ მასში პირველყოფილი, ველური შიშის გრძნობა გააღვიძა, რომელიც ადამიანთა მოდგმას საუკუნეების მანძილზე, გამოქვაბულის ხანიდან მოყოლებული დღემდე, მოსვენებას არ აძლევდა.

ეს ალბათ ძაღლია, სხვა რა უნდა იყოს, — ფიქრობდა ის, — ანდა კოიოტი. მაქცია ხომ არ იქნებოდა. მაქციები არ არსებობდნენ.

და მაინც დაუძლეველი ინსტინქტი მოუწოდებდა, უკანმოუხედავად, დაუფიქრებლად გაქცეულიყო და სადმე თავშესაფარი ეძებნა, რათა მთვარის შუქზე ჩასაფრებული საფრთხისგან ეხსნა თავი.

ბლეინი დაძაბული იდგა და ელოდა, როდის განმეორდებოდა ეს ხმა, მაგრამ სიჩუმე აღარაფერს დაურღვევია. გაქვავებული კუნთები და დაჭიმული ნერვები მოუშვა და ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდა.

მაქციების არსებობის მცირედი რწმენა მაინც რომ ჰქონოდა, გაიქცეოდა. რა შეიძლება იყოს ამაზე ადვილი — ჯერ იწამო და შემდეგ გაიქცე. აი რატომ არიან ფინისნაირი ადამიანები ასეთი საშიში, ისინი ზედაპირზე, ზედ კანქვეშ მობინადრე ადამიანური შიშისა და სიძულვილის ინსტინქტით ზემოქმედებდნენ.

ბლეინმა ტირიფების ტყე გამოიარა და მდინარის კლდოვან ნაპირს დაუყვა. ძალიან ჭირდა მთვარის შუქზე ციცაბო ზედაპირზე გადაადგილება. ხან თითქმის უჩინარ ლოდს წამოკრავდა ფეხს და ხან კლდოვან ორმოებს გადააწყდებოდა ხოლმე, სადაც სულ თავისუფლად შეიძლებოდა კისრის მომტვრევა.

კიდევ ერთხელ ჩაუფიქრდა იმ საკითს, ფინთან ლაპარაკის შემდეგ მოსვენებას რომ არ აძლევდა.

ფინმა უთხრა, რომ ჰარიეტ კუიმბი ფიშჰუკის აგენტია.

არა, შეუძლებელია. ჰარიეტი ფიშჰუკის აგენტი რომ იყოს, გაქცევაში არ დაეხმარებოდა.

და მაინც, საკვირველია, მაგრამ ჰარიეტი არ მოსცილებია მას. ყველა მნიშვნელოვანმა შემთხვევამ ჰარიეტის თვალწინ ჩაიარა — იმ ქალაქის ისტორიამ, სადაც ბლეინი ძლივს გადაურჩა ჩამოხრჩობას, სთოუნის საზარელმა მკვლელობამ, გზისპირა ფარდულში მომხდარმა ამბავმა.

ბლეინი ცდილობდა, ეს მოუსვენარი ფიქრები გონების ქვეცნობიერ ნაწილში მიემწყვდია, მაგრამ უშედეგოდ, ისინი მაინც არღვევდნენ ქვეცნობიერის საზღვრებს და წინ მოიწევდნენ.

სისულელეა — ჰარიეტი და აგენტი. ჰარიეტი კარგი ჟურნალისტი, ერთგული მეგობარი, ჭკვიანი, მიზანმიმართული და მტკიცე ხასიათის ადამიანი გახლდათ. რომ მოენდომებინა, მშვენიერი აგენტიც გამოვიდოდა მისგან, — გამოუტყდა ბლეინი საკუთარ თავს, — მაგრამ ეს მის ბუნებას არ შეესაბამებოდა, რადგან მას აგენტისათვის საჭირო თვისებები — ვერაგობა და გაუტანლობა — აკლდა.

სანაპიროს ციცაბო ხრამი კვეთდა, რომელიც ქვემოთ მდინარისკენ მიიკლაკნებოდა. ხრამის კიდეზე რამდენიმე დაგრეხილი ხე იზრდებოდა.

ბლეინმა ხეებს ქვემოდან შემოუარა და მიწაზე ჩამოჯდა.

ქვემოთ მდინარე მიექანებოდა. მის შავ დინებას ვერცხლისფერი შერეოდა, ხოლო ორივე მხარეს კუზიანი აჩრდილებივით ჩამწკრივებულიყვნენ ნაცრისფერი კლდეები.

ბუს ხმა გაეკმინდა, სამაგიეროდ, მდინარის ჩუხჩუხი გაძლიერდა და თუ გულისყურით მოუსმენდით, გაიგონებდით, როგორ რეცხავდა წყალი ქვიშიან ნაპირებს და მდინარისკენ გადახრილ ხეებს ფესვებში უვლიდა. ხეები იმდენად მკვეთრად გადახრილიყვნენ, რომ თავები მდინარეში ჩაერგოთ და ჯიუტი ფესვებით ეჭიდებოდნენ მიწას.

აქ ღამის გათევა ცუდი აზრი არ იქნება, — გაიფიქრა ბლეინმა. მართლია, საბანი არ ჰქონდა, მაგრამ ხეები

დაფარავდა და სიცივისგანაც დაიფარავდა. ეს ყველზე უსაფრთხო ადგილი იყო, რაც კი დღის განმავლობაში შეხვდა.

ბლეინი ხშირ ბუჩქნარში შეძვრა და ღამის გასათევად მზადება დაიწყო. რამდენიმე ქვის გადაადგილება მოუხდა, შემდეგ დამტვრეული ტოტი მოაშორა იქაურობას და გამხმარი ფოთლები რომ მოხვეტა, სწორედ მაშინ გაახსენდა, რომ აქ შეიძლება ჩხრიალა გველები ყოფილიყვნენ, თუმცა, თავი დაიმშვიდა, ჩხრიალა გველებისთვის უკვე საკმაოდ ციოდა.

ბლეინი ფოთლების გროვაში მყუდროდ მოკალათდა. სასთუმალი ისეთი მოხერხებული არ იყო, როგორიც ეგონა, მაგრამ სულ არქონას მაინც ჯობდა, თანაც აქ დიდი ხნით გაჩერება არ მოუწევდა, მალე მზე ამოვიდოდა და ისიც გზას გააგრძელებდა.

ბლეინი ჩუმად იწვა სიბნელეში, გონებაში კი გასული დღის მოვლენები კადრებივით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, მისი ცნობიერება ამ მოვლენების შეჯამებას, საბოლოო დასკვნის გამოტანას ცდილობდა. ბლეინის ძალისხმევა, ეს ნაკადი შეეჩერებინა, ამაო აღმოჩნდა.

გონებრივ ეკრანზე მონაცვლეობით ჩნდებოდა მოვლენებით აღსავსე დღის ცალკეული ნაგლეჯები და შთაბეჭდილებები. მოგონებათა ფირს ბოლო არ უჩანდა. ნელ-ნელა ეს მოვლენები რეალურ სახეს კარგავდნენ და აჩრდილებად იქცეოდნენ.

ნეტა როგორმე შეეჩერებინა ფიქრის ეს ნაკადი, — ნატრობდა ბლეინი. ნეტა ყურადღების სხვა რამეზე გადატანა შეძლებოდა.

და უცბად მიხვდა, რაც იყო ის სხვა რამ, რაზეც შეეძლო ფიქრი გადაეტანა — ლამბერტ ფინის გონება.

ბლეინმა ფრთხილად ჩაიხედა ფინის გონებაში და იქ ნანახმა თავზარი დასცა — შიშის, სიძულვილისა და ვერაგობის გრძნობებს ხორცი შეესხათ და მატლებივით ფუსფუსებდნენ. ამ ამაზრზენი მასის ცენტრში კი იმ უცხო

პლანეტის ენითაუწერელი საშინელება ტრიალებდა, რომელმაც ფინს ჭკუა დააკარგვინა. მანქანიდან გადმოსული არაადამიანური ხმით ყვიროდა, თითები დაეკრუნჩხა და დუჟმორეული გიჟივით ატრიალებდა თვალებს.

ეს ავისმომასწავებელი, საზარელი და შავბნელი პლანეტა იყო. იქ ისეთი რამ დაინახა, რაც თავისი არსით ყველანაირ ადამიანურ პრინციპს ეწინააღმდეგებოდა. ამ არსების გაურკვეველ, არანორმალურ ღმუილსა და ჭყივილში აზრის ნატამალიც არ შეინიშნებოდა, მის თვალებში კი უკიდეგანო და უძირო უკეთურებას დაესადგურებინა. არსება ჩონჩხივით თავით ბლეინისკენ მოიწევდა, საზარელი, ათასობით კბილი სახის წინ ღრჭიალებდა, მკვდარივით თეთრი და გადაბრუნებული თვალები კი უიმედობის გრძნობას აღძრავდა მასში.

ბლეინის გონებაში სასოწარკვეთილმა და გამაყრუებელმა კივილმა იფეთქა და მის თვალწინ გაშლილი საშინელი სურათი მთლიანად გადაფარა.

მაგრამ იმავე დროს ყოვლად უადგილო და წამიერმა ფიქრმა გაუელვა თავში და გაქრა...

ყველა წმინდანთა დღე მოაგონდა.

ბლეინი მთელი ძალით ჩაებღაუჭა ამ ფიქრს და თავგამოდებით ცდილობდა, მოგონებათა უსასრულო მწკრივი უცხო პლანეტის კოშმარისგან გაეცალკევებინა.

ყველა წმინდანთა დღე — ოქტომბრის რბილი, სასიამოვნო საღამო, ქუჩები ლამპიონებითა და მთვარის შუქით განათებულიყო. ვეებერთელა სავსე მთვარე გაშიშვლებული ხის კენწეროზე ეკიდა, თითქოს დედამიწაზე განგებ ჩამოსულიყო, ამ თავშესაქცევი სანახაობისთვის უკეთ რომ ედევნებინა თვალი და არაფერი გამოჰპარვოდა. ცეცხლმოკიდებული ფოთლების კვამლში გახვეულ ქუჩებში ბავშვების მხიარული ჟრიამულისა და პატარა ფეხების ბაკუნის ხმა ისმოდა, თითქოს აღტაცებული გობლინები ფერხულში ჩაბმულიყვნენ და ომახიანი ყიჟინით

ეხმიანებოდნენ ერთმანეთს. შესასვლელ კართან შუქი მუდმივად ენთო და სხვადასხვა კოსტიუმებში გადაცმულ ბავშვებს გულთბილად ეპატიჟებოდა შიგნით. მოსასხამებში გახვეული ფიგურები შედიოდნენ და გამოდიოდნენ, მათი ტომრები კი ნელ-ნელა ივსებოდა და მძიმდებოდა უამრავი სახის ნუგბარით.

მოგონება იმდენად მკაფიო და ნათელ სახეს იძენდა, რომ ბლეინმა საკუთარი ბედნიერი ბავშვობის თითოეული დეტალი გაიხსენა, თითქოს გუშინ მომხდარიყოს. გაახსენდა, როგორ დაქროდა ქალაქში მხიარული შეძახილებით. მოგონებამ მხოლოდ წამიერად გაუელვა, სინამდვილეში მშვენივრად იცოდა, რომ ეს დიდი ხნის წინათ ჩაბარდა წარსულს.

ამ უდარდელი ხანისთვის უცხო იყო შიში და პანიკა, რომლებიც ჯერ კიდევ არ მოსდებოდნენ ქალაქს შავ მანტიასავით, ხოლო მაგია მხიარულ და ღიმილისმომგვრელ ცნებას წარმოადგენდა. ყველა წმინდანთა დღესაც მეტი ხალისი და ეშხი ჰქონდა და არც მშობლებს ეშინოდათ ბავშვების ქუჩაში გვიანობამდე გაშვება.

დღესდღეებით უკვე გამორიცხული და წარმოუდგენელია ყველა წმინდანთა დღის აღნიშვნა. ამ დღეს ყველა სახლის კარები ორმაგი საკეტით ირაზება, დარაბები საგულდაგულოდ იხურება, საკვამურები საიმედოდ იხშობა და ფანჯრებზე ყველაზე ძლიერმოქმედ შელოცვებს კიდებენ.

რა სამწუხაროა, — გაიფიქრა ბლეინმა, — და ის დღე გაახსენდა, ის და ჩარლი ჯონსი ბებერი ჩენდლერის ფანჯარას რომ მიადგნენ და ბრახუნი აუტეხეს. მოჩვენებითი რისხვით გაფითრებულმა მოხუცმა თოფს დასტაცა ხელი და ღრიალით გამოენთო აივანზე. გაახსენდა, ისე თავქუდმოგლეჯილებმა მოკურცხლეს, რომ ლუისის სახლის უკან გათხრილ არხში ჩაცვივდნენ

და კიდევ ერთი შემთხვევა მოაგონდა და მთელი გონებით ჩაეჭიდა ამ მოგონებას.



28

ბლეინი სიცივემ და სხეულის დაბუჟებამ გამოაღვიძა. გაოცებული აკვირდებოდა იქაურობას, ხედავდა, რომ გარს ხშირი ტევრი შემოხვეოდა და ვერ გაეხსენებინა, სად იყო და იქ როგორ აღმოჩნდა. სხეული მაგარ და უხეშ ნიადაგზე წოლისა და სიცივისგან გაქვავებოდა. თვალი მის თავთან გადაწნულ ხის ტოტებს გაუსწორა და ნელ-ნელა გაიხსენა საკუთარი ვინაობა.

საიდან აღმოჩნდა აქ.

ყველა წმინდანთა დღეც გაახსენდა.

ბლეინი მკვეთრი მოძრაობით წამოიწია და თავი მის ზემოთ გადახლართულ ტოტებს მიარტყა.

ყველა წმინდანის დღე შემთხვევითი ფიქრის გაელვება არ გახლდათ.

ამ დღეს ფინის ხალხს შეთქმულება დაეგეგმათ!

ბლეინი გაყინული და გაქვავებული იჯდა, მისი გონება აღშფოთებასა და რისხვას მოეცვა.

ასეთი მარტივი და ამავდროულად ვერაგი ჩანაფიქრი ლამბერტ ფინისნაირ ნაძირალას თუ მოუვიდოდა აზრად.

ამის დაშვება არ შეიძლებოდა — წინააღმდეგ შემთხვევაში ძალადობისა და მტრობის ახალი ტალღა აგორდებოდა და როცა ეს მწვავე რეაქცია ჩაცხრებოდა, პოლიცია უფლებების

შემზღუდავ ახალ კანონებს შემოიღებდა. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ამ კანონების მიღება ზედმეტიც აღმოჩენილიყო, რადგან ამ დარბევას შეიძლება მსოფლიოში არნახულ მასშტაბებისთვის მიეღწია. ეს ხოცვა-ჟლეტა ათასობით პარაკინეტიკოსის დაღუპვით დამთავრდებოდა.

ერთადერთი გამოსავალი ახლა პარაკინეტიკოსებით დასახლებულ, ყველაზე ახლოს მდებარე სოფელში — ჰამილტონში ჩასვლა იყო დახმარების სათხოვნელად. ბლეინს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ იქ უსათუოდ გაუწოდებდნენ დახმარების ხელს. თუ ამ ოპერაციას ჩაატარებდნენ, ჰამილტონს პირველ რიგში ემუქრებოდა საფრთხე.

თუ დღეები არ აერია, ყველა წმინდანთა დღე ზეგ უნდა ყოფილიყო. თუმცა არა, ხვალინდელი დღე უკვე დადგა, ასე რომ, სამოქმედოდ ორ დღეზე ნაკლები რჩებოდა.

ბლეინი ბუჩქნარიდან გამოძვრა. მზე აღმოსავლეთ გორაკებიდან ამოიწვერა, ისე ახლოს, გეგონებოდა, ხელით მისწვდებოდი. დილის ჰაერში მოახლოებული ზამთრის სუსხი იგრძნობოდა. გამხმარი ბალახით დაფარული დამრეცი ფერდობი რუხი მდინარის ნაპირას ეშვებოდა. სიცივისგან აკანკალებულმა ბლეინმა ხელები შემოკრა ერთმანეთს, ცოტა რომ გამთბარიყო.

ჰამილტონი, თუ სწორად აიღო გეზი, მდინარის ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო, რადგან ის სასტუმრო, სადაც ის ჰარიეტთან და სთოუნთან ერთად გაჩერდა, ბელმონტიდან ჩრდილოეთით მიმავალ გზაზე მდებარეობდა, იქიდან კი ჰამილტონი ორიოდე მილით იყო დაშორებული.

ბლეინი ფერდობს დაუყვა და ამ მოძრაობაში სხეული გაუთბა, ამომავალმა მზემაც ცოტა ძალა მოიკრიბა და უფრო მეტ სითბოს აფრქვევდა.

მდინარის ნაპირთან ქვიშიანი მეჩეჩი გამოშვერილიყო, თიხანარევი ქვიშიანი წყალი მრისხანე ჩხრიალით ევლებოდა თავს. ბლეინი ნაპირთან მივიდა, დაიცუცქა, პეშვით წყალი აიღო და მოსვა. წყალს ქვიშისგან ყავისფერი მიეღო და

დალექილი თიხისა და წყლმცენარეების გემო დაჰკრავდა. პირი რომ დახურა, კბილებში ქვიშამ დაიწყო ხრაშუნი.

მაგრამ ახლა ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, მთავარია, წყალი იყო და ისმებოდა. დიდი გაჭირვებით აიღო კიდევ ერთი პეშვი. თითები კი მჭიდროდ მიეტყუპებინა ერთმანეთისთვის, მაგრამ თითებს შორის წყალი მაინც ეპარებოდა და პირამდე თითქმის აღარაფერი აღწევდა.

ბლეინი იჯდა და ირგვლივ გამეფებული სიწყნარითა და სიმშვიდით ტკბებოდა. ალბათ ასეთი იყო სამყარო შექმნის პირველ დღეს, სპეტაკი და ხელუხლებელი, როცა ის ჯერ კიდევ არ მოეწამლა სიხარბეს, უკეთურებასა და სხვა მრავალ მანკიერებას, რომელიც საუკუნეების მანძილზე ღრღნიდა ადამიანთა მოდგმას.

მოულოდნელად სიჩუმე წყლის ჩქაფუნმა დაარღვია. ბლეინი ფეხზე წამოხტა. არც ნაპირზე, არც თვითონ მდინარეზე და არც მეჩეჩის იქით მდებარე ტირიფნარის კუნძულზე არაფერი მოჩანდა. რაღაც ცხოველი იქნებოდა, — გაიფიქრა ბლეინმა, — ან იქნებ, თახვიც ყოფილიყო, ან წავი, ან ონდატრა, ან წაულა ან სულაც თევზი.

ხმა განმეორდა და მდინარეში ნავი გამოჩნდა, შემოუხვია და ნაპირისკენ გამოემართა. კიჩოზე ლაბადაში გამოწყობილი კაცი იჯდა და ისე ტლანქად უსვამდა ნიჩბებს, გული შეგიწუხდებოდა. ნავის ცხვირი წყლიდან ამოშვერილიყო, რადგან მენიჩბისა და კიჩოზე მიმაგრებული ძრავის სიმძიმეს გადაეწონა.

ნავი გრუხუნით მოუახლოვდა ნაპირს და ბლეინმა თვალი მოკრა მენიჩბეს. კაცს ნაცნობი სახე ჰქონდა, ადრე შეხვედროდა. სადღაც და როგორღაც მათი გზები უეჭველად გადაიკვეთა.

ბლეინი წყალში შევიდა, ნავი ქიმით დაიჭირა და ქვიშიან ნაპირზე შეაცურა.

"ღმერთმა დაგლოცოს, — შესძახა ნავში მჯდომმა, — რა მშვენიერო დილაა."

"მამა ფლენეგან!" — შეჰყვირა ბლეინმა.

მღვდელმა გასხივოსნებული სახით გაუღიმა.

"სახლიდან შორს წამოსულხართ," — აღნიშნა ბლეინმა.

"მე იქით მივდივარ, საითაც მამაზეციერი მიბრძანებს წასვლას," — განუმარტა ფლენეგანმა.

მღვდელმა დასაჯდომ ადგილს დაჰკრა ხელი:

"ხომ არ ჩამოჯდებოდი ცოტა ხანს. ღმერთო, მაპატიე, მაგრამ გვარიანად დავიღალე."

ბლეინმა ნავი კიდევ ოდნავ შეაცურა ქვიშიან ნაპირზე, შიგ ჩახტა, ჩამოჯდა მღვდლის მიერ მითითებულ ადგილას და ხელი გაუწოდა მას. მამა ფლენეგანმა ნაზად მოუჭირა მას თავისი ართრიტისგან დაკრუნჩხული ხელები.

"მიხარია თქვენი ნახვა, მამაო."

"მე კიდევ, ცოტა არ იყოს, გაოგნებული ვარ, — გამოუტყდა მამაო, — სიმართლე გითხრა, შენ გითვალთვალებდი."

"უცნაურია, — აღნიშნა ბლეინმა ოდნავ გაკვირვებულმა და ამავდროულად შეშინებულმა, — მაგრამ თქვენნაირ ადამიანს უსათუოდ უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ექნება."

ფლენეგანმა ბლეინს ხელი გაუშვა.

"ცდები, შვილო ჩემო, — შეუსწორა ფლენეგანმა, — განა რა შეიძლება იყოს ჩემთვის იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე შენს კვალზე სიარული?"

"უკაცრავად, მამაო. არ მესმის თქვენი."

მამა ფლენეგანი დაკრუნჩხული ხელებით მუხლებს დაეყრდნო და წინ გადაიხარა.

"აუცილებლად უნდა მომისმინო და გაიგო, — აუხსნა ფლენეგანმა, — შემპირდი, რომ არ გამიბრაზდები და არ შემაწყვეტინებ."

"გპირდებით," — აღუთქვა ბლეინმა.

"ალბათ გსმენია, რასაც ამბობენ დედა ეკლესიაზე, — დაიწყო მან, — რომ ის მოუქნელი და სასტიკია, რომ

დრომოჭმულ ტრადიციებსა და დოგმებს ეპოტინება და მთელი ძალით ეწინააღმდეგება ცვლილებებს..."

"დიახ, გამიგია."

"მაშ, მინდა გითხრა, რომ სიცრუეა ეს ყველაფერი. ეკლესია დროს უწყობს ნაბიჯს და მასთან ერთად იცვლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარ თავს ვერ შემოინახავდა მთელი თავისი დიდებულებითა და ბრწყინვალებით. ის არად აგდებს ადამიანის შეხედულებებისა და ზნე-ჩვეულებების ცვალებადობას და ადვილად ეგუება ცვლილებებს, მაგრამ ეს ნელი პროცესია. ეკლესია გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, სანამ მის სისწორეში არ დარწმუნდება. ეკლესიას შეცდომის უფლება არ აქვს."

"მამაო, რისი თქმა გინდათ?"

"გახსოვს, მაშინ რომ გკითხე, ჯადოქარი იყავი თუ არა. შენ ამ კითხვამ ძალზე გაგამხიარულა."

"მართლაც რომ გამამხიარულა."

"ეს მთავარი შეკითხვა გახლდათ, ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ განგებ დავსვი ასე მარტივად, იმიტომ, რომ პასუხიც ასევე მარტივად გაგეცა, ან ჰო, ან არა."

"ჰოდა გპასუხობთ. არავითარი ჯადოქარი არა ვარ."

მღვდელმა ამოიხრა. "შენ, როგორც გატყობ, — წყენით წარმოთქვა მან, — გინდა, მთელი თხრობა გამირთულო."

"კარგით, მამაო. განაგრძეთ. ვეცდები, აღარ შეგაწყვეტინოთ," — შეჰპირდა ბლეინი.

"ეკლესიამ უნდა იცოდეს, რა არის პარაკინეტიკა, ადამიანის ბუნებრივი შესაძლებლობა თუ მაგია. ერთ დღეს, ალბათ მრავალი წლის შემდეგ, მას საკუთარი გადაწყვეტილების მიღება მოუწევს. ეკლესიას საკუთარი პოზიცია უნდა ჰქონდეს ადამიანის ყველა მორალური ღირებულების მიმართ. ეს მისი ისტორიული დანიშნულებაა. ალბათ გეცოდინება, რომ თეოლოგთა სპეციალური კომიტეტი დაინიშნა, რომელიც სწორედ ამ საკითხზე მუშაობს..."

"და თქვენ?"

"მე გამოკვლევა და გამოძიება მაქვს დავალებული. ჩვენ მხოლოდ გარკვეულ ფაქტებსა და ინფორმაციას ვაგროვებთ, რომლებსაც, თავის დროზე, თეოლოგთა ჯგუფს გადავცემთ განსახილველად."

"მე ერთ-ერთი სამხილი ვარ, ალბათ."

მამა ფლენეგანმა დასტურის ნიშნად თავი დაუკრა.

"ერთი რამ ვერ გამიგია, მამაო. ნუთუ თქვენს რწმენას წყალი შეუდგა. მიკვირს, რომ ეჭვი შეგაქვთ. თქვენ უამრავი ბიბლიურად დასაბუთებული სასწაული იცით. მითხარით, რა არის სასწაული, თუ არა პარანორმალური კინეტიკის ერთგვარი გამოვლინება? სადღაც ხომ უნდა მოხდეს ადამიანური და ზეციური ძალების თანხვედრა? თქვენ შეგიძლიათ, მათი დამაკავშირებელი ხიდის როლიც კი შეასრულოთ."

"შენ მართლა გჯერა ამის?"

"მე არ ვარ რელიგიური..."

"ვიცი, რომ არ ხარ. ეს ერთხელ უკვე მითხარი. მაგრამ მაინც მიპასუხე, შენ გჯერა ამის?"

"ეჭვი არ მეპარება."

"ვერ დაგეთანხმები, — შეეწინააღმდეგა მღვდელი, — ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს მკრეხელობას. მაგრამ მე სულ სხვა რაღაც მინდა გითხრა. შენ სხვებს არ ჰგავხარ. რაღაც არის შენში უცნაური, სხვებისგან განმასხვავებელი."

"მე ნახევრად უცხო ვარ, — სიმწრით აღიარა ბლეინმა, — ასე აშკარა სახელი ჯერ არავისთვის დაურქმევიათ. ახლა თქვენ არა მარტო მე, არამედ უცხო არსებასაც ესაუბრებით, რომელიც არანაირად არ ჰგავს ადამიანს და რომელიც შორეულ პლანეტაზე ბინადრობს ხუთი ათასი სინათლის წლის მიღმა. უკვე მილიონი წელია, რაც იქ ცხოვრობს და, სავარაუდოდ, კიდევ მილიონს იცხოვრებს. საკუთარ გონებას შორეულ პლანეტებზე სამოგზაუროდ უშვებს, მაგრამ, ამ მოგზაურობების მიუხედავად, მაინც ძალიან მარტოსულად

გრძნობს თავს. დრო მისთვის აღარ წარმოადგენს საიდუმლოს, არ ვიცი, არსებობს კი მისთვის რაიმე ამოუხსნელი? ყველაფერი ის, რაც მან იცის, მეც ვიცი. მე შემიძლია ეს ცოდნა უფრო ნაყოფიერად გამოვიყენო, ვიდრე მან. როცა დრო მექნება, თუ მექნება, რა თქმა უნდა, ყველა ამ ინფორმაციას მოვუხმობ, დავახარისხებ და გონების თაროებზე სათუთად დავალაგებ."

მღვდელმა ღრმად ჩაისუნთქა: "რაღაც მაგდაგვარს ვფიქრობდი."

"თუ გნებავთ, საქმეს ახლავე შეუდექით, — მოუწოდა ბლეინმა, — სად არის ნაკურთხი წყალი? შემაპკურეთ და ჭუჭყიან კვამლში გავუჩინარდები."

"შენ, როგორც გატყობ, ვერ ჩაწვდი ჩემს მიზანს და დამოკიდებულებას ამ ყველაფრის მიმართ. თუ ის ძალა, რომელმაც შორეულ ვარსკვლავებზე სამოგზაუროდ გაგიშვა, ეშმაკიდან არ მოდის, მაშინ, თუ იქ რაიმე ეშმაკისეულს გადააწყდები, ამას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი ექნება."

მისი მოკუნტული თითები ისეთი ძალით ჩაეჭიდა ბლეინის მკლავს, რომ ვერც იფიქრებდით, ამ სუსტ ხელებში ამხელა ძალა თუ იმალებოდა.

"შენ დიდი ძალით დაგაჯილდოვა განგებამ. ღრმა ცოდნას ეზიარე და ვალდებული ხარ, ის ღმერთის სადიდებლად და კაცობრიობის საკეთილდღეოდ გამოიყენო. მე, ერთი უმწეო ადამიანი, ამ ტვირთსა და ვალდებულებას გაკისრებ. იშვიათად თუ დააწვება ხოლმე ერთ ადამიანს ამხელა ვალდებულება. ნუ გაფლანგავ ამ ნიჭს, ფართო გასაქანი მიეცი და, რაც მთავარია, უკეთური მიზნებისთვის არ გამოიყენო. ეს ნიჭი შენ გადმოგეცა, შეიძლება ამის მიღმა ღვთიური ჩანაფიქრია, რაც ჩვენთვის, მოკვდავთათვის მიუწვდომელია. ამგვარი რამ, დამიჯერე, შემთხვევით არ ხდება."

"ღვთის ხელი," — წამოსცდა ბლეინს, მაგრამ მაშინვე ინანა, როგორც კი ეს სიტყვები წარმოთქვა.

"ღვთიური ხელი, რომელიც შენზე მიუთითებს."

"მე არ მითხოვია ეს ნიჭი. ვინმეს რომ ეკითხა ჩემთვის, მინდოდა თუ არა, მე უარს ვეტყოდი."

"მომიყევი ყველაფერი, გთხოვ, — შეეხვეწა ფლენეგანი, — სულ თავიდან მომიყევი."

"იმ შემთხვევაში, თუ თქვენც მომიყვებით."

"რა უნდა მოგიყვე?"

"თქვენ თქვით, რომ ჩემს კვალს მისდევდით. როგორ მოახერხეთ ეს?"

"ღმერთო ჩემო. მეგონა, უკვე დიდი ხანია, მიხვდი. მეც თქვენნაირი ვარ. საკმაოდ კარგი პარაკინეტიკური ყნოსვა მაქვს."



29

მდინარის პირას მთვლემარე ჰამილტონი გამოჩნდა. ამ ახალაშენებულ ქალაქს მაინც ახასიათებდა ძველი სანაპირო ქალაქებისთვის ჩვეული მსუბუქი ნისლიანობა. მის თავზე მოყვითალო-მოყავისფრო მთები აღმართულიყვნენ, მთების ძირას კი ჭადრაკის დაფასავით დაყოფილი მინდვრები ქალაქის ნაპირამდე გაშლილიყო. საკვამურებიდან დილის ზანტი კვამლი ამოდიოდა, ხოლო თითოეული ღობის ძირას ვარდისფერი ბუჩქი ყვაოდა.

"წყნარი ადგილი ჩანს, — აღნიშნა მამა ფლენეგანმა, — იმედია, იცი, რასაც აკეთებ?"

ბლეინმა თავი დაუკრა: "თქვენ, მამაო, თქვენ რას აპირებთ?"

"ქვემოთ მდინარის პირას ერთი სააბატოა, სადაც სიამოვნებით მიმიღებენ."

"კიდევ შევხვდებით?"

"ალბათ. ჩემს სასაზღვრო ქალაქს დავუბრუნდები და ფიშჰუკის საზღვარზე მარტოხელა მოპიკეტის პოსტს დავიკავებ."

"დაელოდებით, როცა ვინმე საზღვრის გადმოჭრას გადაწყვეტს?"

მღვდელმა თავი დაუქნია, ძრავა გამორთო და ნავი ნაპირისკენ მიმართა. მისი ფსკერი ქვიშასა და კენჭებს ხრაშუნით მოედო. ბლეინი ნავიდან გადმოხტა.

მამა ფლენეგანმა დასავლეთის ცას შეხედა და ჰაერი დაყნოსა, როგორც მეძებარი ყნოსავს ხოლმე გაციებულ კვალს. "ამინდი იცვლება, — გამოაცხადა მან, — მოსალოდნელ ცვლილებას ჰაერში ვგრძნობ ხოლმე."

"გმადლობთ, რომ მომიყვანეთ. ფეხით სიარული გამიჭირდებოდა და ვინ იცის, კიდევ რამდენი დრო დამჭირდებოდა."

"ნახვამდის, შვილო. ღმერთი გფარავდეს."

ბლეინმა ნავს ხელი ჰკრა და წყალში შეაცურა. მღვდელმა ძრავა ჩართო, ნავი მოაბრუნა, ნაპირს მოშორდა და მდინარეს დაუყვა დინების მიმართულებით. დამშვიდობებისას ბლეინს ხელი დაუქნია, მანაც ხელის ქნევით უპასუხა.

ბლეინი ნაპირზე გავიდა და ქალაქისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

მალე ქალაქის ქუჩაში აღმოჩნდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სახლში დაბრუნდა.

ეს არ ჰგავდა მის მშობლიურ ქალაქს, არც უოცნებია მასზე, მაგრამ როგორც კი ფეხი შემოადგა, მაშინვე მიხვდა, რომ აქ ნებისმიერი ადამიანი სიამოვნებით იცხოვრებდა. თავს მყუდროდ და საიმედოდ გრძნობდი, შეგეძლო დღევანდელი დღით უზრუნველად გეცხოვრა, დღეები უშფოთველად გაგეტარებინა და მომავალზე არ გეფიქრა. ირგვლივ სულიერი სიმშვიდე სუფევდა. ამაზე უკეთეს ადგილს ვერ იპოვნიდი დასასახლებლად.

მიუხედავად იმისა, რომ კოხტა და სუფთა სახლების გასწვრივ მიმავალ ქუჩაში არავინ ჩანდა, ბლეინი მაინც გრძნობდა თითოეული სახლის ფანჯრიდან მისკენ მომართულ ფარულ მზერას. კი არ უთვალთვალებდნენ, არამედ უბრალო ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ.

ერთ-ერთი ეზოდან ნაღვლიანი გამომეტყველების მქონე,

ლამაზი მეძებარი გამოლასლასდა და ძველი მეგობარივით აუწყო ნაბიჯი.

ბლეინი გზაჯვარედინს მიუახლოვდა და მარცხნივ რამდენიმე საქმიანი დანიშნულების შენობა შენიშნა, სავარაუდოდ — სავაჭრო ცენტრი, რომლის შესასვლელთან რამდენიმე კაცი შეკრებილიყო.

ქუჩას აუყვა და შენობასთან შეკრებილი ჯგუფისკენ გაემართა, მეძებარიც თან მისდევდა.

"დილა მშვიდობისა, — მიესალმა ბლეინი ხალხს, — ხომ ვერ მეტყვით, სად შეიძლება ენდრიუსის ნახვა?"

წამიერი სიჩუმის შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა წამოიძახა: "მე ვარ ენდრიუსი."

"უნდა დაგელაპარაკოთ."

"დაბრძანდი და ყველას გასაგონად ილაპარაკე," — მიუგო ენდრიუსმა.

"შეპარდ ბლეინი ვარ."

"ვიცით, ვინც ხარ, — შეაწყვეტინა ენდრიუსმა, — ნავი რომ ნაპირს მოაყენეთ, ჯერ კიდევ მაშინ გავიგეთ."

"ჰო, რა თქმა უნდა, როგორ ვერ მივხვდი."

"ეს თომას ჯექსონია, ეს ჯონსტონ კარტერი, ის კი ერნი ელისია," — გააცნო ხალხი ენდრიუსმა.

"სასიამოვნოა თქვენი გაცნობა."

ჯექსონი მიიწია, ადგილი რომ დაეთმო. ბლეინი მასსა და ენდრიუსს შორის ჩამოჯდა.

"საიდან დავიწყო? ალბათ, პირველ რიგში იქიდან, რომ ფიშჰუკიდან გავიქეცი."

"შენ შესახებ ცოტა რამ ვიცით. ჩემმა შვილმა რამდენიმე ღამის წინ გაგიცნო, ვიღაც რაილისთან ერთად იყავი. გასულ ღამეს კი აქ თქვენი მეგობრის ცხედარი მოასვენეს..."

"გორაკზე დავასაფლავეთ, — მოახსენა ჯექსონმა, — ცოტა ნაჩქარევად კი ჩატარდა ცერემონიალი, მაგრამ მაინც დავკრძალეთ. მასაც შორიდან ვიცნობდით."

"გმადლობთ," — მიუგო ბლეინმა.

"გუშინ ღამე კი ბელმონტში რაღაც არეულობა დაიწყო," — განაგრძობდა ჯექსონი.

"მაინცდამაინც არ მოგვწონს, რაც ჩვენ გარშემო ხდება, — შეაწყვეტინა კარტერმა, — განსაკუთრებით ის, რომ სწორედ ჩვენ აღმოვჩნდებით ხოლმე მსგავს უსიამოვნებაში გარეული."

"ძალიან ვწუხვარ, თუ მასეა, — მოუბოდიშა ბლეინმა, — მე ალბათ თქვენთვის კიდევ უფრო მეტი უსიამოვნება მომაქვს. ფინს თუ იცნობთ?"

მათ თავი დაუკრეს.

"გუშინ ველაპარაკე და ისეთი რამ დავტყუე, რასაც საკუთარი ნებით ალბათ არასოდეს მეტყოდა."

ისინი სულმოუთქმელად ელოდნენ, რას იტყოდა ბლეინი.

"გეგმის მიხედვით, ყველაფერი ხვალ, ყველა წმინდანთა დღეს უნდა მოხდეს," — აცნობა ბლეინმა.

ბლეინმა ხალხს დაძაბულობა შეამჩნია და სწრაფად განაგრძო თხრობა: "ფინმა, რაღაც მანქანებით, პარანორმალური ადამიანებისგან გარკვეული სახის იატაკქვეშეთი ჩამოაყალიბა. მათ, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არა აქვთ, ვინ იმალება ამის უკან. მათთვის ეს ფსევდოპატრიოტული მოძრაობაა, კულტურული პროტესტის გამოხატვის ერთგვარი სახე. მართალია, მოძრაობა მაინცდამაინც დიდი წარმატებით არ სარგებლობს და ჯერ მასობრივი ხასიათი არ მიუღია, მაგრამ არც არის საჭირო მისი მასშტაბურობა. მთავარია, რამდენიმე ინციდენტი წინასწარ დაწერილი სცენარის მიხედვით მოეწყოს, რაც საზოგადოებისთვის საშინელი მაგალითის როლს შეასრულებს და მის აღშფოთებას გამოიწვევს."

"და ეს იატაკქვეშეთი, რომელიც, ძირითადად, მოზარდი პარანორმალურებისგან არის დაკომპლექტებული, ყველა წმინდანთა დღისთვის თავისი პარაკინეტიკური უნარების დემონსტრირებას აპირებს. მათ არწმუნებენ, რომ ეს შესანიშნავი შესაძლებლობა იქნება მათი პარაკინეტიკური

ძალების გამოსავლენად და ძველი ანგარიშების გასასწორებლად. ღმერთმა იცის, მთელი ამ ხნის მანძილზე რამხელა ბოღმა დაგროვდებოდა ამ ადამიანებში."

ბლეინმა ლაპარაკი შეწყვიტა და გაქვავებულ სახეებს შეხედა: "წარმოგიდგენიათ, რა ზემოქმედებას მოახდენს ეს რამდენიმე დემონსტრაცია მსოფლიოს ნორმალური მოსახლეობის წარმოსახვაზე, თუკი ფინი მათ ისეთი წარმატებით განახორციელებს, როგორც ჩაფიქრებული აქვს?"

"დემონსტრაციამ ფართო მასშტაბი თუ მიიღო, მცირე ხანში ის მთელ მსოფლიოს მოედება და რამდენიმე დღეში ჩვენი კვალიც კი აღიგვება პირისაგან მიწისა."

კარტერი ბლეინისკენ გადაიხარა და აღელვებულმა ჰკითხა: "როგორ შეიტყვე ამის შესახებ? ფინი არავითარ შემთხვევაში არ გაანდობდა ამას გარეშე პირს."

"გონება გავუცვალე, — გამოუტყდა ბლეინი, — ეს მეთოდი ვარსკვლავებზე მოგზაურობისას ავითვისე. საკუთარი გონების ნიმუში გადავუნერგე და, სამაგიეროდ, მისი გონების დუბლიკატი ავიღე. ეს პირგადასაღები ქაღალდით მუშაობის მსგავსი პროცესია. თეორიულად ცოტათი ძნელია ამის ახსნა, მაგრამ დამიჯერეთ, ეს სავსებით შესაძლებელია."

"არა მგონია, ფინი მადლიერი დაგირჩეს ამ გაცვლისთვის, — აღნიშნა ენდრიუსმა, — შენნაირი არეული ბ̇ღ̇ნება, ცოტა არ იყოს, მძიმე შენაძენია."

"ჰო, ფინი ნამდვილად გულნატკენი დამირჩა," — დაეთანხმა ბლეინი.

"ეს ბავშვები კუდიანებივით მოედებიან არემარეს, — დაამატა კარტერმა, — დაკეტილ კარებში შევარდებიან, მანქანებს ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიტანენ, პატარა შენობებს მიწასთან გაასწორებენ და იქაურობას გამაყრუებელი ღრიალით აიკლებენ."

"სწორედ ეგ არის ამ დემონსტრაციების მიზანი, —

დაეთანხმა ბლეინი, — ეს, ერთი შეხედვით, ძველებური, ტრადიციული ყველა წმინდანის დღე დაზარალებულებისთვის უბოროტო სიცელქე კი აღარ იქნება, არამედ შეგნებული და მიზანმიმართული უკეთურება, თითქოს ქვესკნელის ყველა ბოროტი ძალა იალაღზე გამოუშვეს და ისიც ხალისით მოედო დედამიწის ზურგს. მათ ყველგან გობლინები, მოჩვენებები და მაქციები მოელანდებათ და ისედაც არასასიამოვნო სანახაობა დამფრთხალი ხალხის თვალში ზედმეტად დამახინჯებულ პროპორციებს შეიძენს. დილით ყველა ღობეზე გადახლართული ნაწლავების, ყელგამოჭრილი ადამიანებისა და გატაცებული გოგოების შესახებ ილაპარაკებს, თუმცა ეს ამბები არასოდეს მოხდება იქ, სადაც ამაზე მოყვებიან, არამედ სადმე სხვაგან. ხალხიც დაიჯერებს, ის ხომ ყველანაირ სისულელეს იჯერებს."

"მიუხედავად ამისა, მაინც ძალიან მკაცრად არ უნდა განვიკითხოთ ეს უგნური ბავშვები, თუ ასეთ სისულელეს გააკეთებენ, — აღნიშნა ჯექსონმა, — თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რისი გადატანა მოუხდათ. ჯერ ცხოვრების ასპარეზზეც არ გასულან და უკვე რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწიათ. მათ სდევნიან და აბუჩად იგდებენ. ყოველი ფეხის ნაბიჯზე წინ აღმართული კედელი და მუქარით მოღერებული მუშტი ხვდებათ..."

"ვიცი, — შეაწყვეტინა ბლეინმა, — მაგრამ მაინც უნდა შევაჩეროთ. ხომ არსებობს რაღაც გზა მათ შესაჩერებლად. ტელეპათიის გამოყენება შეგიძლიათ ტელეფონით, ან სხვა რაიმე..."

"სატელეფონო ტელეპათია ორიოდე წლის წინ გამოიგონეს, — აღნიშნა ენდრიუსმა, — მარტივი, მაგრამ ამავდროულად გენიალური აღმოჩენაა."

"ჰოდა, გამოიყენეთ, — არ ეშვებოდა ბლეინი, — დაურეკეთ ყველა ნაცნობს და გააფრთხილეთ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, სთხოვეთ, რომ სხვებს გადასცენ. ისინი

კი, თავის მხრივ, სხვებს დაუკავშირდებიან და ერთგვარი საკომუნიკაციო ჯაჭვი შეიქმნება."

ენდრიუსმა თავი გააქნია: "ყველას ვერ მივწვდებით."

"ცდას რაღა უდგას წინ?" — იყვირა ბლეინმა.

"შევეცდებით, რა თქმა უნდა, — დააიმედა ენდრიუსმა, — ყველაფერს ვიღონებთ, რაც შეგვიძლია. უმადურობაში კი ნუ ჩამოგვართმევთ, პირიქით, ძალიან მადლიერი ვართ შენი, არ ვიცით, როგორ გადაგიხადოთ ეს სიკეთე, მაგრამ..."

"მაგრამ რა?"

"აქ ვერ გაჩერდები, — გააფრთხილა ენდრიუსმა, — ფინი გეძებს, და შეიძლება მთელი ფიშჰუკი შენს კვალს დასდევს. ერთხელაც გაიგებენ, რომ აქ იმალები და კარგი დღე არ დაგვადგება."

"ღმერთო ჩემო," — შეყვირა ბლეინმა, — "აქ იმისთვის მოვედი, რომ..."

"ძალიან ვწუხვართ. გვესმის, რასაც გრძნობ. კი შეგვიძლია, რომ დაგმალოთ, მაგრამ თუ გიპოვნეს..."

"კარგი, რა გაეწყობა. მანქანა მაინც მიშოვნეთ."

ენდრიუსმა თავი გააქნია: "ძალიან სახიფათოა. ფინი ალბათ გზებსაც აკონტროლებს და ნომრებით ადვილად გაარკვევს, საიდანაც მოდიხარ..."

"მაშ რა ვქნა? მთებს შევეხიზნო?"

ენდრიუსმა თავი დაუკრა.

"ცოტა საჭმელს ხომ არ გამატანთ?"

ჯექსონი წამოდგა: "წავალ, რამეს გამოვიტან."

"როცა მდგომარეობა დაწყნარდება, შეგიძლია, მოხვიდე, — მიიპატიჟა ენდრიუსმა, — სიამოვნებით მიგიღებთ."

"გმადლობთ."



30

ბლეინი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მთის მომცრო კალთაზე მარტოხელა ხის ძირას იჯდა და მდინარეს გაჰყურებდა. მთებიდან მდელოზე გარეული იხვების გუნდი დაეშვა, მათი ფრთები ცაზე შავ კონტურებს ხაზავდა.

წელიწადის ამ დროს, — გაიფიქრა ბლეინმა, — ცას ჩრდილოთიდან ჩამოფრენილი ფრინველების გუნდი აბნელებდა ხოლმე, რომლებიც კარს მომდგარი ზამთრის ყინვისა და ქარბუქისგან ცდილობდნენ თავის დაღწევას. დღეს ცოტასღა თუ შეხვდებით — მათი ნაწილი მონადირეების ტყვიას შეეწირა, უმრავლესობა კი შიმშილით დაიხოცა, რადგან ადგილები, სადაც ისინი ბინარობდნენ, გვალვისაგან გადამხმარიყო.

ერთ დროს ეს ადგილები ბიზონებით იყო სავსე, თითქმის ყველა ნაკადულში შეგეძლოთ თახვი დაგეჭირათ. ახლა ბიზონები საერთოდ გადაშენდნენ, ხოლო თახვებს თითო ოროლას თუ შეხვდებით.

ადამიანმა ბოლო მოუღო გარეულ- ფრინველსაც, ბიზონსაც და თახვსაც. მაგრამ ეს მხოლოდ არასრული სია იყო.

ადამიანი ყოველგვარი ცოცხალი არსების განადგურების გასაოცარი უნარითა და ნიჭით გამოირჩეოდა. ზოგჯერ ამის

მიზეზი სიბოროტე და შიში გახლდათ, ზოგჯერ კი ამას უბრალოდ გართობის მიზნით სჩადიოდა.

თუ ფინის გეგმას ხორცი შეესხა, იგივე განმეორდება, ოღონდ სამიზნეები ამჯერად არა ფრინველი ან ცხოველი, არამედ პარანორმალური ადამიანები გახდებიან. ჰამილტონში, რა თქმა უნდა, ყველა შესაძლო ზომას მიიღებდნენ, მაგრამ იქნებოდა კი ეს საკმარისი? მათ მხოლოდ ოცდაექვსი საათი დარჩენოდათ გაფრთხილების გასავრცელებლად. ასე შეიძლება მოსალოდნელი შემთხვევების რიცხვი შემცირდეს, მაგრამ შეძლებენ კი ამ ძალადობის ტალღის მთლიანად შეჩერებას? გამორიცხული იყო.

თუმცა მას რაღა ანაღვლებდა? რატომ უნდა ედარდა იმ ხალხზე, რომელმაც უარი თქვა მასზე. ბლეინი მათ მოძმეებად მიიჩნევდა და ამ ქალაქში, როგორც საკუთარ სახლში, ისე იგრძნო თავი, მათ კი გამოაძევეს.

ბლეინი გადაიხარა და შესაკრავი გადაუჭირა ზურგჩანთას, სადაც ჯექსონს საჭმელი და ყავით სავსე მათარა ჩაედო. ზურჩანთა გაასწორა და ახლოს დაიდგა.

შორს, სამხრეთით, ჯერ კიდევ მოჩანდა ჰამილტონის საკვამურებიდან ამომავალი კვამლი. გამოძევებით გამოწვეული ბრაზის მიუხედავად, ბლეინს მაინც არ ტოვებდა სიმშვიდის ის უცნაური გრძნობა, ქალაქის ქუჩებში სეირნობისას რომ დაეუფლა, თითქოს სახლში დაბრუნებულიყოს. ასეთი ქალაქები ალბათ მრავლად იქნებოდა გაშენებული მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში — თანამედროვე გეტოები, სადაც პარანორმალური ადამიანები წყნარად და შეუმჩნევლად ცხოვრობდნენ. ისინი დედამიწის ყველაზე მიუწვდომელ კუნჭულებში იმალებოდნენ და იმ დღის იმედით საზრდოობდნენ, როცა მათი შვილები და შვილიშვილები თავისუფლად ისეირნებდნენ ქუჩაში, ისევე, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი.

ვინ იცის, რამხელა ნიჭი და გენია იმალებოდა ასეთ სოფლებში, მაგრამ ეს შესაძლებლობები ტყუილად ცდებოდა,

რადგან მსოფლიო ვერასდროს შეიტყობდა მათ შესახებ ამ უსუსური ხალხის წინააღმდეგ მიმართული სიძულვილისა და შეუწყნარებლობის გამო. არადა, რამხელა სარგებელს მოუტანდა მსოფლიოს ეს უდიდესი პოტენციალი.

ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ ასეთ სიძულვილსა და შეუწყნარებლობას სწორედ ფინისნაირი მდაბალი სულის პედანტები და ეგოისტები თესავდნენ, მისნაირი სასტიკი პურიტანელები, პატარა ადამიანები, რომლებიც მთელი ძალით მიისწრაფვოდნენ ძალაუფლებისკენ, საკუთარი უსუსურობის შესანიღბავად.

კაცობრიობის ისტორიისთვის უკიდურესობებია დამახასიათებელი, მისთვის უცხოა ოქროს შუალედები.

მაგალითად, მეცნიერება ავიღოთ. მან ვარსკვლავების მოყვარულთა იმედები ვერ გაამართლა და ზურგი შეაქციეს. მეცნიერთა ჯგუფი კი ისევ განაგრძობდა მუშაობას კაცობრიობის საკეთილდღეოდ. მეცნიერებას სიკვდილი არ უწერია. ის იმდენ ხანს იარსებებს, რამდენ ხანსაც იქნება ადამიანი. ფიშჰუკში მეცნიერთა მთელი არმია მუშაობდა, რომელიც გალაქტიკიდან წარმოშობილ პრობლემებს იკვლევდა, თუმცა საზოგადოების ფართო მასისთვის ის მაინც წარსულის მოვლენად რჩებოდა და უკვე ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა.

დრო ცოტა ჰქონდა, უნდა ეჩქარა. აქ დარჩენა და დროის გაყვანა უაზრობა იყო, გზა უნდა გაეგრძლებინა. სხვა გამოსავალი არც დარჩენოდა. ჰამილტონი, რაც მთავარია, გაფრთხილებული ჰყავდა. მართალია, დახმარებაზე უარი უთხრეს, მაგრამ იქნებ მაინც მოემოქმედათ რამე.

პიერში წავიდოდა და ჰარიეტს იკითხავდა იმ ძველ კაფეში, რომლის შესასვლელთან ლოსის რქები ეკიდა. იქნებ სთოუნის ხალხსაც შეხვედროდა და მისთვის ღამის გასათევი გამოენახათ.

ბლეინი წამოდგა, ზურგჩანთა მხარზე გადაიკიდა და ხეს მოსცილდა.

მოულოდნელად მის უკან შრიალის ხმა გაისმა და ბლეინი მთელი ძალით, მკვეთრად შეტრიალდა.

ბალახზე გოგო დაეშვა, ჩიტივით გრაციოზული და დილასავით მშვენიერი.

მისი სილამაზით მოჯადოებულმა ბლეინმა თვალი ვერ მოსწყვიტა მას. აქამდე, ფაქტობრივად, არც ენახა. ერთხელ რაილის მანქანის ფარების მკრთალ შუქზე იხილა და მეორედ გასულ ღამეს, სულ რაღაც ორიოდე წუთით და ისიც სასტუმროს ოთახის ბინდბუნდში.

გოგო მიწაზე დაეშვა და ბლეინს მიუახლოვდა.

"ახლახანს გავიგე, — მოახსენა მან, — რა სამარცხვინო საქციელია მათი მხრიდან. შენ ხომ ჩვენს დასახმარებლად მოხვედი..."

"არა უშავს, — დაამშვიდა ბლეინმა, — მართალია, გული მტკივა, მაგრამ მესმის მათი."

"მთელი ცხოვრება მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორმე ნორმალური, ადამიანური პირობები შეგვიქმნან, ცდილობენ, სახალხო ყურადღებისგან ჩვენს დაცვას. ამიტომაც ვერ წავიდოდნენ რისკზე."

"ვიცი, — დაეთანხმა ბლეინი, — თუმცა ისეთებსაც ვიცნობ, რომლებიც რისკზე უკან არ იხევენ."

"ახალგაზრდები სერიოზულ პრობლემებს ვუქმნით. ალბათ ყველა წმინდანთა დღის აღნიშნა მაინცდამაინც ჭკვიანური აზრი არ არის, მაგრამ რა ვქნათ, რაღაცით ხომ უნდა გავერთოთ, ისედაც მთელი დღეები სახლში ვსხედვართ. თანაც დღესასწაულები ყოველდღე ხომ არ ტარდება."

"ძალიან დავალებული ვარ, — მიუგო ბლეინმა, — შენ რომ არა, პოლიცია სთოუნის ცხედარს აღმოაჩენდა და მე და ჰარიეტს კარგი დღე არ გაგვითენდებოდა."

"რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ. დრო ცოტა გვქონდა, ამიტომ ცერემონიალი სრულად ვერ ჩავატარეთ.

სამაგიეროდ, ბევრი ხალხი შეიკრიბა. გორაკზე დავასაფლავეთ."

"ვიცი, მითხრა მამაშენმა."

"წარწერა და ქვა ვერ დავდეთ. უბრალოდ, მიწა ამოვჭერით და რომ დავასაფლავეთ, ისევ დავაფინეთ ზემოდან, ამობურცულ საფლავს ვერ დავტოვებდით. ვერავინ გაიგებს, რომ იქ ვინმეა დაკრძალული, მაგრამ ჩვენ ყველას ღრმად გვაქვს გონებაში ჩაბეჭდილი."

"მე და სთოუნი დიდი ხნის მეგობრები ვიყავით."

"ფიშჰუკში?"

ბლეინმა თავი დაუქნია.

"მომიყევი რამე ფიშჰუკზე, მისტერ ბლეინ."

"შეპი მქვია."

"კარგი, შეპ. მომიყევი."

"ფიშჰუკი დიდი ქალაქია, მომაღლო ადგილას მდებარეობს (გორაკზე აღმართული კოშკები, მოედნები, ტროტუარები, ხეებისა და მასიური შენობების რიგები, დახლები, მაღაზიები, დუქნები, ხალხი...).

შეპ, ჩვენ რატომ არ გვიშვებენ იქ?

არ გიშვებენ?

ზოგიერთმა მივწერეთ კიდეც. მათ საპასუხოდ რაღაც ბლანკები გამოგვიგზავნეს შესავსებად, ჩვენც შევავსეთ და გავუგზავეთ. მას მერე აღარ გამოგვხმაურებიან.

ფიშჰუკში მოხვედრას ათასობით ადამიანი ცდილობს.

მერე რა, რატომ არ გვიშვებენ? ფიშჰუკი რაღაც ნაკრძალივით გახდებოდა ჩვენთვის, სადაც დევნილი და შეშინებული ხალხი, როგორც იქნა, შვებას იგრძნობს:

ბლეინს ხმა არ ამოუღია. მისი გონება ანიტასთვის უკვე დახურული იყო.

შეპ! შეპ, რა მოხდა? ჩემმა ნათქვამმა ხომ არ გაგაბრაზა?

მისმინე, ანიტა, ფიშჰუკს თქვენ არ სჭირდებით. ფიშჰუკი შეიცვალა, ისეთი სანუკვარი ადგილი აღარაა, როგორც უწინ, ნამდვილ კორპორაციად იქცა.

კი, მაგრამ ჩვენ ხომ ყოველთვის...

ვიცი, ვიცი, ვიცი. ფიშჰუკი წლების მანძილზე აღთქმულ ქვეყანასავით წარმოგედგინათ, ერთადერთი იმედი და სასოება, იდეალური უტოპია. მაგრამ ახლა სულ სხვაგვარად არის საქმე. ფიშჰუკი ნამდვილ ბუღალტერიად იქცა, სადაც სარგებელსა და ზარალს ითვლიან. მას უეჭვლად წინსვლა და პროგრესი მოაქვს კაცობრიობისთვის. თეორიულად და პრაქტიკულადაც ფიშჰუკი ერთ-ერთ ყველაზე გრანდიოზულ პროექტად ითვლება, მაგრამ ის ჰუმანურობას, ადამიანურობას არის მოკლებული. ამ ქალაქისთვის უცხოა მისი სხვა პარანორმალური თანამემამულეებისადმი თანადგომისა და მზრუნველობის გრძნობა. თუ ჩვენ აღთქმულ ქვეყანაში ცხოვრება გვინდა, ჩვენივე ძალებით უნდა ავაგოთ ის. უპირველესი ამოცანა კი ფინისა და მისი ავბედითი ოპერაციის შეჩერებაა...

სწორედ იმისთვის მოვედი, რომ გითხრა, აზრი არა აქვს, არაფერი არ გამოგვივა.

ტელეფონით სცადეთ?

ვცადეთ. ორ ქალაქში გავედით, როგორც იქნა, დეტროიტსა და ჩიკაგოში. შემდეგ ნიუ-იორკი ვცადეთ, მაგრამ ოპერატორმა ვერ დაგვაკავშირა. წარმოგიდგენია, ნიუ-იორკში ვერ დავრეკეთ. დენვერიც ვცადეთ, მაგრამ ხაზი დაზიანებულია. ჰოდა, ჩვენც შეგვეშინდა და ფარ-ხმალი დავყარეთ...

დაყარეთ? ახლა არ შეიძლება ფარ-ხმალის დაყრა!

ჩვენ რამდენიმე ტელეპათი გვყავს, ვისაც შორ მანძილებზე შეუძლიათ კავშირის დამყარება. მათი მეშვეობით ვცდილობთ, სხვებს დავუკავშირდეთ და გავაფრთხილოთ, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ისინი ბევრნი არ არიან და ყველასთან კავშირის დამყარება ჭირს. ამჟამად შორეული ტელეპათია პრაქტიკულად იშვიათად გამოიყენება, ის თითქმის აღარავის სჭირდება.

ბლეინი ყურებს არ უჯერებდა.

ნიუ-იორკს ვერ დაუკავშირდნენ! დენვერი გათიშულია!

ნუთუ ფინი ყველაფერს სრულად აკონტროლებს? წარმოუდგენელია.

არა მგონია, სრულად აკონტროლებდეს, — ჩაერთო ანიტა, — მას ალბათ ხალხი ჰყავს განლაგებული სტრატეგიულ ადგილებში. არ არის გამორიცხული, რომ საინფორმაციო ქსელის პარალიზება მოახდინოს. მისი ხალხი გამუდმებით უთვალთვალებს და აკონტროლებს ჰამილტონის მაგვარ დასახლებებს. ჩვენ თვეში ერთ საერთაშორისო ზარზე მეტს არ ვაკეთებთ და უცბად თხუთმეტ წუთში ზედიზედ სამჯერ ვრეკავთ. ცხადია, ფინის ხალხმა რაღაც იეჭვა და მაშინვე დაგვბლოკა.

ბლეინმა მხრებიდან ზურგჩანთა და მათარა მოიხსნა და ძირს დააწყო.

"მე უკან ვბრუნდები," — გამოაცხადა ბლეინმა.

"აზრი არა აქვს, — არწმუნებდა ანიტა, — ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია."

"კი, რა თქმა უნდა, ალბათ მასეც არის, მაგრამ კიდევ ერთი შანსი არსებობს. პიერში უნდა ჩავიდე, თუ ხელი არაფერმა შემიშალა."

"პიერი ის ქალაქია, სადაც სთოუნი ცხოვრობდა?"

"შენ რა, სთოუნს იცნობდი?"

"მხოლოდ მსმენია მასზე. ამბობენ, რომ ის პარანორმალური ადამიანებისთვის რობინ ჰუდის მსგავსი გმირი იყო. სთოუნი ჩვენთვის იბრძოდა."

"თუ შევძელი და მის ორგანიზაციას დავუკავშირდი და მგონი შევძლებ..."

"ის ქალიც იქ ცხოვრობს?"

"ჰარიეტს გულისხმობ? მხოლოდ მას შეუძლია, სთოუნის ჯგუფთან დამაკავშიროს. შეიძლება პიერში სულაც არ აღმოჩნდეს. არც ვიცი, სად ვეძებო."

"თუ საღამომდე დაიცდი, ჩვენ წაგიყვანთ, უფრო სწორად, ჰაერით გადაგიყვანთ. დღისით ეს ძალიან სახიფათოა.

უამრავი ვინმე გვითვალთვალებს."

"ოცდაათიოდე მილია, ფეხითაც კი მივალ."

"მდინარით უფრო გაგიადვილდება. კანოეს მართვა შეგიძლია?"

"ერთ დროს შემეძლო. იმედია, არ დამვიწყებია."

"ასე უფრო უსაფრთხოა. მდინარეზე თითქმის არ მოძრაობენ. ჩემს ბიძაშვილს კანოე ჰყავს, ქალაქის შორიახლოს, მდინარის ზემოთ ცხოვრობს. აგიხსნი, როგორ უნდა მიაგნო."



31

ამინდი მოულოდნელად გაუარესდა. მის ასეთ უეცარ ცვალებადობაზე არაფერი მიუთითებდა, გარდა ნაცრისფერი ღრუბლებისა, რომლებიც ნელ-ნელა ფარავდნენ ცას. შუადღისთვის ღრუბლები ჯერ კიდევ ზანტად მიიზლაზნებოდნენ, მაგრამ მალე მოღონიერდნენ და ჯერ მზე შთანთქეს, შემდეგ კი მთლიანად მოედვნენ ცას.

ბლეინმა თავგამეტებით მოუსვა ნიჩბებს, ცდილობდა, დარჩენილი მილები რაც შეიძლება სწრაფად გაელია. რამდენი წელია, რაც ნიჩაბი არ მოესვა, ასეთი ფიზიკური დატვირთვა დიდი ხანია არ ჰქონია. დაღლილობისგან გაქვავებულმა მკლავებმა შეგრძნება დაკარგეს, მხრები გაუშეშდა და ზურგში რკინის ჭვალი გაუჯდა, რომელიც თითოეულ მოსმაზე უფრო მჭიდროდ უჭერდა თავის კლანჭებს. მისი ხელები ერთ დიდ წყლულად იქცა.

მიუხედავად დაღლილობისა, ბლეინს ტემპი არ შეუჩერებია, რადგან იცოდა, რომ არც ერთი წუთი არ უნდა დაეკარგა. პიერში რომ მივიდოდა, პირველ რიგში იმ პარაკინეტიკოსების ჯგუფი უნდა მოეძებნა, სთოუნთან რომ თანამშრომლობდნენ. მაშინვე რომც იპოვოს, შეიძლება დახმარებაზე უარიც უთხრან. ალბათ ეჭვის თვალით

შეხედავენ და მისი ვინაობის დადგენას შეეცდებიან, შეიძლება ფინის აგენტობაც კი დააბრალონ. ჰარიეტი თუ იქ დახვდება, ალბათ გამოესარჩლება, ერთ-ორ სიტყვას მაინც შეაწევს. თუმცა რა იცოდა, ჰარიეტს რა ადგილი ეჭირა პიერის მაცხოვრებლებში ან მის სიტყვას რა წონა ჰქონდა. და საერთოდ, იყო კი იქ ჰარიეტი?

მაგრამ ეს მისი ერთადერთი და უკანასნელი შანსი გახლდათ და მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. აუცილებლად უნდა ჩასულიყო პიერში, მოეძებნა ის ხალხი და დაერწმუნებინა საკუთარი სიტყვების სიმართლეში.

ჰამილტონისა და ასობით ჰამილტონისნაირი ქალაქის ბედი ბლეინის წარმატებაზე იყო დამოკიდებული. მისი მარცხი იმ პარანორმალური ადამიანებისთვისაც იქნებოდა საბედისწერო, რომლებიც ჰამილტონის საზღვრებს გარეთ ცხოვრობდნენ იმ ხალხის გარემოცვაში, საკუთარ თავს ნორმალურად რომ თვლიდნენ, და მათი სისასტიკით დაშინებულები ზედმეტი ნაბიჯის გადადგმასაც ვერ ბედავდნენ.

რა თქმა უნდა, ყველა არ დაიღუპება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ თითქმის ყველა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ქარის მიერ ატაცებული ფოთოლივით გაიფანტება და იძულებული შეიქნება, ნებისმიერ კუთხე-კუნჭულს შეაფაროს თავი. პარაკინეტიკოსები იმ მცირედ, სუსტ კავშირსაც დაკარგავენ თავიანთ ნორმალურ მეზობლებთან, რასაც მრავალი წლის მცდელობის შედეგად მიაღწიეს და ჩატეხილი ხიდის აღდგენას, ამ მოზღვავებული მძვინვარების ჩაქრობასა და მომავალ თაობაში შემწყნარებლობის გრძნობის გაღვივებას ალბათ კიდევ ორმოცდათი წელი დასჭირდება.

მის წინ უღიმღამო და თითქმის უიმედო პანორამა იშლებოდა. დახმარებას ან თანაგრძნობას ბლეინი ნამდვილად არ მოელოდა. ფიშჰუკს ყველაზე დიდი დახმარების აღმოჩენა შეეძლო, მაგრამ მის გარშემო ატეხილი

ამბები მას არც ადარდებდა. ამაში კერბი რენდისთან საუბრისას დარწმუნდა.

ამ ფიქრმა სიმწრის შეგრძნება დაუტოვა, ჩაიარა და მისი ერთადერთი ნუგეშიც წაიღო — იმ ფიშჰუკის დროინდელი საამური მოგონება. ბლეინს უყვარდა ფიშჰუკი და არ უნდოდა იქიდან წამოსვლა. ბოლო მომენტამდე თავს ებრძოდა და ცდილობდა, დარჩენის მიზეზი მოეძებნა. ზოგჯერ ნანობდა კიდეც გაპარვას, ვერ გაეგო, სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა, იქიდან რომ გაიქცა. მაგრამ ახლა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არ შეცდა. ალბათ ცოტა ადრეც უნდა წამოსულიყო ან შეიძლება საერთოდაც არ დაეჭირა მათთან არავითარი კავშირი. მისი ადგილი აქ, ყველასგან მიტოვებულ პარაკინეტიკოსებს შორის იყო. ახლა ეს ხალხი ერთადერთ იმედს წარმოადგენდა, მხოლოდ მათი მეშვეობით შეძლებდა პარანორმალური კინეტიკა ფრთების გაშლას.

ისინი ხელმოცარული, გარიყული ადამიანები იყვნენ, რადგან საყოველთაოდ მიღებულ ნორმებიდან გადაუხვიეს და კაცობრიობის მიერ დაწესებულ წესებსა და კანონებს არ დაემორჩილნენ. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ პარანორმალური თვისებების გამო, ისინი კაცობრიობის განვითარების ერთადერთ იმედს წარმოადგენდნენ, რადგან ჩვეულებრივ ადამიანებს, რომლებმაც ქვეყნიერება აქამდე მოიყვანეს, უკვე აღარ შესწევდათ ძალა, მათზე დაკისრებული მისიის შესრულება ისეთივე წარმატებით გაეგრძელებინათ. მათ საკუთარი შესაძლებლობები ყველა სფეროში ამოწურეს. ადამიანთა მოდგმა მუდმივ ევოლუციას განიცდის. თანამედროვე ეპოქაში მან ახალი შესაძლებლობები შეიძინა. ამ შესაძლებლობებმაც ისეთივე ევოლუცია განიცადეს, როგორიც დედამიწის ზურგზე მობინადრე არსებებმა. ყველაფერი იქიდან დაიწყო, როდესაც, ქიმიური რეაქციების წყალობით, ქაოტურ პლანეტაზე სიცოცხლის პირველი ნიშანწყალი გაჩნდა.

ჩვეულებრივი ადამიანები მათ შერეკილებს, ჯადოქრებსა და ბნელეთის მოციქულებს ეძახდნენ. ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი ერი თითოეულ თაობას გარკვეულ ნორმებსა და სტანდარტებს უწესებს. ეს ნორმები საყოველთაო წესებსა და უნივერსალურ საზომებს კი არ ეფუძნება, არამედ — საზოგადოებრივ აზრს, რომელიც, თავის მხრივ ცრურწმენას, შეუწყნარებლობას, გაუკულმართებულ აზროვნებასა და ადამიანის გონებისთვის დამახასიათებელ მერყევ ლოგიკას ემყარება.

თუმცა სხვაზე რას იტყოდა, განა თვითონ კი ჯდებოდა საყოველთაოდ დაწესებულ ნორმებში, განა თვითონ ყველაზე მეტად არ ჰქონდა ტვინი გადაბრუნებული? ის ხომ ბოლომდე ადამიანიც არ იყო.

ბლეინს ჰამილტონი და ანიტა ენდრიუსი გაახსენდა და განუზომელი ტკივილი იგრძნო. ჰქონდა კი უფლება, ვინმესგან ან რამისგან მოეთხოვა, რომ ის საკუთარი ნაწილივით მიეღო, მნიშვნელობა არა აქვს, ქალი იქნებოდა ეს თუ ქალაქი.

ბლეინმა მთელი ძალით მოუსვა ნიჩბებს. ცდილობდა, ამით მის თავს მოწოლილი ფიქრებისა და კითხვების კორიანტელი გაეფანტა, მოსვენებას რომ არ აძლევდნენ.

სუსტმა ნიავმა მალე ჩრდილოეთით გადაინაცვლა, ძალა მოიკრიბა და ძლიერ ქარად გადაიქცა, წყლის ზედაპირს გადაუარა და აალივლივა. შორიდან ქაფმოდებული ზვირთები წამოიშალა და მდინარის მშვიდი ზედაპირი ააფორიაქა.

ნაცრისფერი ბინდით გადაკრული ცა დედამიწაზე ჩამოწვა, მზე მიჩრდილა და ბნელი სურადასავით გადაეფარა მდინარეს. უეცარი შემოღამებით აღელვებული ჩიტები ნერვიული ჟღურტულით უვლიდნენ ტირიფნარს.

ბლეინს გაახსენდა, როგორ ყნოსავდა ჰაერს მოხუცი მღვდელი და ავდრის მოახლოებას ამცნობდა. "ამინდი ფუჭდება," — გააფრთხილა მან.

მაგრამ ვერც ამინდი და სხვა რამ მას ვერ შეაჩერებდა, — ფიქრობდა ბლეინი და ნიჩბებით გამეტებით აპობდა წყალს. ვერანაირი ძალა დედამიწის ზურგზე ვერ შეუშლიდა ხელს.

ბლეინს სახეზე პირველი თოვლის ფანტელები დაადნა. მდინარეს უშველებელი ნაცრისფერი ფარდა ჩამოეფარა, რომელიც ნელ-ნელა მისკენ მოიწევდა. თოვლის ფიფქები შრიალით ედებოდა წყლის ზედაპირს, მის ზურგს უკან კი მძვინვარე ქარი ნადირს დადევნებული, დამშეული მტაცებელივით ღმუოდა, რომელსაც, ეს-ესაა, მსხვერპლი უნდა დაუსხლტეს და მოსალოდნელი მარცხით გაშმაგებული გამეტებით მისდევს მას.

ნაპირი ასიოდე იარდში მოჩანდა. ბლეინმა გადაწყვიტა, დარჩენილი გზა ფეხით გაეგრძელებინა. მართალია, დრო არ ითმენდა და თითოეული წუთი ძვირფასი იყო, მაგრამ მდინარეზე გადაადგილება აღარ შეიძლებოდა.

მკვეთრი მოძრაობით ნავი ნაპირისკენ მიმართა. უცბად ქარბუქმა მომეტებული ძალით შემოუტია და ბლეინს თოვლის ნაკადი შემოაყარა. ირგვლივ არაფერი მოჩანდა. ქარი ზუზუნით ატრიალებდა თოვლის ფანტელებს და გაშმაგებით ათამაშებდა ტალღების გიჟურ რიტმს აყოლილ ნავს. უკვე არც ნაპირი მოჩანდა, არც მისი კლდოვანი შვერილები. იქაურობა წყალს, ქარბუქსა და თოვლს შთაენთქა.

უცბად ნავი წაბორძიკდა და მკვეთრად შემოტრიალდა. ბლეინმა მიმართულების შეგრძნება დაკარგა, წამიც და ის მდინარის მორევში აღმოჩნდა, წარმოდგენა არ ჰქონდა, სად შეიძლებოდა გამქრალიყო ნაპირი. მიხვდა, რომ ნიჩბების მოსმას არ ჰქონდა აზრი. ნიჩბები ნავის კიდეზე შემოაწყო და მთელი ძალით შეეცადა, მოზღვავებული ტალღებისთვის წინააღმდეგობა გაეწია და წონასწორობა შეენარჩუნებინა.

ჰაერში სუსხმა და სიცივემ იმატა და ქარი ყინულის დანასავით ატანდა ბლეინის გაოფლილ სხეულში. თოვლი მის

წარბებსა და თმაში გროვდებოდა, დნებოდა და წვეთებად ჩამოსდიოდა სახეზე.

ნავი თავგამოდებით ირწეოდა ტალღების მორევში. ამ შეტევისგან გაოგნებული და დაბნეული ბლეინი ნავის ქიმზე იჯდა და არ იცოდა, რა ექნა.

უცბად მის წინ ოციოდე მეტრში გაშლილ ნაცრისფერ ნისლში თოვლით დაბურული ტირიფნარი ამოტივტიდა. ნავი პირდაპირ მისკენ მიემართებოდა.

ბლეინს მხოლოდ იმის დრო დარჩა, რომ შეჯახებისთვის მომზადებულიყო, სხეული დაეძაბა და ხელები მაგრად ჩაეჭიდა ნავის კიდეებისთვის.

ნავი ჭრიალით შეიჭრა ტირიფნარში. მის ხმას ქარი ახშობდა და შორს გადაჰქონდა. ნავი ბუჩქნარს შეეჯახა, წამოიწია, გვერდზე გადაიხარა და გადაბრუნდა. ბლეინი წყალში აღმოჩნდა.

მოულოდნელობისგან გაოგნებულ ბლეინს ნერვიული ქოშინი აუტყდა, ფეხი რბილ, სლიპინა ზედაპირზე გაასწორა და ტირიფის ტოტებს ჩაეჭიდა, წონასწორობა რომ აღედგინა.

ნავის იმედი, როგორც ჩანდა, ვეღარ ექნებოდა, რადგან წყალში რაღაცა მოსდებოდა მის ფსკერს და სიგრძეზე გადაესერა. ნავი წყლით ივსებოდა და ნელ-ნელა იძირებოდა.

ბლეინმა ბორძიკით გაიკვლია გზა ბუჩქნარში და, როგორც იქნა, მყარ ნიადაგზე დადგა ფეხი, მაგრამ წყლიდან რომ ამოვიდა, მხოლოდ მაშინ იგრძნო, რომ წყალი თბილი იყო. ყინულივით ცივმა ქარმა მის სველ ტანსაცმელში შეაღწია და ნემსებივით დაუარა სხეულში.

აკანკალებული იდგა და უყურებდა, როგორ დრეკდა წელში ერთმანეთში გადახლართულ ტირიფებს ქარი.

დახურული ადგილი უნდა მოეძებნა, სადაც ცეცხლს გააჩაღებდა, თუ არა და ამ ღამეს ვერ გაატანდა. ხელი თვალებთან მიიტანა, და საათს დახედა. საათი მხოლოდ ოთხს აჩვენებდა.

ალბათ ერთ საათში ღამე ჩამოწვებოდა. მანამდე ისეთი ადგილი უნდა ეპოვნა, ქარიშხლისა და სიცივისგან რომ დაიცავდა.

ბლეინი ნაპირს დაუყვა. მოულოდნელად გაქვავდა, გაახსენდა, რომ ასანთი არ ჰქონდა და ცეცხლს ვერ დაანთებდა. რომც ჰქონოდა, ისე იქნებოდა წყლით გაჟღენთილი, ვერაფერში გამოიყენებდა. თუმცა მათი გაშრობა შეიძლებოდა. ბლეინი შეჩერდა და გაშმაგებით მოსინჯა სველი ჯიბეები, მაგრამ ასანთი ვერ იპოვა.

გზა გააგრძელა. თუ საიმედო თავშესაფარს მოძებნიდა, ცეცხლის გარეშეც გაიტანდა თავს. რომელიმე ნაქცეული ხის ფესვქვეშ მიმალული ორმოც გამოდგებოდა ან ხის ფულურო, ან სხვა რაიმე დახურული სივრცე, სადაც შეძვრებოდა და ქარბუქისგან დაიცავდა თავს. იქნებ სხეულის სითბომ ნაწილობრივ მაინც გაუშროს წყლით გაჟღენთილი ტანსაცმელი და გაყინვის საშუალება არ მისცეს.

მაგრამ ასეთი ხე ვერსად იპოვნა. ირგვლივ მარტო უსასრულო ტირიფები მოჩანდნენ, ქარის თითოეულ დაბერვაზე რკალებივით რომ იხრებოდნენ.

ბლეინი გაჭირვებით მიიკვლევდა გზას ტირიფნარში. ფეხი უცურავდა, მოქცევის შედეგად ნაპირზე მოყრილ მორებს აწყდებოდა და მიწაზე ენარცხებოდა. ტანსაცმელი ლაფში ამოეგანგლა და ყინვისგან გაქვავდა, მაგრამ ბლეინი მაინც განაგრძობდა გზას. არ უნდა გაჩერებულიყო, სასწრაფოდ თავშესაფარი უნდა მოეძებნა. მოძრაობა რომ შეეჩერებინა, გაიყინებოდა.

ისევ წაბორძიკდა და მუხლებზე დაეცა. უცბად იქვე ნაპირას, ტირიფების ტოტებში გახერგილი ნავი შენიშნა, რომელიც ნახევრად ჩაძირულიყო და ქარიშხლისგან აგორებულ ტალღებზე მძიმედ ტორტმანებდა.

ნავი!

სახე ტალახიანი ხელებით მოიწმინდა, უკეთესად რომ შეეხედა.

ეს მისი ნავი იყო. სხვა ვერც იქნებოდა!

სწორედ ეს ნავი დატოვა, ნაპირზე რომ გაეგრძელებინა გზა.

და სწორედ ამ ნავს დაუბრუნდა!

ბლეინმა თავისი დაქანცული გონება დაძაბა, შესაძლო პასუხი რომ მოეძებნა. პასუხი ერთადერთი შეიძლება ყოფილიყო.

ტირიფნარით გარშემორტყმულ, პატარა კუნძულზე აღმოჩნდა გამომწყვდეული.

ამ კუნძულზე მხოლოდ ტირიფები ხარობდა. ვერც წაქცეულ ხეს ნახავდით სადმე და ვერც ფულუროს. ასანთი არ ჰქონდა, რომც ჰქონოდა, ცეცხლს მაინც ვერ გააჩაღებდა, ახლომახლო ორიოდე ფიჩხის გარდა, არანაირი შეშა არ მოჩანდა.

შარვალი ფიცარივით გაუშეშდა და ფეხის ყოველი მოხვრისას ტკაცატკუცი გაჰქონდა. ეგონა, რომ ტემპერატურა ყოველ წუთში ეცემოდა, თუმცა სხეული ისე გაყინვოდა, ველარ აზროვნებდა.

ბლეინი ნელ-ნელა წამოდგა ფეხზე, გასწორდა და გამჭოლ ქარს შეუშვირა შუბლი. თოვლი შრიალით ედებოდა ტირიფნარს, ხოლო ქარიშხლისგან აფორიაქებული მდინარე გამძვინვარებული ღმუოდა. სიბნელე წვებოდა. მის გონებაში კიდევ ერთი, ჯერ კიდევ გაუხმოვანებელი, კითხვის პასუხი ისმოდა.

ამ ღამეს კუნძულზე ვერ გადაიტანდა, მისგან თავის დაღწევა კი გამორიცხული იყო. ნაპირი, იცოდა, სულ რაღაც ასიოდე მეტრში მდებარეობდა, მაგრამ იქამდე რომც მიეღწია, შეღავათს მაინც არ მოუტანდა. იქაც ისეთივე გაუსაძლის ყოფაში ჩავარდებოდა, როგორც აქ, კუნძულზე.

და მაინც აქედან გაღწევაზე უნდა ეფიქრა, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ამ გაუბედურებულ მიწის ნაგლეჯზე, ერთი ბეწო კუნძულზე ნამდვილად ვერ დალევდა სულს. იმიტომ კი არა, რომ მისი სიცოცხლე ძალიან ძვირად

ფასობდა, უბრალოდ იმიტომ, რომ მის გარდა ახლა ვერავინ შეატყობინებდა პიერს კარსმომდგარი საფრთხის შესახებ.

ბედის ირონიაც სწორედ ამაში მდგომარეობდა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ამ კუნძულს ვერ მოშორდებოდა და პიერში ვერასოდეს ჩააღწევდა. ვინ იცის, რამდენი ხანი მოუნევდა ასე ყოფნა, შეიძლება ვერც ვერასოდეს ეპოვნათ.

გაზაფხულის წყალდიდობა რომ დადგებოდა, წყალი მოსწყვეტდა მის სხეულს ნაპირს და ხის ნამტვრევებთან და სხვა ნაგავთან ერთად დინების მიმართულებით გაიტაცებდა.

ბლეინი შემოტრიალდა და წყლის კიდეს მოშორდა. ხშირ ტირიფნარში ისეთი მოფარებული ადგილი მოძებნა, რომელიც ნანილობრივ მაინც დაიცავდა ქარისგან, ფრთხილად ჩამოჯდა და ფეხები გაშალა. მექანიკური მოძრაობით ქურთუკის საყელო ასწია, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ ხელები გულზე დაიწყო, გათოშილი თითები თბილ იღლიებში ოდნავ შემალა და თვალი გარსჩამოწოლილ სიბნელეს გაუსწორა.

მაგრამ ასე არ უნდა მოქცეულიყო. როცა ადამიანი მსგავს მდგომარეობაში ჩავარდება, აუცილებლად უნდა იმოძრაოს, ძილი უნდა დააფრთხოს, არ მისცეს სისხლს ძარღვებში გაყინვის საშუალება, ხელ-ფეხი უნდა ამოძრაოს და ნებისმიერი ხერხით იბრძოლოს სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

თუმცა რა აზრი ჰქონდა ამ ყველაფერს. შეიძლება, მთელი თავგანწირვით ებრძოლო სიკვდილს და საბოლოო ჯამში მაინც დამარცხებული გამოხვიდე.

მიუხედავად ამისა, მაინც უნდა მოეძებნა გამოსავალი.

თუ კაცს ჭკუა უჭრის, რაღაცას უსათუოდ მოიფიქრებს.

მთავარია, — გაიფიქრა ბლეინმა და ეცადა საკუთარი თავი გაემიჯნა ამ სიტუაციისგან და უფრო ობიექტურად შეეფასებინა ის, — საკუთარი თავის, სხეულის ამ კუნძულიდან სხვა, უფრო უსაფრთხო ადგილზე გადატანა.

მაგრამ სად უნდა ეძებნა უსაფრთხო ადგილი?

თუმცა, რად უნდოდა ძებნა?

იცოდა ერთი ადგილი. შეეძლო ცისფერ ოთახში დაბრუნებულიყო, სადაც ვარდისფერი არსება ბინადრობდა.

მაგრამ არა! ასე თუ მოიქცეოდა, ცისფერ ოთახში მხოლოდ მისი გონება გადაინაცვლებდა, სხეული კი ისევ ამ მიუსაფარ კუნძულზე, ყინვაში დარჩებოდა და უკან დაბრუნებულს სიცოცხლის ნიშანწყალიც არ დაეტყობოდა.

აი გონებასთან ერთად სხეულის გადატანაც რომ შეეძლოს, ყველაფერი კარგად იქნებოდა.

მაგრამ ამას ვერ გააკეთებდა.

არც იქნებოდა გონივრული და შეიძლება დამღუპველი შედეგიც გამოეწვია.

გონება დაძაბა და ეცადა, იმ შორეულ პლანეტაზე საჭირო ინფორმაცია მოეძია, თითქოს იპოვნა კიდეც რაღაც, მაგრამ მალე დაუსხლტა. ბლეინი არ დანებდა, ძებნა განაგრძო და, როგორც იქნა, საკუთარი გონების ყველაზე ღრმა და შორეულ კუნჭულებში ჩამარხული მონაცემები იპოვნა. თვალი გადაავლო მას და ელდა ეცა.

იქ საკუთარი სხეულით ერთი წუთიც ვერ გაძლებდა!

ვარდისფერი პლანეტა ადამიანისთვის სასიკვდილო იყო.

ნუთუ სხვა პლანეტები არ არსებობდა, სადაც ის არა მარტო გონებით, არამედ სხეულითაც შეძლებდა გამგზავრებას?

სიცივისა და სისველისგან მოკრუნჩხული ბლეინი უკვე ველარ გრძნობდა ვერც სიცივეს და ვერც სისველეს.

ვარდისფერი არსების გამოხმობა სცადა, მაგრამ — უშედეგოდ. ის არ გამოხმაურებია.

ბლეინმა ისევ დაუძახა. არც ამჯერად გაუცია ვარდისფერ არსებას ხმა. საკუთარ გონებას ჩხრეკდა, სინჯავდა, მაგრამ მისი ნაკვალევიც კი ვერსად შენიშნა. მიუხედავად იმისა, რომ ძებნას განაგრძობდა, მაინც დარწმუნებული იყო, თითქოს შინაგანმა ხმამ ამცნო, რომ ძებნასა და ძახილს აზრი არ ჰქონდა, მაინც ვერ გააგონებდა. ვარდისფერ არსებას უკვე

ველარ იხილავდა, რადგან ის ცალკე აღარ არსებობდა, ბლეინის ნაწილად იქცა. მათი გონება ერთმანეთს შეერწყა და ვარდისფერი არსება და ადამიანი ახლა უკვე მათ უცნაურ ნაზავს შეეცვალა.

ვარდისფერი არსების ძებნა საკუთარი თავის ძებნის ტოლფასი იყო.

რაც არ უნდა მომხდრიყო, ამჯერად მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებით უნდა ეხსნა თავი და ზებუნებრივი ძალის იმედი არ ჰქონოდა.

მის ტვინში ინახებოდა უამრავი სახის ინფორმაცია, იდეა, ცოდნა, ამ ცოდნის რეალიზაციის ხერხები და მეთოდები. აქვე დაგროვილიყო აგრეთვე ის ჭუჭყი, რასაც ლამბერტ ფინი ერქვა.

ბლეინი საკუთარ გონებას ჩაუღრმავდა, გონებრივი არქივის ყველა თარო და განყოფილება გადაქექა, არ გამოუტოვებია არც ერთი ყუთი, არც ერთი რეზერვუარი, სადაც წარმოუდგენელი მოცულობის, ჯერ კიდევ დაულაგებელი, დაუხარისხებელი მონაცემები ინახებოდა — ვარდისფერი პლანეტის დაბნეული და უთავბოლო არსების მიერ წლების მანძილზე დაგროვილი ინფორმაციის ქაოტური გროვა.

საკუთარი გონების ლაბირინთებში აღმოჩენილმა ზღვა ინფორმაციამ განსხვავებული, ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციები აღუძრა. იყო ისეთი რამ, რაც აღშფოთებასა და ზიზღს იწვევდა მასში, ზოგიერთი რამ აღტაცებას გვრიდა, მაგრამ ამ კონკრეტული შემთხვევისთვის არც ერთი მათგანი არ გამოდგებოდა.

და მთელი ამ ხნის მანძილზე ლამბერტ ფინის გონება არ შორდებოდა მას, ფეხებში ედებოდა, მოსვენებას არ აძლევდა. ბლეინის ტვინს ვერ მოეხერხებინა ფინის გონების შთანთქმა და როგორც ჩანდა, ვერც ვერასდროს მოახერხებდა. ფინის აჩრდილი ყოველთვის კუთხეში მიმალული იქნებოდა და

პირველივე შესაძლებლობაზე შეეცდებოდა, ხელი შეეშალა მისთვის, გზა გადაეღობა.

ბლეინმა გონება დაძაბა, ერთი ძლიერი მოსმით ჩამოიშორა გზიდან ეს არეული ინფორმაცია, შორეულ კუთხეში გადაისროლა და ძებნა განაგრძო, მაგრამ ფინის გაუკუღმართებული, საშინელი პლანეტის კოშმარისგან წარმოშობილი ბინძური აზრები და შეხედულებები ჯიუტად მიიკვლევდნენ გზას მისი ცნობიერების ზედაპირისკენ.

და როცა, სულ მცირე, მეასედ მაინც მოისროლა ეს ჭუჭყი, როგორც იქნა, იმის მცირედი ნაწილი იპოვა, რასაც ეძებდა, ძალა მოიკრიბა და დაედევნა. ფინის გონებაში დაბუდებულ სიბინძურესა და წუმპეში გადაადგილება ძალიან ჭირდა. ის, რაც აღმოაჩინა, ვარდისფერი არსების მიერ დანატოვარ ცოდნის რეზერვუარში კი არ იყო, არამედ ჭუჭყის იმ გროვაში, რომელიც ფინისგან ერგო საჩუქრად.

ამ არამიწიერი, დამახინჯებული და საზარელი ცოდნის სათავეს იმ კოშმარულ პლანეტამდე მიჰყავდა, საიდანაც ფინი შეშლილი დაბრუნდა. ბლეინმა ამ ცოდნას გონებრივად შეავლო ხელი და თვალნათლივ დაინახა მისი მუშაობის პრინციპი, დარწმუნდა მოქმედების სიმარტივეში, აითვისა ცნებების ლოგიკა და ნაწილობრივ ჩასწვდა იმ შიშისა და დანაშაულის გრძნობას, რომელმაც ფინს სიძულვილითა და ბოროტებით აღსავსე საქმეებისკენ უბიძგა.

ეს ცოდნა ყველა ვარსკვლავისკენ ხსნიდა გზას, ფიზიკურად უღებდა კარს მთელი სამყაროს ყველა ცოცხალ ორგანიზმს. ფინი ამ ცოდნას ეზიარა და მისმა მერყევმა ფსიქიკამ ერთი დასკვნა გამოიტანა — თუ ეს მართლა ასეა, გამოდის, რომ დედამიწაც ხელმისაწვდომია და განსაკუთრებით იმ პლანეტისთვის, რომელიც ამ ცოდნას ფლობს. ეს ცოდნა მისთვის მხოლოდ და მხოლოდ დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენდა ახალაღმოჩენილ პლანეტასა და მის მშობლიურ პლანეტას შორის, არც უფიქრია იმ უდიდეს შესაძლებლობებზე, რომელსაც ეს

ცოდნა კაცობრიობას უქმიდა, ვერ გაეგო, თუ რა დიდი სარგებლის პოვნა შეეძლო ადამიანს მისი მეშვეობით. ამიერიდან მთელი თავისი არსებით იბრძოლებდა იმისთვის, რომ მისი პლანეტა ძველ, სანუკვარ ყოფას დაბრუნებოდა და ერთხელ და სამუდამოდ გაეწყვიტა ყველანაირი კავშირი გარე სამყაროსთან. ფიშჰუკს და პარაკინეტიკოსებს შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა, ძალას არ იშურებდა მათ გასანადგურებლად, რადგან თვლიდა, რომ სწორედ ისინი იქნებოდნენ მომავალში ფიშჰუკის მამოძრავებელი ძალა.

ფინის აზრით, თუ დედამიწა პატარა, წყნარ პლანეტად დარჩებოდა და ზედმეტ ყურადღებას არ მიიქცევდა, მაშინ ეს დამანგრეველი ცვლილებები მას გვერდს აუვლიდნენ და მის მშობლიური პლანეტის კეთილდღეობას საფრთხე არ შეექმნებოდა.

ამიერიდან ბლეინს უნდა გამოეყენებინა იქაური ცოდნა და საკუთარი ძალებით ეხსნა თავი ამ გასაჭირისგან.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მის გონებაში ყველანაირი ინფორმაცია ინახებოდა ვარსკვლავებზე საკუთარი სხეულით მოგზაურობის შესახებ. სწორედ ეს ინფორმაცია იყო ახლა მისი გადარჩენის ერთადერთი შანსი.

ახლა უსაფრთხო, სასურველი პლანეტა უნდა მოეძებნა, რომელზეც მისი ორგანიზმი არსებობას შეძლებდა.

ბლეინი ისევ ჩაუღრმავდა საკუთარ გონებას და მის თაროებზე ინფორმაციის ქაოსიდან ამოკრეფილი და კატალოგებად დაწყობილი მონაცემები აღმოაჩინა ათასობით პლანეტაზე, რომლებიც ვარდისფერ არსებას მოენახულებინა.

ამ პლანეტების უმრავლესობა ადამიანის სუსტი ორგანიზმისთვის არ გამოდგებოდა. ბლეინი შიშმა მოიცვა, ნუთუ ახლა, როცა ყველანაირი ინფორმაცია ჰქონდა, უმოკლეს დროში უსაფრთხო პლანეტის პოვნას ვერ შეძლებდა?

მძვინვარე ქარიშხლის ღმუილმა მისი ფიქრების ნაკადი

გაარღვია. ბლეინმა მთელი სიცხადით შეიგრძნო ყინვის შემოტევა. ფეხის ამოძრავება სცადა, მაგრამ უშედეგოდ, ადგილიდანაც ვერ დაძრა. ქარმა დამცინავი ზუზუნით ჩაუქროლა და მდინარის ზედაპირზე გადაირბინა. სანამ ქარიშხალი ისევ შეუტევდა, ჰაერში სიჩუმე ჩამოვარდა და ბლეინს ესმოდა, როგორ ეცემოდა შრიალით თოვლის გუნდები ტირიფნარს.

ქარიშხლის ღმუილს, ყინვასა და თოვლს განერიდა და მოულოდნელად სწორედ იმ პლანეტას გადააწყდა, რომელსაც ასეთი სასოებით ეძებდა.

მან ორჯერ გადაამოწმა მონაცემები, ორივეჯერ დადებითი შედეგები მიიღო. ბლეინმა კოორდინატები გამოიანგარიშა, გონებაში პლანეტის სურათი წარმოსახა, შემდეგ გონების მთელი ძალების დაძაბვით ერთი ძლიერი, შორი ნახტომი გააკეთა და უეცრად მზის მოულოდნელი სიმხურვალე იგრძნო.

ტირიფნარში აღარ ისმოდა ქარიშხლის ღმუილისა და გრიალის ხმა. ბლეინი პირქვე იწვა ბალახით მოფენილ მდელოზე და მიწისა და ბალახის სუნს შეიგრძნობდა.

ზურგზე გადმობრუნდა და წამოდგა.

აღტაცებისგან სუნთქვა შეეკრა.

ნამდვილ სამოთხეში აღმოჩნდა!



32

მზე შუადღეს გადასულიყო და დასავლეთის ცისკენ იხრებოდა. ბლეინი კლდოვან შვერილებს ჩაუყვა ჰამილტონის მიმართულებით. შემოდგომის პირველ ქარიშხალს მიწა წვიმით გაეჟღინთა.

როგორც იქნა, მოაღწია — როგორც ყოველთვის, ცოტათი დააგვიანდა, ცოტა ადრეც მოსულიყო, კარგი იქნებოდა, რადგან მზე როცა მიეფარებოდა ჰორიზონტს, ყველა წმინდანთა დღეც დადგებოდა.

ნეტა რამდენი პარანორმალური ქალაქის გაფრთხილება მოასწრეს ჰამილტონში? შეიძლება იმაზე მეტის გაკეთება მოახერხეს, ვიდრე ბლეინი წარმოიდგენდა, შეიძლება ბედმაც გაულიმოს და ყველაფერი კარგად დამთავრდეს.

და უცბად მოხუცი მღვდლის სიტყვები გაახსენდა: უზენაესის ხელი შენკენ არის მომართულიო.

დადგება დრო, როცა მსოფლიო თვალს გადაავლებს წარსულ მოვლენებს და დანაშაულის გრძნობა შეიპყრობს დღევანდელი სიგიჟის, სიბრმავის, უგუნურობისა და შეუწყნარებლობის გამო. დადგება დრო, როცა პარაკინეტიკოსების წინააღმდეგ წარმოთქმული ყველა ბრალდება გაბათილდება და ხალხიც მეტ კეთილგონიერებას გამოიჩენს. ერთ დღესაც ეკლესია აღიარებს პარანორმალურ

შესაძლებლობებს და მას კაცობრიობის განვითარების ბუნებრივ პირობად მიიჩნევს. აღარ იარსებებს სოციალური და ეკონომიკური ბარიერი პარანორმალურ და ნორმალურ ხალხს შორის, თუ, რა თქმა უნდა, იმ დროისთვის კიდევ იარსებებენ ნორმალური ადამიანები. დადგება დრო, როცა ფიშჰუკი დაკარგავს აქტუალობას და მისი ფუნქციონირების საჭიროებაც აღარ იქნება, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს დედამიწაც ზედმეტი აღმოჩნდეს.

რადგანაც ბლეინმა პასუხს მიაკვლია. მართალია, პიერამდე ვერ მიაღწია, მაგრამ გამოსავალი მაინც იპოვა. იძულებული გახდა (ალბათ ღვთის ნებით), ეპოვა.

ეს იმ გამოსავალს სჯობდა, სთოუნს რომ მოეფიქრებინა. ამ მეთოდს ვერ შეედრებოდა ფიშჰუკში მანამდე გამოყენებული ვერც ერთი მეთოდი. ის ბოლომდე გამორიცხავდა მანქანების გამოყენებას და მთლიანად ადამიანურ ძალას ემყარებოდა, ადამიანის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს სრულ გასაქანს აძლევდა და ფართოდ უხსნიდა სამყაროს კარებს. ვარსკვლავები უკვე ძალიან ახლოს იყვნენ, ერთი ხელის გაწვდომაზე.

ბლეინი კლდოვან ნაპირს დაუყვა და ჰამილტონისკენ მიმავალ ბილიკს გადააწყდა. ცაზე ისევ დაცურავდნენ ღრუბლების ნაგლეჯები — ქარიშხლის არიერგარდი, ველს რომ გადაურბინა. ტროტუარებზე დამდნარი თოვლის გუბეები იდგა, ხოლო დასავლეთის ქარი, მცხუნვარე მზის მიუხედავად, მაინც ისუსხებოდა.

ბლეინი ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ ქუჩას მიუყვებოდა. ორიოდე ბლოკის იქით ხალხი შენიშნა. ჰამილტონის მკვიდრნი მოედანზე მაღაზიასთან შეკრებილიყვნენ და მას ელოდებოდნენ, პატარა ჯგუფი კი არა, როგორც მაშინ, არამედ მთელი მასა. აქ, როგორც ჩანდა, ჰამილტონის მოსახლეობის უმრავლესობას მოეყარა თავი.

მოედანი გადაჭრა და იქ შეკრებილ ხალხს დააკვირდა, იმ იმედით, რომ ანიტას მოკრავდა თვალს, მაგრამ არსად ჩანდა.

მაღაზიის კიბეზე რამდენიმე კაცი ჩამომჯდარიყო, ზუსტად ის ოთხეული, ადრე რომ შეეგება.

ბლეინი მიუახლოვდა მათ და შეჩერდა.

"გამარჯობათ," — მიესალმა.

"გავიგეთ, დაბრუნება გადაწყვიტე," — მიუგო ენდრიუსმა.

"პიერამდე ვერ მივაღწიე, — მოახსენა ბლეინმა, — მინდოდა, იქ დახმარება მეთხოვა, მაგრამ მდინარეზე ქარიშხალმა მიწია."

"სატელეფონო ხაზი დაგვიბლოკეს, — შესჩივლა ჯექსონმა, — მაგრამ ჩვენ შორი მანძილის ტელეპათია გამოვიყენეთ. რამდენიმე ჯგუფს დავუკავშირდით და ისინი შეგვპირდნენ, რომ ხმას გაავრცელებდნენ, ოღონდ ვერ გეტყვი, რამდენად შორს."

"არც ის ვიცით, რამდენად ზუსტად გადასცემენ ინფორმაციას," — დაამატა ენდრიუსმა.

"თქვენს ტელეპათებს კიდევ აქვთ კავშირი ამ ჯგუფებთან?" — იკითხა ბლეინმა.

ენდრიუსმა თავი დაუკრა.

"ფინის ხალხი არც გამოჩენილა, — განაგრძო ჯექსონმა, — ეს ძალიან გვაფიქრებს. ალბათ ფინს რაღაც შეემთხვა."

"აუცილებლად უნდა გამოჩენილიყვნენ, — დაეთანხმა ენდრიუსი, — რაღაცას რომ არ შეეშალა ხელი, აქაურობას თავდაყირა დააყენებდნენ შენს ძებნაში."

"იქნებ მე არც მეძებენ."

"იქნებ შენ სულაც არა ხარ ის, ვის როლსაც თამაშობ," — ცივად მიუგო ჯექსონმა.

ბლეინი სიმწრისგან აენთო. "ეშმაკსაც წაუღიხართ, — იღრიალა მან, — თქვენი გულისთვის კინაღამ დავიღუპე. ამიერიდან თქვენ თვითონ იზრუნეთ საკუთარ თავებზე."

ბრაზმორეული ბლეინი მკვეთრად შემოტრიალდა და გაეცალა.

ეს მისთვის უცხო ბრძოლა იყო, ისევე, როგორც აქ შეკრებილი ხალხისთვის. მაგრამ მან ეს ბრძოლა გაითავისა

და სთოუნის გამო ჩაება მასში, ჰარიეტის გამო, რენდის გამო, მამა ფლენეგანის გამო, რომელმაც ნახევარი კონტინენტი შემოიარა მის დევნაში. კიდევ რამდენიმე მიზეზი არსებობდა, რის გამოც თვალი გაუსწორა ამ გამოწვევას, ეს რაღაც გამოუცნობი, მისთვის გაუგებარი და აქამდე უცნობი ფენომენი იყო — რაღაც იდიოტური იდეალიზმი, მასში ღრმად გამჯდარი სამართლიანობის გრძნობა, მოძალადეების, პედანტებისა და რეფორმისტების მიმართ განცდილი ძლიერი ანტიპათია.

ბლეინი ამ ქალაქში ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული მოვიდა და უნდოდა, ეს ნიჭი მათთვის გაეზიარებინა. მათ კიდევ მადლიერების ნაცვლად ეჭვის შეიტანეს მის პატიოსნებასა და კეთილ განზრახვაში.

ეშმაკსაც წაუღია, — თქვა მან თავისთვის.

ისედაც ბევრი რამ გააკეთა, იმაზე მეტიც, რაც უნდა გაეკეთებინა. მეტს აღარ შეიწუხებდა თავს.

ერთადერთი საქმე დარჩა გასაკეთებელი, რომელიც აუცილებლად უნდა მიეყვანა ბოლომდე. იმას რომ მოამთავრებდა, მერე ყველაფრისგან დაისვენებდა და გულთან ახლოს აღარაფერს მიიტანდა.

"შეპ!"

ბლეინი არ შეჩერებულა.

"შეპ!"

შეჩერდა და მიტრიალდა.

ხალხის მასას ანიტა გამოეყო და მისკენ წამოვიდა.

"არა," — უთხრა ბლეინმა.

"იმათ გარდა, აქ უამრავი ადამიანია, ვინც სიამოვნებით მოგისმენს. მაგალითად — ჩვენ," — დააიმედა ანიტამ.

ანიტა მართალს ამბობდა.

ისინი მართლაც ბევრნი იყვნენ.

ანიტა და ქალაქის მოსახლეობის ის ნაწილი — ქალები, ბავშვები და კაცები, რომლებსაც ძალაუფლება არ ჰქონდათ, რადგანაც სწორედ ის უღვივებს ადამიანს ეჭვისა და

უნდობლობის გრძნობას. ძალაუფლება და პასუხისმგელობის ტვირთი ხელს უშლის მას რეალიზაციაში, აიძულებს, დაივიწყოს საკუთარი თავი და პიროვნებიდან რაღაც კორპორატიულ მანქანად გადაიქცეს.

ამ მხრივ პარანორმალური ადამიანი და პარანორმალური საზოგადოება არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ადამიანებისგან. პარანორმალური თვისებები, საბოლოო ჯამში, კი არ ცვლის ადამიანს, არამედ საკუთარი თავის სრულყოფის შესაძლებლობას აძლევს.

"მართალია, მიზანს ვერ მიაღწიე, — მოახსენა ანიტამ, — სიმართლე გითხრა, წარმატების დიდი იმედი არც გვქონდა, მაგრამ ხომ სცადე. განა ეს საკმარისი არ არის?"

ბლეინი ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა მას.

"არა ხარ მართალი. მიზანს როგორ არ მივაღწიე," — ამტკიცებდა ბლეინი.

უცბად მოედანზე შეკრებილი ხალხის მასა, რომელსაც ანიტა ენდრიუსი მოუძღოდა, მისკენ ნელი და უხმო ნაბიჯებით გამოემართა.

ანიტა ბლეინს მიუახლოვდა, გაჩერდა და თვალებში ჩახედა.

"სად იყავი, — ჰკითხა მან და ეცადა, ხმისთვის არ აეწია, — ჩვენები მდინარეზე გეძებდნენ და ნავის გარდა, ვერაფერი იპოვნეს."

ბლეინმა ხელი წამოიღო, ანიტას მკლავზე მოავლო და მაგრად მიიკრა გვერდზე.

"ყველაფერს მოგიყვები, — შეჰპირდა, — ოღონდ მოგვიანებით. რა უნდა ამ ხალხს?"

"ეს ხალხი ისეა დაშინებული, რომ ნებისმიერ, თუნდაც მცირედ, იმედსაც სიამოვნებით მოეჭიდება," — აუხსნა ანიტამ.

ხალხი მიუახლოვდა და ათიოდე ნაბიჯში გაჩერდა მისგან. "ფიშჰუკიდან ხარ, არა?" — იკითხა კაცმა წინა რიგიდან.

ბლეინმა თავი დაუქნია: "დიახ, უფრო სწორად, ვიყავი. ახლა მათთან არანაირი კავშირი აღარ მაქვს."

"ისევე, როგორც ფინს?"

"დიახ," — დაეთანხმა ბლეინი.

"და ისევე, როგორც სთოუნს, — დაუმატა ანიტამ, — სთოუნიც ფიშჰუკიდან იყო."

"თქვენ ჩემი გეშინიათ, გეშინიათ ფინის და საერთოდ მთელი მსოფლიოს წინაშე თრთით. მაგრამ მე გეტყვით, რომ ისეთი ადგილი ვიპოვნე, სადაც შიში აღარ შეგაწუხებთ, უბრალოდ დაივიწყებთ, რა არის შიში. მე თქვენთვის ახალი სამყარო აღმოვაჩინე და ის თქვენი გახდება, თუ ამას მოინდომებთ."

"რა სამყარო, მისტერ? უცხო პლანეტა?"

"ეს პლანეტა დედამიწის საუკეთესო კუთხეებს არ ჩამოუვარდება სილამაზით, — არწმუნებდა ბლეინი, — სწორედ იქიდან მოვდივარ..."

"კი, მაგრამ შენ ხომ კლდოვან შვერილებს მოუყვებოდი, ჩვენი თვალით გნახეთ."

"გაჩუმდით, იდიოტებო, — დაუყვირა ანიტამ, — დააცადეთ, დაამთავროს სათქმელი."

"მე ვიპოვნე, თუ მოვიტაცე, როგორც გინდათ, ისე უწოდეთ, კოსმოსში სხეულითა და გონებით მოგზაურობის მეთოდი. გუშინ სწორედ იმ პლანეტაზე ვიყავი და დილით დავბრუნდი. ამისთვის მანქანა სულაც არ არის საჭირო. საჭიროა, მხოლოდ მის არსს ჩასწვდე."

"მაგრამ როგორ გავიგოთ, რომ..."

"მაგას ვერ გაიგებთ, — გააწყვეტინა ბლეინმა, — ჩემი სიტყვის უნდა დაიჯეროთ."

"ფიშჰუკიც კი არ..."

"ამიერიდან ფიშჰუკი წარსულს ჩაბარდა, აღარ არის საჭირო, — მშვიდად წარმოთქვა ბლეინმა, — ჩვენ ნებისმიერ ადგილას მოვხვდებით, სადაც მოვისურვებთ და ამისთვის სულაც არ გვჭირდება სპეციალური მანქანა. სწორედ ეს არის

პარანორმალური კვლევების მიზანი. მანქანები ყოველთვის ყავარჯნის მოვალეობას ასრულებდა, რომელსაც კოჭლი გონება ეყრდნობოდა. ახლა თავისუფლად შეგვიძლია, ეს ყავარჯენი მოვიშოროთ, ამის აუცილებლობა აღარ არსებობს."

ხალხის მასას გამხდარი სახის ქალი გამოეყო.

"გვეყოფა რა ეს მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი, — გამოაცხადა, — შენ ამბობ, რომ პლანეტა იპოვე?"

"დიახ, ვიპოვე."

"შეგიძლია, წაგვიყვანო იქ?"

"სულაც არ გჭირდებათ, რომ მე წაგიყვანოთ. თქვენითაც თავისუფლად შეძლებთ იქ მოხვედრას."

"შენ ჩვენიანი ხარ, ახალგაზრდავ. სანდომიანი სახე გაქვს, იმედია, არ მოგვატყუებ."

ბლეინს გაეცინა: "არ მოგატყუებთ."

"მაშინ გვითხარი, როგორ მოვხვდეთ იქ."

ვიღაცამ იყვირა: "რისი წამოღება შეიძლება?"

ბლეინმა თავი გააქნია: "ბევრი არაფრის. დედებს შეუძლიათ, ჩვილი ბავშვები წამოიყვანონ, შეგიძლიათ, ასევე, ზურგჩანთა გადაიკიდოთ, ან მხარზე ჩანთა გადაიგდოთ, წამოიღოთ სამთითა, ნაჯახი ან კიდევ სხვა რამე იარაღი."

ხალხის რიგებიდან კაცი გამოვიდა და წარმოთქვა: "თუ წასვლას ვაპირებთ, ვიჩქაროთ. უნდა გადავწყვიტოთ, რა წავიღოთ თან. პროდუქტები აუცილებლად დაგვჭირდება, ასევე მცენარეების თესლები, ტანსაცმელი და იარაღები..."

"თუ რამე დაგრჩებათ, თავისუფლად შეგიძლიათ, დაბრუნდეთ და მოგვიანებით წაიღოთ," — დააიმედა ბლეინმა.

"კარგი, — თქვა გრძელსახიანმა ქალმა, — აქ რაღატომ ვდგავართ, რატომ ვკარგავთ დროს? პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. მოგვიყევი, სერ."

"ერთი რამ მინდა გკითხოთ. თქვენ შორის არიან შორი მანძილის ტელეპათები?"

"არიან, — დაუდასტურა ქალმა, — მე, მაგალითად, მარტლი და ჯიმი, აი იმ რიგში."

"თქვენ სხვებსაც უნდა შეატყობინოთ და რაც შეიძლება მეტს, ხოლო იმ სხვებმა, თავის მხრივ კიდევ სხვებს გააგებინონ. კარი რაც შეიძლება მეტ ადამიანს უნდა გავუღოთ."

"კარგი, — დაეთანხმა ქალი, — აგვიხსენი."

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა და მათ ნელი ნაბიჯით მჭიდრო წრე შეკრეს ბლეინისა და ანიტას გარშემო.

"მზად ხართ? — იკითხა ბლეინმა, — მაშინ მიყურეთ."

ბლეინმა იგრძნო, როგორ აყვა ხალხი, ცდილობდნენ, მისი გონება წაეკითხათ და მასთან ერთად ერთ მთლიან გონებად ქცეულიყვნენ.

აქ, ამ წრეში უამრავი გონება გაერთიანდა და სითბოთი, ადამიანურობითა და სიკეთით სავსე ერთ ვეებერთელა გონებად იქცა. მასში გაზაფხულის იასამნის არომატი, მდინარის ღამისეული ნისლის სურნელი, დილაადრიან რომ ეპარება დედამიწას და მეწამულ ფერად შეღებილი მდელოების შემოდგომის ელფერი იგრძნობოდა. ბუხარში მხიარულად გიზგიზებდა ცეცხლი, ბუხრის წინ ძაღლი ნებივრობდა, ხოლო გარეთ კარნიზებზე მქროლავი ქარის ზუზუნი ისმოდა. აქ სახლის ტკბილი შეგრძნება სუფევდა, თითქოს აქაურობა მეგობრების თავშეყრის ადგილად ქცეულიყო, თითქოს ოჯახის წევრები დილა მშვიდობისას და ღამე მშვიდობისას უსურვებდნენ ერთმანეთს, გზის იქით მეზობლის სილუეტი მოჩანდა, ხოლო შორიდან ეკლესიის ზარების რეკვა ისმოდა.

ბლეინი სინანულით მოსცილდა ამ სანუკვარ ადგილს და ხალხს მიუბრუნდა.

ახლა იმ პლანეტის კოორდინატები ჩაიწერეთ, სადაც გაემგზავრებით, — მოახსენა მათ.

კოორდინატები გადასცა, თან მეორეჯერ გაიმეორა, რაიმე შეცდომა რომ აეცილებინა თავიდან.

აი ასე უნდა გააკეთოთ.

ბლეინმა უცხო პლანეტის საზარელი, არამიწიერი სურათი გამოიხმო და მათ დასანახად გამოფინა, რომ შეჩვეოდნენ, შემდეგ თანდათანობით გააცნო მისი პრინციპი და ლოგიკა, თუმცა ამის საჭიროებას ვერ ხედავდა, რადგან ამ ცოდნის არსის გასაგებად თვალის შევლებაც საკმარისი იყო, რომ პრინციპი და ლოგიკა ნათელი გამხდარიყო.

შემდეგ კიდევ ერთხელ გაიმეორა, გაუგებრობა რომ არ მომხდარიყო.

ხალხი იმდენად შეძრა იქ ნანახმა, რომ უკან დაიხია, მხოლოდ ანიტა დარჩა მის გვერდით.

გაოგნებულები მიშტერებოდნენ ბლეინს.

რა მოხდა? — ჰკითხა ანიტას.

ანიტამ მხრები აიჩეჩა, — რა საშინელებაა.

ბუნებრივია, საშინელებაა. ამაზე უარესიც მინახავს.

რა თქმა უნდა, სწორედ იმაში იყო საქმე, რომ მას უარესიც უნახავს, ამ ხალხს კი მთელი ცხოვრება დედამიწაზე აქვს გატარებული და დედამიწის გარდა, სხვაგან არც ყოფილა. ისინი არასოდეს გადაყრიან არამიწიერ ცნებებს. ის სამყარო, რომელიც მათ ბლეინმა გადაუშალა, მათთვის უცხო იყო, თუმცა არც თუ ისე საზარელი. უცხო პლანეტებზე იმდენი ამაზრზენი რამე არსებობდა, რომ თმა ყალყზე დაგიდგებოდათ. ეს ცნებები დედამიწისთვის იყო მიუღებელი, იმ პლანეტისთვის კი, სადაც ისინი არსებობდნენ, სავსებით ნორმალური და ბუნებრივი ჩანდა.

გამოიყენებენ ამ ცოდნას? — იკითხა ბლეინმა.

გავიგე თქვენი ლაპარაკი, — ჩაერთო გრძელსახიანი ქალი, — მართალია, ამაზრზენია, მაგრამ მაინც გამოვიყენებთ. სხვა გზა მაინც არ გვაქვს.

შეგიძლიათ აქ დარჩეთ.

გამოვიყენებთ, — გაიმეორა ქალმა.

და სხვასაც გადასცემთ ამ ცოდნას?

ყველანაირად ვეცდებით.

ხალხი იშლებოდა. ისინი დაბნეულები და შეძრწუნებულები იქვნენ, თითქოს ვიღაცის მიერ მოყოლილი ბინძური ანეკდოტი მოისმინეს საეკლესიო შეკრებაზე.

შენ რას იტყვი? — ჰკითხა ანიტას.

ანიტა ნელა მოტრიალდა, მისთვის თვალი რომ გაესწორებინა: სწორად მოიქეცი, შეპ. სხვანაირად ვერც მოიქცოდი. რა იცოდი, როგორ მიიღებდნენ ამას?

მართალია, არ ვიცოდი. იმდენი ხანია, უცხო სამყაროებს ვეკონტაქტები, რომ მეც უცხოდ ვიქეცი. მე ნახევრად ადამიანი ვარ...

ჩუმად, — გააჩუმა ანიტამ, — ვიცი, ვინც ხარ.

დარწმუნებული ხარ, რომ იცი, ანიტა?

აბსოლუტურად, — უპასუხა მან.

ბლეინმა ნუთით მაგრად ჩაიხუტა ანიტა, შემდეგ ხელი გაუშვა და თვალებში ჩახედა. მისი ღიმილის უკან ცრემლები იმალებოდა.

"უნდა წავიდე, — უთხრა მან, — კიდევ ერთი რამ დამრჩა გასაკეთებელი."

"ლამბერტ ფინი?"

ბლეინმა თავი დაუქნია.

"არა, — იყვირა ანიტამ, — არ გინდა!"

"იმას არ ვაპირებ, შენ რაც გაიფიქრე, — დაამშვიდა ბლეინმა, — თუმცა, ღმერთია მოწამე, სიამოვნებით გავაკეთებდი ამას. სიამოვნებით მოვუღებდი ბოლოს. ამ ბოლო წუთამდე სწორედ მაგის გაკეთებას ვაპირებდი."

"ძალიან სახიფათოა იქ დაბრუნება."

"არ ვიცი, ვნახოთ. შევეცდები, ცოტა დრო მოვიგო. ჩემ გარდა ამას ვერავინ შეძლებს. ფინს ეშინია ჩემი."

"მანქანა არ დაგჭირდება?"

"თუ მიშოვნი, კარგს იზამ."

"ჩვენ ალბათ შეღამებისას გავალთ. მობრუნდები მანამდე?"

"არ ვიცი," — უპასუხა ბლეინმა.

"ხომ წამოხვალ ჩვენთან ერთად? ხომ გაგვიძღვები?"

"არ ვიცი, ანიტა, ვერ შეგპირდები. ნუ მაიძულებ, რომ შეგპირდე."

"წასული რომ დაგვხვდე, ხომ გამოგვედევნები?"

ბლეინს პასუხი არ გაუცია, მხოლოდ თავი გააქნია.

არ იცოდა, რა ეპასუხა.



33

სასტუმროს ფოიე თითქმის ცარიელი იყო, ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. ერთი კაცი სავარძელში იჯდა და თვლემდა, მეორე გაზეთს კითხულობდა. დახლის უკან კლერკი იდგა, მოწყენილი სახით იყურებოდა ფანჯარაში და დაბნეული ატკაცუნებდა თითებს.

ბლეინმა ფოიე გაიარა და ვიწრო დერეფანს დაუყვა კიბისკენ. ლიფტის ოპერატორი ღია კართან იდგა.

"ლიფტი, სერ?"— თავაზიანად შესთავაზა კაცმა.

"არა, გმადლობთ, — უპასუხა ბლეინმა, — ერთი სართული მაქვს ასავლელი."

ბლეინმა ლიფტს აუარა გვერდი და კიბეს აუყვა. გრძნობდა, როგორ ეძაბებოდა ძარღვები და ნერვიული ჟრუანტელი უვლიდა მთელ ტანში. ვინ იცის, შეიძლება აქედან ცოცხალიც ვერ გასულიყო.

მაგრამ მაინც უნდა გაერისკა.

კიბეზე დაგებული ხალიჩა მის ფეხის ხმას ახშობდა. ბლეინმა უხმაუროდ აიარა კიბე. სიჩუმეს მხოლოდ ნერვიული სტვენა არღვევდა, მის სუნთქვას რომ მოჰყვებოდა.

მეორე სართულზე არაფერი შეეცვალათ. დაცვა ისევ სავარძელში იჯდა და საზურგეთი კედელს მიყრდნობოდა.

მისკენ მიმავალი ბლეინი რომ შენიშნა, წინ წამოიწია და სკამი გაასწორა, ისე, რომ არ ამდგარა.

"ახლა ვერ შეგიშვებ, — გადაეღობა ბლეინს დაცვა, — ყველა დაითხოვა. ასე თქვა, უნდა დავისვენოო."

ბლეინმა თანაგრძნობით დაუკრა თავი.

"ჰო, მძიმე დღეები აქვს."

"სიმართლე გითხრა, ჯერ არ მინახავს ასეთი სასოწარკვეთილი ადამიანი, — კონფიდენციალურად გაანდო დაცვამ, — როგორ გგონია, ვისი ნამოქმედარია?"

"ისევ ის წყეული მაგია იქნებოდა."

დაცვამ მრავლისმეტყველად დაუქნია თავი: "მართალია, სანამ ეს მოხდებოდა, მანამდეც უცნაურად გამოიყურებოდა. შენს მოსვლამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, რომ წახვედი, რაღაც შეიცვალა, თითქოს ფინი გამოცვალესო, სულ სხვა ადამიანად იქცა."

"მე ვერანაირი ცვლილება ვერ შევამჩნიე."

"ხომ გითხარი, შენ რომ ნახე, კარგად იყო. ოთახიდან რომ გამოვიდა, მაშინაც ჩვეულებრივად გრძნობდა თავს. დაახლოებით ერთ საათში შევიხედე და რას ვხედავ, ზის სავარძელში და უაზროდ მიშტერებია კარს, თითქოს ძლიერ შინაგან ტკივილს შეეპყრო. ვერც გაიგო, როგორ შევედი. სანამ არ დაველაპარაკე, ვერ მიხვდა, რომ იქ ვიყავი."

"ალბათ რაღაცაზე ფიქრობდა."

"შეიძლება. გუშინდელი დღე განსაკუთრებით საშინელი იყო. ქვეყნის ხალხი შეიკრიბა მისი ქადაგების მოსასმენად, მათ შორის რეპორტიორებიც. ყველანი იმ სადგომისკენ გაემართნენ, სადაც ვარსკვლავური მანქანა ინახებოდა..."

"აქ არ ვიყავი მაგ დროს, მაგრამ გავიგე, რაც მოხდა, — შეაწყვეტინა ბლეინმა, — ალბათ მისთვის დარტყმა იქნებოდა."

"მე მეგონა, ადგილზევე დაეცემოდა უსულოდ, — თქვა დაცვამ, — სახე სულ აუჭარხლდა..."

"მოდი, რა ვქნათ, იცი? — შესთავაზა ბლეინმა, —

შევიხედავ, თუ სძინავს, აღარ შევაწუხებ, თუ არა და ერთ ორ სიტყვას ვეტყვი და მალევე წავალ. ძალიან მნიშვნელოვანი საქმე მაქვს."

"კარგი, შეიძლება დათმობაზეც წასვლა, რადგან მეგობრები ხართ."

ეს ალბათ ამ ფანტასტიკური ამბის მეტად უეცარი შემობრუნება გახლდათ. ფინს სიტყვაც არ დაუძრავს მის შესახებ, მისი სახელის ხსენებაც ვერ გაებედა. ყველას ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ბლეინი მისი ძველი მეგობარი იყო. ეს, პირველ რიგში, ფინს აწყობდა. აი თურმე რატომ არ გამოცხადდა მასზე დევნა. ახლა მიხვდა, რატომაც გადაურჩა ჰამილტონი ჩხრეკასა და რეიდებს.

ეს სასიამოვნო სიურპრიზია თუ ხაფანგი, კაცმა არ იცის.

ბლეინს მოულოდნელად კუნთები დაეძაბა, მაგრამ საკუთარი თავი აიძულა, დამშვიდებულიყო.

დაცვა სკამიდან წამოდგა და გასაღებებს დაუწყო ძებნა.

"მოიცა, — შეაჩერა ბლეინმა, — ჩემი გაჩხრეკა დაგავიწყდა."

დაცვას ჩაეცინა: "არ არის საჭირო. ხომ გაიარე უკვე ჩხრეკა, სუფთა იყავი. შენ და ფინი იმ დღეს აქედან ხელიხელჩაკიდებულები გახვედით. ფინმა მითხრა, რომ მისი დიდი ხნის უნახავი მეგობარი იყავი."

გასაღები იპოვა და კარი გააღო.

"ჯერ მე შევალ, — თქვა მან, — ვნახავ, სძინავს თუ არა."

კაცმა ფრთხილად გააღო კარი და ზღურბლს გადააბიჯა. ბლეინი უკან მიჰყვებოდა.

ისე მოულოდნელად გაჩერდა, რომ ბლეინი კინაღამ შეასკდა.

დაცვა მეტად უცნაურ და გაურკვეველ ხმებს გამოსცემდა.

ბლეინმა ხელის მოსმით უხეშად მოიშორა გზიდან.

ფინი იატაკზე იწვა.

უცნაური პოზა ჰქონდა მიღებული.

არაბუნებრივად მოკაკული სხეული თითქოს რაღაც

არაადამიანურ ძალას გადაეგრიხა. იატაკზე დამხობილი ფინის სახეზე იმ ადამიანის გამომეტყველება აღბეჭდილიყო, რომელსაც ჯოჯოხეთის ქარცეცხლი გამოეარა და მარადიულ კუპრში მოთუხთუხე ცოდვილების მყრალი სუნი შეეგრძნო. მისი შავი სამოსი არასასიამოვნოდ ლაპლაპებდა სხეულთან ახლოს მდგარი მაგიდის ლამპის შუქზე. ხალიჩაზე მის თავსა და მკერდთან ახლოს მუქი ლაქა მოჩანდა. ფინს ყელი ჰქონდა გამოჭრილი. ამ საშინელმა სანახაობამ თავზარი დასცა ბლეინსა და მცველს.

დაცვას სუნთქვა შეეკრა. ის ისევ ზღურბლთან იდგა გაშეშებული და ადგილიდან ვერ დაძრულიყო.

ბლეინი ფინს მიუახლოვდა და მის გაშლილ ხელში სიკვდილის გამომწვევი იარაღი შენიშნა — ძველებური, ბასრი სამართებელი, რომლისთვის მუზეუმის თაროზე უნდა მიეჩინათ ადგილი და არა სახლში.

მორჩა, ეს უკანასკნელი იმედიც გადაეწურა. ფინი ცოცხალი აღარ იყო და, ცხადია, ველარავის მოელაპარაკებოდა.

ფინი ცხოვრების ბოლომდე სასტიკი და უდრეკი ადამიანის როლს ასრულებდა, რომელმაც საკუთარი თავიც არ დაინდო და სიცოცხლის ხელყოფის მეტად საშინელი გზა აირჩია.

და მაინც, — ფიქრობდა საზარელი წითელი ჭრილის შემხედვარე ბლეინი, — რა ძალამ აიძულა, ასეთი სისასტიკით დაესვა სამართებელი საკუთარ სხეულზე.

ამას მხოლოდ სიძულვილით დაბრმავებული და ზიზღით შეპყრობილი ადამიანი შეძლებდა, ადამიანი, რომელსაც სძულდა საკუთარი სახეშეცვლილი თავი.

მისმა სტერილურმა და რაფინირებულმა გონებამ ვერ აიტანა უცხო პლანეტის გონი და საკუთარი სიცოცხლის ხელყოფისკენ უბიძგა. იდეალური სამყაროს შექმნის იდეით შეპყრობილმა, სასტიკი წესრიგის მოყვარულმა ფანატიკოსმა ვერ მიიღო უცხო გონების ამოუხსნელი და იდუმალი ფენომენი.

ბლეინი შემობრუნდა და ოთახიდან გავიდა. დერეფნის კუთხეში გადაყუდებულ დაცვას გული ერეოდა.

"შენ აქ დარჩი, — ურჩია ბლეინმა, — მე წავალ, პოლიციას გამოვიძახებ."

დაცვამ ნიკაპი მოიწმინდა და შიშით აღსავსე თვალები მიაპყრო ბლეინს.

"ღმერთო ჩემო, — აღმოხდა მას, — ცხოვრებაში მსგავსი საშინელება არ მინახავს."

"აქ იჯექი, — უბრძანა ბლეინმა, — დამშვიდდი. მალე დავბრუნდები."

რა თქმა უნდა, აღარ დაბრუნდებოდა. სწორედ ახლა ჰქონდა გაქცევის შანსი. ცოტა დრო სჭირდებოდა და ეს დროც ჰქონდა. შეძრწუნებული დაცვა კარგა ხანს გონს ვერ მოეგებოდა."

მაგრამ, როგორც კი მომხდარის შესახებ ხმა გავრცელდებოდა, მაშინვე ერთი ამბავი ატყდებოდა.

ამ ღამეს თუ ვინმე პარაკინეტიკოსი ჩაუვარდებოდათ ხელში, კარგ დღეს ნამდვილად არ დააყრიდნენ.

ბლეინმა სწრაფად ჩაიარა კორიდორი და კიბე ჩაირბინა. ფოიე გაიარა და გასასვლელს ისე მიაღწია, არავინ შეხვედრია.

სახელურისთვის უნდა მოევლო ხელი, რომ უცბად კარი გაიღო და ვიღაცა სწრაფი ნაბიჯით გამოემართა მისკენ.

იატაკზე ქალის ხელჩანთა დავარდა და ბლეინმა ხელის მკვეთრი მოძრაობით შეაჩერა შემოსული ქალი.

ჰარიეტ! გაეცალე აქაურობას! მოშორდი!

ჩემი ჩანთა!

ბლეინი დაიხარა, ჩანთა რომ აეღო. უცბად შესაკრავი გაიხსნა და რაღაც შავი ფერის მძიმე საგანი დაეცა იატაკზე. ხელი მოავლო მას და მუშტში დამალა.

ჰარიეტი შეტრიალდა და კარიდან გასვლა დააპირა. ბლეინი დაედევნა, ხელი მკლავზე წაავლო და თავისი მანქანისკენ წაიყვანა.

მანქანას რომ მიუახლოვდა, დაიხარა, კარი გააღო, ჰარიეტს ხელი უბიძგა და მანქანაში ჩასვა.

შეპ, ჩემი მანქანა აქვეა კუთხეში გაჩერებული...

მაგის დრო არ არის. აქაურობას უნდა მოვშორდეთ.

ბლეინმა მანქანას შემოუარა და საჭესთან დაჯდა. მანქანა დაძრა, ტროტუარიდან გზაზე გადაიყვანა, კვარტალი ჩაიარა და გზაჯვარედინიდან მაგისტრალზე გადაუხვია.ცდილობდა, სიჩქარისთვის მოემატებინა, მაგრამ მაინც იმაზე უფრო ნელა მოძრაობდა, ვიდრე უნდოდა.

მათ წინ დამწვარი ფაქტორიის კარკასი იდგა.

ჩანთა ისევ ბლეინს ედო კალთაში.

"რად გინდოდა იარაღი?" — ჰკითხა მან ჰარიეტს და ჩანთა მიაწოდა.

"ფინის მოკვლა მინდოდა, — იყვირა ჰარიეტმა, — მინდოდა, მისთვის შუბლი გამეხვრიტა."

"აღარ არის საჭირო. უკვე მკვდარია."

ჰარიეტი სწრაფად მიბრუნდა მისკენ.

"შენ მოკალი?"

"შეიძლება ითქვას, რომ მე მოვკალი."

"როგორ? შენ მოკალი თუ არა?"

"კარგი, მე მოვკალი."

ეს სრული სიმართლე გახლდათ. არა აქვს მნიშვნელობა, უშუალოდ ვისი ხელით მოკვდა ფინი, მისი სიკვდილის მიზეზი შეპარდ ბლეინი იყო.

"მე მქონდა მისი მოკვლის მიზეზი. შენ?"

"ფინმა გოდფრი მოკლა. განა ეს საკმარისი მიზეზი არ არის?"

"გოდფრი გიყვარდა, არა?"

"ალბათ კი. არ იცი, რა კარგი ადამიანი იყო, შეპ."

"მშვენივრად ვიცი, რომ კარგი კაცი იყო. ფიშჰუკში საუკეთესო მეგობრები ვიყავით."

"ცუდად ვარ, შეპ. იცი, როგორ მწყდება გული?"

"იმ ღამეს..."

"მაშინ არ იყო ცრემლების ღვრის დრო. სიმართლე გითხრა, ცრემლებისთვის არასდროს მრჩება დრო."

"შენ იცოდი ამის შესახებ."

"დიდი ხანია, ყველაფერი ვიცი. ეს ჩემი საქმეა — ყველაფერი ვიცოდე."

ბლეინი ტრასაზე გავიდა და ჰამილტონისკენ გაუხვია. მზე უკვე ჩასულიყო. დედამიწას ბინდი გადაკვროდა, ცაზე, დასავლეთით, პრერიის თავზე ერთადერთი ვარსკვლავი კრთოდა.

"ახლა რას აპირებ?" — ჰკითხა ბლეინმა.

"ახლა თითქმის მთელი მასალა მაქვს შეგროვებული."

"გინდა, დანერო ამის შესახებ? დაგიბეჭდავენ?"

"არ ვიცი, — უპასუხა ჰარიეტმა, — მაგრამ აუცილებლად უნდა დავწერო. შენ ხომ იცი, რომ სხვანაირად არ შემიძლია. ნიუ-იორკში ვარ წასასვლელი."

"ნიუ-იორკში კი არა, ფიშჰუკში მიდიხარ, ოღონდ მანქანით არა, თვითმფრინავით, უახლოესი აეროპორტიდან..."

"შეპ..."

"აქ ძალიან სახიფათოა დარჩენა, — გააფრთხილა ბლეინმა, — საფრთხისგან მცირედი, ჩვეულებრივი პარანორმალური შესაძლებლობებით დაჯილდოებული ადამიანებიც არ არიან დაცული."

"შეპ, არ შემიძლია..."

"მისმინე, ჰარიეტ. ფინი ყველა წმინდანთა დღეს პარანორმალურების მასობრივ გამოსვლებს გეგმავდა. ეს კონტრდაზვერვის ერთგვარი მანევრია. დანარჩენმა პარანორმალურებმა, ეს განზრახვა რომ შეიტყვეს, მათი შეჩერება სცადეს. რაღაც ნაწილი შეაჩერეს, მაგრამ არავინ იცის, რამხელა ნაწილი. დღეს ალბათ სერიოზული არეულობა მოხდება. ფინი ამ ამბოხებას ადამიანთა შორის შეუწყნარებლობის გასაღვივებლად და მკაცრი საკანონმდებლო სისტემის შემოსაღებად გამოიყენებდა. რა თქმა უნდა, ამ გამოსვლებს შეიძლება მსხვერპლიც

მოჰყოლოდა, მაგრამ ეს ფინის უშუალო გეგმებში არ შედიოდა. ახლა, როცა ფინი მკვდარია..."

ჰარიეტმა ღრმად ჩაისუნთქა: "გაგვანადგურებენ."

"ყველანაირად ეცდებიან, მაგრამ გამოსავალი არის..." — დაამშვიდა ბლეინმა.

"იცოდი და მაინც მოკალი ფინი!"

"მისმინე, ჰარიეტ, ამას მკვლელობას ვერ დაარქმევ. ფინთან მოლაპარაკება მინდოდა. ერთი მეთოდი აღმოვაჩინე, რომელიც დედამიწიდან პარანორმალურების გაყვანაში დამეხმარებოდა. მინდოდა, მასთან პირობა დამედო, რომ ყველა პარანორმალურს გზიდან ჩამოვაცილებდი, თუ ერთი ორი კვირით მაინც დააკავებდა თავის გამძვინვარებულ მხეცებს..."

"შენ ხომ თქვი, რომ მოკალი."

"შეიძლება ასეც ითქვას. მე მგონი ჯობია, ყველაფერი დაწვრილებით აგიხსნა. საგაზეთო სტატიისთვის გამოგადგება."



34

ჰამილტონი სიჩუმისა და სიცარიელის ბურუსში გახვეულიყო.

ბლეინმა მოედანზე შემოუხვია, მანქანა გააჩერა და გადმოვიდა.

ჩაბნელებულ ქალაქში შორიდან მდინარის საამური ხმა მოდიოდა.

“წასულან,” — თქვა ჰარიეტმა, მანქანიდან გადმოვიდა და ბლეინს მიუახლოვდა.

“აბა, შენ იცი, მეგობარო, — შეუძახა მან, — გზას დაადექი.”

ბლეინმა თავი გააქნია.

“უნდა წახვიდე, აუცილებლად უნდა გაჰყვე მათ. შენი ადგილი იქაა, პარანორმალურებთან.”

“შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს კიდეც წავიდე, მაგრამ ახლა — არა. აქ, დედამიწაზე, ბევრი რამ დამრჩა გასაკეთებელი. უამრავი პარანორმალური ადამიანია, რომელიც შიშით კრთის და სამალავებიდან გამოსვლას ვერ ბედავს. უნდა მოვძებნო და გადავარჩინო, რამდენადაც მოვახერხებ.”

"აქ თუ დარჩი, მოგკლავენ. დამიჯერე, ვერაფრის გაკეთებას ვერ მოასწრებ. ფინის ხალხი არ მოისვენებს, შენ მათთვის განსაკუთრებული სამიზნე გახდები..."

"თუ ძალიან შემავიწროვეს, წავალ, აბა რას ვიზამ. გმირი კი არა, სინამდვილეში მაგარი მშიშარა ვარ."

"მპირდები?"

"გპირდები, რა თქმა უნდა. შენ კიდევ ფიშჰუკში უნდა დაბრუნდე, იქ უსაფრთხოდ იქნები. აქედან პირდაპირ პიერის აეროპორტში წადი."

ჰარიეტი მანქანისკენ მიბრუნდა, ჩასაჯდომად მოემზადა, მაგრამ გადაიფიქრა და ბლეინს მიუბრუნდა.

"ალბათ მანქანა დაგჭირდება."

ბლეინს ჩაეცინა: "ქალაქი სავსეა მაქანებით. თუ დამჭირდა, ნებისმიერს წავიყვან."

ჰარიეტი საჭესთან დაჯდა და მობრუნდა, ბლეინს რომ დამშვიდობებოდა.

"რა უნდა გკითხო, — მიმართა ბლეინმა, — მითხარი, რა მოხდა მაშინ, სანამ მე ფარდულში ვიყავი, სად დაიკარგე?"

ჰარიეტმა გაეცინა: "რენდი რომ გამოჩნდა, გადავწყვიტე, იქაურობას გავცლოდი და ვინმესთვის დახმარება მეთხოვა. პიერში ვაპირებდი დარეკვას, იქ ერთი ორი კაცი მეგულებოდა, ვინც ჩვენს დახმარებას შეძლებდა."

"მერე?"

"გზაში პოლიციამ დამაკავა. მთელი ღამე განყოფილებაში მაყურყუტეს, დილით გამომიშვეს."

"ყოჩაღი გოგო ხარ," — შეაქო ბლეინმა და უცბად სუსტი გუგუნის ხმა შემოესმა, რომელიც შორიდან მოდიოდა.

ბლეინმა სმენა დაძაბა. ხმა თანდათან ძლიერდებოდა. ეს მოახლოებული მანქანების ხმას ჰგავდა.

"იჩქარე, — შესძახა მან, — ფარები არ აანთო, მთას დაუყევი და ჩრდილოეთით ტრასაზე გახვალ."

"რა დაგემართა, შეპ?"

"მანქანების ხმა მესმის. ალბათ პოლიციაა. ფინის სიკვდილის ამბავი გავრცელდებოდა."

"შეპ, შენ რას იზამ?"

"ჩემზე ნუ დარდობ. წადი."

ჰარიეტმა ძრავა ჩართო.

"შევხვდებით," — უთხრა ჰარიეტმა.

"დროს ნუ კარგავ, ჰარიეტ! იჩქარე! დიდი მადლობა ყველაფრისთვის. შარლინი მომიკითხე."

"კარგად იყავი, შეპ," — დაემშვიდობა ჰარიეტი და მანქანა მთებში მიმავალი ქუჩისკენ მიატრიალა.

ყველაფერი კარგად იქნება, — გაიფიქრა ბლეინმა — ქალი, რომელმაც ფიშჰუკის ციცაბო კლდეებს დააღწია თავი, ამ მთებსაც ადვილად გაართმევს თავს.

"კარგად იყავი, ჰარიეტ, და შარლინი მომიკითხე."

ნეტა რატომ უთხრა ეს? ალბათ იმიტომ, რომ წარსულთან დამშვიდობება, ხელის ჩამორთმევა უნდოდა. თუმცა ფიშჰუკისთვის წარსული არ არსებობდა. შარლინი ძველებურად გააგრძელებდა საღამოების მოწყობას, სადაც ისევ უცნაური ხალხი მოიყრიდა თავს დაუპატიჟებლად. ფიშჰუკი უკვე წარსულის აჩრდილად იქცა და ეს ყველაფერი ისე უცბად მოხდა, რომ თავადაც აზრზე ვერ მოსულიყო, თუმცა ძველებური ბრწყინვალება და ელფერი მაინც არ დაეკარგა. დასანანია, რომ ფიშჰუკი წარსულს ჩაბარდა, ის კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ.

ბლეინი მოედანზე იდგა და მოახლოებული მანქანების გრუხუნს უგდებდა ყურს. შორს, დასავლეთით, მათი მრგვალი ფარების შუქი გამოჩნდა. მდინარიდან გრილი ნიავი წამოიშალა და შარვლის ტოტებსა და სახელოებზე გადაეკრა.

ყველგან ასე იქნება, — გაიფიქრა ბლეინმა. დღეს საღამოს მანქანების გუგუნი არ შეწყდება, ქალაქს გამძვინვარებული ბრბოს ღმუილი გააყრუებს, ხალხი თავქუდმოგლეჯილი მიაშურებს სამალავებს.

ბლეინმა პიჯაკის ჯიბეში ჩაიყო ხელი და რევოლვერი მოსინჯა, ჰარიეტს რომ გადმოუვარდა ჩანთიდან. ხელი ტარს ჩასჭიდა მაგრად, თუმცა იცოდა, რომ ძალადობით მათთან ვერაფერს გახდებოდა.

ამ ხალხის იზოლირება მათ წინააღმდეგ ბრძოლის უფრო ეფექტურ მეთოდს წარმოაგენდა, ვიდრე ძალის გამოყენება. დაე, იზეიმოს უნიჭობამ და უგუნურობამ, მიიღონ ის, რაც უნდათ — აბსოლუტურად ნორმალური ადამიანებისგან შემდგარი პლანეტა, სადაც ხალხი უაზრო, პრიმიტიული ცხოვრებით იცხოვრებს, ვერასოდეს ეზიარება სხვა პლანეტებს, ვერასოდეს ეწვევა უცხო ვარსკვლავებს და მთელ თავის ცხოვრებას სავარძელს მიჭაჯვული გაატარებს და წარმოდგენაც არ ექნება, რომ მისი პლანეტის გარდა არსებობენ სხვა, უფრო მრავალფეროვანი, სამყაროები.

სულ რაღაც ას წელიწადში, კადრების ნაკლებობისა და გარე რეზერვის არარსებობის გამო, ფიშჰუკის პოზიციები სერიოზულად შეირყეოდა, მეორე ას წელიწადში კი მთლიანად გასწორდებოდა მიწასთან.

თუმცა ასი წლის შემდეგ ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება, რადგან იმ დროისთვის ადამიანთა მოდგმა სხვა პლანეტებზე გადასახლდება და ისეთი ცხოვრებისა და ცივილიზაციის შენებას დაიწყებს, რომელიც დედამიწაზე არ დასცალდა.

ბლეინმა მოედანი გადაჭრა და მთებისკენ გაემართა. ქალაქი მანამ უნდა დაეტოვებინა, სანამ მანქანები იქ აღმოჩნდებოდნენ.

ბლეინი ისევ მარტო იდგა ცხოვრების გზაზე, მაგრამ ისე მარტოსულად აღარ გრძნობდა თავს, როგორც უწინ, ახლა მას უკვე მიზანი ჰქონდა. მიზანი, — გაიფიქრა ბლეინმა და სიამაყით აივსო, — რომელიც თვითონვე დაუსახა საკუთარ თავს.

მხრები გამართა და, გამჭოლი ქარის მიუხედავად, ნაბიჯს

აუჩქარა. ერთი წამიც არ უნდა დაეკარგა. კიდევ ბევრი რამ რჩებოდა გასაკეთებელი.

მარცხნივ, ხეების ჩრდილში, რაღაცამ გაიფაჩუნა და ბლეინი, როგორც კი რაღაც მოძრაობა შენიშნა, მკვეთრად მიტრიალდა.

მას ვიღაც უახლოვდებოდა, ნელი და გაუბედავი ნაბიჯებით.

"შეპ?"

"ანიტა! — შესძახა ბლეინმა, — ჩემი სულელი გოგო, ანიტა!"

ანიტა სიბნელიდან გამოიჭრა და წამში მის მკლავებში აღმოჩნდა.

"შენ გარეშე ვერ წავიდოდი. ვიცოდი, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდი."

ბლეინმა მთელი ძალით მოხვია ხელი, დაიხარა და აკოცა. არ არსებობდა არავითარი ძალა დედამიწის ზურგზე, რომელსაც მათი დაცილება შეეძლო. წამით ყველაფერი შეჩერდა, ყველაფერი გაქრა, არაფერი ისმოდა, გარდა მათი სისხლის ჩქროლვისა და მთებიდან წამოსული ნიავის შრიალისა, არაფერი იგრძნობოდა, იასამნის ნაზი სურნელებისა და ვარსკვლავების ციმციმის გარდა. იყვნენ მხოლოდ ისინი.

და კიდევ შორიდან მოახლოებული მანქანების გრუხუნი ისმოდა.

ბლეინმა ანიტას მკლავებს დააღწია თავი და შესძახა: "გავიქცეთ, ანიტა! სწრაფად!"

"ქარივით," — გამოეხმაურა ანიტა.

და ისინი ქარის უსწრაფესად გაიქცნენ.

"მთებისკენ წავიდეთ, — ურჩია ანიტამ, — იქ მანქანა მყავს გადამალული. როგორც კი შებნელდა, მაშინვე ავიყვანე."

ნახევარი გზა რომ განვლეს, შეჩერდნენ და უკან მოიხედეს.

ბნელი ქალაქი ცეცხლის პირველ ალს მოეცვა და დაბლობიდან უძლური მძვინვარების კივილი ისმოდა.

ცეცხლსასროლი იარაღის ყრუ ხმას ქარი აპობდა.

"ჩრდილებს ესვრიან, — თქვა ანიტამ, — იქ აღარავინ არის, კატები და ძაღლებიც აღარ დარჩნენ, ბავშვებმა თან წაიყვანეს."

ბლეინს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბევრ სხვა ქალაქში ჩრდილებზე უფრო კონკრეტულ სამიზნეებს მონახავდნენ. ცეცხლის ალი ავარდებოდა და დენთის სუნი დატრიალდებოდა, ხეებზე თოკის ყულფები ჩამოეკონწიალებოდა და ჰაერში გასისხლიანებული დანები გაიელვებდა. არემარეს მთებიდან წამოსული შემაძრწუნებელი ყმუილისა და სწრაფი ნაბიჯების ხმა გააყრუებდა, განათებულ ცას შავი სილუეტები გადაურბენდა.

"ანიტა, მითხარი, მაქციები ნადვილად არსებობენ?"

"როგორ არ არსებობენ, ვერ ხედავ, დაბლობი მაქციებით არის სავსე?"

ეს სრული სიმართლე გახლდათ. ისინი მართლაც რომ ამ ქვეყნის მაქციები იყვნენ, შავბნელი გონებითა და დაბინდული აზროვნებით დაჯილდოებული, მდაბალი მიზნებით შეპყრობილი ურჩხულები.

ანიტამ და ბლეინმა ქალაქს ზურგი შეაქციეს და გზა განაგრძეს.

უკან სიძულვილისა და ბოროტების მძვინვარე ტალღა ჩამოიტოვეს და სიკეთისა და იმედის ვარსკვლავით გასხივოსნებული მომავლისკენ გასწიეს.